საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2009 წლის პირველი ნახევარი

www.ombudsman.ge

სარჩევი

შესავალი 4

საქართველოს სახალხო დამცველის და მისი აპარატის საქმიანობა 8

სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელები..... 16

სამართლიანი სასამართლოს უფლება..... 30

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება 34

შინაგან საქმეთა სამინისტრო..... 43

პროკურატურა..... 48

მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 51

სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება
და სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.....116

წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის
ან დასჯის აკრძალვა საქართველოში.....120

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება.....127

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.....137

დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა.....145

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა.....164

ბავშვის უფლებები.....174

ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა 184

რელიგიის თავისუფლება 197

შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა.....205

ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში.....221

სარჩევი

გენდერული თანასწორობის საკითხები 226

ძალადობა ოჯახში 232

შრომის უფლება და შრომის პირობების უფლება 237

სოციალური უზრუნველყოფის უფლება (სოციალური დახმარება) 240

ადამიანის უფლება სათანადო საცხოვრებელზე 245

საკუთრების უფლება 248

სახელფასო დავალიანებები 262

დანართი №1 სასჯელაღსრულების დაწესებულებები 265

დანართი №2 სახალხო დამცველის დასკვნა ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, ,,პოლიციის შესახებ“ კანონებში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით 318

დანართი №3 ეროვნული უმცერესობათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის 2009 წლის ივლისს კონფერენციის ,,სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში'' შედეგად შემუშავებული რეკომენაციები 324

რეკომენდაციები 329

შესავალი

აღნიშნული დოკუმენტში წარმოადგენს სახალხო დამცველის ანგარიშს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ. ანგარიში წარედგინება საქართველოს პარლამენტს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს 2009 წლის პირველი ნახევარი (2009 წლის 1 იანვრიდან 31 მაისის ჩათვლით). ანგარიშში ასახულია როგორც კონკრეტული სახელმწიფო ორგანოების მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, ასევე სახელმწიფოს მიერ კონკრეტული უფლებებისა და თავისუფლებების გარანტირებისა და შესრულების მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დოკუმენტი ასევე მიმოიხილავს სახალხო დამცველის მიერ წინა ანგარიშებში მოყვანილი რეკომენდაციების შესრულებისთვის სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს.

2009 წლის პირველი ნახევარი გამოირჩეოდა ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობით და წარმოადგენდა შეკრება–მანიფესტაციების მხრივ აქტიურ პერიოდს. გაერთიანებული ოპოზიციის აქციები 2009 წლის აპრილის თვიდან ივლისის დასაწყისამდე გაგრძელდა. სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც 24 საათიან რეჟიმში აკვირდებოდნენ მანიფესტაციების მიმდინარეობას. ასევე სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი. შესაბამისად, ჩვენს მიერ დაფიქსირდა არაერთი კანონდარღვევა როგორც სამართალდამცავთა, ასევე მომიტინგეთა მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ 6 მაისს თბილისის შს სამმართველოსთან ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოიყენეს პლასტიკური და რეზინის ტყვიები. აღნიშნული იარაღის გამოყენება, იმ პერიოდისთვის არ იყო დაშვებული საქართველოს კანონმდებლობით. გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატში აქტიურად შემოდიოდა მასალა დემონსტრაციის მონაწილეების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. დემონსტრაციების მონაწილენი თავდასხმებს მათ პოლიტიკურ აქტივობას უკავშირებდნენ. აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველისათვის 32 ასეთ შემთხვევაზე მოქალაქეებმა მისცეს ახსნა-განმარტება და წარმოუდგინეს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია. რიგ შემთხვევებში ასეთი შეურაცხყოფის ფაქტების ვიდეომასალაც არსებობს. სახალხო დამცველის მიერ ყველა ასეთი შემთხვევა, მის ხელთ არსებული დოკუმენტაციით, შემდგომი რეაგირებისთვის, გადაგზავნილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

მთავარ პროკურატურაში. თითოეულ ფაქტზე ამჟამად, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა შედეგი ჯერჯერობით არცერთ შემთხვევაში დღემდე არ დამდგარა.

სინანულით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2009 წლის 15 ივნისს ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ გამართული საპროტესტო აქციის დაშლისას, სამართალდამცავებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სახალხო დამცველის რწმუნებულს ვახტანგ მენაბდეს. როდესაც იგი არ დაემორჩილა პოლიციელის ბრძანებას დაეტოვებინა დემონსტრაცია მას ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ხოლო შემდეგ რამოდენიმე პირი წაქცეულს ურტყამდა მას. ამის შემდგომ იგი წაიყვანეს სამმართველოს შენობაში, იგი გაჩხრიკეს და უთხრეს, რომ ტანზე გაეხადა.

აღსანიშნავია, რომ როდესაც პოლიციის წარმომადგენლებმა ვახტანგ მენაბდეს პირველად მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, მას სახალხო დამცველის საიდენტიფიკაციო ფორმა ეცვა, შესაბამისი კეპით. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს ჰქონდათ საშუალება მოეხდინათ მისი იდენტიფიცირება.

მიმაჩნია, რომ სამართალდამცავების მხრიდან განხორციელებული ქმედებები წარმოადგენს სახალხო დამცველის საქმიანობისთვის დაბრკოლების შექმნას, რაც უხეშად არღვევს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონს, რომლის მე-7 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით ასეთი დაბრკოლებების შექმნა ისჯება კანონით. სახალხო დამცველის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანი სუფლებათა შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი და მათი დარღვევის ფაქტების დაფიქსირება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მას არ მიეცა თავისი ფუნქციების განხორციელება, ეს გამოიწვევს ზოგადად ინსტიტუტის დისკრედიტაციას. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველისათვის, თავის ფუნქციების განხორციელებაში ხელის შეშლის ყოველი ფაქტი იქნება უმკაცრესად შეფასებული ჩემს მიერ და მოვითხოვ ასეთ სამართალდარღვევაში მონაწილე ყველა პირის პასუხისგებაში მიცემას.

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტიური იყო გამოხატვის თავისუფლების დაუბრკოლებლად განხორციელების საკითხი. 209 წლის პირველ ნახევარში ამ კუთხით არსებული პრობლემები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა 2008 წლის მეორე ნახევარში არსებული სირთულეებისაგან.

2009 წლის 9 აპრილსა და შემდგომ პერიოდში გამართულმა აქციებმა გამოკვეთა პრობლემა, რომელიც ჟურნალისტების მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების გაშუქებისას მათ უსაფრთხოებასა და პროფესიული საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებას ეხება. აგრეთვე პრობლემად დარჩა სამართალდამცავი ორგანოების

თანამშორმლების მიერ ჟურნალისტებისათვის პროფესიული საქმიანობის განხორცილების დროს დაბრკოლებების შექმნა. მას–მედიისა და ჩვენს მიერ დაფიქსირდა ჟურნალისტებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფისა და პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ხელის შეშლის არაერთი ფაქტი, როგორც აქციის მონაწილეთა (მაგ: ნიკა ავალიანის ცემის ფაქტი, რუსთავი–2 ის ჟურნალისტის ნათია ლეკიაშვილისა და ოპერატორის ცემის ფაქტი, ახალი თაობის ჟურნალიტების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი), ისე სამართალდამცავების მხრიდან (მაგ: 15 ივნისს ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ ჟურნალისტთა ფიზიკურ შურაცხყოფისა და მათი ჩანაწერების განადგურების ფაქტი).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებისა და გამოცემული ანგარიშების საფუძველზე დგინდება, რომ სახეზეა საქართველოში მედიის მდგომარეობის გაუარესება.

კვლავ პრობლემაა პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ისევე, როგორც წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების გამოძიება. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული უკვე წარმოადგენს სისტემურ პრობლემას, ვინაიდან ძალზედ მწირია იმ საქმეების სწრაფი და ეფექტური გამოძიება და დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია პოლიციის მიერ ძალის გადამეტებასთან. აღნიშნული წარმოადგენს პრობლემას, როგორც შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს, ასევე პირების დაკავებისას და შემდგომ საგამოძიებო ეტაპზე მათთან მოპყრობისას.

დღესდღეობით ერთ–ერთ ყველაზე პრობლემატურ სფეროდ საქართველოში სასჯელაღსრულების სისტემა რჩება. ძირითად პრობლემებს შორის უნდა დავასახელოთ სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობა, რაც პატიმართა დიდი რაოდენობითა და ინფრასტრუქტურის უკმარისობითაა გამოწვეული. ზოგიერთ დაწესებულებაში გადატვირთულობის გამო გაუსაძლისი პირობებია, რაც, რიგ შემთხვევაში, შეიძლება შევაფასოთ, როგორც პატიმრებისადმი არაადამიანური მოპყრობა. აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზად არ შეიძლება, მივიჩნიოთ მხოლოდ ახალი დაწესებულებების მშენებლობა და ძველი დაწესებულებების გარემონტება. საჭიროა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გადახედვა და საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების შემთხვევაში აღკვეთის არასაპატიმრო ღონისძიებები, პირობითი მსჯავრი, ასევე უზრუნველყოს პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის ეფექტური და სათანადო ფუნქციონირება. მხოლოდ აღნიშნული ბერკეტების გამოყენების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი

სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და მხოლოდ პატიმართათვის ნორმალური და ადამიანური სამყოფელის და პირობების შექმნის შემდეგ იქნება შესაძლებელი მთავარი მიზნის – თავისუფლებააღკვეთილ პირთა რესოციალიზაციის მიღწევა.

ჩემთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება იმ ბავშვების მდგომარეობა, რომლებიც სამზრუნველო დაწესებულებებში არიან მოთავსებული. ჩვენს მიერ ბავშვთა დაწესებულებების მონიტორინგის შედეგად ისევ სავალალო ფაქტები გამოიკვეთა. ამგვარი დაწესებულებებისათვის კვლავ მწვავედ დგას შენობათა სიძველისა და ამორტიზებულობის საკითხი, რაც ბავშვებისათვის არასათანადო საცხოვრებელი პირობების არსებობას განაპირობებს. რიგ დაწესებულებებში არის არასათანადო სანიტარულ – ჰიგიენურ მდგომარეობა. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული მდგომარეობა უარყოფით გავლენას იქონიებს ბავშვთა განვითარებაზე.

კვლავ მძიმე რჩება საქართველოში იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების მდგომარეობა. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ მთავრობას, რათა ქმედითი ნაბიჯებით შეემსუბუქებინათ ამ ადამიანებისათვის მდგომარეობა. ეს ძირითადად ეხება მათ საცხოვრებელ პირობებსა და ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფომ გაწია გარკვეული სამუშაო, თუმცა ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, ამ პირებისათვის ადეკვატური საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შესაქმნელად.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ 2009 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდომარეობა იყო მძიმე. ადგილი ჰქონდა როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას. ვიმედოვნებ, რომ მომავალში სახელმწიფო ქმედით ნაბიჯებს გადადგამს მოცემული დარღვევებისა და მათი შედეგების აღმოსაფხვრელად, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს სახალხო დამცველი

გიორგი ტუღუში

სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანობა

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას“.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი იღებდა და განიხილავდა მოქალაქეთა განცხადებებს, ადამიანის უფლებათა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უგზავნიდა რეკომენდაციებსა და მიმართვებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს. ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლის მიზნით მონიტორინგს ახორციელებდა სხვადასხვა დახურული ტიპის ინსტიტუციებში. გარდა ამისა, სახალხო დამცველი და მისი აპარატის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი არაერთი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციათა მუშაობაში, რომლებიც ეხებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა ასპექტს.

სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმარულებას კვლავაც წარმოადგენდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა 2009 წლის პირველ ნახევარში ორი კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სარჩელები შეეხებოდა ,,ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონსა და ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს. გარდა ამისა თებერვლის თვეში საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო სახალხო დამცველის სარჩელი, რომელიც **"საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ"** საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტს შეეხებოდა. (იხ. საკონსტიტუციო სარჩელები).

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა შემდეგი სახის ღონისძიებები განახორციელა:

* * *

2009 წლის 11-12 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა ინსტიტუტის დაარსების 10 წლის აღსანიშნავად, საბერძნეთის ომბუდსმენის ოფისისა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისთან არსებული **Eunomia**-ს პროექტის

მხარდაჭერით გამართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – გამოხატვის თავისუფლება.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საბერძნეთის, ჰოლანდიის, შვედეთის, სლოვენიის, ჩეხეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ესტონეთის, ლიტვის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ყირგიზეთის ომბუდსმენებმა და მათმა წარმომადგენლებმა. კონფერენციას ასევე ესწრებოდნენ საქართველოში მოღვაწე ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა თომას ჰამარბერგმა.

* * *

მჭიდრო იყო სახალხო დამცველისა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლობა. აღსანიშნავი და მისასალმებელია, რომ მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გამოიჩინა სახალხო დამცველთან შეხვედრის ინიციატივა და 16 თებერვალს ორი უწყების ხელმძღვანელმა პირმა მათ სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრა. სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე და ორივე მხარე შეთანხმდა, რომ სახალხო დამცველი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პრობაციის სისტემის რეფორმაში.

* * *

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი განაგრძობდა ქვეყანაში სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის მიმართულებით მუშაობას. ა/წ 19 თებერვალს ქ.თელავში, ხოლო 20 თებერვალს ქ.მარნეულში, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების რეგიონული ცენტრები გაიხსნა.

ზემოაღნიშნული ცენტრების მიზანია ხელი შეუწყოს და ორგანიზება გაუწიოს სხვადასხვა სახის საქმიანობას, რათა მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცეთ დაეუფლონ პრაქტიკული სამართლის, გამოყენებითი ეკონომიკისა და პროფესიული ინტერესების შესაბამის საზოგადოებრივი ურთიერთობების საფუძვლებს.

სამოქალაქო განათლების ცენტრის რეგიონული ოფისების მუშაობაში, მონიტორინგსა და სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. მოხდება მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების

გათვალისწინება, მათი რეალური პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიება.

* * *

ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი აქტიურად თანამშრომლობდა არა მარტო თბილისის, არამედ რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. კერძოდ, 2009 წლის 21 თებერვალს იგი გორში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სახალხო დამცველის ადგილობრივი ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის საკითხები. ასევე ისაუბრეს საჯარო დაწესებულებებში მოქალაქეებისათვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლის, არასამთავრობო სექტორსა და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობის კუთხით არსებულ პრობლემებზე.

შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს ასევე რეგიონული მედიისათვის ფულადი სახსრების სიმწირეზე, დონორებთან კომუნიკაციების კუთხით არსებულ პრობლემებსა და ასევე ადგილობრივი მედიის განვითარების ხელშეწყობის პროექტების ეფექტიან განხორციელებაზე. შეხვედრზე ასევე ისაუბრეს აგვისტოს ომის შედეგებზე და დევნილთა მდგომარეობაზე.

* * *

ა/წ. 13 მარტს სახალხო დამცველი და მისი მოადგილე ჟენევაში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს თომას ჰამარბერგს შეხვდნენ. შეხვედრაზე ისაუბრეს ცხინვალში, ედუარდ კოკოითის მიერ გივი ჩიგოევისა და თამარ ჩარაევას დაკავების შესახებ. ასევე იმ ოსი ეროვნების მოქალაქეებზე, რომლებიც ოსური მხარის ცნობით, დაკარგული არიან და სახალხო დამცველის აპარატი ახორციელებს მათი ადგილსამყოფელის დადგენას.

* * *

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველი კვლავ ჩართული იყო ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების ქსელის (European Network of Ombudspersons for Children, ENOC) მუშაობაში. კერძოდ, მისმა წარმომადგენელმა 2009 წლის 23–25 სექტემბერს მონაწილეობა მიიღო და მოხსენება გააკეთა ბავშვის ომბუდსმენთა ევროპული ქსელის მე–13 გენერალურ ასამბლეაზე, რომლის ძირითადი თემა იყო „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების პრინციპი“.

ქსელი წარმოადგენს ბავშვთა უფლებადამცველების ფორუმს და მისი ძირითადი ამოცანაა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციის პრინციპების დანერგვის მონიტორინგი და ამასთან დაკავშირებით ევროპელი კოლეგების ინფორმირება.

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები
(2009 წლის იანვარი–სექტემბერი)

ტოლერანტობა და უმცირესობათა უფლებები

*** * ***

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი ახორციელებდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსა და რელიგიათა საბჭოს საქმიანობის სისტემატურ მხარდაჭერას, ტოლერანტობის ცენტრის კოორდინაციით რეგულარულად იმართებოდა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოებისა და მათი კომიტეტების სამუშაო შეხვედრები, ასევე მათი შეხვედრები სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებზეც განიხილებოდა უმცირესობების წარმომადგენელთა სპეციფიური პრობლემები. 2008 წლის ზაფხულში დასრულდა მუშაობა რელიგიურ უმცირესობათა საბჭოს სოციალური დოქტრინის ტექსტზე.

*** * ***

2009 წლის პირველ ნახევარში ტოლერანტობის ცენტრის ეგიდით გაიმართა წიგნების „რელიგიები საქართველოში“ და „ეთნოსები საქართველოში“ პრეზენტაცია თბილისის, ქუთაისის, თელავის, ბათუმისა და ახალციხის უნივერსიტეტებში. წიგნები ასახავენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ისტორიას, კულტურასა და თანამედროვე ყოფას. პუბლიკაციები გადაეცა აღნიშნული უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს. იმავე გამოცემის პოპულარიზაციისა და უმცირესობათა შესახებ ცოდნის გაზრდის მიზნით, ტოლერანტობის ცენტრმა მოაწყო სკოლის მოსწავლეთა შორის ვიქტორინა. მასში მონაწილეობის მიზნით შერჩეულ იქნა 6 სკოლა, თბილისიდან და რეგიონებიდან. ვიქტორინაში გამარჯვებული ბოლნისის N1 საჯარო სკოლის გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით.

*** * ***

საანგარიშო პერიოდში გამოიცა და გავრცელდა ჟურნალის „სოლიდარობა“ სამი ახალი ნომერი. ასევე მოეწყო ჟურნალში განხილული თემების „პრესის თავისუფლება საქართველოსა და მსოფლიოში“ და „სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში“ პრეზენტაცია/დისკუსია რეგიონებში, ექსპერტებისა და ადგილობრივი მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და სტუდენტების მონაწილეობით.

* * *

გაეროს განვითარების პროგრამის, საქართველოს გაეროს ასოციაციის და უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის/ევროპის საბჭოს (კავკასიაში დანიის 2008-2009 პროგრამა) მხარდაჭერით 2009 წლის 20-21 ივნისს, გუდაურში, გაიმართა კონფერენცია თემაზე “სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში”. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს სახალხო დამცველი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამა და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი. კონფერენციაზე განხილულ იქნა პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოს მიერ შემუშავებული და მთავრობის მიერ დამტკიცებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობით შემუშავდა რეკომენდაციები კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ეფექტური იმპლემენტაციისა და მონიტორინგისათვის სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროების მიხედვით. კონფერენციის მონაწილეები მიმოიხილეს ევროპული ქვეყნების გამოცდილება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით. იმავდროულად, განიხილეს სამხარეო ადმინისტრაციებსა და ეთნიკურ უმცირესობათა რეგიონულ საბჭოებს შორის მემორანდუმის გაფორმების საკითხები.

* * *

ტოლერანტობის ცენტრი რეგულარულ დამხარებას უწევდა სახალხო დამცველის აპარატს უმცირესობათა უფლებების მონიტორინგში (მათ შორის რეგიონებში), ასევე ახორციელებდა მედია მონიტორინგს აღნიშნულ სფეროში. ცენტრის ექსპერტების დახმარებით მომზადდა სახალხო დამცველის ანგარიშის თავები, რომლებიც ეხება საქართველოში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობას.

* * *

2009 წლის 6 მარტს სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ახალგაზრდული ცენტრის პრეზენტაცია, რომელიც ორიენტირებულია საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვაზე, სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობაზე და ქვეყნის ცხოვრებაში ახალგაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სრულფასოვან ჩართვაზე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები

* * *

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. შესაბამისად, პროექტი ახორციელებს სახალხო დამცველის აპარატში 2008 წელს შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების ცენტრის საქმიანობის მხარდაჭერას. 2006 წლიდან დღემდე 139 სახელმწიფომ მოაწერა ხელი გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას. საქართველო განსხვავებით მისი მეზობელი სახელმწიფოებისაგან, არ წარმოადგენს აღნიშნული კონვენციის მხარეს. შესაბამისად, სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრის საქმიანობის ერთ–ერთი ძირითადი მიმართულებაა კონვენციის რატიფიცირებისა და იმპლემენტაციის ლობირება. ამ მიზნით ცენტრის ფასილიტაციით შეიქმნა სპეციალური უწყებათშორისი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან როგორც სათანადო სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ისე აღნიშნულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები. ჯგუფის პირველი შეხვედრა პროექტის მხარდაჭერით 8 აპრილს გაიმართა. შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ჯგუფის მიზნების, სტრატეგისა და სამომავლო საქმიანობის შესახებ.

პროექტი დახმარებას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი უფლებებისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ფორმების შესახებ.

საზოგადოებაში არსებული სტიგმები და არასწორი დამოკიდებულებები კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, რომლის ერთ–ერთი მიზეზიც ინფორმაციის ნაკლებობაა. შესაბამისად, ცენტრის მიერ პროექტის მხარდაჭერით მომზადდა და დაიბეჭდა სპეციალური საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც სხვადასხვა დაავადებებს, მათ მკურნალობას, შეზღუდული შესაძლებლობების პირების რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ფორმებს უკავშირდება. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ისახავდა ასევე მიზნად პროექტის

ფარგლებში ცენტრის ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა/ფილმების ჩვენება სტუდენტებისათვის.

საგანმანათლებლო საქმიანობა

* * *

ვინაიდან სახალხო დამცველის 2008 წელს დამტკიცებულ სტრატეგიაში ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა საგანმანათლებლო საქმიანობა, პროექტის ხელშეწყობით, 2008 წლის ბოლოს დაიწყო და 2009 წლის დასაწყისში დასრულდა საბაზისო კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საფუძვლიანი ინფორმაციის მოპოვებას საქართველოში ადამიანის უფლებათა ცნობადობის დონის შესახებ, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და აღქმის შესწავლას ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების მიმართ, რაც პირდაპირპროპორციულად შეუწყობს ხელს სახალხო დამცველის ოფისის მუშაობის ეფექტურობას, სტრატეგიისა და პრიორიტეტების უკეთ დასახვას. რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდა სახალხო დამცველის ჟურნალში „სოლიდარობა“. ამასთან, კვლევის შედეგები და მასალები გადაეცა სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების ცენტრს სპეციალური საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების მიზნით.

2009 წლის დასაწყისში პროექტის დახმარებით მომზადდა და გამოიცა სპეციალური საინფორმაციო ბროშურა საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ. სახალხო დამცველის ქუთაისისა და ბათუმის სამოქალაქო განათლების ცენტრებში გაისხნა ბიბლიოთეკები, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ თანამედროვე ლიტერატურას ადამიანის უფლებებზე, კანონის უზენაესობაზე, საერთაშორისო სამართლის საკითხებზე, დემოკრატიზაციაზე და სამოქალაქო საზოგადოებისათვის სხვა საინტერესო თემებზე. ლიტერატურის ელექტრონული კატალოგის ნახვა შეიძლება სახალხო დამცველის ვებ გვერდზე: http://www.ombudsman.ge/lib/opac/index.php.

საანგარიშო პერიოდში პროექტის დახმარებით, სახალხო დამცველის ქუთაისისა და ბათუმის სამოქალაქო განათლების ცენტრების ორგანიზებით, ჩატარდა დებატების/დისკუსიების ციკლი სტუდენტებისათვის (რისთვისაც კონკურსის საფუძველზე შერჩეულ იქნა 40 სტუდენტი), რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროებში მათი ცოდნის გაზრდას.

სახალხო დამცველის და
მისი აპარატის საქმიანობა

* * *

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროექტის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატისათვის გაწეულ იქნა რეგულარული საექსპერტო დახმარება სისხლის სამართლისა და სამედიცინო სფეროში. აღნიშნული მოიცავდა როგორც კანონმდებლობის ანალიზსა და სათანადო წინადადებების/რეკომენდაციების/ საკონსტიტუციო სარჩელების მომზადებაში დახმარებას, ასევე ექსპერტულ დახმარებას კონკრეტული საქმეების შესწავლასა და სათანადო დასკვნების მომზადებაში. პროექტის ფარგლებში აქტიური საექსპერტო დახმარება იქნა გაწეული სახალხო დამცევლის ანგარიშის ცალკეული ნაწილების მომზადებაში.

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ 2009 წლის პირველ ნახევარში სახალხო დამცველი მისი აპარატისა და საერთაშორისო და არასაერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით აქტიურად იყო ჩართული როგორც საქართველოს კანონმოდებლობის საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების დებულებებთან შესაბამისობის მოყვანაში ასევე სახელმწიფოს მიერ თავის თავზე აღებული მოვალეობების შესრულების მონიტორინგში.

სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელები

საქართველოს სახალხო დამცველმა 2009 წლის პირველ ნახევარში ორი კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სარჩელები შეეხებოდა ,,ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონსა და ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს.

2009 წლის 27 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო სახალხო დამცველის სარჩელი, რომელიც "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტს შეეხებოდა.[1]

2009 წლის 8 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველს განჩინებით უთხრა უარი ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53[4] მუხლის (აქციათა სავალდებულო მიყიდვა) პირველი პუნქტის წინააღმდეგ მიმართული სარჩელის განხილვაზე.

2009 წლის 9 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის სარჩელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ვ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით.

2009 წლის 13 მაისს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის სარჩელი სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით.[2]

1. **,,ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–11 მუხლის მე–2 პუნქტის სიტყვა: „მე–6“;**

* *მუხლი 11. კანონის ამოქმედება*

*2. ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, **მე-6** და მე-8 მუხლების მოქმედება გავრცელდეს 1990 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.*

---

[1] http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&id=545&action=show პარაგრაფი 1.
[2] http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=535&action=show ნაწილი III, პარაგრაფი 1.

2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. აღნიშნული კანონის მე–6 მუხლის თანახმად შეიზღუდა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ხოლო ამავე კანონის მე–11 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად: ეს აკრძალვები ვრცელდება 1990 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. მოგვიანებით, 2008 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 332[2] მუხლი. აღნიშნული ნორმის თანახმად ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, დასჯად ქმედებად გამოცხადდა.

სადავო ნორმა აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას და ავრცელებს მის მოქმედებას 1990 წლიდან განხორციელებულ საქმიანობაზე, ანუ სისხლის სამართლის კანონს ანიჭებს უკუქმედით ძალას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის მე–5 პუნქტის მე–2 წინადადებას: კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს.

2. ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტი და მესამე პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები, მე-3 მუხლის მე–2 და მე-3 პუნქტები, მე-4 პუნქტის პირველი წინადადება და მე-5 მუხლის პირველი და პირველი პრიმა პუნქტები.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლისა და ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შედარების შედეგად ჩანს, რომ პირებს, რომლებიც არიან მამაკაცები, აქვთ ჯანმრთელობის სათანადო მონაცემები, რომლებიც არ არიან ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, არ არიან სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური შემადგენლობა, მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ემსახურებიან გადაყვანა-გადაზიდვას ან დასაქმებული არიან მოძრავი შემადგენლობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის მოწყობილობების მომსახურებითა და რემონტით, პედაგოგები და ექიმები, რომლებიც მუშაობენ სოფლად, თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები, მოსამართლეები, საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ მყოფი პირები, დიპლომატიური თანამდებობის პირები, სასულიერო პირები, ანუ ის პირები რომლებიც არ სარგებლობებს ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის ,,ა“, ,,ბ“, ,,დ“, ,,ვ“, ,,ზ“, ,,თ“, ,,ი“, ,,კ“, ,,ლ“, ,,მ“, ,,ნ“ ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტით სარეზერვო სამსახურიდან გათავისუფლების

უფლებით და არიან 23 წელს ზევით, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა სამხედრო სამსახურის მიმართ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, გაიწვევენ რეზერვში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის წერილში აღნიშნულია, რომ ,,საქართველოს კანონი ,,სარეზერვო სამსახურის შესახებ" არ იძლევა საშუალებას, სარეზერვო სამსახურის ნაცვლად ახალგაზრდამ მოიხადოს სამხედრო ვალდებულება არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ფორმით[...]."

ამგვარი მიდგომა არღვევს როგორც რწმენის თავისუფლებას, ისე თანასწორობის უფლებას. პირველი გამოიხატება იმაში, რომ პირი დაუცველია იძულებისაგან, არ განახორციელოს ქმედებები, რომლებიც მის რწმენასთან შეუსაბამოა, ხოლო მეორე – პირს, რომელსაც აქვს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ, ეკისრება იმ პირის თანაბარი ვალდებულება, რომელსაც არ გააჩნია მსგავსი შეხედულებები და შესაბამისად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე–19 მუხლის პირველ და მე–3 პუნქტებს და მე–14 მუხლს, რადგან მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების ფუნდამენტური ასპექტია. ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიამ კონვენციის მე-9 მუხლთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში ნათლად წარმოაჩინა, რომ მუხლით დაცულ სიკეთეებში ასევე, მოიაზრება პაციფიზმი, ,,პაციფიზმი, როგორც ფილოსოფია, ხვდება აზრისა და მრწამსის თავისუფლების უფლების მოქმედების სფეროში. ამიტომ პაციფიზმის მიმართ დამოკიდებულება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მრწამსი, რაც დაცულია მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით."[3] იმავე ლოგიკით, ჩვენ შეიძლება დაცულ სფეროში ვიგულისხმოთ ანტიმილიტარიზმი. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ზოგადი და ნეიტრალური კანონი დისკრიმინაციული ხასიათისაა, თუ ის არ ითვალისწინებს გამონაკლისებს რელიგიის ნიადაგზე[4].

3. "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის სიტყვები „საქართველოში მცხოვრებ", რომელიც გრძელდება სიტყვებით „სხვა ფიზიკურ პირებს" და „საქართველოს", რომელიც გრძელდება სიტყვებით „იურიდიულ პირებს".

[3] Arrowsmith v. the United kingdom App.No 7050/75 19, Eur. Commn'n H.R.Dec &Rep 5 (1980). პარაგრაფი 45.

[4] Thlimmenos v. Greece. European Court of Human Rights Application no. 34369/97. Judgment of 6 April 2000, პარაგრაფი 73.

აღნიშნული სადავო ნორმის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოზე მიმართვის უფლება არ აქვს იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც არ ცხოვრობენ საქართველოში და არ არიან საქართველოს მოქალაქეები, თუმცა შეიძლება მოექცნენ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ექცევიან საქართველოს იურისდიქციის ქვეშ, თუმცა არ არიან რეგისტრირებულნი საქართველოში როგორც საქართველოს იურიდიული პირები.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს ყველა ადამიანის უფლებას თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა იმ პირისათვის, რომელიც მისი იურისდიქციის ქვეშ ექცევა. საქართველოს იურისდიქციის ქვეშ კი შეიძლება მოექცნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, იმისგან დამოუკიდებლად, ცხოვრობენ თუ არა ისინი საქართველოში.

იურიდიულ პირებსაც, მათი საქართველოში რეგისტრაციის ფაქტის მიუხედავად, უნდა ჰქონდეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კონსტიტუციაში მითითებული უფლებები და თავისუფლებები მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზეც. მოსარჩელე სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას იმ უფლებათა რიგს განაკუთვნებს, რომელიც იურიდიულ პირებსაც გააჩნიათ.

სასამართლომ სახალხო დამცველის სარჩელი დასაშვებად ცნო.

4. ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53[4] მუხლის (აქციათა სავალდებულო მიყიდვა) პირველი პუნქტი.

- **სახალხო დამცველის პოზიცია**

სადავო ნორმა იმავე შინაარსისაა, რაც 2007 წლის 18 მაისს არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ. აქედან გამომდინარე, ,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვითაც თუ სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე მივა ანალოგიურ დასკვნამდე, სადავო ნორმა განჩინებით უნდა იქნეს ცნობილი ძალადაკარგულად.

სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, ძალადაკარგულად გამოცხადდება აქციების სავალდებულო მიყიდვის მარეგულირებელი ყველა ნორმა. ეს განპირობებულია იმით, რომ ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობისას

ძალადაკარგულად ცხადდება მის საფუძველზე ან შესასრულებლად მიღებული ყველა ნორმატიული აქტი.

სახალხო დამცველმა მოითხოვა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რადგანაც მის მოქმედებას შეიძლება მოყოლოდა მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგი.

ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ გადაწყვეტილებაში არსებულ არგუმენტებზე: საკონსტიტუციო სასამართლომ მინორიტარ და მაჟორიტარ აქციონერებს შორის ბალანსის დაცვისათვის, ჩამოთვალა სამი კრიტერიუმი:

1. *არ უნდა არსებობდეს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა მაჟორიტარი აქციონერის მიერ;*
2. მინორიტარმა აქციონერმა უნდა იცოდეს, თუ რატომ ხდება მისი კუთვნილი აქციების სავალდებულო მიყიდვა;
3. *მინორიტარ აქციონერს უნდა ჰქონდეს თავისი პოზიციის გამოხატვისა და დაცვის სამართლებრივი საშუალება.*

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სადავო ნორმით პირველი და მე-3 კრიტერიუმები არ არის დაკმაყოფილებული. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედმა რედაქციამ, გარკვეული ნაკლოვანებები ნაწილობრივ გამოასწორა, ის მაინც იმეორებს არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ვერ დაინახა აქციების სავალდებულო მიყიდვის მიზანი, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება. ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით კანონმდებლის დამოკიდებულება არც ახალ რედაქციაში შეცვლილა. გათვალისწინებული არ არის მექანიზმი, რათა დადგინდეს, თუ რამდენად არსებობს, კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება. კანონიდან კარგად უნდა ჩანდეს ის მიზანი, რასაც ემსახურება აქციების სავალდებულო მიყიდვა. საერთო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, აქციების სავალდებულო მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას იმსჯელოს ამ პროცედურის საჭიროებაზე. სასამართლო, ამ შემთხვევაში, გვევლინება ნოტარიუსის როლში და მაჟორიტარი აქციონერი უფლებამოსილია, ნებისმიერი მიზეზით შეისყიდოს მინორიტარი აქციონერების აქციები, ხოლო მინორიტარ აქციონერებს არ აქვთ სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება.

- **სასამართლოს პოზიცია**

a. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭროება (ლეგიტიმური საჯარო მიზანი)

სასამართლომ დააგინა, რომ აქციების სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის ლეგიტიმური მიზნის ეჭვქვეშ დაყენება ფაქტიურად ნიშნავს ამ ინსტიტუტის არსის არაკონსტიტუციურობის საკითხის დაყენებას. აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის არსი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და აქციათა სავალდებულო მიყიდვას შესაძლებელია ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი, რაც განპირობებულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით.[5]

b. სასამართლოს როლი ლეგიტიმური საჯარო მიზნის დადგენაში

რაც შეეხება იმის გარკვევის მექანიზმს, არსებობს თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, კოლეგიის აზრით, ეს უკავშირდება მინორიტარი აქციონერის შესატყვისი სამართლებრივი დაცვის საკითხს. ამაზე მსჯელობის საშუალებას არ იძლევა თავად სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც შემოიფარგლება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53[4] მუხლის პირველი პუნქტით, სადაც განსაზღვრულია აქციების სავალდებულო მიყიდვის არსი და არა აქციების სავალდებულო მიყიდვის სამართლებრივი პროცედურა და მინორიტარი აქციონერის ადგილი ამ პროცესში.[6]

იგივე მდგომარეობაა მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებთან დაკავშირებით, რომ საერთო სასამართლო აქციების სავალდებულო მიყიდვისას ასრულებს "ნოტარიუსის როლს" და არ ამოწმებს ამ პროცედურის საჭიროებას. საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ამ გარემოებაზე, რადგანაც ამ შემთხვევაშიც, მოსარჩელის არგუმენტაცია შინაარსობრივად არ შეეხება სადავო ნორმას.[7]

c. მაჟორიტარი აქციონერის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება

სასარჩელო მოთხოვნა, ასევე, არ იძლევა იმის შეფასების საშუალებას, თუ რამდენად არსებობს მოქმედი რეგულირების პირობებში მაჟორიტარი აქციონერის მიერ თავისი

[5] იხ: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2009 წლის 8 ივნისის, ნაწილი: II; პუნქტი: 4;
[6] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 5;
[7] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 8;

ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. ამის მიზეზია ის, რომ როგორც აღინიშნა, მოსარჩელე არ ასაჩივრებს აქციათა სავალებულო მიყიდვის წესის მომწესრიგებელ ნორმებს.[8]

d. სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა ინსტიტუტის სისტემაზე

კოლეგიას მცდარად მიაჩნია მოსარჩელის მოლოდინი, რომ სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ძალადაკარგულად გამოცხადდება აქციების სავალდებულო მიყიდვის მომწესრიგებელი ყველა ნორმა. აღნიშნული ნორმები გააგრძელებს მოქმედებას და მათ საფუძველზე შესაძლებელი იქნება აქციების სავალდებულო მიყიდვის პროცედურის განხორციელება.[9]

ზემოთმოყვანილი არგუმენტების საფუძველზე სასამართლომ უარი თქვა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე. სასამართლომ ასევე არ დაკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სადავო ნორმის ,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4[1] პუნქტით დადგენილი წესით ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ვ“ ქვეპუნქტი.

- **სახალხო დამცველის პოზიცია**

მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. მე-3 პუნქტის თანახმად, ადამიანის დაკავება შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი აუცილებლად უნდა წარედგინოს სასამართლოს. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის ამ ორი პუნქტის მოთხოვნები მსგავსია.

პირის დაკავების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს ეჭვის განსაზღვრული ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ არის აღნიშნული საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლში, გონივრული ეჭვის სტანდარტი არ მისცემს დაკავებაზე უფლებამოსილ პირს თვითნებობის შესაძლებლობას.

---

[8] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 6;
[9] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 9;

სახეზეა ორი სიკეთე, რომელიც ერთმანეთს უნდა დეუპირისპირდეს – პირის თავისუფლება და სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესი, გახსნას დანაშაული. დაუშვებელია თუნდაც ერთი უდანაშაულო ადამიანის დაკავება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი რომ მან ჩაიდინა დანაშაული. ამ დროს დანაშაულის გახსნის ლეგიტიმურ ინტერესს გადაწონის საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცული სიკეთე.

მხოლოდ დანაშაულის ჩადენაში საფუძვლიანი ეჭვის არსებობა არ არის პირის დაკავების საფუძველი. აუცილებელია, არსებობდეს დაკავების პირობა და მიზანი. სადავო ნორმის გამოყენებისას გასათვალისწინებელია 141-ე მუხლის მოთხოვნები. 146[1] მუხლიდან გამომდინარე, თუ არსებითად დარღვეულია 145-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავების წესი ან დაკავება არ ემსახურება 141-ე მუხლით გათვალისწინებულ მიზნებს, დაკავება უკანონოა.

კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილი დაკავებას უკავშირებს საკმაო საფუძვლის არსებობას პირზე ეჭვის მისატანად. სადავო ნორმა, არის რა დაკავების საფუძველი, თავად უნდა წარმოშობდეს საფუძვლიან ეჭვს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. მხოლოდ ის გარემოება, რომ პირი შეიძლება მიიმალოს, ამ ეჭვს არათუ ნეიტრალური დამკვირვებლის, არამედ დაინტერესებული პირის შემთხვევაშიც არ ბადებს.

კოდექსი იცნობს დაკავების სხვადასხვა საფუძვლებს და დაკავების მიზანს. 141-ე მუხლში მითითებულია, რომ პირის დაკავების მიზანი შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის შემდეგ მისი მიმალვის აღკვეთა. სადავო ნორმის თანახმად, პირის მიმალვის შესაძლებლობა წარმოადგენს დაკავების საფუძველს. თუ ერთმანეთს შევადარებთ სადავო ნორმასა და 141-ე მუხლს, მივიღებთ სურათს, რომ დაკავების მიზანი და საფუძველი ერთმანეთს ემთხვევა.

კოდექსის 142-ე მუხლის პირველ ნაწილის მიხედვით: ,,დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება...“. თუმცა, კოდექსის სხვა ნორმების შესაბამისად, პირი ეჭვმიტანილად ითვლება მისი დაკავების მომენტიდან და ამ შეთხვევაში რაიმე აქტი პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ აღარ გამოიტანება. შეუძლებელია უკვე ეჭვმიტანილი პირი დაკავებულ იქნას 142-ე მუხლის საფუძველზე. ამ ნორმაში ტერმინის ,,ეჭვმიტანილი პირი“ გამოყენება იმით აიხსნება, რომ კანონმდებელმა გამიჯნა ეჭვმიტანილი პირისა და ბრალდებულის დაკავება. იქმნება სიტუაცია, რომ პირი შესაძლოა დაკავებულ იქნას იმის გამო, რომ ის შეიძლება მიიმალოს, მაგრამ ამ მომენტისათვის, მას ეჭვმიტანილის სტატუსი არ აქვს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად 142-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებული ჩანაწერისა,

სადავო ნორმის საფუძველზე პირის დაკავებისას არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი მის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.

- **სასამართლოს გადაწყვეტილება**
  - **მე–18 მუხლის განმარტება:**

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს თავისუფლების აღკვეთის სხვა ფორმებისაგან შედარებით ნაკლებად მძიმე ფორმას – დაკავებას, რომელიც არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. დაკავების ინსტიტუტი არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაა გათვალისწინებული.[10] კანონმდებლის უფლება, კანონის საშუალებით დაადგინოს დაკავების შემთხვევები, თავის მხრივ შეზღუდულია ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებით.[11]

სადავო ნორმა უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს, რომელიც ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებს თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას.[12]

მე-18 მუხლის პირველი წინადადება უნდა განიმარტოს მე-6 პუნქტთან კავშირში, რომელიც მიუთითებს „დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის" დაკავებაზე. ადამიანის „ სისხლისსამართლებრივი დაკავების" შემთხვევაში, უნდა არსებობდეს სულ ცოტა ორი გარემოება.

- უპირველეს ყოვლისა, ფაქტობრივი გარემოებები და მონაცემები ობიექტურად უნდა იძლეოდეს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ სახეზეა სავარაუდო დანაშაული.

[10] იხ: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, ნაწილი: II; პუნქტი: 7;
[11] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 12;
[12] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 13;

- უნდა არსებობდეს საფუძვლიანი და გონივრული ეჭვი, რომ პირმა, რომელიც დაკავებულია, ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული.[13] ხოლო გონივრული ეჭვი არის ის, რაც აკავშირებს კონკრეტულ პირს კონკეტულ დანაშაულთან.[14]

ასევე უნდა აღინიშნოს ორი მეტად მნიშვნელოვანი მოთხოვნა:

- დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის თავისუფლების აღკვეთის მიზანს მისი „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს" წინაშე წარდგენა უნდა შეადგენდეს;

- დაკავებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვი „გონივრული" უნდა იყოს.[15]

- **სადავო ნორმის შინაარსი**

ტერმინი ,,დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი" წარმოადგენს კონსტიტუციური ტერმინის - ,,დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი" ანალოგიას.[16]

სადავო ნორმა ითვალისწინებს არა დაკავების აუცილებლობას პირის მიმართ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვის არსებობისას, არამედ დაკავების შესაძლებლობას. ეს შემთხვევითი არ არის, რადგანაც თანაზომიერების პრინციპით არა მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლება, არამედ ხელისუფლების სხვა შტოებიც არის შეზღუდული. პირის დაკავება ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს სათანადო, აუცილებელი და პროპორციული საშუალება მართლმსაჯულების განხორციელების მისაღწევად. ერთის მხრივ, ჩარევის სიმძიმისა და მეორე მხრივ, მისი გამამართლებელი მიზეზების ერთობლივი აწონ-დაწონვისას უნდა იქნას დაცული დასაშვებობის ზღვარი დაკავებული პირისათვის.[17]

სადავო ნორმა აყალიბებს დაკავების შემთხვევას, რომელსაც აქვს კუმულაციური საფუძველი:

- დაკავებული პირი ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში;

- იგი შესაძლოა მიიმალოს.[18]

---

[13] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 17;
[14] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 21;
[15] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 23;
[16] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 25;
[17] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 37;
[18] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 24;

141-ე მუხლის პირველი ნაწილი ავიწროვებს დანაშაულთა წრეს და დაკავების გამოყენებას თუ ,,არსებობს საკმაო საფუძველი ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით" (ამ პირობის შესრულების გარეშე დაკავება დაუშვებელია და ის თვითნებურ და არაკანონიერ ხასიათს მიიღებს). მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი და 145-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად მოითხოვს, რომ დაკავებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დანაშაულის თაობაზე, რომლის ჩადენაშიც ის არის ეჭვმიტანილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულზე არის მითითება ,,ეჭვმიტანილის" განმარტებაშიც კოდექსის 44-ე მუხლის 23(1) ნაწილში[19] (,,გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული"). ეჭვი, რომელიც გადმოცემულია ამ ნორმაში, ყალიბდება პირის დაკავებამდე. პირის დაკავება და მისთვის ეჭვმიტანილის ფორმალური სტატუსის მინიჭება არ იწვევს ეჭვის გაჩენას.[20]

ზემოთმოყვანილი მოთხოვნებიდან ნათლად ირკვევა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ,,ეჭვმიტანილი პირი" გულისხმობს პირს, რომლის მიმართაც არსებობს გონივრული ეჭვის ობიექტური საფუძვლები, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. დაკავებისათვის უფლებამოსილ პირს უნდა შეეძლოს გააკეთოს დასკვნა, რომ სწორედ იმ დანაშაულთან აქვს შეხება, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა.[21]

კოლეგია არ იზიარებს მოსაზრებას, რომ კოდექსი ითვალისწინებს გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევების კონკრეტულ ჩამონათვალს და სხვა შემთხვევებში გონივრული და საფუძვლიანი ეჭვის გაჩენა შეუძლებელია. ,,ეჭვი" არ არის კანონმდებლის მიერ ამომწურავად განსაზღვრადი კატეგორია და გაჩნდება თუ არა ის, ეს დამოკიდებულია მთელ რიგი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობაზე კონკრეტულ შემთხვევაში.[22]

კოლეგიას სადავო ნორმის მიმართება 141-ე მუხლის პირველ ნაწილთან სავსებით ლოგიკურად და არაპრობლემატურად მიაჩნია. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს 141-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკავებისათვის დასახული მიზნები – დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა, გაქცევის, დამალვის თავიდან აცილება, მტკიცებულებათა მოსპობა, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება, მისი ფიზიკური შეპყრობა წარმოადგენს სავსებით სათანადო, აუცილებელ და პროპორციულ

[19] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 28;
[20] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 32;
[21] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 34;
[22] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 35;

ღონისძიებას, რომლის განუხორციელებლობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.[23]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელი.

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება: „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს.“

- **სახალხო დამცველის პოზიცია**

ტერმინი „პასუხისმგებლობა“, რომელიც გვხვდება კონსტიტუციის 42–ე მუხლის მე–5 პუნქტში, არის უფრო ფართო, ვიდრე სასჯელის ცნება და მოიცავს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სხვა საკითხებსაც, მათ შორის ხანდაზმულობის ვადას. რადგან ხანდაზმულობის ვადა ზოგადად აუმჯობესებს პირის მდგომარეობას. ვინაიდან სადავო ნორმა იყენებს ორ საფუძველს „დანაშაულებრიობას“ და „სასჯელს“, რჩება გარკვეული სივრცე, რომელზეც უკუძალის აკრძალვა არ ვრცელდება. სწორედ იმის გამო, რომ ნორმა ტოვებს ამ შუალედს, ის არის ბუნდოვანი.

სამართლებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ აქვს ახალი კანონით უკვე ამოწურული ხანდაზმულობის ვადის აღდგენა ხდება, თუ ხანდაზმულობის ვადა მაშინ იზრდება, როცა ძველი კანონით დადგენილი ვადა ჯერ კიდევ არ არის გასული.

საერთო სასამართლოებში დამკვიდრებულია არასწორი პრაქტიკა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად არის დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკა სადავო ნორმასთან დაკავშირებით, ასევე უნდა გამოარკვიოს ნორმის ნამდვილი აზრი და თუ პრაქტიკა და ნამდვილი აზრი უფლებაშემლახავია, გააუქმოს სადავო ნორმა.

სადავო ნორმის ნამდვილ აზრზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ სადავო ნორმაში განხორციელებული ცვლილება. სადავო ნორმიდან სიტყვების ამოღებით „ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას“ „სახელწიფომ ხაზი გაუსვა რომ უკუქმედითი ძალა ექნებოდა ყველა აქტს, თუ ის არ დააწესებდა ქმედების დანაშაულებრიობას ან არ დაამძიმებდა სასჯელს“.

[23] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 40;

უნდა ითქვას, რომ კონსტიტუცია მხოლოდ უკუძალის მინიჭების შესაძლებლობას იძლევა, და იმპერატიულად არ მოითხოვს, რომ შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ კანონებს მიენიჭოთ უკუძალა. ეს კანონმდებლის გადასაწყვეტია.

- **სასამართლოს გადაწყვეტილება**

  - **42–ე მუხლის მე–5 პუნქტის განმარტება:**

➢ 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადება, როგორც აბსოლუტური უფლება

კანონიერების პრინციპის (nullum crimen sine lege) გამოვლინებაა კანონის უკუძალის აკრძალვა. ეს დებულება უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას წინასწარ დადგენილი, საჯაროდ ხელმისაწვდომი და არაინდივიდუალიზებული სამართლებრივი წესების შესაბამისად, შეძლოს იმის განჭვრეტა თუ რა ქმედებები წარმოადგენს სამართალდარღვევებს და საკუთარი ქცევა შესაბამისად წარმართოს. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს, რომ აღნიშნული პრინციპი ატარებს აბსოლუტურ ხასიათს და მისი დარღვევა დაუშვებელია. ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა არა მარტო ცალკეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, არამედ ღირებულებათა წესრიგი, სამართლებრივი უსაფრთხოება, რომელიც თავად წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებათა არსებობის (დაცვის) საძირკველს.[24]

- **სადავო ნორმის შინაარსი**

სადავო ნორმა, გამორიცხავს დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიღებული კანონის გავრცელებას მის ჩადენამდე არსებულ ურთიერთობებზე.[25] კოდექსის ზოგადი ნაწილის მთავარი დანიშნულება კერძო ნაწილში გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების კვალიფიკაციასა და სასჯელთა შეფარდებაში ვლინდება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ზოგადი ნაწილის ნორმები ერთიმეორეს არ განაპირობებენ. უკუძალის აკრძალვის გარანტია მთელი სისხლის სამართლისათვის როგორც ნორმათა ორგანული კავშირისათვის გათვალისწინებული გარანტიაა და არა მისი ერთი ნაწილისათვის.[26]

---

[24] იხ: საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2009 წლის 13 მაისი, ნაწილი: II; პუნქტი: 1;

[25] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 14;

[26] იხ: ნაწილი: II; პუნქტი: 33;

სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელი და მიუთითა, რომ სამოტივაციო ნაწილში გაშლილი მსჯელობა მეტყველებს იმაზე, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კოსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებას. იგი საჭიროებს კონსტიტუციის შესატყვის განმარტებას. სიტყვებში ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა აგრეთვე მოიაზრება პირობითი მსჯავრი და ხანდაზმულობის ვადები და მათი გამკაცრების შემთხვევაში ისინი რეტროატიულ მოქმედებას არ უნდა დაექვემდებარონ.

სასამართლო გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლეების ვახტანგ გვარამიას, კონსტანტინე ვარძელაშვილისა და ქეთევან ერემაძის განსხვავებული აზრები, რომელთაგან ზოგიერთი მოსაზრება ემთხვევა სახალხო დამცველის პოზიციას.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლება, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა გარანტირებულია მრავალი საერთაშორისო პრინციპითა და ნორმით, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე–6 მუხლით, რომლის დებულებების შესრულების აუცილებლობა საქართველოს 1999 წლიდან გააჩნია.

სამართლიანი სასამართლო ზოგადად გულისხმობს ქვეყანაში მართლმსაჯულების ისეთი სისტემის არსებობას, რომელიც ხელმისაწვდომია ქვეყნის თითოეული მოქალაქისა და ქვეყანაში მაცხოვრებელი ყოველი პირისათვის, აგრეთვე არის ობიექტური და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტორს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე–6 მუხლი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას, როგორც გონივრულ ვადებში სამართლიან სასამართლო განხილვაზე, ასევე დაცვის უფლებას და თანაბარ პირობებში მოწმეთა დაკითხვის შესაძლებლობას.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე შესწავლილ იქნა არაერთი სისხლის სამართლის საქმე, სადაც აშკარად იკვეთება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლის დებულებების მოთხოვნების არაჯეროვანი შესრულება. საქართველოში სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებულ პრობლემას ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა სწორედ ამ უფლების დარღვევას ეხება.[27]

სახალხო დამცველი საპარლამენტო მოხსენებებში ყოველთვის ეხებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევებს და მიმართავდა შესაბამის სტრუქტურებს რეკომენდაციით, რათა მომავალში აღმოფხვრილიყო მსგავსი დარღვევები. მოცემულ საანგარიშო მოხსენებაში ყურადღება იქნება გამახვილებული როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე–6 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევებზე, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებიდან გამომდინარეობს, ასევე „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნაზე, რაც

[27] იხ.http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/ACF07093-1937-49AF-8BE6 36FE0FEE1759/0/FactsAndFiguresENG10ansNov.pdf

პირდაპირ კავშირშია, როგორც ადამიანის უფლების დაცვასთან, ასევე სამართლიანი სასამართლოს გარანტიასთან.

საქართველოს საერთო სასამართლოებში სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევა

ა) დაცვის უფლება

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლის მე–3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, სულ მცირე იმისა, რომ ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. აღნიშნული უფლება გარანტირებულია ასევე საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის მე–3 პუნქტით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84–ე მუხლით, კერძოდ დამცველის უფლება, გამოიყენოს „ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი“, რომელიც მას ესაჭიროება ბრალდებულისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევებში საერთო სასამართლოების მიერ საქმის განხილვისას ხდება ევროპული კონვენციის, ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სსს კოდექსის ზემოაღნიშნული დებულებების უგულველყოფა და ამ მუხლებით გათვალისწინებული დამცველის უფლების დარღვევა. მაგალითად, ე.წ. ხონის ციხიდან მსჯავრდებულ პირთა გაქცევის ს/ს საქმეზე, სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის მასალების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლემ ადვოკატს სისხლის სამართლის საქმის 20 ტომის შესასწავლად გამოუყო მხოლოდ 25 წუთი, რაც ახსნილი იყო იმით, რომ ადვოკატის შუამდგომლობა გამოიწვევდა საქმის გაჭიანურებას. ცხადია, რომ მოცემული დრო ვერ იქნება საკმარისი არა მარტო სისხლის სამართლის საქმის 20 ტომის გასაცნობად, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეიცავს არაერთ რთულ პროცესუალურ დოკუმენტს, არამედ ზოგადად საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად შესასწავლად და შესაბამისად ადეკვატური დაცვის სტრატეგიის შესამუშავებლად.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში *ოჩალანი თურქეთის წინააღმდეგ*, მსგავსი გარემოებების არსებობისას დაადგინა, რომ ადვოკატისათვის დიდი რაოდენობით საქმის მასალების გაცნობისათვის არასაკმარისი დროის მიცემა, რაც მას ართმევს შესაძლებლობას ეფექტურად წარმოადინოს კლიენტის ინტერესები სასამართლოში, წარმოადგენს დაცვის

უფლების დარღვევას, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.[28]

აღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ხშირ შემთხვევაში არ ხდება დაცვის მხარისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმების გარანტირება და ხშირ შემთხვევაში ადვოკატებს უწევთ არათანაბარ პირობებში განახორციელონ თავიანთი კლიენტების იურიდიული წარმომადგენლობა.

ბ) თანაბარ პირობებში მოწმეთა დაკითხვა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლის მე–3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, სულ მცირე იმისა, რომ გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განსასჯელ გიორგი გოგიტიძის და ე.წ. ხონის ციხიდან მსჯავრდებულ პირთა გაქცევის ს/ს საქმეების მასალების ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ ორივე შემთხვევაში მოსამართლეების მიერ არ მომხდარა განსასჯელთა ადვოკატების შუამდგომლობების დაკმაყოფილება და მათი მოწმეთა დაკითხვა, რასაც შეიძლება არსებითად ემოქმედა სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანაზე.

შესაბამისად, სასამართლოს მიერ ს/ს საქმისათვის მნიშვნელოვანი მოწმეების დაკითხვის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობით შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლის მე–3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა, საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის მე–6 პუნქტის მოთხოვნების, რომლის მიხედვითაც თანაბარ პირობებში უნდა მოხდეს მოწმის დაკითხვა, დარღვევას. ასევე, სასამართლოს ზემოაღნიშნული დამოკიდებულება, შესაბამისობაში არ არის საქართველოს სსსკ მე–18 მუხლის მე–2 ნაწილთან, რომლის თანახმადაც „საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს

[28] ოჩალანი თურქეთის წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 მაისის, გადაწყვეტილება. საქმე #46221/99.

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი“.

აღნიშნული საკითხი, არა მხოლოდ ამ კონკრეტული საქმეების მახასიათებელს წარმოადგენს, არამედ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ზოგადი პრობლემაა.

რეკომენდაცია:

საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარემ უზრუნველყოს საქართველოს საერთო სასამართლოთა მოსამართლეების მიერ მათ იურისდიქციის ქვეშ არსებული სისხლის სამართლის საქმეების სრულფასოვანი და ჯეროვანი შესწავლა და დაცვის მხარისთვის მისი უფლებების ეფექტური განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

სასამართლო ხელისუფლების ეფექტურობა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში გამოიხატება. სწორედ ამიტომ სასამართლო ხელისუფლებისა და სასამართლო აქტებისადმი განსაკუთრებული პატივისცემის და მისი განუხრელად შესრულების მოთხოვნები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციასა და რიგ ნორმატიულ აქტებში.

კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე." სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა არღვევს კრედიტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ყველა ადამიანისათვის იცავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას მისი სამოქალაქოსამართლებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის მხოლოდ თეორიული უფლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ გულისხმობს აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერ მოლოდინს. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო განმარტავს, რომ აღსრულების პროცესი არის სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილი და უფლება სასამართლოზე, როგორც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოზე, გულისხმობს ასევე აღსრულების პროცესის ხელმისაწვდომობასაც.[29]

სტატისტიკა

ოფიციალური მონაცემებით, 2009 წლის იანვრიდან 2009 წლის აგვისტოს თვის ჩათვლით საჯარო სამართლის იურიდიული პირის–აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების–სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში იყო 104 142 საქმე, აღნიშნულ პერიოდში სააღსრულებო ბიუროების მიერ აღსრულდა 26 559 საქმე.

აღსრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი საქმეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 26%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლები მოიცავს არა მხოლოდ თანხის

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადის ნომერი: 40765/02, 28 ნოემბერი 2006, გვ.13.

გადახდევინებას, არამედ სხვა კატეგორიის საქმეებსაც: გამოსახლება-შესახლება, სამუშაოზე აღდგენა, ალიმენტის გადახდევინება, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება და ბრძანება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, ადმინისტრაციულ სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილებათა აღსრულება და სხვა.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ინფორმაციით, 2009 წლის იანვრიდან 2009 წლის აგვისტოს ჩათვლით სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ აღსასრულებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში იყო 1482 საქმე. აქედან აღნიშნულ პერიოდში აღსრულდა 52, დამთავრდა 18 ხოლო სულ დასრულდა 18 საქმე.[30]

აღსრულება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ

სასამართლო გადაწყვეტილებათა ნებაყოფლობით შესასრულებლად სამთვიანი ვადის[31] გასვლის შემდეგ, მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ დაწყებული სააღსრულებო წარმოებები გადაეცემა აღსრულების ეროვნული ბიუროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს. 2009 წლის იანვრიდან აგვისტოს თვის ჩათვლით აღნიშნული ჯგუფის წარმოებაში იყო 1227 სააღსრულებო წარმოება, საიდანაც აღსრულდა 941, დამთავრდა 30, ხოლო მთლიანად დასრულდა 971 სააღსრულებო წარმოება.

ბიუჯეტის ან საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ აღსრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი ასეთი კატეგორიის საქმეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 77%-ს შეადგენს. როგორც ვხედავთ, აღსრულებული საქმეებიდან ბიუჯეტისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილია იძულებით აღსრულებული, რის გამოც სწორედ ამ კუთხით სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობამ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში იკლო.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების სფეროში და ამ მხრივ ადამიანის უფლებათა დაცვის თაობაზე შემოსულ განცხადებათა უმეტესობა ძირითადად შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას, სადაც მოვალე მხარე არის კერძო პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.

---

[30] დამთავრებაში იგულისხმება მისი სხვადასხვა საფუძვლით დასრულების შემთხვევები. (კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვა, სააღსრულებო წარმოების გადაგზავნა სასამართლოში, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილების გაუქმება და ა.შ).

[31] აღნიშნული ვადა დადგენილი ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საჩივრების უმნიშვნელო რაოდენობა დაფიქსირდა ისეთ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების კუთხით, როდესაც მოვალე მხარეა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულება, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აქვს დავალიანებები მოქალაქეებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების (კრედიტორების) მიმართ წინა წლებში გაუცემელი ხელფასების, პენსიების, იძულებითი განაცდურის სახით ან დაკისრებული აქვთ სამსახურიდან დათხოვილი მოსამსახურეების სამსახურში აღდგენა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემა და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან შედარებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებულად არეგულირებს თანხის გადახდევინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ.

მოვალე კერძოსამართლებრივი სუბიექტის, მათ შორის, ფიზიკური პირების მიმართ სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს, იძულებითი აღსრულების პროცესი დაიწყოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შვიდი დღის ვადაში წინადადების შეუსრულებლობის მომენტიდან; ხოლო ფულის ან ქონების გადახდევინებისას წინადადების ჩაბარებასთან ერთად, სასამართლო აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების აღწერას ან დაყადაღებას კანონით დადგენილი წესით.

საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან თანხის იძულებით გადახდევინებისას სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, იმოქმედოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 92–ე და 92[1] მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად. საჯარო სამართლის იურიდიული პირებს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის ეძლევათ ერთი თვის, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციებს – სამი თვის ვადა. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ აღმასრულებელი უფლებამოსილია, დაიწყოს იძულებითი აღსრულება, თუმცა სახალხო დამცველის აპარატში განხილული საქმეებიდან ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო დაწესებულებების, ასევე სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ ასეთ ღონისძიებებს სასამართლო აღმასრულებლები ვერ ახორციელებენ და ისინი არაეფექტურია (აღნიშნული საკითხი ვრცლად განხილულია საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი და მეორე ნახევრების მოხსენებებში).

ამდენად, აღნიშნული კატეგორიის საქმეთა აღსრულების პროცესში, მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციებს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტიდან ეგზავნებათ მხოლოდ წინადადებები სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით სამი თვის ვადაში შესრულების თაობაზე. ასევე, ეგზავნებათ აღსრულების ეროვნული ბიუროს საბანკო ანგარიშების ნომრები და სხვა რეკვიზიტები სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების შესაბამის ანგარიშებზე ჩასარიცხად.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა აღსრულების ეროვნული ბიუროდან გაგზავნილ წინადადებებს სასამართლო გადაწყვეტილებების ნებაყოფლობით აღსრულება არ მოჰყოლია და ასეთი წინადადებები განმეორებით ეგზავნებოდათ მოვალე სახელმწიფო დაწესებეულებებს, მაგრამ უშედეგოდ.

მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი აღსრულების ღონისძიებებზე ვრცელდება კანონით დადგენილი ვადები, რიგ შემთხვევებში, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი დიდი ხნით ჭიანურდება და ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებები წლების განმავლობაში არის აღუსრულებელი. ასეთ შემთხვევებში მოქალაქეები მიმართავენ სახალხო დამცველს განცხადებებით და აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო ორგანოებში არაფერი კეთდება სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის ან, რიგ შემთხვევებში, განხორციელებული იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებები საერთოდ არაეფექტურია.

იძულებითი აღსრულების პროცესი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. მოვალის, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

სახელმწიფო დაწესებულებებისგან სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადაუხდელობის შესახებ შემოსულ განცხადებებზე, განმცხადებლის უფლებების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, საქართველოს სახალხო დამცველისაგან სააღსრულებო ორგანოებს ეგზავნება რეკომენდაცია, რომ დროულად გაატარონ იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და შეასრულონ მათზე კანონით დაკისრებული ვალდებულებები.

სასამართლო გადაწყვეტილების სწრაფი აღსრულება დამოკიდებულია სასამართლო აღმასრულებლისაგან მიცემულ წინადადებაში მითითებულ დროზე და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების დაწყებაზე, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის კანონით განხვავებულად არის განსაზღვრული – იძულებითი აღსრულების პროცესი, თანხის გადახდევინების ნაწილში, შეიძლება დაიწყოს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების მიცემიდან სამი თვის შემდეგ.

2008 წელს საბიუჯეტო (სახელმწიფო) ორგანიზაციების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ამავე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებების გათვალისწინებამ. „2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებში გათვალისწინებულ იქნა წინა წლებში საბიუჯეტო დაწესებულებებზე წარმოქმნილ ვალდებულებათა, მათ შორის, **სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის** გადასახდელი თანხები 20 მილიონი ლარის ოდენობით, რაც ორჯერ აღემატება წინა წლებში გათვალისწინებულ ასიგნებებს – 2007 წელს გათვალისწინებული იყო 10 მილიონი ლარი. თანხის გადახდევინების თაობაზე აღსრულებულ საქმეთა ძირითადი ნაწილი სწორედ აღნიშნული ასიგნებებიდან იქნა დაფარული.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის გათვალისწინებული ფონდიდან თანხების განაწილებისას პრიორიტეტი მიენიჭა სწორედ წინა წლებში გაუცემელი ხელფასების, პენსიების და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას.

2008 წლის პირველ და მეორე ნახევარში სააღსრულებო ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების მეშვეობით ფაქტობრივად მოგვარდა გასულ წლებში გაუცემელი ხელფასების, პენსიების და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხები. აღნიშნულს მოწმობს 2008 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილი რეკომენდაციების გათვალისწინების სტატისტიკური მაჩვენებლები. აღნიშნულ პერიოდში მოცემულ საკითხებზე გაგზავნილი რეკომენდაციებიდან დაკმაყოფილდა დაახლოებით 80%.

უფლებადარღვეულ მოსამსახურეთა სამსახურში აღდგენა

უფლებადარღვეულ მოსამსახურეთა სამსახურში აღდგენის თაობაზე (ზოგჯერ სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულია არამარტო სამსახურში აღდგენაზე, არამედ ახალი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ) მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი თავისი სპეციფიკით, ყველაზე რთულია იმ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესებიდან, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ბოლო პერიოდის განმავლობაში.

ერთი მხრივ, ასეთი პროცესის სირთულე განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლობა, რომელიც მოქმედებს მითითებულ სფეროში, არასრულყოფილია და მოითხოვს დახვეწას. კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი არ მოიცავს იმ მექანიზმებს, რომლებიც, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელს საშუალებას მისცემდა, გაეტარებინა კონკრეტული იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებები. სასამართლო აღმასრულებლები ასეთ შემთხვევებში შემოიფარგლებიან მხოლოდ წერილობითი მიმართვით, რომლითაც სახელმწიფო ორგანოებისაგან და თანამდებობის პირებისაგან სასამართლო გადაწყვეტილების და სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულებას მოითხოვენ.

ბავშვთა საკითხების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების იძულებითი აღსრულება

კვლავინდებურად პრობლემატური რჩება ისეთი სასამართლო გადაწყვეტილებების იძულებითი აღსრულება, რომლის დროსაც ხდება ბავშვის გადაცემა ერთ–ერთი მშობლისათვის და ბავშვი ამას ეწინააღმდეგება.

სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა საქმეები (მაგ: ე.ბაკიროვას საქმე, რომელიც ვრცლად იქნა განხილული სამხალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში, აგრეთვე დ.ოქრუაშვილის საქმე) რომელთა აღსრულების დროსაც აღმასრულებლები ვერ პოულობდნენ გზებს აღნიშნული დელიკატური საკითხების გადასაწყვეტად, ვინაიდან არ არსებობს დასახელებული საკითხის რეგულირების კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმები.

აღსრულების სფეროში სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 15 ივლისის №210 დადგენილებით ცვლილებები და დამატებები შევიდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში (ცვლილებები და დამატებები ამოქმედდა 2008 წლის პირველი ოქტომბრიდან). შეიცვალა სააღსრულებო დეპარტამენტის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმა და განხორციელდა სააღსრულებო ორგანოების ახალი სისტემის ჩამოყალიბება. ცვლილებების განხორციელების ძირითად პროირიტეტს წარმოადგენდა აღსრულების სფეროში სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნა და მითითებული სისტემის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება.

ახლებურად დარეგულირდა აღსრულების საფასურის გადახდისა და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების დაწყების საკითხები. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე კრედიტორები გათავისუფლდნენ წინასწარი ხარჯის გაღების ვალდებულებისაგან. მაგალითად, საფასურის წინასწარ გადახდისა და დაკისრებისაგან თავისუფლდებიან კრედიტორები, რომელთაც აქვთ მოთხოვნა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ. იძულებითი აღსრულების საფასურის წინასწარ გადახდისაგან გათავისუფლდნენ ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები.

ზემოხსენებული საკითხი ერთ–ერთი პრობლემური საკითხი იყო და ხშირად იწვევდა კრედიტორების უფლებების დარღვევას, რადგან სასამართლო აღმასრულებლები უარს ამბობდნენ იძულებითი აღსრულების დაწყებაზე კრედიტორებისაგან აღსრულების ხარჯების წინასწარ გადაუხდელობის შემთხვევაში. სააღსრულებო ხარჯთაღრიცხვა კი არ იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10 მუხლის შესაბამისად გაანგარიშებული და არ იყო დასაბუთებული კრედიტორისაგან მისი წინასწარ გადახდის საჭიროება.

აღსრულების ხარჯების წინასწარ გადაუხდელობის შემთხვევაში აღსრულების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის მეორე წინადადება, რომელიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26. სააღსრულებო მოქმედებების დაწყება

სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. **სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს კრედიტორის**

მიერ კანონით გათვალისწინებული წინასწარი ხარჯის გაუღებლობის შემთხვევაში უარი თქვას გადაწყვეტილების აღსრულებაზე.“

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ, 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, იმსჯელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგიერთი ნორმის შესაბამისობაზე საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და ცალსახად მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ უზრუნველყო, შეესრულებინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და აღესრულებინა კანონიერ ძალაში შესული 2001 წლის 21 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.[32]

მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება და ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციები საფუძვლად დაედო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში სათანადო ცვლილებების და დამატებების განხორციელებას (იხ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 15 ივლისის №210–ე კანონი). ცვლილებების შემდეგ 26–ე მუხლის მეორე წინანდადება ამოიღეს ნორმის შემადგენლობიდან, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მე–10 მუხლი და სხვა ნორმები.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის გამო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის, მე–13 მუხლის და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა დაადგინა ევროპის სასამართლომ შემდეგ საქმეებში: შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ და შპს „ამატ–ჯი“ და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ. ორივე საწარმოს სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები 2001 წლიდან კანონიერ ძალაში იყო შესული, მაგრამ 2006 წლამდე იყო აღუსრულებელი.

ამასთან, ხაზგასასმელია ის ფატი, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ან ბიუჯეტიდან აღსასრულებელ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილი სპეციალური ჯგუფის წარმოებაში 2009 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის აგვისტოს ჩათვლით

[32]იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ,,აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ გვ.16.

აღსასრულებლად არ ყოფილა არცერთი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.

რეკომენდაცია:

საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანა, კერძოდ:

- **,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში დადგინდეს მექანიზმი, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღმასრულებელს მისცემდა საშუალებას გაატაროს იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოვალე მხარეა სახელმწიფო ორგანო ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაცია;**

- **კანონმდებლობაში აგრეთვე აუცილებელია ჩაიდოს კონკრეტული მექანიზმები ისეთი გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის, როგორიცაა ბავშვის ერთ–ერთი მშობლისთვის გადაცემა.**

შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადამიანის უფლებები



სოციოლოგიური კვლევა „საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება კრიმინალისა და სადამსჯელო პოლიტიკის მიმართ“, ჩატარებულ იქნა „ესტონეთის ინსტიტუტი ღია საზოგადოების კვლევისათვის“ მიერ, რათა მოპოვებულ ყოფილიყო სწორი და ობიექტური ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობისგან ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაციისა და სახელმწიფოს მიერ გატარებული სადამსჯელო პოლიტიკის შესახებ.

მოცემული სვეტოვანი დიაგრამა ცხადყოფს, რომ წლების განმავლობაში ძალოვან სტრუქტურებში გატარებული რეფორმის შედეგად დღესდღეობით მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ კრიმინოგენული სიტუაცია ზოგადად დაბალია. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კვლევის შედეგად ასევე დგინდება შემდეგი – კითხვაზე თუ როგორ ეპყრობიან პირებს დროებით მოთავსების იზოლატორებში რესპოდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ – 66% აღნიშნა, რომ არადამაკმაყოფილებლად.[33] შესაბამისად შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ მოსახლეობამ კარგად დაიმახსოვრა

[33] „კვლევა საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება კრიმინალისა და სადამსჯელო პოლიტიკის მიმართ“, „ესტონეთის ინსტიტუტი ღია საზოგადოების კვლევისათვის“, 2009 წლის სექტემბერი, გვ. 15.

ხელისუფლების შეპირება რომ ებრძოლოს დანაშაულს და მათ სწამთ და სჯერათ რომ სახელმწიფოს შეუძლია შეასრულოს დანაპირები, თუმცა პრობლემას წარმოადგენს ის, თუ რა იქნება ასეთი დაპირების ფასი და საზოგადოებაში რა შედეგები მოყვება ამას.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიციის ამოცანებში შედის: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან; პრევენციული ღონისძიებების განხორციელება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, ასეთი ქმედებების გამოვლენა, გამოძიება, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის ან/და ბრალდებული პირის ძებნა და დაკავება, აგრეთვე დამნაშავეობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება; საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა. ამავე კანონის მე–9 მუხლის მეორე პუნქტი კი მიუთითებს, რომ „პოლიციის მიერ გამოყენებული მეთოდები და საშუალებები არ უნდა აყენებდეს ზიანს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ უნდა ლახავდეს მის პატივსა და ღირსებას.''

2009 წლის პირველ ნახევარში, სახალხო დამცველის საქმიანობის შედეგად იკვეთება ტენდენცია, რომ კვლავაც დღის წესრიგში დგას პოლიციის წარმომადგენელთა მიერ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით მათზე დაკისრებული მოვალეობის დარღვევა, კონკრეტულად კი გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც პოლიცია არ იყო ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული, ამეტებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ქმედებები სისტემატურ ხასიათს ატარებდა.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატისათვის კვლავ პრიორიტეტად რჩებოდა სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისა და სხვა არაადამიანური, ღირსებისშემლახველი მოპყრობის ფაქტებზე დროული რეაგირება. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ დროის აღნიშნულმა მონაკვეთმა ჩაიარა პოლიტიკურად დაძაბულ ვითარებაში, შეკრება–მანიფესტაციების ფონზე, რა დროსაც, როგორც წესი, სამართალდამცავი ორგანოების ქმედებები საჭიროებს ზედმიწევნით ანალიზს.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც მანიფესტაციებში მონაწილე პირების მიმართ გამოყენებული ძალა, რიგ შემთხვევებში სცილდებოდა დასაშვებ ზღვარს. ამასთან, იყო ფაქტები, როდესაც სამართალდამცავთა ქმედებების გამო, ჟურნალისტებს თავიანთი მოვალეობის სრულყოფილად შესრულების საშუალება არ ეძლეოდათ (*იხ. შეკრებები და მანიფესტაციების თავი*). ყოველივე

ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავაც აღინიშნა სამართალმდამცავების მიერ ძალის გადამეტებული გამოყენება, რამაც ისევ ეჭვქვეშ დააყენა 2004 წლიდან განხორციელებული სამართალდამცავი სისტემის რეფორმა.

თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როცა პოლიციელთა მიერ ძალის გადამეტებაზე ვსაუბრობთ, ხაზი უნდა გაესვას იმ დადებით ღონისძიებებს, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებს ძალის გადამეტების პრევენციის მიზნით. კერძოდ, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გადამეტებული ძალის გამოყენების სამართლებრივი საკითხების შესწავლასა და პრაქტიკული უნარ–ჩვევების განვითარებას მომავალი პოლიციელებისათვის. პოლიციის აკადემიის სახელმძღვანელო სრულად ასახავს ტაქტიკური ტრენინგის, შიდა კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის კურსს.

ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში შემუშავდა ძალის გამოყენების შესახებ სახელმძღვანელო. ამასთან, მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომელზე ზედამხედველობასაც ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია. აგრეთვე, სამინისტროში მოქმედებს მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც ისმენს გენერალური ინსპექციის პერიოდულ ანგარიშებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მინისტრისათვის წარსადგენად და მინისტრის დავალებით განიხილავს ეთიკის კოდექსის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს.

თუმცა, ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, პოლიციის მიერ ძალის გადამეტების საკითხი კვლავაც აქტუალური რჩება. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საანგარიშო პერიოდში პოლიციამ უკანონოდ გამოიყენა ძალა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის მიმართ, რომლის შედეგადაც პირს დასჭირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და ხელი შეეშალა კანონით დაკისრებული უფლებამოვალეობების განხორციელებაში. ასეთი ქმედებით პოლიციის თანამშრომლებმა დაარღვიეს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონი (*იხ.სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელის შეშლა*).

ამასთან, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საქმეების გაანალიზების შედეგად დგინდება, რომ პოლიციის მიერ ძალისა და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებმა

იმატა დასავლეთ საქართველოში. შესაბამისად, აუცილებელია საქართველოს შინაგან სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ ამ საკითხისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, რათა გამოვლინდეს თუ რით არის გამწვეული საჩივრების მატება აღნიშნულ რეგიონში, რათა მოხდეს სწრაფი და ადეკვატური რეაგირება სიტუაციის გამოსწორების მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საჩივრების დიდი ნაწილი კვლავ ეთმობა პოლიციელების მიერ დაკავების პროცესში პირზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელებას. მაგალითად, *სულხან ქობულაძის* ახსნა–განმარტებიდან ირკვევა, რომ როდესაც ის 2009 წლის 10 თებერვალს, ღამის საათებში ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში შევიდა და თანამშრომლებს ტელეფონი სთხოვა, რათა მეგობრებს დაკავშირებოდა და იქვე გაჩერებული ავტომობილისთვის საწვავი მოეტანათ, პირსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის მოხდა ხანმოკლე კამათი, რის შემდეგაც ს.ქობულაძე იატაკზე აღმოჩნდა. დაკავებული იხსენებს, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მასზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა (ცემდნენ წიხლებით) განახორციელეს. აღნიშნული დაზიანებების შესახებ ასევე მიუთითებს დროებით მოთავსების იზოლატორში განთავსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნიც. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სამართალდამცავებისათვის მიმართვის შედეგად, აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება, რომელიც დღემდე მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდში კვლავაც აღინიშნებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში პირებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტები. რიგ შემთხვევებში აღნიშნულ მოვლენებს თვითმხილველებიც ადასტურებენ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2009 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე სულ შესახლებულ იქნა 9 358 პირი, მათგან სხეულის დაზიანებით - 2 748, პოლიციის მიმართ პრეტენზია გამოთქვა - 16 პირმა.

მაგალითად, მიმდინარე წლის 12 მაისს *ნუგზარ ოთანაძეს* დმი–ში მოთავსების შემდეგ უნიღბო პირები სცემდნენ რეზინის ხელკეტებით, ხოლო ცემის დროს პერიოდულად გაჰყავდათ და წყალში თავს აყოფინებდნენ. ასევე, სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში *დენის გვენეტაძემ* აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 21 იანვარს ის ცემეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა, რაც თვითმხილველებმაც დაადასტურეს.

აღსანიშნავია, რომ ყველა ის შემთხვევა, რომელიც დაფიქსირებულ იქნა სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაუყოვნებლივ გადაიგზავნა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოში შემდგომი რეაგირებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს პოლიციის სისტემის რეფორმირების მიუხედავად კვლავ არსებობს რიგი პრობლემატური საკითხებისა, რომლებზეც სახალხო დამცველი უკვე რამდენიმე წელია მიუთითებს. ერთ–ერთ საკითხს წარმოადგენს სამართალდამცავთა მიერ ძალის გადაჭარბებულად გამოყენება, როგორც პირების დაკავების პროცესში ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის შემდეგ.

აუცილებელია, აღნიშნული ფაქტების პრევენციის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები, ხოლო შესაბამისი უწყებების მხრიდან ყოველ ამგვარ ფაქტს მოყვეს დროული, ადეკვატური, მიუკერძოებელი და ეფექტური რეაგირება.

საქართველოს პროკურატურა და ადამიანის უფლებები

1. სისხლის სამართლის საქმეების არაეფექტური გამოძიება

2008 წლის 21 ოქტომბრის „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი მიუთითებს, რომ პროკურატურას ევალება განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა; სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად განახორციელოს საპროცესო ხელმძღვანელობა წინასწარი გამოძიების სტადიაზე; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ჩაატაროს წინასწარი გამოძიება.[34]

სახალხო დამცველს საანგარიშო პერიოდში არაერთხელ მიმართეს მოქალაქეებმა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან კანონდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. უმრავლეს შემთხვევაში განცხადებები დაკავშირებული იყო პოლიციის მიერ პირების მიმართ ძალის გადამეტებულ გამოყენებასთან. ყველა ასეთი შემთხვევა სახალხო დამცველმა შეისწავლა და შემდგომი რეაგირების მიზნით საქართვრელოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურაში გადააგზავნა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროკურატურის მხრიდან როგორც წესი არ ხდება ასეთი საქმეების სწრაფი და ეფექტური გამოძიება.

აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გასული წლების საქმეების უმრავლესობა დღემდე გამოუძიებელია. რიგ საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობს 3 წლის (ე.წ. „შიშველი პატიმრების“ საქმე – 2006 წლის მეორე ნახევრის მოხსნება) ან 2 წლის განმავლობაში (ა.ბახუტოვის საქმე, გ. ეხვაიას საქმე – სახალხო დამცველის 2007 წლის პირველი და მეორე ნახევრის მოხსენება).

ზემოაღნიშნულიდან მკაფიოდ ჩანს, რომ სამართალდამცავთა მიერ შესაძლო სამართალდარღვევების ფაქტები რეალურად არ არის ეფექტურად გამოძიებული და ხშირად არაგონივრულად იწელება ვადებში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში საქმის გამოძიება ჭიანურდება მაშინაც, როდესაც საქმეში არსებობს კანონის დამრღვევი პირების ამოცნობისათვის საირო ვიდეო მასალა. *ვახტანგ ლაღიძის* შემთვევაში, მას მიმდინარე წლის 14 აპრილს 12 პიროვნებამ მიაყენა ფიზიკური შეურაცხოფა. ვინაიდან მისი განმარტებით, ცემა მოხდა მსოფლიო ბანკის ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე., სახალხო დამცველის მიერ ,,მსოფლიო ბანკის“ ოფისიდან გამოთხოვილ იქნა მსოფლიო ბანკის შენობაზე

[34] „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლი.

დამონტაჟებული ვიდეო კამერების ჩანაწერი, რომელიც ასახავს აღნიშნულ ფაქტს. ჩანაწერიდან კარგად ჩანს, თავდასხმის დეტალები და თავად თავდამსხმელთა სახეებიც.

2009 წლის 21 აპრილს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები და ვიდეო ჩანაწერები შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურორს. ამავე წლის 8 მაისს პასუხად გვეცნობა, რომ მიმდინარეობს გამოძიება ვახტანგ ლაღიძის მიმართ ძარცვის ფაქტზე. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეში არსებობს მასალები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მოხდეს დამნაშავეთა იდენტიფიკაცია, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე 6 თვის მანძილზე მიმდინარეობს გამოძიება, ეს ბადებს საფუძვლიან ეჭვს პროკურატურის მიერ არა მარტო ეფექტური გამოძიების არამედ კონკრეტული პროკურორების მიერ თავიანთი ფუნქციების კეთილსინდისიერად განხორციელებისა.

<u>შესაძლო წამების ფაქტების (სსკ 144^1 მუხლი) დაკვალიფიცირება სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების (სსკ 333–ე) მუხლით</u>

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართავენ მოქალაქეები, რომლებიც მიუთითებენ, რომ მათ მიმართ საჯარო მოხელეთა მიერ განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლით (წამება) ან 144^3 მუხლით (არაადამიანური მოპყრობა) გათვალისწინებული ქმედება. ამ ვითარებაში, როგორც წესი, სახალხო დამცველი საქართველოს პროკურატურას მიმართავს რეკომენდაციით დაიწყოს გამოძიება აღნიშნულ ფაქტებზე. პროკურატურა კი ხშირ შემთხვევაში გამოძიებას იწყებს არა ზემოაღნიშნული მუხლებით, არამედ გაცილებით მსუბუქად აკვალიფიცირებს საჯარო მოხელეთა ქმედებებს და როგორც წესი გამოძიებას იწყებს სისხლის სამართლის კოდექსის 333–ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

მაგ. 2009 წლის პირველი ნახევრის აქციების მიმდინარეობისას სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილ კანონდარღვევებზე გამოძიება დაწყებულია ძირითადად მხოლოდ სსკ 333-ე მუხლით (*იხ. შეკრებები და მანიფესტაციები),* მაშინ როცა სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ რიგ შემთხვევებში სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებული ქმედებები ბევრად უფრო მძიმე ხასიათის იყო და შეიძლება შეიცავდა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნებსაც.

ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული მრავალი ხელშეკრულება ცალსახად და უპირობოდ კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას. საქართველოს კონსტიტუციის მე–17 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–3 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებთა საერთაშორისო პაქტის მე–7 მუხლი და გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის 1–ლი მუხლი აბსოლუტური უფლების სახით აყალიბებს წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3–ე მუხლის თანახმად, დასჯადია პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს“.

მიგვაჩნია, რომ სახალხო დამცველის მიერ პროკურატურისათვის გადაგზავნილი მასალები რიგ შემთხვევებში წარმოადგენენ საკმარის საფუძველს რათა გამოძიება დაიწყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441–ე ან 1443 მუხლის საფუძველზე.

რეკომენდაცია:

საქართველოს იუსტიციის სამინსიტროს მთავარ პროკურატურას: საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ დროულად და ეფექტურად მოხდეს საჯარო მოხელეების მიერ შესაძლო სისხლისსამართლის დანაშაულის ფაქტების გამოძიება.

მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

I შესავალი

ა. მონიტორინგის თარიღი და ჯგუფის შემადგენლობა

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2009 წლის 16 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–18, მე–19 და მე–19[1] მუხლები სახალხო დამცველს ანიჭებს თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის უფლებამოსილებას, რომელსაც, იმავე კანონის 27–ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ახორციელებენ საქართველოს სახალხო დამცველის თანამშრომლები ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით.

ზემოხსენებული დისპოზიციების საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა გეგმიური მონიტორინგი 2009 წლის 1 ივლისიდან 14 აგვისტომდე.

წინამდებარე ანგარიშის შედეგები ასახავს როგორც გეგმიური, ასე დაუგეგმავი ვიზიტების დროს დაფიქსირებულ მდგომარეობას 2009 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის ივნისის ჩათვლით.

გარდა გეგმიური მონიტორინგისა, საანგარიშო პერიოდში, 2009 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე სახალხო დამცველის რწმუნებულებმა სასჯელაღსრულების

დაწესებულებებში განახორციელეს 189 ad hoc (დაუგეგმავი) ვიზიტი, რა დროსაც მონახულებულ იქნა 700–ზე მეტი პატიმარი.

მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაა:

- ნათია იმნაძე – ჯგუფის ხელმძღვანელი, სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;
- მაია გიგინეიშვილი – სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- ოთარ კვაჭაძე – სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- გურამ ბენდიანიშვილი – სახალხო დამცველის აპარატის წამყვანი სპეციალისტი
- ამირან ნიკოლაიშვილი – სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს სპეციალისტი;

მათ დახმარებას უწევდნენ ექსპერტები:

- ლევან ლაბაური – ქირურგი
- მარიამ ჯიშკარიანი – ექიმი ფსიქიატრი
- შორენა ბექაური – ექიმი ფსიქიატრი
- ქეთევან გელაშვილი – ექიმი ფსიქიატრი
- თამარ ნიორაძე – ექიმი ნევროლოგი
- თეიმურაზ ბოკუჩავა – ექიმი ნარკოლოგი
- ლიანა კინწურაშვილი – კვების ექსპერტი.

ბ. მონახულებული დაწესებულებები[35]

2009 წლის ივლის–აგვისტოს გეგმიური მონიტორინგის დროს მონახულებულ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი თვრამეტივე დაწესებულება:

- N 1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება / ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. N 60;

[35] დაწესებულებების დაწვრილებითი აღწერა იხ. დანართში.

- N 2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება / ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. N 64;
- N 2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება / ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. N 85;
- N 3 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება / ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 77;
- ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება /ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. N 11;
- N 6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმი სასჯელაღსრულების დაწესებულება /გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მთისძირი;
- N 7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება /მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი;
- N 8 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება /ქ. წყალტუბო, სოფელი გეგუთი, ვარციხის დასახლება;
- N 9 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება /ხონის მუნიციპალიტეტი, ჩაის მეურნეობა;
- N 10 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება /ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი N17;
- არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება / ქ, თბილისი, გრ. ხანძთელის ქ. N 33;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრებულთა სამკურნალო დაწესებულება/მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება /ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ 2კმ.;
- N 1 საპყრობილე / ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N85;
- N 3 საპყრობილე / დაბა ხელვაჩაური, ურეხის დასახლება;
- N 4 საპყრობილე / ქ. ზუგდიდი, ც. დადიანის ქ. N9;
- N 7 საპყრობილე / ქ. თბილისი, გულუას ქ. N31;
- N 8 საპყრობილე / ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ 2კმ.

გ. მონიტორინგის მეთოდები, კონსულტაცია და თანამშრომლობა

მონიტორინგის განხორციელებამდე სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

<u>სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან:</u>

- რა სახის ხელშეკრულებები აქვს დეპარტამენტს დადებული და რომელ ორგანიზაციასთან (ასლები);
- რამდენი პატიმარი გათავისუფლდა პირობით ვადამდე ადრე ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- რამდენი პატიმარი გათავისუფლდა ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- რამდენ მსჯავრდებულს შეეცვალა სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელის სახით;
- რამდენ მსჯავრდებულს შეეცვალა სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით;
- რამდენი მსჯავრდებულს დაეკისრა პასუხისმგებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შინაგანაწესის უხეში დარღვევისათვის ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- რამდენი მსჯავრდებულის მიმართ დაიწყო წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა ბოლო 6 თვის განმავლობაში;
- რა ინტენსივობით ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ბიბლიოთეკის განახლება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ;
- რომელ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აქვთ პატიმრებს ტელევიზორითა და რადიომიმღებით სარგებლობის უფლება;
- რამდენი მსჯავრდებული არის გადაყვანილი საპყრობილის რეჟიმზე (ვადების მითითებით) დღეის მდგომარეობით სასჯელის მოხდის პერიოდში სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევისათვის;
- რომელი ნორმატიული აქტი არეგულირებს კარცერის, საკნის ტიპის სადგომის და სამარტოო სადგომის ინფრასტრუქტურას;
- რომელ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ატარებენ მოსამსახურეები სამსახურებრივ ფორმას;
- რამდენი უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი იხდის სასჯელს;

<u>თითოეული დაწესებულებიდან:</u>

- დაწესებულების აშენების თარიღი;
- დებულება და შინაგანაწესი;
- დღის წესრიგი;
- საცხოვრებელი კორპუსების რაოდენობა;
- საცხოვრებელ კორპუსში საკნების რაოდენობა;

- დაწესებულების ლიმიტი;
- კარცერების რაოდენობა;
- საგამოძიებო ოთახების რაოდენობა;
- პაემნის ოთახების რაოდენობა;
- ტელეფონის აპარატის რაოდენობა;
- საშხაპე ოთახების და საშხაპეების რაოდენობა;
- რამდენი მსჯავრდებული იხდის სასჯელს (ასაკის მითითებით);
- რამდენი მსჯავრდებული იმყოფება საერთო, რამდენი მკაცრ და რამდენი საპყრობილის რეჟიმზე;
- რამდენ მსჯავრდებულს ეკუთვნის პირობით ვადამდე გათავისუფლება;
- დაწესებულების თანამშრომელთა რაოდენობა;
- რამდენი მსჯავრდებულის მიმართ იქნა გამოყენებული დისციპლინური ღონისძიება და რა სახის (ბოლო 6 თვის განმავლობაში);
- რამდენი მსჯავრდებული იქნა წახალისებული და რა სახით (ბოლო 6 თვის განმავლობაში);
- რამდენი მსჯავრდებულს მიეცა უფლება, ესარგებლა სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლით;
- სამედიცინო ნაწილში არსებული მედიკამენტების ნუსხა (სახელწოდება, გამოშვების ფორმა და დოზა), რაოდენობების მითითებით;
- რა სახის დოკუმენტაცია წარმოებს სამედიცინო ნაწილში;
- შიდსით და სხვა არამართვადი ინფექციური სენით დაავადებული მსჯავრდებულების სია;
- რამდენი მსჯავრდებული იღებს ზოგად, პროფესიულ ან უმაღლეს განათლებას;
- რამდენი მსჯავრდებულია ჩაბმული შრომით საქმიანობაში და რა საქმიანობას ეწევიან;
- მოქმედი სარეაბილიტაციო პროგრამებზე ინფორმაცია.

დასმულ შეკითხვებზე სახალხო დამცველის აპარატმა ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ამომწურავი პასუხი მიიღო.

დაწესებულებებისგან განსხვავებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული პასუხები ხშირად არასრული იყო. მაგალითად, კითხვაზე, რამდენი მსჯავრდებული გათავისუფლდა პირობით ვადამდე ადრე 2009 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე, გვიპასუხეს, რომ „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების მიზნით სასამართლოს წინაშე წარდგენილი იქნა 434 მსჯავრდებული“. დამატებით მოთხოვნაზე გვიპასუხეს,

რომ პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებით ისარგებლა 716 მსჯავრდებულმა. საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ 68–ე მუხლის 1–ლი პუნქტის მიხედვით, „დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისია სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე წარდგინებით მიმართავს სასამართლოს.“ აქედან გამომდინარე, გაუგებარია, თუ კომისიამ სასამართლოს მხოლოდ 434 მსჯავრდებული წარუდგინა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების რეკომენდაციით, ვინ წარადგინა დანარჩენი 282 კანდიდატურა.

სახალხო დამცველის რწმუნებულები გეგმიურ მონიტორინგს ახორციელებენ სპეციალური კითხვარების მეშვეობით. დღეისათვის შემუშავებულია კითხვარების ოთხი ფორმა: პირველი ფორმა შეივსება დაწესებულების დირექტორთან/ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გასაუბრებისას, მეორე – პატიმრებთან გასაუბრებისას, მესამე – ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას, მეოთხე – დაწესებულების მთავარ ექიმთან/მედპერსონალთან გასაუბრებისას.

გეგმიური მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორებს, მთავარ ექიმებს და რიგით თანამშრომლებს.

მონიტორინგის განხორციელებისას, როგორც წესი, სახალხო დამცველის რწმუნებულები დაუბრკოლებლად დაიშვებოდნენ და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ტერიტორიაზე. მათ ასევე ეძლეოდათ საშუალება, მათი შეხედულებისამებრ შეერჩიათ პატიმრების მონახულების ადგილები, გასაუბრებოდნენ მათ კონფიდენციურად, დაწესებულების თანამშრომლების დაუსწრებლად.

მიუხედავად ზემოთქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ N7 საპყრობილეში სახალხო დამცველის რწმუნებულებს შეექმნათ დაბრკოლება, კერძოდ, დაწესებულების ადმინისტრაციამ მათ არ დართო ნება, საკანში მოენახულებინათ პატიმრები და გასაუბრებოდნენ მათ თანამშრომლის დაუსწრებლად. ამის მიზეზად ადმინისტრაცია სახალხო დამცველის წარმომადგენლების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ასახელებენ, თუმცა, როდესაც იგივე რწმუნებულები მსჯავრდებულებს ხვდებიან საგამოძიებო ოთახში, მათ რატომღაც საპყრობილის თანამშრომელი გარედან ურდულით უკეტავს კარებს.

აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე სახალხო დამცველის რწმუნებულებს N7 საპყრობილის ვიზიტისას ყოველთვის ეძლეოდათ საშუალება, მათ მიერ არჩეულ ადგილას და კონფიდენციურობის დაცვით შეხვედროდნენ და გასაუბრებოდნენ პატიმრებს.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–5 მუხლის მე–7 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.“. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[4] მუხლის თანახმად, სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოცდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე. აღნიშნული განემარტა N7 საპყრობილის ადმინისტრაციას, თუმცა უშედეგოდ.

დაბრკოლების ფაქტის შესახებ სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, შეესწავლა ზემოაღნიშნული გარემოებები და მიეღო კანონის შესაბამისი ზომები.

აღნიშნულ საკითხზე 2009 წლის 13 აგვისტოს სახალხო დამცველმა ჩაატარა ბრიფინგი. იმავე დღეს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების მინიტრის პირველმა მოადგილემ გააკეთა განცხადება და განმარტა, რომ ,,სახალხო დამცველის ჯგუფს ხელი არ შეშლია პატიმრებთან შეხვედრაში სპეციალურად განკუთვნილ ოთახებში, ხოლო საკნებში პატიმრების მონახულება საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ დასავლურ ქვეყანაში, არ ხდება“.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის შემდგომი ვიზიტებისას სახალხო დამცველის რწმუნებულებს მიეცათ საშუალება, კანონის მოთხოვნისამებრ, კონფიდენციურად გასაუბრებოდნენ პატიმრებს.

მონიტორინგის დროს იმავე საპყრობილის მთავარმა ექიმმა უარი განაცხადა სპეციალურ კითხვარში მოცემულ საკითხებზე ახსნა–განმარტების მიცემასა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენაზე, რაც წარმოადგენს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–18 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევას. აღნიშნულის მიზეზად მთავარმა ექიმმა დაასახელა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის უფროსის სიტყვიერი მითითება. ამგვარი მითითების მიცემა სახალხო დამცველმა შეაფასა, როგორც დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტზე აშკარა ზეწოლა, რაც წინააღმდეგობაში მოდის როგორც

საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო პრინციპებთან. 2009 წლის 12 აგვისტოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსს აღნიშნული საკითხის შესწავლისა და შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის უფროსის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის შუამდგომლობის აღძვრის თაობაზე.

ქ.ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორმა სახალხო დამცველის რწმუნებულ ექსპერტებს არ მისცა მონიტორინგის ჩატარების საშუალება იმ საბაბით, რომ მათ არ გააჩნდათ პლასტიკური რწმუნებები, ხოლო სახალხო დამცველის მიერ ხელმოწერილ ორიგინალ რწმუნებაში არ იყო ჩაწერილი, რომ ისინი სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები არიან. დაწესებულების დირექტორს წარედგინა ხელშეკრულების ასლები, რომლებითაც ექსპერტები ირიცხებოდნენ სახალხო დამცველის აპარატში, თუმცა მან განმარტა, რომ სიტყვიერი მითითება ჰქონდა მიღებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან, არ მიეცა საშუალება ექსპერტებისთვის, გასაუბრებოდნენ მედპერსონალს და პატიმრებს.

ქ.თბილისის N1 და N7 საპყრობილის დირექტორებმა ასევე უარი განაცხადეს მონიტორინგის კითხვარის შევსებაზე და მიზეზად სასჯელაღსრულების დეპარტამენის ხელმძღვანელობისგან მიღებული სიტყვიერი მითითება დაასახელეს. აღნიშნულის თაობაზე სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს და სთხოვა დაბრკოლების ფაქტების შესწავლა და კანონშესაბამისი ზომების მიღება.

ზემოაღნიშნული დაბრკოლებების თაობაზე სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და სთხოვა სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ საკუთარი მოვალეობის დაუბრკოლებლად განხორციელების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რათა არ შეიქმნას პრობლემა სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტსა და გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტისათვის პერიოდული ანგარიშის წარდგენისას ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2009 წლის 31 აგვისტოს პასუხის მიხედვით, დეპარტამენტის შტაბის სამსახურებრივი კონტროლის განყოფილების თანამშრომლებმა

შეისწავლეს აღნიშნული ფაქტი, ჩამოართვეს ახსნა–განმარტებები შესაბამის თანამშრომლებს, თუმცა აღმოჩნდა, რომ N7 საპყრობილის დირექტორის განმარტებით, სახალხო დამცველის რწმუნებულების მსჯავრდებულებთან შეხვედრისას დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან რაიმე შეზღუდვა დაწესებული არ ყოფილა და შეხვედრა მიმდინარეობდა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

აღნიშნული წერილის შემდეგ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხრიდან დაბრკოლების ფაქტებზე ოფიციალური რეაგირება აღარ მომხდარა, თუმცა შემდგომი ვიზიტებისას სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაბრკოლებები აღარ შექმნიათ.

დ. სასჯელაღსრულების სისტემის სამართლებრივი რეგულირება

მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის რწმუნებულები ამოწმებენ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული მდგომარეობისა და პრაქტიკის შესაბამისობას როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან.

სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფი ხელმძღვანელობს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით[36], ციხის ევროპული წესებით[37], გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებით თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ე.წ. „პეკინის წესები“),[38] ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხვა რეკომენდაციებით (მაგ., რეკომენდაცია R 99 (22) ციხეების გადატვირთულობისა და ციხეების პოპულაციის ზრდის შესახებ, რეკომენდაცია R 89 (12) ციხეებში განათლების შესახებ და ა.შ.).

ეროვნულ დონეზე სასჯელაღსრულების სისტემას სამართლებრივად არეგულირებს საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“. ცალკეული საკითხების დარეგულირება, როგორებიცაა, მაგალითად, სასჯელის მოხდის რეჟიმი, პატიმრების კვება და ა.შ. ხდება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ბრძანებებით.

---

[36] დამტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) და 1977 წლის 13 მაისის 2076 (XI) რეზოლუციებით.

[37] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ.

[38] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის 45/113 რეზოლუცია.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სასჯელაღსრულების ორგანოებია სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და მასში შემავალი სასჯელაღსრულების დაწესებულებები.[39] სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, თავის მხრივ, წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას.[40]

2009 წლის 16 ივლისს საქართველოს კანონში „პატიმრობის შესახებ“ განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის პირობები და პროცედურები. აღნიშნული ცვლილება ძალაში შევა ნაკლებად მძიმე დანაშაულებისათვის, ასევე, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ნებისმიერი სიმძიმის დანაშაულისთვის 2009 წლის 1 სექტემბერს, ხოლო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისათვის – 2010 წლის 1 იანვარს.

იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით პატიმრები ვერ სარგებლობენ ახლობლებთან ხანგრძლივი პაემნის უფლებით, ზემოაღნიშნული ცვლილება პოზიტიურ ხასიათს ატარებს, თუმცა ხაზგასასმელია რამდენიმე გარემოება, რომელიც კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რათა პატიმრებმა რეალურად შეძლონ დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით სარგებლობა:

- დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლამ არ უნდა შეცვალოს პირობით ვადამდე გათავისუფლება, რაც მით უფრო შესაძლებელია, რომ ამ ორი პროცედურის გამოყენების პირობები თითქმის იდენტურია. უმჯობესი იქნება, თუ მსჯავრდებული, რომელიც სასჯელის მოხდის პერიოდში პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობებს და მოხდილი აქვს სასჯელის კანონით განსაზღვრული ნაწილი, ისარგებლებს პირობით ვადამდე გათავისუფლებით;
- კანონით არ არის განსაზღვრული გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მსჯავრდებულის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გამოუცხადებლობა ხანმოკლე გასვლის ვადის ამოწურვის შემდეგ საპატიოდ მიიჩნევა. მართალია, კანონის 49^2 მუხლის მე–5 პუნქტის მიხედვით, სანქციები გამოიყენება მხოლოდ იმ მსჯავრდებულის წინააღმდეგ, რომელმაც „არასაპატიო მიზეზით თავი აარიდა ვადის ამოწურვის შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაბრუნებას“, თუმცა არაფერია ნათქვამი იმ მიზეზებზე, რომლებიც, აღნიშნულ შემთხვევაში, საპატიოდ მიიჩნევა;

[39] „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3.
[40] ibid მუხლი 4, პუნქტი 1.

- სასურველია, განისაზღვროს გირაოს შეფარდების წესებიც, ან გაკეთდეს მითითება, რომ ხანმოკლე გასვლის დროს გირაოს შეფარდებისას გამოიყენება იგივე პრინციპები, რაც განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღკვეთის ღონისძიებად გირაოს შეფარდების შესახებ.

სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს პარლამენტს, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა:

- **გაიმიჯნოს პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევები;**
- **განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის ვადის ამოწურვის შემდეგ დაწესებულებაში დაუბრუნებლობა მსჯავრდებულს საპატიოდ ჩაეთვლება;**
- **განისაზღვროს ხანმოკლე გასვლის შემთხვევაში გირაოს შეფარდების წესები.**

ე. მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა ყოფაზე ზრუნვა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ევროპული ციხის წესების თანახმად, ,,ყველა თავისუფლებააღკვეთილი ადამიანის მოპყრობა უნდა ხორციელდებოდეს მისი უფლებების პატივისცემის საფუძველზე“.[41]

გეგმიური მონიტორინგისას გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც კომპეტენტური ორგანოების მხრიდან დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებს.

პენიტენციური სისტემის რეფორმა, საქართველოში მიმდინარე სამართლებრივ რეფორმათა შორის, ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება. პენიტენციურ სფეროში რეფორმის ეფექტურად განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილია კანონმდებლობა, რამდენად გააზრებულია სახელმწიფო პოლიტიკა ამ სფეროში, რამდენად შეესაბამება არსებული სისტემა საერთაშორისო გამოცდილებასა და სტანდარტებს.

2007 წლის 21 მარტიდან 2 აპრილამდე საქართველოში განხორციელებულ ვიზიტის შემდეგ წამების და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აღკვეთის ევროპული კომიტეტმა (CPT) აღნიშნა: ,,ის რომ საქართველომ ამდენი

[41] ციხის ევროპული წესები, 1–ლი წესი.

მოქალაქე გამოკეტა ციხეში, არ შეიძლება აიხსნას მარტო იმით, რომ დანაშაულის მატებაა, არამედ იმითაც, რომ "ნულოვანი ტოლერანტობაა" დამნაშავეების მიმართ, ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან, ამაზე პასუხისმგებლობა პროკურატურამ და სასამართლომაც უნდა გაინაწილოს. შეუძლებელი გახდება ციხის მშენებლობის პროგრამისთვის ის, რომ აუწყოს ფეხი ასე სწრაფად მზარდ მოთხოვნას, ასევე გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ საბიუჯეტო რესურსები შეზღუდულია და ის რესურსი, რაც არსებობს, გამოყოფილია არა მხოლოდ სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვისა და ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, არამედ თანამშრომლების გადამზადებისთვის, ხელფასებისათვის და ა.შ."[42]
ევროპული ციხის წესების ერთ–ერთი საბაზისო პრინციპია, რომ ,,ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ არის გამართლებული რესურსების ნაკლებობით."[43] აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ყველა ეტაპზე უნდა უზრუნველყოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელი რესურსების გამოყოფა. ამჟამად სასჯელაღსრულების სისტემაში დაგეგმილია არაერთი რეფორმა, მათ შორის, პრობაციის სისტემის გაუმჯობესება, პირობით ვადამდე გათავისუფლების ახალი მექანიზმის ამოქმედება, სტანდარტების შესაბამისი დაწესებულებების მშენებლობა, რაც, რასაკვირველია, გაზრდილ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს ბიუჯეტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღოს ის გაზრდილი ფინანსური მოთხოვნილებები, რომლებიც ამჟამად მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების წარმატებით გატარებისთვისაა აუცილებელი.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ დაპატიმრებული პირები არ უნდა კარგავდნენ ადამიანური ღირსების შეგრძნებას, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა. თუმცა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არის დაწესებულებები, სადაც პატიმრის ყოფნა არაადამიანურ მოპყრობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ამის მაგალითებია N1 საპყრობილე, N3 საპყრობილე, N4 საპყრობილე, N7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება, N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება. სახალხო დამცველმა, თავის 2008 წლის მე–2 ნახევრის მოხსენებაში, აღნიშნული დაწესებულებების (გარდა N7 დაწესებულებისა)

[42] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტის მიერ საქართველოს მთავრობისადმი წარდგენილი მოხსენება საქართველოში ვიზიტის თაობაზე, CPT/Inf (2007) 42.
[43] ციხის ევროპული წესები, მე–4 წესი.

ლიკვიდაციის რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე ახალი დაწესებულების/კორპუსის მშენებლობა, რომლებიც ჩაანაცვლებს აღნიშნულ დაწესებულებებს, გარდა N1 საპყრობილისა.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს – უმოკლეს დროში უზრუნველყოს N1 საპყრობილის ლიკვიდაცია.

სახალხო დამცველი საპარლამენტო მოხსენებებში მუდამ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვითაც, სასჯელის მიზანი, სამართლიანობის აღდგენისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების გარდა, არის დამნაშავის რესოციალიზაცია. ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევა კი იმ პირობებში, რომლებშიც ბევრ პატიმარს უწევს ყოფნა, შეუძლებელია. უფრო მეტიც, ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე, საზოგადოებისთვის ნაკლებად საშიში დანაშაული, შეიძლება სასჯელაღსრულების დაწესებულების პირობებში ჩამოყალიბდეს, როგორც ასოციალური, გაბოროტებული, ფსიქიკადარღვეული ინდივიდი, რომელიც გაცილებით უფრო საშიში იქნება საზოგადოებისათვის სასჯელის მოხდისა და გათავისუფლების შემდეგ, ვიდრე თავისუფლების აღკვეთამდე.

სახალხო დამცველს არაერთი განცხადებით მიმართავენ სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები და მათი ოჯახის წევრები. ისინი აღნიშნავენ, რომ პატიმრებს მძიმე პირობებში უწევთ ყოფნა, ხოლო ზოგიერთ დაწესებულებაში ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ ექცევიან დამამცირებლად. ზემოაღნიშნული განსაკუთრებით ეხება ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპყობილის რეჟიმის დაწესებულების ადმინისტრაციას. აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის არაერთხელ მიუწოდებიათ ინფორმაცია ადმინისტრაციის მხრიდან უხეშ დამოკიდებულებაზე. აღნიშნული დასტურდება არამარტო მსჯავრდებულების გადმოცემით, არამედ თავად სახალხო დამცველის რწმუნებულების დაკვირვებითაც – მათთან საუბარში დაწესებულების თანამშრომლები აგდებით და უხეშად მოიხსენიებენ მსჯავრდებულებს და ამბობენ, რომ მათ დაიმსახურეს მძიმე პირობებში არსებობა. ქ.ქუთაისის N2 მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, გეგუთის N8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში

განთავსებული პატიმრებიც აღნიშნავენ, რომ დაწესებულების თანამშრომლები მათ გულგრილად და უხეშად ექცევიან.

სასჯელაღსრულების სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის და პატიმართა რესოციალიზაციისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელაღსრულების ადმინისტრაციაში მომუშავე პერსონალის პროფესიონალიზმს და მათ დამოკიდებულებას პატიმართა მიმართ. პერსონალი უნდა იცნობდეს როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს, რაც მათ საშუალებას მისცემს, ჰქონდეთ წარმოდგენა, რა წესებით და სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელონ.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–14 მუხლის 1–ლი პუნქტის მიხედვით, „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურე ატარებს სამსახურებრივ ფორმას.“ სახალხო დამცველის აპარატის წერილობით შეკითხვაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მივიღეთ პასუხი, რომ ყველა დაწესებულების თანამშრომლები ატარებენ სამსახურებრივ ფორმას, თუმცა მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ თანამშრომელთა უდიდესი ნაწილი სამსახურებრივი მოვალეობის დროს სამოქალაქო ტანსაცმელშია. გამონაკლისს წარმოადგენენ N8 საპყრობილის თანამშრომლები.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს – უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი ფორმის ტარება.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის XIII თავი ეძღვნება სოციალურ სამსახურს, რომლის „მიზანია დახმარება გაუწიოს მსჯავრდებულებს შეინარჩუნონ და დაამყარონ საზოგადოებასთან სოციალურად, სამართლებრივად და ზნეობრივად გამართლებული კონტაქტები, გადაჭრან პირადი თუ ოჯახური პრობლემები. სამსახური ხელს უწყობს მსჯავრდებულთა მართლშეგნების ამაღლებას, მათ ურთიერთობას საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ მსჯავრდებულებს გათავისუფლების შემდეგ ცხოვრების პირობების მოწყობაში.“[44] იმავე კანონის მიხედვით, ყოველ სასჯელაღსრულების დაწესებულებას ჰყავს სოციალური მუშაკი, რომელიც ახორციელებს ზემოაღნიშნულ ფუნქციებს. სამწუხაროდ, სოციალურ მუშაკს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დაწესებულების დირექტორი, რაც ხშირად აისახება სოციალური მუშაკების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხზე.

[44] საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“, მუხლი 57, პუნქტი 1.

გარდა ამისა, ზოგიერთ დაწესებულებაში სოციალური მუშაკების არსებობა მხოლოდ ფორმალურ სახეს ატარებს და მსჯავრდებულებმა ხშირად არც იციან, ვინ ასრულებს ამ ფუნქციას. იყო შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულებმა შიმშილობაც კი დაიწყეს სოციალურ მუშაკთან შეხვედრის მოთხოვნით. ხშირად სოციალური მუშაკის პროფესიონალიზმის დონეც საკმაოდ დაბალია, რაც არ აძლევს მას საშუალებას, კვალიფიციური დახმარება გაუწიოს პატიმარს.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასჯელაღსრულების სისტემისათვის სოციალური მუშაკის ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მისი სწორი ფუნქციონირება განაპირობებს პატიმართა მიერ თავიანთი უფლებების ცოდნას და ამ უფლებების დაცვის ერთგვარი გარანტიაც კი იქნება. სწორედ ამის გამო აუცილებელია, სოციალური მუშაკებისთვის შეიქმნას მისი დამოუკიდებლობისთვის საჭირო გარანტიები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური მუშაკების პროფესიული დონის ამაღლებასაც.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სოციალური მუშაკების დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნისა და მათი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები მიზნად ისახავს პენიტენციურ დაწესებულებათა სანიმუშო სისტემის აღწერას. მათი ამოცანაა, რომ თანამედროვე აზროვნებისა და დღესდღეობით არსებულ ყველაზე დამაკმაყოფილებელ სისტემათა ძირითადი ელემენტების საფუძველზე წარმოაჩინოს ის, რაც პატიმრებთან მოპყრობის საკითხში საყოველთაოდ აღიარებულია სწორად და პრინციპულად.

აღნიშნული წესების თანახმად, პერსონალი უნდა იყოს საკმაოდ განათლებული და განვითარებული.[45] სამუშაოზე მიღებამდე ციხის პერსონალი უნდა მომზადდეს როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული ვალდებულებების შესასრულებლად, რის შემდეგაც მან უნდა ჩააბაროს გამოცდები თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში.[46] მუშაობის დაწყების შემდეგ და დაწესებულებაში თანამშრომლობის მთელი პერიოდის განმავლობაში პენიტენციური სისტემის თანამშრომლებმა უნდა შეინარჩუნონ და აიმაღლონ კვალიფიკაცია და დროის ხელსაყრელ შუალედებში, სამუშაო ადგილიდან

[45] წესი 47 (1)
[46] წესი 47 (2)

მოწყვეტის გარეშე გაიარონ მოსამზადებელი კურსები.[47] ციხის ყველა თანამშრომელი უნდა იქცეოდეს ისე, რომ სამაგალითო იყოს პატიმრებისათვის და დაიმსახუროს მათი პატივისცემა.[48]

ევროპული ციხის წესების მიხედვით,[49] სასჯელაღსრულების დაწესებულებების პერსონალს უნდა ჰქონდეს საკმარისი კვალიფიკაცია და განათლება, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციურია, აღნიშნულის გადამოწმება შეუძლებელი ხდება. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით, სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე მსჯელობა პრევენციის ჯგუფის წევრებს მხოლოდ პატიმრების განცხადებებზე და მონიტორინგის დროს საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით შეუძლიათ, რითიც აბსოლუტურად სარწმუნო სურათის მიღება შეუძლებელია.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს – უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა კვალიფიკაციის მინიმალური სტანდარტების ჩამოყალიბება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით რეგულარული სასწავლო პროგრამებისა და ტრენინგების ჩატარება და თანამშრომლების პროფესიული უნარ–ჩვევების რეგულარული კონტროლი.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებს, თავის მხრივ, საკმაოდ მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა. რომ არაფერი ვთქვათ თავად სამუშაოს სპეციფიკურობაზე, მათ საკმაოდ დაძაბული შრომის გრაფიკი და დაბალი ხელფასები აქვთ. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ მათი მძიმე სოციალური მდგომარეობა, გადაღლილობა და ა.შ. აისახება მათ დამოკიდებულებაზე პატიმრების მიმართ. ეს განსაკუთრებით შეეხებათ რიგით თანამშრომლებს.

---

[47] წესი 47 (3)

[48] წესი 48

[49] წესი 8: „ციხის პერსონალი ახორციელებს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სამსახურს და მათი დასაქმება, პროფესიული მომზადება და მუშაობის პირობები უნდა აძლევდეს მათ საშუალებას, პატიმრებზე ზრუნვის მაღალი სტანდარტები შეინარჩუნონ.“ წესი 76: „ციხის თანამშრომლები უნდა იყვნენ სათანადოდ შერჩეულნი და გაწვრთნილნი, ორივე, როგორც საწყის, ასევე შემდგომ სტადიაზე. თანამშრომლებს უნდა გააჩნდეთ მუშაკების შესაბამისი ანაზღაურება და ჰქონდეთ ისეთი სტატუსი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება პატივს სცემს.“

სწორედ ზემოაღნიშნულის გამო სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლების სოციალური და შრომითი გარანტიების გაუმჯობესება, რაზეც, გაზრდილი ბიუჯეტის პირობებში, აუცილებლად უნდა იზრუნოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა სოციალური და შრომითი გარანტიების გაუმჯობესება.

II. საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 2009 წლის აგვისტოსთვის არსებული მდგომარეობა

ა. ჯანდაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში

2009 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ჩატარებული მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე და ამ მხრივ პენიტენციურ სისტემაში შექმნილ მდგომარეობაზე. სამედიცინო მონიტორინგის მეთოდოლოგია შემუშავდა საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ეროვნული სტანდარტების მხედველობაში მიღებით. შემოწმებულ იქნა ის ძირითადი პრინციპები, რომელიც უნდა იქნეს დაცული ციხეთა სამედიცინო სამსახურის სისტემაში:

- სამედიცნო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა მსჯავრდებულთათვის, რაც გულისხმობს, ძირითადად, ექიმთან შეუზღუდავი კონტაქტის უფლებას;

- ეკვივალენტური სამედიცინო დახმარების გაწევა, რაც გულისხმობს ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოში არსებულ ზოგადად სამედიცინო მომსახურებს სტანდარტებს;

- პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პაციენტის ან გამოსაკვლევი პირის ინფორმირებულ თანხმობას

ნებისმიერ სამედიცინო მანიპულაციაზე, ასევე პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულ კონფიდენციალობას;

- პროფილაქტიკური მუშაობა, რაც ძირითადად მოიცავს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას არა მარტო მკურნალობაზე, არამედ სოციალურ და პროფილაქტიკურ დახმარებაზეც;

- ჰუმანიტარული თანადგომა, რაც გულისხმობს სპეციალური პრინციპების დაცვას, განსაკუთრებით მოწყვლად თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ;

- ექიმთა პროფესიული დამოუკიდებლობა და პროფესიული კომპეტენტურობა, რაც გულისხმობს სამედიცინო პერსონალის ძირითად უფლება–მოვალეობებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ასევე მათ კომპეტენტურობასა და პროფესიულ დამოუკიდებლობას.

გარდა ამისა, გასული წლების მსგავსად შესწავლილ იქნა სიკვდილობა და მასზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, პირდაპირ ვიმსჯელოთ ჯანდაცვის სისტემის მოქმედების პარამეტრებსა და ეფექტურობაზე ციხეებში.

სამედიცინო პერსონალი

მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში (გარდა სამკურნალო დაწესებულებებისა) დასაქმებულია სულ 74 დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი. გადა ამისა, 12 ექიმი მუშაობს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პაციენტთა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო 62 ექიმი - მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. ყველა დაწესებულებაში ერთად მუშაობს 11 სტომატოლოგი. გარდა ამისა, თითო-თითო სტომატოლოგი მუშაობს დასავლეთის და აღმოსავლეთის ექიმ-კონსულტანტთა ჯგუფებში. ექიმთა გადანაწილება არათანაბარი და არაპროპორციულია. დაწესებულებათა ერთ ნაწილში საერთოდ არ არის ესა-თუ ის სპეციალისტი, მაშინ, როცა სხვა დაწესებულებებში რამდენიმე შეიძლება იყოს. 18-დან 8 დაწესებულებას სტომატოლოგი საერთოდ არ ჰყავს. გარდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებისა, არცერთ პენიტენციურ დაწესებულებაში არ არის დასაქმებული ფსიქიატრი. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მუშაობს სულ 3 ფსიქიატრი. 2 ფსიქიატრი მუშაობს ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოების ექიმ–კონსულტანტთა ჯგუფებში. ამდენად, 20.000-მდე

პატიმარს სულ ემსახურება 5 ექიმი ფსიქიატრი და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში არსებული 39 ფსიქიატრიული საწოლი. აღნიშნულ სერვისს აბსოლუტურად მოკლებულნი არიან ქალი პატიმრები, ვინაიდან პენიტენციურ სისტემაში არ არსებობს ქალთა სტაციონარი, ხოლო ამ კატეგორიის პატიმართა გაყვანა სამოქალაქო ტიპის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ ხდება. პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში სულ დასაქმებულია 172 ექთანი, მათგან 66 (38%) მუშაობს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. რაც შეეხება ფარმაცევტს/პროვიზორს, პენიტენციურ სისტემაში მუშაობს 17 სპეციალისტი, ხოლო 3 დაწესებულებაში საერთოდ არ მუშაობს არც ფარმაცევტი და არც პროვიზორი – ისედაც მწირე სამედიცინო რესურსი არათანაბრადაა გადანაწილებული, რაც ამწვავებს სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას.

სამედიცინო პერსონალი, მათ შორის, მთავარი ექიმები, საერთოდ არ ან მინიმალურ დონეზე იცნობენ ჯანდაცვის კანონმდებლობას და პენიტენციური ჯანდაცვის მარეგულირებელ დოკუმენტაციას. ექიმთა აბსოლუტურ უმრავლესობას საანგარიშო პერიოდში არ აქვს გავლილი რაიმე პროფესიული ტრენინგი ან უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა, რაც ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას მკვეთრად ზღუდავს.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი, ექიმთა დიდი ნაწილის ღრმა რწმენით, მათ მოვალეობაში არ შედის. კონტრაქტორი ორგანიზაციები, რომლებსაც ხელშეკრულება დადებული აქვთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან, აწარმოებენ დერატიზაციას და დეზინსექციას. ექიმმა ხშირად არც იცის, რას აკეთებენ ამ ორგანიზაციათა წარმომადგენელები და არ თანამშრომლობენ მათთან. ექიმთა გარკვეულ ნაწილს საერთოდ არ აქვს წარმოდგენა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სტანდარტების შესახებ.

სამედიცინო პერსონალი დღემდე იმყოფება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში, რის გამოც მკვეთრადაა შეზღუდული ექიმთა ავტონომია და პროფესიული დამოუკიდებლობა. აღნიშნული საკითხის მოგვარება საასწრაფოდ უნდა დადგეს დღის წესრიგში. ექიმები, რომლებიც მუშაობენ რისკის ზონებში, ხშირად აწყდებიან წინააღმდეგობებს, უხეშადაა დარღვეული მათი სოციალური და სამართლებრივი უფლებები, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, ისინი უძლურნი არიან, გაუმკლავდნენ არსებულ პრობლემებს.

სამწუხაროდ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კვლავ გრძელდება მანკიერი პრაქტიკა, როდესაც ექიმი მონაწილეობს პაციენტის დასჯაში. აღნიშნულს კრძალავს საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და სამედიცინო ეთიკის პრინციპები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ წარსულში არაერთი რეკომენდაცია იქნა გაცემული ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებების დირექტორები კვლავ ითხოვენ ექიმისაგან, ხელი მოაწეროს ცნობას ან სხვა რაიმე დოკუმენტს და ამით მოახდინოს პატიმრის კარცერში მოთავსების სანქცირება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, რამდენიმე დაწესებულებაში მსგავსი პრაქტიკა შეწყდა.

არასათანადო მკურნალობა

პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ტუბერკულოზი. მიუხედავად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ გაწეული დახმარებისა, ამ მხრივ სისტემაში საგანგაშო სიტუაციაა შექმნილი. თუ გადავხედავთ სიკვდილობის სპექტრს, 2009 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილ პაციენტთა დიდ უმრავლესობაში სიკვდილის მიზეზი იყო ტუბერკულოზი. 1218 ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტია რეგისტრირებული სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. მათ შორის 679 მკურნალობს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო 204 - მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, 335 პაციენტი იმყოფება სხვადასხვა დაწესებულებებში. “DOTS” პროგრამაში ჩართულია 204 პაციენტი, “DOTS+” მკურნალობის სქემაში კი სულ 4 პაციენტი. გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების განხილვის, ასევე არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის გადახედვის და პაციენტთა სპექტრის გათვალისწინებით სერიოზული სისტემური პრობლემა არსებობს, რაც განპირობებულია როგორც პატიმართა ყოფითი ელემენტების, ისე სამედიცინო მომსახურების ტოტალური კრიზისით.

პენიტენციური ჯანდაცვის საკითხებში ცალკე უნდა გამოიყოს ვირუსული ჰეპატიტების პრობლემატიკა. საანგარიშო პერიოდში, პენიტენციური სისტემის დაწესებულებათა ნაწილში (6 დაწესებულება), ვირუსული ჰეპატიტების რეგისტრაციას საერთოდ არანაირ ყურადღებას არ აქცევენ, ხოლო დანარჩენ დაწესებულებებში სულ რეგისტრირებულია ვირუსული ჰეპატიტით დაავადებული 290 პაციენტი. ადგილობრივ ექიმებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პრობლემა გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს. ჰეპატიტის ტოტალური სკრინინგის შემთხვევაში

პაციენტთა დაახლოებით 40-60% შესაძლოა აღმოაჩნდეს რომელიმე ვირუსული ჰეპატიტის მარკერი სისხლში.

სანუგეშო შედეგებს არც გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების განხილვა იძლევა. გარდაცვლილ პაციენტთა დიდ ნაწილს მორფოლოგიურად დადგენილი აქვს ღვიძლის ამა თუ იმ ხარისხის დაზიანება მარტივი მორფოლოგიური ცვლილებებიდან ციროზის შორს წასულ ფორმამდე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში და ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვან პატიმართა შორის ჰეპატიტის ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ციხეებში შექმნილი სანიტარიული პირობები, სტომატოლოგიური დახმარების და ინვაზიური მანიპულაციების დროს ასეპტიკის პირობების დაუცველობა, სტერილიზაციის ჩატარების არსებული პრაქტიკა და ა.შ. ასეთი მდგომარეობის ფონზე, შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ჰეპატიტების გავრცელების ასეთი ფართო მასშტაბები სწორედ პენიტენციურ სისტემაში შექმნილი მდგომარეობით აიხსნება. აღნიშნული ტენდენცია არაერთხელ იქნა უკვე დადასტურებული სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეებში საქართველოს წინააღმდეგ.

მიუხედავად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ჰეპატიტებთან ბრძოლის სტრატეგიისა, რეალური ნაბიჯები ამ მხრივ კვლავ არ არის გადადგმული.

აივ ინფექცია/შიდსის გავრცელება პენიტენციურ სისტემაში ასევე საყურადღებო პარამეტრია. პენიტენციური სისტემის დაწესებულებათა ექიმების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2009 წლის პირველ ნახევარში პენიტენციურ სისტემაში რეგისტრირებულია 93 აივ ინფიცირებული პირი. სავარაუდოდ, გაცილებით უფრო მეტია ისეთი პირები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი, ან რომლებმაც არ იციან საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. შიდსის გავრცელების ტენდენციებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, რომლებიც უკვე აღვნიშნეთ ვირუსულ ჰეპატიტებთან მიმართებაში. შიდსით დაავადებულ პატიმართა იზოლირება სამედიცინო ნიშნით არ ხდება, თუმცა დისკრიმინაცია აშკარაა, თუ გავითვალისწინებთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დამოკიდებულებას შიდსით დაავადებულ გარდაცვლილ პატიმართა მიმართ. ისევე, როგორც წინა წლებში,

2009 წლის პირველ ნახევარშიც გრძელდება სამარცხვინო ტენდენცია, როდესაც ექსპერტი უარს ამბობს შიდსით გარდაცვლილის გვამის გაკვეთაზე იმ მოსაზრებით, რომ არ არსებობს უსაფრთხოების რეკომენდაციები და გარანტიები.

სხვა უპირატესად გავრცელებული დაავადებებიდან აუცილებელია, აღინიშნოს შაქრიანი დიაბეტი. ამ დიაგნოზით სულ რეგისტრირებულია 154 პირი. საგანგაშოა ის გარემოება, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტთათვის არ არსებობს სამკურნალო კვების დაცვის შესაძლებლობა. ამ ფონზე ნებისმიერი ყველაზე სრულყოფილი სამკურნალო რეჟიმის პირობებშიც კი, ყველა სამედიცინო ღონისძიება არაპერსპექტიული და წარუმატებელია. საგანგაშოა ასევე ის ფაქტიც, რომ დიაბეტით დაავადებულ პაციენტთაგან მხოლოდ ერთეული შემთხვევები არსებობს, როდესაც პაციენტს ჩატარებული აქვს ენდოკრინოლოგის კონსულტაცია. სხვა შემთხვევებში დანიშნული მკურნალობა და რეჟიმი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს.

რაც შეეხება ბრონქულ ასთმას, აღნიშნული პრობლემა საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ასევე მწვავე დგას. 100 პაციენტია რეგისტრირებული ბრონქული ასთმით. თითქმის არცერთი პაციენტი არ არის კონსულტირებული ექიმ ალერგოლოგის მიერ, რის გამოც პაციენტთათვის დანიშნული მკურნალობის ხარისხი შეუძლებელია, მაღალი იყოს. რეგისტრირებულია ასთმური სტატუსის არაერთი შემთხვევა. ამ მხრივ არ არის დარეგულირებული პატიმართა ჯანმრთელობის შესაბამისობა ადგილობრივ კლიმატთან. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაიცა არაერთი რეკომენდაცია პაციენტის დასავლეთ რეგიონიდან აღმოსავლეთში გადაყვანის თაობაზე. დამატებითი ფაქტორებიდან ასვე გასათვალისწინებელია გარემოს დაბინძურების პრობლემა. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებისა და თბილისის №8 საპყრობილის მიმდებარედ განთავსებულ ნაგავსაყრელზე არსებული წვა.

რაც შეეხება ეპილეფსიის გავრცელებას პატიმართა შორის, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ექიმების მიერ რეგისტრირებულია ეპილეფსიის 142 შემთხვევა. მათ შორის არიან პატიმრები გულყრების მძიმე ფორმებით. დაფიქსირებულია არაერთი შემთხვევა, როდესაც განვითარებულა ეპილეფსიური სტატუსი. ასეთ შემთხვევებში პრობლემის გადაწყვეტის ღონისძიებად რჩება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება და პაციენტის გადაყვანა პენიტენციურ სამკურნალო დაწესებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტთა ძირითადი ნაწილი კონსულტირებულია ნევროლოგის მიერ, ნევროლოგის ზედამხედველობა ამ

კონტინგენტზე არაადეკვატურია. შესაბამისად, ჩატარებული მკურნალობის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. მარტივად რომ ითქვას, ეპილეფსიით დაავადებულ პატიმარს, რომელსაც ნევროპათოლოგი წელიწადში 1 ან 2-ჯერ ნახულობს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს დაავადება, შეიძლება ითქვას, რომ პაციენტი კვალიფიციური მკურნალობის გარეშეა დატოვებული.

რაც შეეხება პაციენტთა მოძრაობას პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში სამედიცინო ჩვენების გამო, უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში სულ გადაყვანილია 1146 პაციენტი. ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანილია 640 პაციენტი. რაც შეეხება პაციენტთა გაყვანას სამოქალაქო ტიპის სამკურნალო დაწესებულებებში, ამ მიმართულებით შესაძლებლობები მაქსიმალურად შეზღუდულია და სულ საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებულია გაყვანის 104 შემთხვევა. აღნიშნულ მაჩვენებელში შედის როგორც სტაციონარული, ისე ამბულატორული გაყვანის შემთხვევები (პაციენტის გაყვანა ხდება რამდენიმე საათით). სამოქალაქო ტიპის სამკურნალო დაწესებულებებში გაყვანის შემთხვევებიდან თითქმის ნახევარი მოდის ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დაწესებულებაზე. დანარჩენი 17 საპატიმრო დაწესებულებიდან კი 50-მდე პატიამრია სულ გაყვანილი როგორც ამბულატორულ, ისე სტაციონარულ სამედიცინო დახმარებაზე. აღნიშნული ტენდენცია იმითაა განპირობებული, რომ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში არ არის ქალთა განყოფილება.

დაწესებულებათა დიდ ნაწილში ფართოდაა გავრცელებული ტილი, ბაღლინჯო, რწყილი. პაციენტებს აქვთ მუნი და სხვა გადამდები დაავადებები, რომელთა შემცირება და მომატება სეზონურ - ტალღურ ხასიათს ატარებს. ემოციური დაძაბულობის, დეპრესიის ან თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევებში ფსიქიატრი და ფსიქოლოგი, როგორც წესი, არ ერთვებიან საქმეში. ამის მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, არის ამ სპეციალისტთა საერთოდ არარსებობა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები უკვე კარგა ხანია, მკვეთრად გასცდა კრიზისის და საგანგაშო მდგომარეობის ნიშნულს.

განსაკუთრებული კატეგორიის პატიმართა უფლებების იგნორირება

პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების მიმართ არ არსებობს ადეკვატური მიდგომა. ქალები და არასრულწლოვანი პატიმრები ზოგან იმყოფებიან შეუსაბამო პირობებში. უხეშად ირღვევა ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებები. უმრავლეს შემთხვევებში მათ მიმართ არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები ვლინდება, რაც დაუყოვნებლივ აღსაკვეთია. არასათანადო ყურადღება ექცევა ასევე წამალდამოკიდებულების მქონე პირებს. რამდენიმე დაწესებულების გარდა ნარკოლოგის კონსულტაცია ფაქტობრივად ყველგან ხელმიუწვდომელია. გადამდები და საშიში ინფექციური დაავადებების მქონე პატიმართა მიმართ არ არსებობს ერთიანი უნიფიცირებული მიდგომა და მოპყრობა. არსებობს დისკრიმინაციის ფაქტებიც, ასევე შემთხვევები, როდესაც ეპიდემიოლოგიური ფაქტორების აშკარა იგნორირებით საფრთხე ექმნება სხვა პატიმართა და საპყრობილის თანამშრომელთა ჯანმრთელობასაც.

საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში საკმაოდ დიდი რაოდენობით არიან ისეთი პირები, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა. არ არსებობს ასეთ პატიმართათვის სპეციალური მოვლის პირობები, კვალიფიციური პერსონალი და ადეკვატური საშუალებები. მათი ყოფნა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უნდა განვიხილოთ, როგორც არაჰუმანური მოპყრობის ნათელი მაგალითები.

წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა ჯანმრთელობის სპეციფიკური საკითხები არ არის სათანადოდ გათვალისწინებული. დაზიანებების მქონე პატიმრებს თითქმის არასოდეს უტარდებათ სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა. მათ მიერ დასახელებული ექიმის შემოყვანა არ არის ნებადართული ან უკავშირდება ხანგრძლივ პროცედურებს, რის გამოც უხეშად ირღვევა პაციეტნის უფლება ჯანმრთელობაზე.

პაციენტთა უფლებების ხელყოფის სხვა შემთხვევები

ყველა დაწესებულების სამედიცინო პერსონალი აღნიშნავს, რომ ყველა პატიმარი მოწმდება დაწესებულებაში შესვლისთანავე, თუმცა მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში შემოწმებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და იგი არ შეესაბამება კანონით მოთხოვნილ სავალდებულო კრიტერიუმებს. პაციენტთა შემოწმებას შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ესწრება საპყრობილის თანამშრომელი მორიგე ოფიცერი ან კონტროლიორი. მსგავსი ტენდენცია

შენარჩუნებულია პაციენტის ექიმთან კონტაქტის ნებისმიერი ფორმის დროს. უხეშად ირღვევა საექიმო საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციურობის პრინციპი, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია.

პაციენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მათი კომენტარი სამედიცინო დოკუმენტაციაში თითქმის არასდროს ფიქსირდება.

სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო ინფრასტრუქტურა

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პენიტენციურ დაწესებულებას, სადაც 100-ზე მეტი პატიმარი იხდის სასჯელს, მოეთხოვება, ჰქონდეს სტაციონარი. 2009 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, 18 დაწესებულებიდან სტაციონარი არ გააჩნია 5 დაწესებულებას. მათგან 3 დაწესებულებას ასეთი სტრუქტურა არც არასდროს ჰქონია, ხოლო 2 მათგანში სტაციონარი არ ფუნქციონირებს ხანგრძლივად მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. დაწესებულებათა ნაწილში არასამუშაო საათებსა და დასვენების დღეებში ექიმი არ მორიგეობს და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება ხელმიუწვდომელია.

სამედიცინო ნაწილების აღჭურვილობა საკმაოდ მწირია. არცერთ პანიტენციურ დაწესებულებას (გარდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებისა) არ გააჩნია გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო სამედიცინო აპარატურა და საგნები. სამედიცინო ინფრასტრუქტურა მოძველებული და მწყობრიდან გამოსულია. სამედიცინო ნაწილებში სანიტარიული და ჰიგიენური სტანდარტები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზები

სამედიცინო დოკუმენტაცია იწარმოება არასტანდარტული ფორმით, არ შეესაბამება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციის ფორმებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის უწყვეტობისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად.

სამედიცინო დოკუმენტაციის არქივი ბევრ დაწესებულებაში არ არსებობს. ბევრგან იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, რაც დაუშვებელია. ექიმებმა პრაქტიკულად

არ იციან, როგორ შეინახონ ან დაიცვან სამედიცინო დოკუმენტაცია პატიმრის გათავისუფლების ან სხვა დაწესებულებაში გადასვლის შემდეგ.

ექიმთა მიერ საკვების შემოწმების პროცედურა ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. დაუჯერებელია, რომ 2009 წლის განმავლობაში არ ყოფილა ექიმის მიერ საკვების წუნდების არც ერთი ოფიციალურად დადასტურებული შემთხვევა, ეს იმ ფონზე, როდესაც პატიმრების დიდი ნაწილი (და მათ შორის ექიმთა უმრავლესობა პირად საუბრებში) ადასტურებეს, საკვების დაბალ ხარისხს, და ხშირ შემთხვევაში უვარგისობას. აღნიშნულის გამო პატიმრებს ექმნებათ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემებიც, რომელთა გადაწყვეტას შემდგომ ხშირ შემთხვევებში მედიკამენტური მკურნალობის დანიშვნით ცდილობენ.

დაწესებულებათა ნაწილში არ იწარმოება დაზიანებათა ჟურნალი, არ გააჩნიათ სტატისტიკა ციხეში გავრცელებული ნებისმიერი ძალადობის ფორმების შესახებ. აღნიშნული მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოსწორებული. იქ, სადაც ასეთი ჟურნალი იწარმოება, ინფორმაციის დაფიქსირება არასრულყოფილი და აშკარად ტენდენციურია, რაც უხეშად არღვევს პატიმრის უფლებებს.

გარდაცვლილი პატიმრები

საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში 2009 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილ პაციენტთა ზუსტი რაოდენობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ხელმიუწვდომელია. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მიერ სახალხო დამცველისადმი 2009 წლის 15 ივლისს მოწერილი წერილით ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში სულ გარდაცვლილია 54 პატიმარი. მათგან 1 პაციენტი გარდაიცვალა ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში, 1 - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიულ სამსახურში, 3 - ტუბერკულოზის ეროვნულ ცენტრში, 2 - შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში, 1 - ღუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, 3 - №2 დაწესებულებაში და 1 - №7 დაწესებულებაში (სულ 12 პაციენტი), ხოლო მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაცვლილია 42 პაციენტი.

აღნიშნულ ინფორმაციას არ შეესაბამება რუსთავის №2 დაწესებულებაში მოწოდებული მონაცემები ლეტალობის 1 შემთხვევის შესახებ. ასევე შეუსაბამობაშია ინფორმაცია,

რომელიც მოგვაწოდეს რუსთავის №6 საპყრობილეში და თბილისის №3 დაწესებულებაში, სადაც გარდაცვლილია თითო-თითო პაციენტი. ქსნის №7 დაწესებულებაში ასევე გვაცნობეს 2 პაციენტის (და არა 1-ის, როგორც მითითებული იყო) გარდაცვალების შესახებ. 2 პაციენტის გარდაცვალების შესახებ გვაცნობეს ასევე გეგუთის №8 დაწესებულებაში. ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გვაცნობეს ასევე 2 პატიმრის გარდაცვალების შესახებ, ხოლო თბილისის №8 საპყრობილეში - 1 პატიმრის გარდაცვალების შესახებ. აღნიშნული მონაცემების შეჯერების შედეგად, მივდივართ დასკვნამდე, რომ 2009 წლის I ნახევარში პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში გარდაიცვალა არა 54 პატიმარი, როგორც ეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გვაცნობა, არამედ 62 პატიმარი. აღნიშნული სტატისტიკის დაზუსტება ვთხოვეთ სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2009 წლის 12 აგვისტოს გაგზავნილ წერილში. მიუხედავად ამისა, ბიურომ არათუ დაგვიზუსტა სტატისტიკა, არამედ საერთოდ არ მოგვაწოდა პასუხი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. 2009 წლის 8 სექტემბერს კი, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს, რომლებიც მივიდნენ ბიუროში და მოსთხოვეს პასუხი გაგზავნილ წერილზე, გადმოგვეცა 45 გარდაცვლილი პატიმრის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. დარჩენილი 9 გარდაცვლილი პატიმრის დასკვნების მოწოდებას უახლოეს მომავალში დაგვპირდნენ.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული დასკვნების ანალიზის საფუძველზე, გარდაცვლილ პატიმართა დაახლოებით 63%-ს აღენიშნებოდა ფილტვების და ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა ორგანოების ტუბერკულოზი. გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში ტუბერკულოზი კვლავ უნდა დასახელდეს პატიმართა სიკვდილობის №1 მიზეზად. ტუბერკულოზურ ცვლილებებს ფილტვში თან ერთვოდა 22% შემთხვევაში ტუბერკულოზური პნევმონია და პლევრიტი. თუმცა შემთხვევათა 9%-ში სიკვდილის უშუალო მიზეზად ექსპერტიზამ დაასახელა ბანალური პნევმონია (ფილტვების ანთება). საგანგაშოა, რომ 21-ე საუკუნეში ფილტვების ანთებით გამოწვეული სიკვდილობა კვლავ მაღალ მაჩვენებელს ინარჩუნებს და ამის შესახებ არაერთხელ გვქონდა საუბარი ჩვენს წინა ანგარიშებშიც. სიხშირით მეორე ადგილზე გამოდის ჰეპატიტი და ციროზი, რომელიც სიკვდილის მიზეზი გახდა შემთხვევათა 17%-ში. შემთხვევათა 9%-ში სიკვდილის მიზეზი გახდა პროფუზული სისხლდენა და მის ფონზე განვითარებული ჰემორაგიული შოკი. 7%-ში სიკვდილის მიზეზია თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა, რაც რამდენიმე შემთხვევაში განვითარდა თავის ტვინის სისხლდენის ანევრიზმების გახეთქვით, ეს უკანასკნელი კი ამოუცნობი დარჩა და შესაბამისად, ადეკვატური მკურნალობა არ იქნა ჩატარებული. შემთხვევათა 6%-ში სიკვდილის მიზეზი იყო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი. გარდაცვლილთა 7%

იყო აივ ინფიცირებული, რომელთა გვამები არ გაიკვეთა ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო. 7% პაციენტთა გარდაცვალების მიზეზი იყო ავთვისებიანი სიმსივნეები. 6% შემთხვევაში – მენინგიტი. ერთი პაციენტი დაიღუპა პოსტოპერაციულ პერიოდში ნაკერების უკმარისობის გამო განვითარებული უნივერსალური პერიტონიტითა და სეფსისით, ხოლო 1-მა პაციენტმა სიცოცხლე სუიციდით დაასრულა.

გარდაცვლილთა ასაკობრივი კატეგორიები წარმოდგენილია ცხრილში:

21-30	22%
31-40	19%
41-50	30%
51-60	20%
61-70	09%

პაციენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (77%) გარდაცვლილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. დაახლოებით 10% გარდაცვლილია სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებებში, ხოლო 13% გარდაიცვალა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში პენიტენციური სისტემის გარეთ.

წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით, შესაძლებელია, შეგვექმნას ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ბოლო წლებში პენიტენციური ჯანდაცვის სისტემა კვლავ იმყოფება ღრმა კრიზისის პირობებში, რასაც ასეულობით პატიმრის სიცოცხლე და ათასეულის ჯანმრთელობა ეწირება. ბოლო პერიოდში გამოვლენილი ნაკლოვანი მხარეები სისტემაში თითქმის ანალოგიურია, რაც დღის წესრიგში აყენებს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის უმოკლეს შესაძლებელ დროში გადაცემას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქცვემდებარებაში და ასევე მიზანშეწონილია, შეიქმნას ანტიკრიზისული ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება დარგის კვალიფიციური ექსპერტებითა და სპეციალისტებით.

ბ. არასათანადო მოპყრობა

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა არასათანადო მოპყრობის, პატიმრებზე ფიზიკური ანგარიშსწორების რამდენიმე შემთხვევა.

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2009 წლის I ნახევარში ჩატარებული მონიტორინგის შემდეგ ქუთაისის N2 დაწესებულების ადმინისტრაციამ სამაგალითოდ დასაჯა ის პატიმრები, რომლებიც სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაწესებულებაში არსებულ პრობლემებზე ესაუბრნენ. ისინი ე.წ. „ბოქსში“ ჩაიყვანეს, მუხლებამდე წყალში დააყენეს და ცემეს. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ცემის პროცესს დაწესებულების დირექტორი ხელმძღვანელობდა. არაერთი პატიმარი, რომლებსაც სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა–განმარტება ჩამოართვეს, საუბრობს მცირე გადაცდომის შემთხვევაში მათზე განხორციელებულ ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ძალის უკანონო გამოყენება, ცემა, წამება და არასათანადო მოპყრობა ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებისთვის „ნორმად“ იქცა, 2009 წლის 28 აპრილს საქართველოს იუსტიციის მინისტრს სახალხო დამცველმა მიმართა რეკომენდაციით, აღნიშნულ ფაქტებზე დაწყებულიყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 144[3]–ე მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა).

2009 წლის 8 ივნისს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მივიღეთ პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ 2009 წლის 11 მაისს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დასავლეთ სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სს #073090235 საქმეზე დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 144[3]–ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ბ“, ,,გ“, ,,დ“ და ,,ე“ ქვეპუნქტებით. საქმეზე დაინიშნა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზები, დაიკითხა 70 პატიმარი და მსჯავრდებული, ამოღებული იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ ქ.ქუთაისის N2 საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დირექტორი აგრესიულად არის განწყობილი როგორც პატიმრების, ასევე საკუთარი თანამშრომლების მიმართაც. მონიტორინგის დროს, მისივე კაბინეტში, სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფის წევრების თანდასწრებით, დაწესებულების თანამშრომლებს მიმართავდა უხეშად და შეურაცხმყოფელად.

პატიმართა გადმოცემით, დაწესებულების ადმინისტრაცია მათ დასჯის მიზნით ხანგრძლივი დროით ათავსებს ე.წ. სასამართლოზე გამსვლელ პირთა მოსათავსებელ ოთახებში, რომელიც არის დაახლოებით 1 კვ.მ ფართის და სადაც მხოლოდ ერთი გრძელი ხის სკამი დგას. გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ნახეს ერთი პატიმარი, რომელიც მოთავსებული იყო კარცერში, სადაც ჩამოდიოდა წყალი და იატაკზე იდგა გუბე.

ქუთაისის N2 დაწესებულებაში პატიმრებთან არასათანადო მოპყრობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 2009 წლის ივლისში მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც დაწესებულებაში განთავსებულმა არასრულწლოვნებმა მიიღეს სხეულის დაზიანებები.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 7 ივლისის ინფორმაციით, 2009 წლის 6 ივლისს ქუთაისის N2 საპყრობილეში სასამართლოს განჩინებით უკმაყოფილო შვიდმა არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა დაარბია საკანი და დაამტვრია ინვენტარი. ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა. სახელმწიფო ქონების დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. მომხდარში მონაწილე შვიდივე მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით თბილისში ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში გადაიყვანეს.

სახალხო დამცველის რწმუნებულები ინფორმაციის შეტყობისთანავე, 7 ივლისს, ვითარების ადგილზე გასაცნობად, მივიდნენ ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში.

თავდაპირველად დაწესებულების დირექტორმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს უთხრა, რომ ინციდენტის გამო დაწესებულებაში 19 არასრულწლოვნიდან მხოლოდ 3-4 პატიმარი დატოვეს, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა საპყრობილეებში გადაიყვანეს. თუმცა შემდგომში გაირკვა, რომ რეალურად მხოლოდ 7 იყო გადაყვანილი, ხოლო ინციდენტის მონაწილე დანარჩენი 12 არასრულწლოვანი ადგილზე იმყოფებოდა.

სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ არასრულწლოვან პატიმრებს. მათი ახსნა-განმარტებების თანახმად, 2009 წლის 6 ივლისს, 21.00 საათისათვის, კონტროლიორმა შენიშნა, რომ N102 საკნის გისოსიდან რკინის ჩხირები იყო გამოღებული და საკანში სარეჟიმო განყოფილების თანამშრომელი მიიყვანა. როგორც პატიმრები ამბობენ, საკნის გისოსში მათ ადრე ტელევიზორი ჰქონდათ ჩადგმული,

რომელიც გადასცეს გვერდით საკანს. შესაბამისად, სარკმელზე არსებული ჩხირებიც ადრე იყო მოშორებული.

სარეჟიმო განყოფილების დაახლოებით ხუთმა თანამშრომელმა საკანი შეამოწმა, თუმცა გისოსიდან გამოღებული ჩხირები ვერ იპოვა. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ სარეჟიმო განყოფილების თანამშრომლები საკანში სხვა თანამშრომლებთან ერთად დაბრუნდნენ და პატიმრები ე.წ. კარანტინის კორპუსში გადაიყვანეს. კორპუსის შესასვლელთან არასრულწლოვანი პატიმარი ლ. ლ. მეორე პატიმარს გაეხუმრა, რაზეც დაწესებულების თანამშრომელმა მას სახეში ხელი გაარტყა. ხმაურზე მობრუნებულმა პატიმრებმა დაინახეს, რომ ერთ-ერთ თანამშრომელს ლ. ლ. ხელით ეჭირა, ხოლო მეორე ურტყამდა. შემდეგ საპყრობილის თანამშრომლებმა ერთ-ერთი პატიმარი ძალით წაიყვანეს კედელთან და ყელზე ხელი წაუჭირეს.

პატიმრების ცემას დანარჩენი არასრულწლოვნების სიტყვიერი პროტესტი მოჰყვა. მათ ჯერ საკანში დაბრუნება, ხოლო შემდეგ უფროსთან შეხვედრა მოითხოვეს. საბოლოოდ არასრულწლოვნები საკანში დააბრუნეს, მაგრამ მათ პროტესტის ნიშნად ხმაური და კარებზე ბრახუნი დაიწყეს. მათ მხარდასაჭერად ხმაური გვერდით საკნის პატიმრებმაც ატეხეს. ამის შემდეგ შეხვდათ მათ დაწესებულების უფროსი, რომელთანაც მომხდარის გამო უკმაყოფილება გამოთქვეს. პატიმრები აცხადებენ, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა მხოლოდ იმ თანამშრომელს მიაყენეს, რომელიც მათ თანასაკნელებს სცემდა. დირექტორთან შეხვედრის შემდეგ არასრულწლოვნები დაწყნარდნენ და როგორც ამბობენ, რამდენიმემ დაიძინა კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ყველაფერი დაწყნარებული იყო, დაახლოებით ღამის 2 საათზე, საკნებში ნიღბიანი სპეცრაზმელები შევიდნენ და პატიმრებს გარეთ გამოსვლა მოსთხოვეს. არასრულწლოვნები ამბობდნენ, რომ თავდაცვის მიზნით ისინი თვითდაზიანებით იმუქრებოდნენ. ზოგიერთმა მათგანმა ხელიც გადაისერა. სამ საკანში განთავსებული არასრულწლოვნები დერეფანში გაიყვანეს, ხელები კედელზე დააწყობინეს და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. არასრულწლოვნებს სცემდნენ გაშლილი ხელით, სველი ცხვირსახოცით, ბოქლომით, არ აძლევდნენ განძრევის უფლებას. პატიმრები ამბობენ, რომ სპეცრაზმელები განსაკუთრებით N102 საკნის პატიმრებს გაუსწორდნენ, მათ შორის, ლ. ლ.–ს, რომელიც გონდაკარგული ძირს დაეცა. დერეფანში გამოყვანის შემდეგ სპეცრაზმელებმა 7 არასრულწლოვნის გვარი ამოიკითხეს და მათ განსაკუთრებით გაუსწორდნენ. როგორც პატიმრები ამბობენ, მათ კედელზე ხელებდაწყობილებმა დაახლოებით 5 საათი გაატარეს, განძრევის

შემთხვევაში მათ თავზე „დაშარდვით“ და ე.წ. „ქათმების“[50] საკანში მოთავსებით ემუქრებოდნენ. შემდეგ არასრულწლოვნები ორჯერ გაატარეს ე.წ. „კორიდორში“, სადაც მათ საპყრობილის თანამშრომლები და სპეცრაზმელები ერთობლივად სცემდნენ და აფურთხებდნენ. შემდეგ ისინი კარანტინის კორპუსში გადაიყვანეს.

საკარანტინო კორპუსის სხვადასხვა საკანში მსხდარი არასრულწლოვანი პატიმრები აბსოლუტურად ერთნაირ ინფორმაციას იძლევიან ცემის მიზეზების, ფორმების და მეთოდების, ასევე ადგილის შესახებ.

პატიმრებს სხეულზე დაზიანებები აღენიშნებათ, ნაწილს არ აქვს ტანსაცმელი, ზოგმა გადაყვანისას ფეხსაცმელი დაკარგა. როგორც პატიმრები ამბობენ, საკნებიდან მათი გამოყვანა ვიდეოფირზეა ასახული.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა, რაც რეალობას მოკლებულია. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ არასრულწლოვანთა ვიზუალური დათვალიერებისას აშკარა იყო, რომ ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში 7 ივლისის მდგომარეობით მყოფ 12 არასრულწლოვან პატიმარს სხვადასხვა სახისა და ზომის დაზიანებები აღენიშნებოდა.

7 ივლისს პატიმრებს შემოწმება ჩაუტარდათ (სავარაუდოდ სამედიცინო), რომელიც იყო ზედაპირული და რომლის დროსაც ფაქტიურად არ იქნა დაფიქსირებული, რა დაზიანებები აღენიშნებოდათ მათ სინამდვილეში. მათი ვიზუალური დათვალიერება უცნობმა მამაკაცმა განახორციელა, რომელმაც მხოლოდ მათი ბიოგრაფიული მონაცემები ჩაინიშნა. არასრულწლოვნების განმარტებით, დაზიანებების მიღების შემდეგ ისინი არც დაწესებულების ექიმს მოუნახულებია.

სახალხო დამცველის რწმუნებულები ასევე შეხვდნენ დაწესებულების ორ ინსპექტორს იმედა ჯანელიძეს და შოთა ქაჩიბაიას, რომლებმაც, დაწესებულების დირექტორის განმარტებით, მომხდარი ინციდენტის დროს მიიღეს დაზიანებები. ინსპექტორებმა სახალხო დამცველის რწმუნებულებთან თანამშრომლობისა და წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემისგან თავი შეიკავეს, თუმცა აჩვენეს დაზიანებები, რომლებიც აღენიშნებოდათ. კერძოდ, ჯანელიძეს მარცხენა ქვედა კიდურის წვივთან აღენიშნებოდა სამი წითელი წერტილი, ხოლო ქაჩიბაიას მარცხენა ქვედა კიდურის მუხლის თავზე

[50] სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი პატიმრები

ჰქონდა გადამძვრალი კანი და ასევე მარჯვენა ზედა კიდურის ხელის გულზე აღენიშნებოდა მცირე ზომის სიწითლე.

12 არასრულწლოვანი პატიმარი სახალხო დამცველის რწმუნებულებმა 8 ივლისსაც მოინახულეს. ერთ-ერთ საკანში განთავსებული არასრულწლოვანი პატიმრები მონახულებამდე რამდენიმე საათით ადრე ნაცემი აღმოჩნდნენ. როგორც ახსნა-განმარტებაში აღნიშნავენ, 8 ივლისს, დაახლოებით 11 საათზე, დაუძახეს კონტროლიორს, რადგან საკანში კანალიზაცია გაიჭედა. დაახლოებით ათ წუთში საკანში შემოვიდა ოთხი ადამიანი, რომლებმაც აიძულეს არასრულწლოვნები, ზურგით დამდგარიყვნენ და დაუწყეს ცემა. ამასთან ერთად აგინებდნენ და აფურთხებდნენ. ამის შემდეგ მაგიდიდან გადაუყარეს ყველაფერი და აიძულებდნენ, მოეწმინდათ იატაკი.

აშკარაა, რომ ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლებმა გამოიყენეს სრულიად შეუსაბამო ძალა, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური მოპყრობა – 4-5 საათის განმავლობაში ზურგსუკან თავზე ხელებდაწყობილ მდგომარეობაში დგომის იძულებით, წიხლებთან ერთად სველი ცხვირსახოცით და ბოქლომით ცემით და დამამცირებელი მოპყრობით, სახეში შეფურთხებით და არასრულწლოვანთა მისამართით უცენზურო და უშვერი სიტყვების გამოყენებით.

ცალკე აღსანიშნავია, რომ ერთი არასრულწლოვანი პატიმარი, დ. ბ. ინციდენტის შემდეგ სხვა არასრულწლოვნებისგან განაცალკევეს და ე.წ. „ბოქსში“ გადაიყვანეს, რომელიც არის მცირე ზომის, ბნელი, ნესტიანი, უჰაერო საკანი, სადაც არის სპეციფიკური სუნი, კედლები და ჭერი დაზიანებულია, ჩამოდის წყალი. 2,5 კვ. მეტრის საკანის ნახევარში 2 სანტიმეტრამდე წყალი დგას.

სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს 2009 წლის 15 ივლისს ქუთაისის N2 დაწესებულებაში არასრულწლოვან პატიმრებთან არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესწავლის რეკომენდაციით მიმართა.

სახალხო დამცველს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან შეატყობინეს, რომ ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმრებისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში გამოძიება დაიწყო. საქმე აღძრულია სამსახურებრივი

უფლებამოსილების გადამეტების მუხლით (სისხლის სამართლის კოდექსის 333–ე მუხლის 1–ლი ნაწილი).

არასათანადო მოპყრობის მაგალითია, ასევე, გეგუთის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პატიმრის, ტრისტან ახრახაძის საქმე.

სასჯელის მოხდის პერიოდში აღნიშნულ პატიმარს ძოწენიძის სახ. იმერეთის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში ჩაუტარდა ორივე ქვედა კიდურის მაღალი ამპუტაცია. მონიტორინგის დროს პაციენტი იმყოფებოდა ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იგი განთავსებული იყო ე.წ. სამედიცინო ნაწილის ცალკე საკანში, სადაც არ იყო სველი წერტილი, კარი, ფანჯარა ბოლომდე არ იკეტებოდა, იყო ანტისანიტარია. ტრისტან ახრახაძეს არ ჰქონდა პაციენტისათვის აუცილებელი და შესაფერისი სამედიცინო დანიშნულების ავეჯი და საგნები. იგი მუდმივად უმოძრაოდ იჯდა საწოლზე და დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებოდა, ვერ იცავდა პირად ჰიგიენას. ადგილობრივი პერსონალის განმარტებით, მას ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში ეხმარებაოდა ერთ–ერთი პატიმარი, თუმცა ყოველი ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში პაციენტი ღრმად განიცდიდა თავის მდგომარეობას.

მსგავსი კატეგორიის პატიმრისთვის ამ დაწესებულებაში არ არსებობს სპეციალური მოვლის პირობები. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ადგილობრივი ექიმი უამრავ სირთულეებს აწყდება პაციენტის მკურნალობისა და მოვლის საკითხებში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტის მოსავლელად არ არსებობს კვალიფიციური პერსონალი.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების და მოყვანილი არგუმენტების გამო სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ პაციენტ ახრახაძისათვის ხანგრძლივი პატიმრობა შეუთავსებელი იყო და 2009 წლის 13 აგვისტოს რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, უახლოეს პერიოდში უზრუნველეყო პატიმარ ტრისტან ახრახაძისთვის სახელმწიფო სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე აღეძრა შუამდგომლობა შესაბამის სასამართლოში, რათა განხილული ყოფილიყო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ან სასჯელის გადავადების საკითხი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. რეკომენდაციის პასუხად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2009 წლის 9 სექტემბრის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ მსჯავრდებული ტრისტან ახრახაძე საქართველოს პრეზიდენტის მ/წლის 29 აგვისტოს N605

განკარგულებით შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისგან.

გ. რეჟიმის არასწორი განსაზღვრა

კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები

საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ 73–ე მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტების მიხედვით, „2. საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთ დააბინავებენ საერთო საცხოვრებელში, თუ შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უფლება აქვს:

ა) თავისუფლად იაროს ამ დაწესებულების ტერიტორიაზე მისი შინაგანაწესით დადგენილი წესით;“.

იმავე კანონის 74–ე მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტების მიხედვით, „2. მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთ ათავსებენ საერთო საცხოვრებელში, თუ შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს ამ დაწესებულების ტერიტორიაზე მისი შინაგანაწესით დადგენილი წესით.“

იუსტიციის მინისტრის N365–ე და N366–ე ბრძანებები არეგულირებს მსჯავრდებულთა გადაადგილების წესს.

პრაქტიკა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 16 აპრილის N147 ბრძანებაში 2009 წლის 1 ივნისს შესული ცვლილების საფუძველზე რუსთავის N6 დაწესებულების რეჟიმი განისაზღვრა, როგორც საერთო, მკაცრი და საპყრობილის. პრაქტიკაში, N6 დაწესებულებაში არ არის საერთო და მკაცრი რეჟიმის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ყველა პატიმარი იმყოფება საპყრობილის რეჟიმზე – მათ არ ეძლევათ საშუალება, თავისუფლად გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე, როგორც ამას განსაზღვრავს კანონი საერთო და მკაცრი რეჟიმებისთვის.

თბილისის N7 საპყრობილედან მსჯავრდებულები, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ საერთო ან მკაცრი რეჟიმი, გადაჰყავთ რუსთავის N6 საპყრობილეში. ითვლება, რომ ამით ისინი საპყრობილის რეჟიმიდან გადადიან საერთო ან მკაცრ რეჟიმზე. პრაქტიკაში კი ისინი ისევ რჩებიან საპყრობილის რეჟიმზე. აღნიშნულის მიზეზად უნდა დასახელდეს ის გარემოება, რომ N7 საპყრობილეში ძირითადად განთავსებულები არიან ე.წ. ქურდული სამყაროს წევრები. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ითვალისწინებს ამ კატეგორიის პატიმრებისათვის გამორჩეულად მკაცრ პირობებს, რეალურად ისინი სასჯელის უდიდეს ნაწილს საპყრობილის რეჟიმზე იხდიან.

,,პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის მე–7 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულის გადაყვანა საპყრობილის რეჟიმზე დასაშვებია 1 წლამდე ვადით, ხოლო ამავე მუხლის მე–8 ნაწილის თანახმად, დეპარტამენტის თავმჯდომარეს შეუძლია, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, საპყრობილის რეჟიმზე გადაყვანის 1 წლამდე ვადა გააგრძელოს კიდევ 1 წლამდე ვადით, რის შესახებაც ეცნობება სასჯელაღსრულების დაწესებულების კომისიას.[51] სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს შეუძლია, შესაბამისი წარდგინებით მიმართოს დეპარტამენტის თავმჯდომარეს იმ შემთხვევაშიც, თუ მსჯავრდებულს გაუგრძელეს რეჟიმის შეცვლის ვადა. თუმცა, სახალხო დამცველის რწმუნებულების დაკვირვებით, აღნიშნულ საპყრობილეში ძირითადად იმყოფებიან ერთი და იგივე მსჯავრდებულები. მათი გადმოცემითაც, ისინი წლობით იმყოფებიან აღნიშნულ საპყრობილეში და საპყრობილის რეჟიმის გასვლის შემდეგ 2–3 დღით გადაჰყავთ სხვა რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და შემდგომ ისევ აბრუნებენ N7 საპყრობილეში. აღნიშნული პრობლემა საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, შეისწავლოს ზემოაღნიშნული ფაქტები და დადასტურების შემთხვევაში, მიიღოს კანონშესაბამისი ზომები.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების

[51] უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის დღემდე უცნობია კომისიისთვის შეტყობინების არსი, ვინაიდან კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რა რეაგირება შეიძლება მოჰყვეს კომისიის მხრიდან ამგვარ შეტყობინებას. აღნიშნული კანონის ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული.

საკითხთა მინისტრის 2009 წლის 16 აპრილის N147 ბრძანებაში, რათა N6 დაწესებულების დასახელებაში მითითებული რეჟიმები შეესაბამებოდეს რეალურად არსებულ მდგომარეობას.

დ. განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრები

ხანდაზმული პატიმრები

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 65–ე მუხლი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების ერთ–ერთ საფუძვლად ხანდაზმულობის ასაკის (ქალები – 65 წლიდან, მამაკაცები – 70 წლიდან) მიღწევას ასახელებს.[52]

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2009 წლის 7 აგვისტოს წერილის მიხედვით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იმ დროისთვის სასჯელს იხდიდა 71 ხანდაზმული მსჯავრდებული, მათგან 13 – ქალი. საანგარიშო პერიოდში არცერთი მსჯავრდებული არ გათავისუფლებულა ხანდაზმულობის ასაკის მიღწევის გამო.

იმავე კანონის 33–ე მუხლის მე–2 პუნქტის მიხედვით, ხანდაზმულებს, სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით, უნდა შეექმნათ გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები. სახალხო დამცველის წერილობით შეკითხვაზე, რამდენად სარგებლობენ ხანდაზმული პატიმრები გაუმჯობესებული პირობებით, გვეცნობა, რომ „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხრიდან აუცილებლობიდან გამომდინარე ხდება ხანდაზმული მსჯავრდებულებისათვის გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.“[53] პასუხის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, უცნობია, კონკრეტულად რას გულისხმობს გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები. სახალხო დამცველის წარმომადგენლების დაკვირვებით, ხანდაზმული პატიმრები იმყოფებიან სხვა პატიმრების იდენტურ პირობებში.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, კანონის შესაბამისად განსაზღვროს ხანდაზმული პატიმრების გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები.

---

[52] საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ 65–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.
[53] 2009 წლის 27 აგვისტოს 10/9/4–13304 წერილი.

ქალი პატიმრები

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 21 აპრილის ბრძანების თანახმად, ქალი მსჯავრდებულების ნაწილი სასჯელს იხდის რუსთავის N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ხოლო ნაწილი – თბილისის N5 დაწესებულებაში. მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ ქუთაისის N2 საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ბათუმის N3 საპყრობილეში და ზუგდიდის N4 საპყრობილეში ქალი მსჯავრდებულები კანონის დარღვევით იმყოფებიან მიუსჯელებთან ერთად და გაურკვეველი მიზეზების გამო მათი გადაყვანა მსჯავრდებულთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში ჭიანურდება. მონიტორინგის დროს ზუგდიდის N4 საპყრობილეში განთავსებული ქალი პატიმრები ასევე აღნიშნავდნენ, რომ პირადი ჰიგიენის ნივთებზე ხელი არ მიუწვდებოდათ.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, უზრუნველყოს ქალი მსჯავრდებულების განთავსება კანონმდებლობით გათვალისწინებულ საერთო რეჟიმის დაწესებულებაში და გააკონტროლოს ქალი პატიმრებისთვის აუცილებელი ჰიგიენური ნივთების ხელმისაწვდომობა ყველა იმ დაწესებულების მაღაზიაში, სადაც ქალი პატიმრები არიან განთავსებულნი.

არასრულწლოვანი პატიმრები

მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა, საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანი გოგონებისთვის კვლავაც არ არსებობდა განცალკევებული ინფრასტრუქტურა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 10 იანვრის N6 ბრძანება ითვალისწინებს ქ.თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მდედრობითი სქესის არასრულწლოვან პატიმართა განყოფილების შექმნას, თუმცა მსგავსი განყოფილების არ არსებობის გამო არასრულწლოვანი გოგონები სრულწლოვნებთან ერთად იხდიდნენ სასჯელს ან, საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე, განთავსებულნი იყვნენ საპყრობილეში. აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით 2009 წლის მარტის თვეში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, თუმცა საანგარიშო პერიოდში არ არსებობდა მსჯავრდებული გოგონებისთვის განკუთვნილი სპეციალური ინფრასტრუქტურა.

არასრულწლოვანი ვაჟები სასჯელს იხდიან ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში, თუმცა მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ ქუთაისის N2 დაწესებულებაში რამდენიმე მათგანი განთავსებული იყო სრულწლოვან პატიმრებთან ერთად.

არასრულწლოვან განსასჯელთა განყოფილებები არის ასევე ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 საპყრობილეებში სრულწლოვან პატიმრებთან შედარებით გაუმჯობესებულ პირობებში.

უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები

მონიტორინგის დროისთვის საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში სასჯელს იხდიდა 81 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, მათ შორის – 3 ქალი.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის Rec(2003)23 „უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვა ციხის ადმინისტრაციების მიერ“, მე–4 პუნქტის მიხედვით, „ციხის საცხოვრებელი პირობები მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს ციხის გარეთ ჩვეულებრივ საცხოვრებელ პირობებთან (ნორმალიზაციის პრიციპი).“ იმავე დოკუმენტის მე–7 პუნქტის თანახმად, „არ უნდა მოხდეს უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების იზოლაცია მხოლოდ მათი სასჯელის ტიპის გამო (იზოლაციის დაუშვებლობის პრინციპი).“

უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, იმყოფებიან სასჯელის მოხდის საპყრობილის რეჟიმზე, შესაბამისად, არ ხდება ნორმალიზაციის პრინციპის დაცვა და მათ ცხოვრების დიდი ნაწილის გატარება უწევთ სხვა კატეგორიის პატიმრებისაგან იზოლირებულად და დღეში მხოლოდ ერთი საათი ან საათნახევარი სარგებლობენ სუფთა ჰაერზე გასვლის უფლებით, რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური მოპყრობა.

ასევე არ არის დაცული პროგრესირების პრინციპი, რომლის თანახმად, პატიმრის უვადო ან გრძელვადიანი სასჯელის მართვის ინდივიდუალური დაგეგმვა მიზნად უნდა ისახავდეს ციხის სისტემაში მის პროგრესირებად მობილურობას – უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების უდიდესი ნაწილი (71 მსჯავრდებული) სასჯელს იხდის რუსთავის N6 დაწესებულებაში. დროდადრო, დასჯის მიზნით, ისინი

გადაჰყავთ თბილისის N7 საპყრობილეში, სადაც იმყოფებიან უფრო გამკაცრებულ რეჟიმზე.

სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, შევიდეს შესაბამისი ცვლილებები „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რათა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების სასჯელის მოხდის რეჟიმი განისაზღვროს ციხის ევროპული წესების შესაბამისად.

ე. გადატვირთულობა

ევროპული სტანდარტები

ციხის ევროპული წესების მიხედვით, „ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით.“[54]

წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) სტანდარტების მიხედვით, ყოველ პატიმარს თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეს სულ მცირე 4 კვ.მ. ფართობი.[55]

ქართული კანონმდებლობა

საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ 33–ე მუხლის მე–2 პუნქტის მიხედვით, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ უნდა იყოს 2კვ. მ–ზე, საპყრობილეში 2,5 კვ.მ–ზე, ქალთა დაწესებულებაში 3 კვ.მ–ზე, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში 3,5 კვ.მ–ზე, ხოლო სამკურნალო დაწესებულებაში _ 3 კვ.მ–ზე ნაკლები.“

პრობლემა და მისი მოგვარების გზები

სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობა წლების მანძილზე უმთავრეს პრობლემად რჩება, რაც, თავის მხრივ, არაეფექტურს ხდის მრავალ რეფორმასა და წამოწყებას.

---

[54] წესი 21.

[55] წამების პრევენციის კომიტეტის 2007 წლის ანგარიში, 32–ე პარაგრაფის ბოლო აბზაცი.

გადატვირთულობის პრობლემის მოუგვარებლობის მიზეზად, პირველ რიგში, არასწორი მიდგომა უნდა დასახელდეს – პრობლემის გადაჭრის უპირველეს მეთოდად განიხილება დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა, მაშინ, როდესაც აღნიშნული საკითხი ბევრად უფრო კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ამგვარი ხედვა, მათ შორის, ასახულია ევროპის საბჭოს 1999 წლის 30 სექტემბრის NR (99) 22 რეკომენდაციაში ციხეების გადატვირთულობისა და პატიმართა რიცხვის ზრდის შესახებ.

ხსენებული რეკომენდაცია გატვირთულობის პრობლემის გადაჭრის გზად მიიჩნევს ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა სისხლის სამართლის პოლიტიკის შერბილება, მცირე საფრთხის მატარებელი ქმედებების დეკრიმინალიზაცია, თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის მაქსიმალური შემცირება, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების თუ სასჯელების, პირობითი მსჯავრის, ამნისტიებისა და შეწყალებების ფართო გამოყენება. აღნიშნული რეკომენდაციის 1–ლი პუნქტის მიხედვით, „თავისუფლების აღკვეთა უნდა განიხილებოდეს, როგორც უკიდურესი შემთხვევა და მხოლოდ მაშინ გამოიყენებოდეს, როდესაც, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ნებისმიერი სხვა სანქცია ან ზომა აშკარად არაადეკვატური იქნებოდა.“ იგივეა ნათქვამი 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაციაში ევროპული ციხის წესების შესახებ.[56]

იმავე რეკომენდაციის მე–2 პუნქტის მიხედვით, „ციხის ინფრასტრუქტურის გაზრდა უკიდურესი ზომა უნდა იყოს, ვინაიდან გრძელვადიან პერსპექტივაში არაეფექტურია გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ციხეების გადატვირთულობის პრობლემა არ წარმოადგენს მხოლოდ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს კომპეტენციას, არამედ მოითხოვს ყველა იმ ორგანოს მობილიზაციას, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის სამართლის პოლიტიკას, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცედურებსა და პრაქტიკას, სასჯელის სახესა და ხანგრძლივობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრა მხოლოდ საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ერთობლივი და კოორდინირებული ქმედებების შედეგად არის შესაძლებელი.

სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რათა ამჟამად მოქმედი შეკრებითობის პრინციპი შეიცვალოს შთანთქმის პრინციპით.

[56] Rec(2006)2

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარ პროკურორს, სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის განსაზღვრისას საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების შემთხვევაში პრიორიტეტი მიანიჭოს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ, უფრო მსუბუქ სასჯელის სახეებს.

მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

სახალხო დამცველის ყველა მოხსენებაში ხაზგასმითაა აღნიშნული გადატვირთულობის პრობლემის მოგვარების აუცილებლობის შესახებ, თუმცა დღემდე დაწესებულებათა უმრავლესობაში ისევ დგას გადატვირთულობის პრობლემა. კერძოდ, რუსთავის N2 დაწესებულებაში, რომლის ლიმიტია 2744, ხოლო მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 3223 მსჯავრდებული, ქსნის N7 დაწესებულებაში (ლიმიტი –1600, განთავსებულია 2475), ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში (ლიმიტი – 540, განთავსებულია 672), თბილისის N1 საპყრობილეში (ლიმიტი – 750, განთავსებულია 947[57]), ბათუმის N3 საპყრობილეში (ლიმიტი – 557, განთავსებულია 832), ზუგდიდის N4 საპყრობილეში (ლიმიტი – 305, განთავსებულია 462).

ზოგიერთ მათგანში გადატვირთულობას ემატება ის უმძიმესი საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებშიც პატიმრებს უწევთ ყოფნა, რაც, ერთად აღებული, შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში კანონის დარღვევით[58] ერთად არიან მოთავსებული მსჯავრდებული და წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და სახალხო დამცველის შეხვედრის დროს (როდის) ერთ–ერთი საკითხი, რომელზეც ყურადღება გამახვილდა, სწორედ სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობა იყო. მინისტრის განცხადებით, ახალი დაწესებულებების ექსპლუატაციაში შესვლა იგეგმება 2010 წლის თებერვლისთვის, რაც ამ ეტაპზე გარკვეულწილად გადაჭრის გადატვირთულობის პრობლემას.

---

[57] 2009 წლის აგვისტოს ბოლოსთვის თბილისის N1 საპყრობილეში პატიმართა რიცხვმა უკვე 1127–ს მიაღწია.

[58] „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლი.

3. სანიტარულ–ჰიგიენური პირობები

ევროპული სტანდარტები

ციხის ევროპული წესების თანახმად, ადეკვატური შესაძლებლობის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს შხაპით ან აბაზანით სარგებლობა კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში თუ ეს შესაძლებელია ყოველდღიურად, ან სულ მცირე კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა უფრო ხშირადაც) ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე.“[59] „პატიმრებმა ყურადღება უნდა მიაქციონ პირად ჰიგიენას, სუფთად და მოწესრიგებულად იქონიონ ტანსაცმელი და საძინებელი.“[60] „ხსენებულის განსახორციელებლად ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პატიმრები შესაბამისი საშუალებებით, მათ შორის, ტუალეტის და ჰიგიენური საშუალებებითა და ასევე ზოგადი საწმენდი მასალებით.“[61] ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით და ცალკე სათანადო ქვეშაგებით, რომელიც მოწესრიგებულ მდგომარეობაში უნდა იქონიოს და შეიცვალოს იმდენად ხშირად, რომ მისი სისუფთავე იქნეს დაცული.“[62]

ქართული კანონმდებლობა

ციხის სანიტარულ–ჰიგიენურ პირობებს ასევე დიდი ადგილი ეთმობა ქართულ კანონმდებლობაში, კერძოდ, მათ განსაზღვრავს როგორც „პატიმრობის შესახებ“ კანონი, ასევე საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 1999 წლის 22 დეკემბრის N5/500/ო ბრძანება „მსჯავრდებულთა კვების ნორმების, ტანსაცმლისა და სანიტარულ–ჰიგიენური პირობების შესახებ“.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 27–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მსჯავრდებულის მოვალეობაა, „დაიცვას პირადი ჰიგიენა, სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი სადგომი.“

იმავე კანონის 34–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, „კვირაში ერთხელ მაინც მსჯავრდებული უზრუნველყოფილ უნდა იყოს სუფთა თეთრეულით და საპარიკმახერო მომსახურებით.“ 35–ე მუხლის მე–2 პუნქტის მიხედვით, „მსჯავრდებულს პირად

[59] წესი 19.4
[60] წესი 19.5
[61] წესი 19.6
[62] წესი 21.

სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლი და თეთრეული, რომელიც მას უნდა გადაეცეს სუფთა და დაუზიანებელი. თეთრეულის გამოცვლის პერიოდი უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენის მოთხოვნებს.“

იმავე კანონის 42–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახური ან ექიმი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს „ბ) დაწესებულების ტერიტორიისა და ნაგებობის სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა; გ) მსჯავრდებულთა ტანსაცმლისა და საწოლის თეთრეულის მდგომარეობა და სეზონის პირობებთან შესაბამისობა.“

მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სანიტარულ–ჰიგიენური პირობები, რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელია. შხაპების მოღების ინტენსივობა, როგორც წესი, არ აძლევს საშუალებას პატიმარს, შეინარჩუნოს სისუფთავე. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით თვალშისაცემია საპყრობილეებში, სადაც პატიმრებს ადმინისტრაციის გარეშე ხელი არ მიუწვდებათ საშხაპეებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქუთაისის N2 დაწესებულება, სადაც რამდენიმე წელია, პატიმრები მოკლებულნი არიან შხაპის მიღების საშუალებას და იბანენ საკნის პირობებში, ბოთლებში დაგროვილი წყლით.

რამდენიმე დაწესებულების გარდა, ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს პატიმრებს საჭირო თეთრეულით და ჰიგიენის ნივთებით. მათ მიეწოდებათ მხოლოდ სარეცხი საპონი და ფხვნილი, ისიც არა რეგულარულად, არამედ მოთხოვნისამებრ. თეთრეულს მსჯავრდებულები იღებენ ამანათით ან ყიდულობენ დაწესებულების მაღაზიაში. ამასთან დაწესებულებებში, სადაც თეთრეულის ამანათით მიწოდება აკრძალულია, პატიმრები ხშირად ჩივიან იმის თაობაზე, რომ მაღაზიაში არსებული თეთრეული უხარისხოა (გადასდის ფერი) და ძვირია.

მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, არცერთ დაწესებულებაში ექიმი რეგულარულად არ ამოწმებს საკნების სანიტარულ–ჰიგიენურ პირობებს და ტანსაცმლისა და თეთრეულის მდგომარეობას. ამის უმთავრესი მიზეზი, ჩვენი აზრით, დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი რაოდენობაა – მაშინ, როდესაც, მსჯავრდებულთა რაოდენობიდან გამომდინარე, ექიმი ხშირად ვერ ახერხებს, სრულყოფილად განახორციელოს თავისი უმთავრესი ფუნქცია – პატიმრების ჯანმრთელობაზე ზრუნვა –

ძნელია, მას მოსთხოვო ამის პარალელურად დაწესებულების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლიც.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეგულარული სანიტარულ–ჰიგიენური შემოწმებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

მონიტორინგის ჯგუფის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების უმრავლესობის ზოგადი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არათუ არ აკმაყოფილებს ეროვნულ ან საერთაშორისო სტანდარტებს, არამედ შემაშფოთებელიც კია. საკნებსა და სხვა ინფრასტრუქტურებში სიბინძურეა, საკნებში არის მკბენარები და მღრღნელები, არ ხდება სრულყოფილი და რეგულარული დეზინფექცია და დერატიზაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი დაწესებულების საკნების იატაკი, კედლები თუ საპირფარეშოები ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, რომ თითქმის შეუძლებელია სისუფთავის შენარჩუნება. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემა დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული საფრთხის ქვეშ დგება პატიმართა ჯანმრთელობა.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, მიიღოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დამაკმაყოფილებელი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის შექმნისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი ზომები, ასევე უზრუნველყოს პატიმრებისათვის საჭირო სარეცხი და საწმენდი საშუალებების რეგულარული მიწოდება. ასევე უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და შესაბამის ორგანიზაციებს შორის დადებული სასჯელაღსრულების დაწესებულებების დერატიზაციისა და დეზინსექციის ხელშეკრულებების ეფექტური შესრულების კონტროლი.

ზ. საყოფაცხოვრებო პირობები

ევროპული სტანდარტები

ციხის ევროპული წესების მიხედვით, ,,პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი შენობა, განსაკუთრებით კი საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემის და შეძლებისდაგვარად ასევე განმარტოების მოთხოვნებს. ასევე დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობის, განათების და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით.“[63]

„ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან:

ა. ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების ჯეროვანი სისტემა;

ბ. ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს.“

ქართული კანონმდებლობა

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33–ე მუხლის 1–ლი პუნქტის მიხედვით, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი სადგომი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო–ტექნიკურ და სანიტარიულ–ჰიგიენურ ნორმებს და უზრუნველყოფდეს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.“ იმავე მუხლის მე–4 პუნქტის მიხედვით, „საცხოვრებელ სადგომს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას.“

მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

მხოლოდ გლდანის N8 საპყრობილის, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების, გეგუთის N8 საერთო და მკაცრი სასჯელაღსრულების დაწესებულების N6 საცხოვრებელი კორპუსისა და რუსთავის N2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების მე–5 საცხოვრებელი კორპუსის საყოფაცხოვრებო პირობები შეესაბამება სტანდარტებს. დანარჩენ დაწესებულებებში საყოფაცხოვრებო პირობები არადამაკმაყოფილებელია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის N1, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 საპყრობილეები, ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის

[63] წესი 18.1

დაწესებულება, ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება.

აღნიშნულ დაწესებულებებში ხშირად არ არის საკმარისი განათება და ვენტილაცია, ფანჯრები იმდენად პატარაა, რომ არ უზრუნველყოფს ჰაერისა და შუქის მიწოდებას. ზოგიერთ დაწესებულებაში დამონტაჟებულია ცენტრალური ვენტილაციის სისტემა, თუმცა მას დღეში ერთხელ ან ორჯერ რთავენ. ზოგიერთი დაწესებულების საკნებში საპირფარეშო არ არის იზოლირებული საცხოვრებელი სადგომიდან, რაც არ აძლევს საშუალებას პატიმრებს, ღირსების დაცვით დაიკმაყოფილონ ბუნებრივი მოთხოვნილებები. ზოგიერთ შემთხვევაში პატიმრებს არ მიეწოდებათ კანონით დადგენილი ავეჯი და ნივთები, როგორებიცაა მაგიდა, სკამი, ჭურჭელი, ჰიგიენის ნივთები და ა.შ.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, პატიმრების სტანდარტების შესაბამის დაწესებულებებში განთავსებამდე უზრუნველყოს საკნების ეკიპირება აუცილებელი ავეჯით, ასევე საკმარისი ხელოვნური განათებისა და ვენტილაციის სისტემით.

თ. კონტაქტი გარე სამყაროსთან

ევროპული სტანდარტები

ციხის ევროპული წესების მიხედვით, „პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე დაენიშნოთ პაემნები ამ ადამიანებთან.“[64] „პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება მიეცეთ პატიმრებს შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები მაქსიმალურად ნორმალურ გარემოში.“[65] „როდესაც გარემოებები იძლევა ამის საშუალებას პატიმარს უფლება უნდა მიეცეს დატოვოს ციხე ბადრაგის თანხლებით ან მარტომ ავადმყოფი ნათესავის მოსანახულებლად, დაკრძალვაზე დასასწრებად ან სხვა ჰუმანიტარული

[64] წესი 24.1
[65] წესი 24.4

მოსაზრებებით.“[66] „პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება დაუყოვნებლივ შეატყობინონ თავიანთ ოჯახებს დაპატიმრების ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ, ან სერიოზული დაავადებისა თუ დაზიანების შესახებ, რომელიც მათ აწუხებთ.“[67] „პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი საქმეების შესახებ და ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული სასამართლო ხელისუფლების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურ შემთხვევაში.“[68]

ქართული კანონმდებლობა

საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ 50–ე მუხლის 1–ლი პუნქტის მიხედვით, „მსჯავრდებულს უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები, დადგენილი წესით და სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით ისარგებლოს საერთო სარგებლობის ტელეფონით, თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებას ამისი ტექნიკური შესაძლებლობა გააჩნია.“

იმავე კანონის 51–ე მუხლის თანახმად, „1. მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გაცნობის შესაძლებლობა.
2. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება რადიოსა და ტელევიზიის ტრანსლაცია. მსჯავრდებულთათვის რეჟიმით გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად მათ შეიძლება ჰქონდეთ პირადი რადიომიმღები, ტელევიზორი, ვიდეო ან აუდიო მაგნიტოფონი, საბეჭდი საშუალება, თუ მათი გამოყენება არ არღვევს დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა მსჯავრდებულთა სიმშვიდეს. აღნიშნული ტექნიკის გამოყენების ხარჯებს (ელექტროენერგიისა და სხვა) იხდის მსჯავრდებული.
3. მსჯავრდებულს შეუძლია საკუთარი სახსრებით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო–პოპულარული, რელიგიური, მხატვრული ლიტერატურა, გაზეთები და ჟურნალები.“

მდგომარეობა სასჯელარსრულების დაწესებულებებში

[66] წესი 24.7
[67] წესი 24.8
[68] წესი 24.10

სასჯელაღსრულების დაწესებულებების უმრავლესობაში მსჯავრდებულების ტელეფონით სარგებლობის უფლება გარანტირებულია, თუმცა ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდის N4 საპყრობილე, სადაც, 2009 წლის I ნახევრის მონიტორინგის დროს საერთოდ არ იყო დამონტაჟებული ტელეფონის აპარატები და მხოლოდ სამეურნეო ნაწილში დასაქმებულ პატიმრებს ეძლეოდათ ტელეფონით სარგებლობის საშუალება. 2009 წლის ივლისში N4 საპყრობილეში უკვე დამონტაჟებული იყო 4 აპარატი, თუმცა მონიტორინგის დროს არცერთი მათგანი არ მუშაობდა და პატიმრები კვლავ მოკლებულნი იყვნენ ტელეფონით სარგებლობის უფლებას.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოს პატიმრების ტელეფონით სარგებლობის უფლების განხორციელების კონტროლი.

ასევე 2009 წლის I ნახევრის მონიტორინგის დროს ბათუმის N3 საპყრობილეში პატიმრები ვერ ახერხებდნენ სატელეფონო ბარათების შეძენას, რის გამოც ვერ სარგებლობდნენ ტელეფონით, თუმცა უკანასკნელი მონიტორინგის დროს აღნიშნული პრობლემა უკვე მოგვარებული იყო.

უფრო პრობლემატურია რადიოსა და ტელევიზიის ტრანსლაცია. რაც შეეხება რადიოს, დღეისთვის ყველა დაწესებულებაში ხდება რადიოს ტრანსლაცია. ტელევიზორების ქონის უფლების მინიჭება კი დღემდე წახალისებად აღიქმება და ამის გამო ბევრ დაწესებულებაში პატიმრებს ტელევიზორები არ აქვთ, თუმცა კანონი მხოლოდ რეჟიმით გათვალისწინებულ შეზღუდვებს ითვალისწინებს, ხოლო ამგვარი სახის შეზღუდვა არცერთი არსებული რეჟიმისთვის არ არსებობს.

ცალკე უნდა აღინიშნოს თბილისის N7 საპყრობილე, სადაც 2009 წლის ივნისში და ივლისის პირველ ნაწილში არ მუშაობდა ტელეფონი და შეწყვეტილი იყო ტელეტრანსლაცია. არსებობს ეჭვი, რომ აღნიშნული განხორციელდა მსჯავრდებულთა დასჯის მიზნით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საპყრობილეში არ ხდება სატელევიზიო არხების ტრანსლაცია, არამედ ცენტრალიზებულად ირთვება დვდ–ები გასართობი პროგრამებითა და ფილმებით. რადიოც მხოლოდ ერთ, ადმინსიტრაციის მიერ შერჩეულ არხს ტრანსლირებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ N7 საპყრობილეში მსჯავრდებულები მოკლებულები არიან ინფორმაციის სრულყოფილად მიღების საშუალებას.

სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა განისაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტელე და რადიოტრანსლაცია განსაკუთრებული შეზღუდვების გარეშე.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უზრუნველყოს ტელე და რადიოტრანსლაცია ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

პრესა, როგორც წესი, პატიმრებს მიეწოდებათ ამანათით და მისი შემენა შესაძლებელია დაწესებულებების მაღაზიაშიც. ძირითადად, პრესა ფართოდაა ხელმისაწვდომი პატიმრებისათვის. გამონაკლისის სახით უნდა აღვნიშნოთ რუსთავის N6 დაწესებულება, სადაც საანგარიშო პერიოდის გარკვეულ მომენტებში პატიმრებს შეეძლოთ მხოლოდ სამი დასახელების გაზეთის მიღება. ჩვენთვის დღემდე უცნობია, რასთან იყო დაკავშირებული ეს შეზღუდვა. ქუთაისის N2 დაწესებულებაში ასევე პრობლემატურია პრესის მიღება იმ პატიმრებისათვის, რომლებიც ჟურნალ–გაზეთებს ამანათებით ვერ იღებენ, რადგან მაღაზიაში პრესა არ იყიდება.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოს პრესის ხელმისაწვდომობა.

რაც შეეხება მიმოწერის უფლებას, იგი გარანტირებულია, თუმცა თავად პატიმრები და მათი ოჯახის წევრები ხშირად არ სარგებლობენ აღნიშნული უფლებით, განსაკუთრებით იმ დაწესებულებებში, სადაც ტელეფონით სარგებლობა საკმარისი რეგულარობით არის შესაძლებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის დროს ხშირი იყო პატიმრების ჩივილი იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიერ დაწერილ საჩივრებს ზოგჯერ არ იბარებენ ან არ აგზავნიან. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ საჩივრებს, რომლებიც შეეხება დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების უფლების დარღვევას. ხშირია შემთხვევები, როდესაც დაწესებულების ადმინისტრაცია აგზავნის პატიმრების საჩივრებს, თუმცა ამ უკანასკნელთათვის მიუწვდომელია გაგზავნილი წერილის

ნომერი, რაც გაუგებრობებს იწვევს და კიდევ ერთხელ ადასტურებს სასჯელაღსრულების სისტემაში მოქმედი სოციალური სამსახურის უუნარობას.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, უზრუნველყოს პატიმართა კორესპენდენციის გაგზავნის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვის კონტროლი.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებების უმეტესობაში არის საჩივრის ყუთები, ხშირ შემთხვევაში პატიმრებს მიაჩნიათ, რომ კონფიდენციალობა არ არის დაცული და საჩივრის ყუთში მოთავსებული განცხადებებიც ვერ მიაღწევს ადრესატამდე. მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, ზოგიერთ დაწესებულებაში საჩივრის ყუთები დაულუქავია, საერთოდ არ იკეტება ან განთავსებულია პატიმართათვის ძნელად მისაწვდომ ადგილას, მაგალითად, ადმინისტრაციის შენობაში. ხონის N9 დაწესებულებაში, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებასა და გლდანის N8 საპყრობილეში საერთოდ არ არის საჩივრის ყუთები.

ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან პაემნის უფლებით სარგებლობა ყველა დაწესებულებაში გარანტირებულია. ზოგიერთ დაწესებულებაში პაემნები ხორციელდება შუშის იქით, რაც გარკვეულწილად ზღუდავს პატიმრებისა და მათი ახლობლების კომუნიკაციას. აღნიშნულს ადმინისტრაცია უსაფრთხოების ზომებით ხსნის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც მოქმედ და არც განხილვაში მყოფ პატიმრობის კოდექსში არ არის გათვალისწინებული გრძელვადიანი პაემნით სარგებლობის უფლება. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მდგომარეობა. აღნიშნულის თაობაზე სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, ასევე პარლამენტის თავმჯდომარეს. სამინისტროდან 2009 წლის 4 აგვისტოს მიღებული N2/03–2526 პასუხის მიხედვით, „სამინისტროში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რათა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება მიეცეთ მსჯავრდებულებს და მათ შორის, უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს და ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებით.“ გაუგებარია, თუ ამჟამად განხილვაში მყოფი პატიმრობის კოდექსის ფარგლებში არ განიხილება მსჯავრდებულთათვის ხანგრძლივი პაემნის უფლების მინიჭება, რას გულისხმობს სამინისტრო, როდესაც აცხადებს, რომ ამ უფლების მისანიჭებლად

ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. ხანგრძლივი პაემნის დაშვების რეკომენდაციით სახალხო დამცველს არაერთხელ მიუმართავს შესაბამისი ორგანოებისათვის, თუმცა დღემდე უშედეგოდ.

სახალხო დამცველი წინადადებიით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდეს დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა უფლებას გრძელვადიან პაემნებზე.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, ახალ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უზრუნველყოს გრძელვადიანი პაემნებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გათვალისწინება.

სახალხო დამცველის აპარატის წერილის საპასუხოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან 2009 წლის 19 აგვისტოს მიღებული პასუხის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლებით ისარგებლა 38–მა მსჯავრდებულმა.

ი. კვება

ევროპული სტანდარტები

„პატიმრები უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ სათანადო საკვების რაციონით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.“[69] „საკვების რაციონის მოთხოვნები, როგორიცაა კალორიულობა და ცილების შემცველობა, გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით.“[70] „საკვების მომზადება და საჭმელად გამოტანა უნდა ხდებოდეს ჰიგიენურ პირობებში.“[71] „გათვალისწინებული უნდა იყოს სამჯერადი კვება, გონივრულ ინტერვალებში.“[72] „პატიმრებისათვის სუფთა სასმელი წყალი უნდა იყოს ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი.“[73] „ექიმმა ან კვალიფიციურმა მედდამ უნდა მოითხოვოს საკვები რაციონის შეცვლა კონკრეტული პატიმრისათვის, როდესაც ეს სამედიცინო მოსაზრებით

[69] წესი 22.1
[70] წესი 22.2
[71] წესი 22.3
[72] წესი 22.4
[73] წესი 22.5

საჭიროებას წარმოადგენს.“[74] „პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ და ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული სასამართლო ხელისუფლების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურ შემთხვევაში.“[75]

ქართული კანონმდებლობა

საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ 36–ე მუხლის 1–ლი პუნქტის თანახმად, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კვების ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს მოსახლეობის კვების ტრადიციებს და შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელ კომპონენტებს. აკრძალულია მსჯავრდებულის დასჯის მიზნით საჭმლის კალორიულობის დაქვეითება.“ იმავე მუხლის მე–4 პუნქტის მიხედვით, „მსჯავრდებულს შეუზღუდავი რაოდენობით უნდა ჰქონდეს სასმელი წყალი.“

ამავე კანონის 42–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახური ან ექიმი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს „მსჯავრდებულთათვის მიცემული საკვების ხარისხი და ოდენობა, მათი მომზადების სანიტარიულ–ჰიგიენური პირობები.“

სასჯელაღსრულების სისტემაში კვების ნორმები რეგულირდება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 1999 წლის 22 დეკემბრის N5/500/ო ერთობლივი ბრძანების საფუძველზე.

პატიმართა კვების ორგანიზება, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 16 ოქტომბრის N236 ბრძანების თანახმად, ხორციელდება შპს “მეგაფუდსა” და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის 2008 წლის 5 თებერვალს დადებული N76 ხელშეკრულების საფუძველზე. მთლიანობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა და პატიმართა სასუსართო უფლებების ნორმატივები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით N237 (2008 წლის 17 ოქტომბერი).

[74] წესი 22.6
[75] წესი 24.10

მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პატიმრების სამჯერადი კვება, თუმცა საკვების ხარისხზე ჩივილი, სახალხო დამცველის რწმუნებულების დაკვირვებით პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად აქცევს დაწესებულების ადმინისტრაცია ყურადღებას საკვების ხარისხს და მათ კალორიულობას.

2009 წლის 18 ივნისის წერილით სახალხო დამცველის აპარატმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დაწესებულების ექიმმა რამდენ შემთხვევაში მიმართა დაწესებულების ადმინისტრაციას საკვების უხარისხობასთან დაკავშირებით, კონკრეტული დაწესებულებების მითითებით. 2009 წლის 14 ივლისის N10/08/2–10547 წერილით გვეცნობა, რომ „ბოლო ექვსი თვის განმავლობაში საკვების უხარისხობასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების სისტემის არცერთი დაწესებულების ექიმს შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს.“ გამომდინარე იქიდან, რომ პატიმრები საკმაოდ ხშირად მიმართავენ სახალხო დამცველის რწმუნებულებს საკვების უხარისხობასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაწესებულების ექიმის კომტროლი საკვების ხარისხსა და კალორიულობაზე ფორმალურ ხასიათს ატარებს. აღნიშნულის მიზეზად შეიძლება ისევ და ისევ სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა მივიჩნიოთ.

ვინაიდან ერთ–ერთი დაწესებულება, რომელშიც ყველაზე ხშირია პატიმრების მხრიდან საკვების ხარისხზე ჩივილი, არის ქსნის N7 დაწესებულება, სახალხო დამცველის მიერ მოწვეულმა ექსპერტმა, ცენტრ “ემპათია”–ს კრიზისული ინტერვენციის პროგრამის კორდინატორმა, კვების ექიმმა (სახელმწიფო სერთიფიკატი: კვების ჰიგიენა. სერია 1ა°75 #03994) ლიანა კინწურაშვილმა განახორციელა ქსნის დაწესებულების საკვების ექსპერტიზა.

შემოწმების დროს გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემატური საკითხი. „სხვადასხვა დაწესებულებებში განსხვავებული კვების რაციონით სარგებლობენ, კერძოდ, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა კვებაში დამატებულია რძე და რძის პროდუქტები, რაც უნდა იძლეოდეს განფასების დროს რაოდენობრივ ცლილებას. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა – ტუბერკულოზით დაავადებულთა კვება სცილდება 90 ლარის ოდენობას თუ სხვა დაწესებულებების პატიმართა კვება ვერ ავსებს 90 ლარიან კვოტას?

ნუტრინტული შემადგენლობა თითოეული დიეტის თითქმის იდენტურია. დამზოგავი ფუნქცია N1 მაგიდის სრულიად იგნორირებულია. ხორცი, რომელიც ამ დიეტის დროს ძირითადად დაქუცმაცებული სახით უნდა მიეწოდებოდეს, არ მიეწოდება ასეთი სახით. დიეტა N1-ში და N5-ში შვრიის ნაწარმი ე.წ. "ჰერკულესი" საერთოდ არ არის გამოყენებული. ცნობისათვის ამ პროდუქტის დამზოგავი და სამკურნალო ეფექტი დიეტოთერაპიაში უფრო ცნობილია, ვიდრე მაკარონის ნაწარმის, რომლის გადამუშავება ორგანიზმისათვის საკმაოდ რთულია იმ პათოლოგიების დროს, რომელზედაც გათვლილია აღნიშნული დიეტები.

- ასევე კრიტიკას ვერ უძლებს დიეტა N9-ის შემადგენლობა, რომელშიც ნახშირწყლების რაოდენობა, იგულისხმება რაფინირებული ნახშირწყლები, დასაშვებ ნორმაზე მეტად არის წარმოდგენილი.

- გაუგებარია, რომელი კატეგორიის პურს იყენებენ ამ დიეტის მომხმარებელთათვის. მენიუში არ არის მითითებული პურის სახეობა."

სრული სურათისთვის აუცილებელია სრულყოფილი ექსპერტიზის ჩატარება რამდენიმე პრობლემურ დაწესებულებაში.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, მიიღოს შესაბამისი ზომები მსჯავრდებულთათვის მიწოდებული საკვების ხარისხის კონტროლის გასაუმჯობესებლად.

კ. განათლება

ევროპული სტანდარტები

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1989 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია R (89) 12 ციხეებში განათლების შესახებ განათლებას მიიჩნევს ციხეების ჰუმანიზაციისა და მათში პირობების გაუმჯობესების საშუალებად, ასევე პატიმრის საზოგადოებაში დაბრუნების გაადვილების გზად. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი განათლების სისტემა უნდა მოიცავდეს საშუალო და პროფესიულ განათლებას, არტისტულ და კულტურულ ღონისძიებებს, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს, სამოქალაქო განათლებასა და

ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობას.[76] ვინაიდან საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში განათლების მიღება მხოლოდ ერთეული პატიმრებისათვისაა შესაძლებელი, ყურადღებას აღარ გავამახვილებთ იმაზე, რომ 1989 წლის რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფომ ასევე უნდა იზრუნოს, რომ გათავისუფლების შემდეგ პირს საშუალება უნდა მიეცეს, გააგრძელოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაწყებული განათლება.[77]

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ განსაზღვრავს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1989 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაციის შესაბამის უფლებებს მსჯავრდებულთათვის.

კანონის 26–ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების მიხედვით, მსჯავრდებულს უფლება აქვს:
„გ) მიიღოს ზოგადი, პროფესიული ან უმაღლესი განათლება, გაიაროს სოციალური ადაპტაციის კურსები, გაეწიოს კონსულტაციები;
დ) მიიღოს მონაწილეობა კულტურულაღმზრდელობით ან რელიგიურ ღონისძიებაში, ისარგებლოს შესაბამისი ინვენტარითა და ლიტერატურით;
ე) ეწეოდეს ინდივიდუალურ საქმიანობას და ადმინისტრაციის კონტროლით იქონიოს ამისათვის საჭირო ხელსაწყოები;“

ამავე კანონის 28-ე მუხლის მიხედვით, „სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია იყენებს შესაბამის სასწავლო, აღმზრდელობით და სოციალურ პროგრამებსა და მსჯავრდებულთა ინიციატივის წახალისებას გათავისუფლების შემდეგ მათ მიერ სოციალურად დადებითი საქმიანობის განსახორციელებლად.“

ამავე კანონის X თავი დეტალურად განსაზღვრავს, რა ტიპის განათლების მიღების საშუალება უნდა ჰქონდეს მსჯავრდებულს სასჯელაღსრულების დაწესებულების პირობებში:

თავი X
სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა
განათლება და პროფესიული სწავლება

[76] R (89) 12, 1-ლი პუნქტი.
[77] ibid, მე–16 პუნქტი.

მუხლი 44. მსჯავრდებულთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლება

სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას პირობები, რათა მსჯავრდებულებმა მიიღონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლება. ადმინისტრაცია ვალდებულია დაწესებულებაში მოაწყოს ბიბლიოთეკა, რომელშიც უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე პატიმრობის შესახებ კანონმდებლობა, ევროპული პენიტენციური წესები. მსჯავრდებულებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სოციალური ადაპტაციის სასწავლო ჯგუფებში, რომელთა შექმნაც სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მოვალეობაა.

მუხლი 45. ზოგადი განათლება

1. მსჯავრდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს ზოგადი განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამით.

2. არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის დაწყებითი განათლების მიცემა სავალდებულოა. სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს საბაზო განათლებას.

3. მსჯავრდებულს, რომელიც ვერ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, უნდა შეექმნას პირობები მის დასაუფლებლად.

მუხლი 46. პროფესიული განათლება

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა შეიქმნას პირობები მსჯავრდებულთა პროფესიული დონის ასამაღლებლად.

2. პროფესიული სწავლება ნებაყოფლობითია იმ მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც გააჩნიათ რაიმე სპეციალობა, აგრეთვე არასრულწლოვან და იმ მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც სპეციალური განათლება არ გააჩნიათ.

3. მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლების დროს უპირატესობა ეძლევა იმ პროფესიებს, რომელთა შესწავლაც სასჯელაღსრულების დაწესებულებების პირობებშია შესაძლებელი.

4. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით უფლება აქვს ნება დართოს მსჯავრდებულს ექსტერნად ისწავლოს საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში.

5. მსჯავრდებულის ექსტერნად სწავლების წესსა და პირობებს განსაზღვრავს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით. *(31.10.2008 N 435 ამოქმედდეს 2009 წლის 1 თებერვლიდან)*

მდგომარეობა სასჯელაღსრულების სისტემაში

პატიმრების განათლების ორგანიზება საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არადამაკმაყოფილებელია. მხოლოდ ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში აქვთ არასრულწლოვან ვაჟებს საშუალება, მიიღონ ზოგადი განათლება. საანგრიშო პერიოდში ორმა მათგანმა ერთიანი ეროვნული გამოცდებიც ჩააბარა და მოიპოვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფლება, რის შემდეგაც ისინი შეწყალებულ იქნენ. აღნიშნული უნდა შეფასდეს, როგორც ძალიან დადებითი და გასაგრძლებელი ტენდენცია.

საანგარიშო პერიოდში ამგვარ შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ მსჯავრდებული გოგონები. რაც შეეხება წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვნებს, მათ საერთოდ არ ეძლევათ საშუალება, მიიღონ განათლება. ვინაიდან წინასწარი პატიმრობა შეიძლება თვეობით გაგრძელდეს, აღნიშნულმა შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს შემდგომში არასრულწლოვნის სასწავლო სისტემაში ჩართვისას.

გარდა ამისა, თუ არასრულწლოვნის პროფილი არ იძლევა მისი პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების საშუალებას და იმავე თუ სხვა მიზეზით პრეზიდენტმა არ ისურვა მისი შეწყალება, უცნობია, როგორ უნდა მოახერხოს მან, თუნდაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში, უმაღლესი განათლების მიღება, მაშინ, როდესაც „დისტანციური სწავლების პროგრამის არარსებობის გამო მსჯავრდებულთა მიერ უმაღლესი განათლების მიღების საკითხი სისტემურად გადაწყვეტილი არ არის.“[78]

რაც შეეხება სრულწლოვან პატიმრებს, ისინი თითქმის სრულად არიან მოკლებულნი განათლების მიღების საშუალებას. როგორც ზემოთ მოყვანილი პასუხიდანაც ჩანს, დისტანციური სწავლების სისტემა ჯერჯერობით არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მსჯავრდებულები მოკლებულნი არიან ციხეში განათლების მიღების საშუალებას. 2008 წლის დეკემბერში სახალხო დამცველმა, რამდენიმე პატიმრის მომართვის საფუძველზე, წერილობით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უმაღლესი განათლების ორგანიზების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. 2009 წლის 20 იანვარს მიღებული პასუხის მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად განაგრძობს საქმიანობას დაწესებულებებში უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ასევე გვაცნობეს, რომ

[78] სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2009 წლის 23 მარტის N10/8/3–3010 პასუხი.

ამჟამად პატიმრებისათვის უმაღლესი განათლების მიღებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის პროცედურები დაზუსტებული არ არის. შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზის არსებობისას ნებისმიერ პატიმარს ექნება შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში და მიიღოს უმაღლესი განათლება.

სახალხო დამცველის აპარატი დამატებით დაინტერესდა, რა ღონისძიებებში თუ დოკუმენტებშია ასახული აღნიშნული სამუშაო ჯგუფის აქტიურობა, რის თაობაზეც 2009 წლის 9 მარტს წერილობით მიემართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზემოაღნიშნული ჯგუფის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის მიღების თაობაზე. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 23 მარტის პასუხში ასევე აღნიშნული იყო, რომ „სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებისაგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა გააუქმა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული ის პროფესიული სწავლებები რომლებიც ფორმალურად ფუნქციონირებდნენ, რეალურად კი სასწავლო პროცესს ვერ ახორციელებდნენ. ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში არსებულ სამკერვალო ბაზაზე, პროფესიული სწავლების ცენტრ „სპექტრთან“ ერთად ხორციელდება პროფესიული სწავლების კურსი, სადაც ამზადებენ მკერავებს და გამომჭრელ–მოდელიორებს. კურსის დამთავრების შემდეგ გამოცდა წარმატებით ჩააბარა 40 მსჯავრდებულმა(20 მკერავი და 20 გამომჭრელ–მოდელიორი), მათ მიიღეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკათები. ამჟამად პროფესიული სწავლების კურსს გადის ახალი ჯგუფი.

რაც შეეხება ზოგად განათლებას, სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება პროგრამულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც არასრულწლოვან პატიმრებს საშუალება მიეცემათ მიიღონ სრულფასოვანი ზოგადი განათლება. პროგრამული სწავლების პროექტი ამოქმედდება 2009 წლის სექტემბრიდან.სექტემბრამდე განხორციელდა პილოტური პროგრამა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს არასრულწლოვან მოსწავლეთა სრულად ჩართვა ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო სისტემაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მოხდა წიგნების, დვდ–ს, კომპიუტერების, საშინაო კინოთეატრისა და სხვა ტექნიკის შეტანა.“

თბილისის N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებიდან მიღებული პასუხის მიხედვით, გარდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წერილში მოყვანილი სამკერვალო კურსებისა, 2009 წლის 18 აპრილამდე დაწესებულებაში მიმდინარეობდა

პროექტი მსჯავრდებულ ქალთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა, პროფესიული სწავლების მეშვეობით – „ქალი და ბიზნესი“.

ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში სკოლის ბაზაზე შექმნილია ხატვის, გერმანული ენის და კომპიუტერული პროგრამის შემსწავლელი წრეები, ასევე შექმნილია სპეციალური სასწავლო ჯგუფი წერა–კითხვის უცოდინარი მსჯავრდებულებისთვის.

რამდენიმე დაწესებულებაში ფუნქციონირებს კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თუმცა კომპიუტერების შეზღუდული რაოდენობიდან გამომდინარე მსჯავრდებულთა უმრავლესობა კურსებში ვერ იღებს მონაწილეობას.

მიგვაჩნია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში განათლების უფლების უზრუნველყოფა პრიორიტეტი უნდა გახდეს, რაც, პირველ რიგში, დადებითად აისახება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესზე.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, დააჩქაროს მსჯავრდებულთათვის დისტანციური სწავლების პროგრამის შემუშავება და დანერგვა.

რაც შეეხება სპორტულ აქტივობებს, პატიმრები თითქმის სრულად არიან მოკლებულნი სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების საშუალებას საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებებში. უკეთესი მდგომარეობაა საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებებში, სადაც მსჯავრდებულები დღის გარკვეულ ნაწილს სუფთა ჰაერზე ატარებენ და უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი სპორტული მოედნებითა და ინვენტარით. საპყრობილის რეჟიმზე მყოფ პატიმრებს ფიზიკური ვარჯიშის შესაძლებლობა შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ სეირნობის დროს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სასეირნო ეზოები უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ინვენტარით.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, უზრუნველყოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულების ეკიპირება სპორტული ინვენტარით.

ამ მხრივ გამონაკლისია ქსნის N7 დაწესებულება, სადაც საპყრობილის სასეირნო ეზოებში შექმნილია სავარჯიშო პირობები. ასევე არასრულწლოვანთა აღმზრდელობით

დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, „დაწესებულებაში რეგულარულად დადის ფეხბურთის მწვრთნელი, რომელიც წვრთნის მსჯავრდებულებს.“

სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკები, თუმცა წიგნების ფონდის განახლება ხდება იშვიათად და მწირი რაოდენობით. როგორც წესი, პატიმრები არ გამოთქვამენ პრეტენზიას ბიბლიოთეკების ხელმისაწვდომობაზე , თუმცა ხშირ შემთხვევაში ისინი აღნიშნავენ, რომ წიგნები არ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. ზოგიერთ დაწესებულებაში წიგნები ძირითადად რუსულ ენაზეა, რაც ბევრ პატიმარს არ აძლევს მათით სარგებლობის საშუალებას.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების წიგნების ფონდის რეგულარული განახლება პატიმრების საჭიროებების გათვალისწინებით.

ლ. შრომა

საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ XII თავი არეგულირებს მსჯავრდებულთა შრომის პირობებს. მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, მსჯავრდებულების დასაქმება ისევ პრობლემურ საკითხად რჩება. მხოლოდ რამდენიმე დაწესებულებაში არის შექმნილი მსჯავრდებულთა დასაქმების პირობები, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ისინი მოიცავს მსჯავრდებულთა უმნიშვნელო რაოდენობას. მაგალითად, ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში მუშაობს სამკერვალო საამქრო, სადაც დასაქმებულია 19 მსჯავრდებული ქალი,

ზოგიერთი დაწესებულების დირექტორის წერილობითი პასუხის მიხედვით ირკვევა, რომ ისინი დასაქმებულებად მიიჩნევენ სამეურნეო ნაწილში დასაქმებულ პატიმრებს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელნი არ იღებენ შრომის ანაზღაურებას, არ აქვთ განსაზღვრული სამუშაო საათები და დასვენების დღეები, მაშინ, როცა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55–ე მუხლის 1–ლი პუნქტის მიხედვით, „მსჯავრდებულის შრომის ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“

იმავე მუხლის მე–2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „მსჯავრდებულს ხელფასი ერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე. ხელფასის სრული განკარგვის უფლება მსჯავრდებულს მიეცემა გათავისუფლებისას. მას უფლება აქვს ეს თანხა თავისი შეხედულებისამებრ გადაუგზავნოს ოჯახის წევრებს და სხვა პირებს.“ მიგვაჩნია, რომ დასაქმებულ მსჯავრდებულებს, სურვილის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში, უნდა შეეძლოთ, ისარგებლონ საკუთარი შრომის შედეგად გამომუშავებული თანხით.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, შეიმუშავოს მსჯავრდებულთა მასიური დასაქმებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ნუსხა.

სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რათა მეწარმეებს, რომლებიც იზრუნებენ მსჯავრდებულთა დასაქმებაზე, განესაზღვროთ საგადასახადო შეღავათები.

III. წინადადებები და რეკომენდაციები

წინადადებები საქართველოს პარლამენტს

1. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა:
   - გაიმიჯნოს პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევები;
   - განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის ვადის ამოწურვის შემდეგ დაწესებულებაში დაუბრუნებლობა მსჯავრდებულს საპატიოდ ჩაეთვლება;
   - განისაზღვროს ხანმოკლე გასვლის შემთხვევაში გირაოს შეფარდების წესები.
2. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რათა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების სასჯელის მოხდის რეჟიმი განისაზღვროს ციხის ევროპული წესების შესაბამისად;
3. შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რათა ამჟამად მოქმედი შეკრებითობის პრინციპი შეიცვალოს შთანთქმის პრინციპით;

4. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა განისაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტელე და რადიოტრანსლაცია განსაკუთრებული შეზღუდვების გარეშე;
5. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდეს დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა უფლებას გრძელვადიან პაემნებზე;
6. შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რათა მეწარმეებს, რომლებიც იზრუნებენ მსჯავრდებულთა დასაქმებაზე, განესაზღვროთ საგადასახადო შეღავათები.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს ბიუჯეტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღოს ის გაზრდილი ფინანსური მოთხოვნილებები, რომლებიც ამჟამად მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების წარმატებით გატარებისთვისაა აუცილებელი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარ პროკურორს:

სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის განსაზღვრისას საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების შემთხვევაში პრიორიტეტი მიანიჭოს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ, უფრო მსუბუქ სასჯელის სახეებს.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

1. უმოკლეს დროში უზრუნველყოს N1 საპყრობილის ლიკვიდაცია;
2. გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სოციალური მუშაკების დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნისა და მათი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით;
3. უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა კვალიფიკაციის მინიმალური სტანდარტების ჩამოყალიბება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით რეგულარული სასწავლო პროგრამებისა და

ტრენინგების ჩატარება და თანამშრომლების პროფესიული უნარ–ჩვევების რეგულარული კონტროლი;

4. უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა სოციალური და შრომითი გარანტიების გაუმჯობესება;
5. შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 16 აპრილის N147 ბრძანებაში, რათა N6 დაწესებულების დასახელებაში მითითებული რეჟიმები შეესაბამებოდეს რეალურად არსებულ მდგომარეობას;
6. კანონის შესაბამისად განსაზღვროს ხანდაზმული პატიმრების გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები;
7. დააჩქაროს მსჯავრდებულთათვის დისტანციური სწავლების პროგრამის შემუშავება და დანერგვა;
8. შეიმუშავოს მსჯავრდებულთა მასიური დასაქმებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ნუსხა.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

1. შეისწავლოს ზემოაღნიშნული ფაქტები და დადასტურების შემთხვევაში, მიიღოს კანონშესაბამისი ზომები;
2. უზრუნველყოს ქალი მსჯავრდებულების განთავსება კანონმდებლობით გათვალისწინებულ საერთო რეჟიმის დაწესებულებაში და გააკონტროლოს ქალი პატიმრებისთვის აუცილებელი ჰიგიენური ნივთების ხელმისაწვდომობა ყველა იმ დაწესებულების მაღაზიაში, სადაც ქალი პატიმრები არიან განთავსებულნი;
3. უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეგულარული სანიტარულ–ჰიგიენური შემოწმებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;
4. მიიღოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დამაკმაყოფილებელი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის შექმნისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი ზომები, ასევე უზრუნველყოს პატიმრებისათვის საჭირო სარეცხი და საწმენდი საშუალებების რეგულარული მიწოდება; უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და შესაბამის ორგანიზაციებს შორის დადებული სასჯელაღსრულების დაწესებულებების დერატიზაციისა და დეზინსექციის ხელშეკრულებების ეფექტური შესრულების კონტროლი;

5. ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოს პატიმრების ტელეფონით სარგებლობის უფლების განხორციელების კონტროლი;
6. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უზრუნველყოს ტელე და რადიოტრანსლაცია ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
7. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უზრუნველყოს ტელე და რადიოტრანსლაცია ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
8. ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოს პრესის ხელმისაწვდომობა;
9. უზრუნველყოს პატიმართა კორესპენდენციის გაგზავნის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვის კონტროლი;
10. ახალ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უზრუნველყოს გრძელვადიანი პაემნებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გათვალისწინება;
11. მიიღოს შესაბამისი ზომები მსჯავრდებულთათვის მიწოდებული საკვების ხარისხის კონტროლის გასაუმჯობესებლად;
12. უზრუნველყოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულების ეკიპირება სპორტული ინვენტარით;
13. უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების წიგნების ფონდის რეგულარული განახლება პატიმრების საჭიროებების გათვალისწინებით.

სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელის შეშლა

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით „საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით“.

2009 წლის 15 ივნისს ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ გამართული საპროტესტო აქციის დაშლისას, სამართალდამცავებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სახალხო დამცველის რწმუნებულს ვახტანგ მენაბდეს.

2009 წლის 15 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებული ვახტანგ მენაბდე 14:00 საათზე გაემართა სახალხო დამცველის გეგმიურ მონიტორინგზე ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს შენობის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე. მისვლის მომენტში პოლიციის თანამშრომლების მცირე ნაწილი იმყოფებოდა სამმართველოს შენობის გარეთ, ხოლო ძირითადი ნაწილი სამმართველოს ეზოში იყო მობილიზებული. სახალხო დამცველის რწმუნებული ხედავდა, თუ როგორ შეყავდათ პოლიციის შენობაში დაკავებულები. ამ დროს პოლიციის შენობიდან გამოვიდა სამართალდამცავი ორგანოების რამდენიმე ათეული წარმომადგენელი.

როდესაც პოლიციის წარმომადგენლები ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს შენობიდან გამოვიდნენ, ერთ–ერთმა მათგანმა ვახტანგ მენაბდეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და უთხრა, დაეტოვებინა ტერიტორია. მან ეს არ გააკეთა და განაგრძო სიარული. მას 10 მეტრიც არ ქონდა გავლილი, როდესაც ერთ–ერთმა პოლიციელმა კვლავ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაარტყა, სხვებსაც მოუწოდა აღნიშნული ქმედებისკენ, რის შედეგადაც იგი ხიდზე წაიქცა. რამდენიმე წუთის განმავლობაში წაქცეულს რამდენიმე პირი ურტყამდა. ამის შემდეგ იგი სამმართველოს შენობაში წაიყვანეს.

სამმართველოს ფოიეში სახალხო დამცველის რწმუნებულს აქციის მონაწილეები იატაკზე დაწოლილები დახვდნენ. პოლიციელებმა მასაც უბრძანეს დაწოლილიყო ზურგზე და ხელები თავქვეშ ამოედო.

სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელის შეშლა

როდესაც პოლიციის წარმომადგენლებმა ვახტანგ მენაბდეს პირველად მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, მას სახალხო დამცველის საიდენტიფიკაციო ფორმა ეცვა, შესაბამისი კეპით. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს ჰქონდათ საშუალება მოეხდინათ მისი იდენტიფიცირება. ცემის დროს სამართალდამცავებმა სახალხო დამცველის წარმომადგენელს განმასხვავებელი ფორმა შემოახიეს. სამმართველოს შენობაში შესვლისას, იგი უკვე სამოქალაქო ფორმაში იმყოფებოდა. დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში ვახტანგ მენაბდე და სხვა დაკავებული პირები იწვნენ ისე, როგორც მათ უბრძანეს. ამ დროს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები მათ უღებდნენ სურათებს ფოტოაპარატითა და მობილური ტელეფონებით.

ვახტანგ მენაბდე აღნიშნავს, რომ შენობაში მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა აღარ მიუყენებიათ. დაახლოებით 10–15 წუთის შემდეგ დაკავებულები დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. კარებთან მოსულ პოლიციელს, რომელსაც შესაბამისი ფორმა ეცვა მან განუცხადა, რომ იყო სახალხო დამცველის რწმუნებული და თხოვა პასუხისმგებელ თანამდებობის პირთან მიყვანა. პოლიციელმა ვახტანგ მენაბდეს უთხრა, დროებით მოთავსების იზოლატორში შესვლისას ეთქვა მისი ვინაობა. დროებით მოთავსების იზოლატორში პოლიციელები იწერდნენ ყველას სახელსა და გვარს, დაბადების თარიღს და საცხოვრებელ მისამართს, მათ შორის ვახტანგ მენაბდის მონაცემებიც ჩაიწერეს. ამის შემდეგ იგი გაჩხრიკეს და უთხრეს, რომ ტანზე გაეხადა. იგი დარჩა საცვლის ამარა. შემდეგ მას უთხრეს ჩაეცვა. ვახტანგ მენაბდე აღნიშნავს, რომ მას ჩამოართვეს ყველა ნივთი, რომლებიც გათავისუფლების დროს უკლებლივ დაუბრუნეს მობილური ტელეფონის გარდა. ჩხრეკვის დროს ვახტანგ მენაბდემ პოლიციელებს კვლავ უთხრა, რომ იყო სახალხო დამცველის წარმომადგენელი, თუმცა იგი მაინც შეიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორის საკანში.

სახალხო დამცველის რწმუნებული საკანში სხვა 9 დაკავებულ პირთან ერთად იმყოფებოდა. მან დროებითი მოთავსების იზოლატორში დააახლოებით 15 წუთი დაჰყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ დროს პოლიციის თანამშრომელი ცარიელ თაბახის ფურცელზე კვლავ ახდენდა საკანში მყოფი პირების რეგისტრაციას. დაკავების ოქმი არც სახალხო დამცველის რწმუნებულზე და არც იმ მომენტისთვის იქ მყოფებზე არ შეუდგენიათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ვახტანგ მენაბდესთან მივიდა შსს–ს ერთ–ერთი თანამშრომელი, რომელიც იმყოფებოდა სამოქალაქო ფორმაში და უთხრა, რომ იყო

შეცდომა, არ იცოდნენ მისი ვინაობა და ბოდიში მოუხადეს. მათ დააბრუნეს ყველა ნივთი, გარდა მობილური ტელეფონისა. როდესაც სახალხო დამცველის რწმუნებულმა მიუთითა რომ მას არ დაუბრუნეს მობილური ტელეფონი, პოლიციელებმა უპასუხეს, რომ გამოძიება ყველაფერს დაადგენდა. აღსანიშნავია, რომ ჩამორთმეული მობილური ტელეფონი მისთვის დღემდე არ დაუბრუნებიათ.

მოგვიანებით ვახტანგ მენაბდე გაიყვანეს უკანა გასასვლელიდან, რის შემდეგაც იგი დაბრუნდა სახალხო დამცველის ოფისში. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ გამოძახებულ იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი 033, რომელმაც ვახტან მენაბდეს გაუწია პირველადი დახმარება და გადაიყვანა ე.წ. მიხაილოვის სახელობის საავადმყოფოში, სადაც მას ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევა.

2009 წლის 15 ივნისს ვახტანგ მენაბდეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩაუტარდა თავის ტვინის ტომოგრაფია. 2009 წლის 16 ივნისს მას მე–9 საავადმყოფოში ცხვირის მდგომარეობა შეუმოწმდა.

სახალხო დამცველის რწმუნებულს ვახტანგ მენაბდეს შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ ,,ვექტორში“ ჩაუტარდა ალტერნატიული სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა. აღნიშნული დასკვნის თანახმად, ვახტანგ მენაბდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკაში 2009 წლის 15 ივნისს ჩატარებული ინსტრუმენტალური და პროფილური კლინიკური კონსულტაციებით დაუდგინდა ცხვირის ფირფიტოვანი ძვლის მოტეხილობა და მრავლობითი სისხლნაჟღენთების, ჰემატომების და ნაჭდევების არსებობა სხეულზე.

ექსპერტიზის წარმოების პროცესში (06.07.09) ვ.მენაბდე გამოიკვლია ნევროლოგმა, რომლის დასკვნითაც მას აღენიშნებოდა პოსტკომოციური სინდრომი, დაკავშირებული გადატანილ ქალა–ტვინის ტრავმასთან.

დასკვნის თანახმად, ვახტანგ მენაბდეს 2009 წლის 15 ივნისს დაზიანებები განვითარებული აქვს რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნების არაერთჯერადი მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქი ხარისხის ჯანმრთელობის მოშლას.[79]

[79] შპს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი ,,ვექტორი“ – ალტერნატიული სასამართლო–სამედიცინო ექსპერტის დასკვნა #28/ც 15 ივლისი, 2009

სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელის შეშლა

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს უკანონო დაკავებას, ამასთან, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა ქმედებაში იკვეთება ამავე კოდექსის როგორც 333–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ კი „სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება“ და სახალხო დამცველის რწმუნებულის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი.

2009 წლის 23 ივნისს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურორს და მიმართა რეკომენდაციით აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულიყო გამოძიება. დამატებითი წერილი ინფორმაციის მოსაძიებლად გაიგზავნა მ.წ. 21 ოქტომბერს, თუმცა სამწუხაროდ, დღემდე ჩვენთვის უცნობია რა სახის გადაწყვეტილება იქნა მიღებული აღნიშნულ რეკომენდაციაზე.

რეკომენდაცია:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს აღნიშნულ ფაქტზე გამოძიების დაწყება, და პასუხისგებაში მიეცენ ის პირები, რომელთა ბრალეულობაც გამოიკვეთება გამოძიების პროცესში.

წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა საქართველოში

ბოლო წლების განმავლობაში წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს ხელისუფლებამ არაერთი ღონისძიება გაატარა. მოხდა კანონმდებლობის დახვეწა, ძალოვან სტრუქტურებში (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელლაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა) ადამიანის უფლებათა სამმართველოების შექმნა, დახურული ტიპის დაწესებულებების (რომლებიც აღნიშნული დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე ადგილებს წარმოადგენს) ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ქვეყანაში აშკარად იკლო წამების ფაქტებმა და აღნიშნული საზოგადოებისთვის სისტემურ პრობლემას აღარ წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ, ინდივიდუალურ შემთხვევებს კვლავ აქვს ადგილი, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე შესაბამისი ორგანოების მიერ დროულ და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს.

სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2009 წლის პირველი ნახევრის მონაცემების შედარებით 2008 წელს დაწყებული სისხლის სამართლის საქმეებთან გვიჩვენებს, რომ დაახლოებით 50% შემცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (144[1]) წამება და (144[3]) დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა მხლებით გათვალისწინებული დანაშაული.[80]

[80] საქართველოში წამების, არაჰუმანირი სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008–2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში (საანგარიშო პერიოდი 2008წ. 1 იანვარი – 2009 წ. 31 ივლისი) გვ. 7–8

წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა საქართველოში

დანაშაულთა სახეები	**2008 წელი**		**2009 წელი**	
	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	შეწყდა გამოძიება	საქმეთა რაოდენობა, რომელზეც დაიწყო გამოძიება	შეწყდა გამოძიება
წამება (144[1])	35 საქმე	12 საქმე (დანარჩენ 23 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება)	8 საქმე	2 საქმე (დანარჩენ 6 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება)
დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა (144[3])	4 საქმე	3 საქმე (დანარჩენ 1 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება)	1 საქმე (მიმდინარეობს გამოძიება)	

<u>პრევენციის ეროვნული მექანიზმი</u>

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატი კვლავ აქტიურად იყო ჩართული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციისა და წამების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, იხილავდა საჩივრებს ამ მიმართულებით, აგრძელებდა ინტენსიურ მონიტორინგს *(იხ.მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში)* ხოლო 2009 წლის 16 ივლისის შემდეგ კი აპარატს აღნიშნულისთვის მეტი გარანტიები მიენიჭა. კერძოდ,

2007 წლის 20 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილმა ადამიანთა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ, ხანგრძლივი განხილვების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები სახალხო დამცველისთვის მიენიჭებინა.[81] შესაბამისად, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2009 წლის 16 ივლისს განხორციელებული

[81] 2005 წელს საქართველოს მოახდინა წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება. ფაკულტატური ოქმის 17–ე მუხლში მითითებულია, „წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან, ან მისი რატიფიკაციიდან ან მასთან მიერთებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა, თითოეული მხარე დანიშნავს ან შექმნის პრევენციის ერთ ან რამდენიმე დამოუკიდებელ ეროვნულ მექანიზმს ადგილობრივ დონეზე წამების თავიდან აცილების მიზნით“.

წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა საქართველოში

საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

ფაკულტატური ოქმის მე–4 მუხლში მითითებულია, რომ წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები განახორციელებენ ვიზიტებს მისი იურისდიქციისა და კონტროლის ქვეშ არსებულ ნებისმიერ ადგილზე, სადაც იმყოფებიან ის პირები, რომელთაც თავისუფლება აღკვეთილი აქვთ სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ბრძანების, მოთხოვნის ან თანხმობის საფუძველზე.

აღნიშნული მოიცავს:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებს
- წინასწარი პატიმრობის ადგილებს (იუსტიციის სამინისტრო)
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებს
- სამხედრო ჰაუპტვახტებს
- ბავშვთა სახლებს
- ფსიქიატრიულ დაწესებულებებს
- მოხუცებულთა სახლებს
- მიგრანტთა საპატიმროებს

ზემოაღნიშნულის გარდა, ოქმის მე–19 მუხლის თანახმად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებში შედის: 1. შესაბამისი ორგანოებისათვის რეკომენდაციების წარდგენა თავისუფლებააღკვეთილ პირთა პირობების, მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესებისა და წამების პრევენციის მიზნით და 2. არსებულ კანონმდებლობასთან ან კანონპროექტებთან დაკავშირებით წინადადებებისა და შენიშვნების მომზადება.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის 191 მუხლის თანახმად, „პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველთან იქმნება სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით“.

წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა საქართველოში

პრევენციის ჯგუფი, რომელიც სახალხო დამცველის აპარატში ჩამოყალიბდება ცალკე დეპარტამენტის სახით, შედგება მუდმივი წევრებისგან. დაწესებულებათა რაოდენობისა და გამოსაკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჭირო გახდეს მოწვეული ექსპერტების ჩართვა. ჩამოყალიბდება ექსპერტთა ჯგუფი, რომლებთანაც ხელშეკრულების გაფორმება სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით მონიტორინგის ყოველი კონკრეტულ მისიის დროს მოხდება.

აპარატში შექმნილია დოკუმენტთა პაკეტი, კერძოდ: 1. პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება, 2. საკონკურსო საატესტაციო კომისიის დებულება და 3. კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები. მოწვეული ექსპერტების შესარჩევი კონკურსი 2009 წლის ნოემბრის დასაწყისში გამოცხადდება. ეს უკანასკნელნი საქმიანობის დროს ისარგებლებენ იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რომლებიც პრევენციის ჯგუფის მუდმივ წევრებს აქვთ.

ჯგუფის წევრები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ სამართლიანობის, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კონფიდენციალურობის პრინციპებზე დაყრდნობით.

ფაკულტატური ოქმი ავალდებულებს სახელმწიფოს, პრევენციის ეროვნული მექანიზმი უზრუნველყოს შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური და ფინანსური რესურსებით. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადის შესაბამისად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციონირებისათვის საჭიროა, გამოიყოს დამატებითი 131 000 ლარი.

<u>კანონმდებლობა</u>

მართალია, 2005 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაიხვეწა წამების დეფინიცია და გაიზარდა სანქცია ამ დანაშაულისთვის, მაგრამ იგი სრულყოფილი მაინც არ არის და ბოლომდე არ შეესაბამება 1984 წლის 10 დეკემბრის გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციას. კერძოდ,

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-ე, 144^2-ე და 144^3-ე მუხლების დისპოზიცია არ უთითებს წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ჩამდენ სპეციალურ სუბიექტზე - თანამდებობის პირზე.

წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა საქართველოში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]-ე, 144[2]-ე და 144[3]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული - წამება, წამების მუქარა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა შესაძლებელია ჩადენილ იქნეს ნებისმიერი პირის მიერ, მათ შორის იმ პირების მიერაც, ვინც არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს. საჯარო მოხელის მიერ წამების ან დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ჩადენა მხოლოდ შესაბამისი მუხლების მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს.

2. 1984 წლის 10 დეკემბრის ,,წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ" კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ,,1. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი ,,წამება" ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტკივილს ან ტანჯვას, რათა მისგან ან მესამე პირისგან მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება, ან დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი, ან მესამე პირი ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის საფუძველზე, როცა ასეთი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია წამებით ან თანხმობით, ან თანამდებობის პირის უსიტყვო თანხმობით, ან სხვა ისეთი პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა ოფიციალური პირის სტატუსით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშობა მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მისგან გამოწვეული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს წამების ჩადენას თანამდებობის პირის თანხმობით და აღნიშნულ ქმედებას არ აძლევს შესაბამის კვალიფიკაციას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და წამების დანაშაულის დისპოზიცია სრულად მოვიდეს შესაბამისობაში გაეროს ,,წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ" კონვენციის პირველი მუხლიში მითითებულ განსაზღვრებასთან.

<u>წამების ფაქტების გამოძიება</u>

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ წამების ფაქტების სწრაფი და ეფექტური გამოძიების საკითხი 2009 წლის პირველ ნახევარში კვლავ პრობლემად რჩება.

წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა საქართველოში

რიგ შემთხვევაში პროკურატურის მხრიდან წამების ფაქტების გამოძიებათა გაჭიანურება აშკარად სცილდება გამოძიების გონივრულ ვადებს. სახალხო დამცველმა სავარაუდო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის არაერთი საქმის მასალა გაუგზავნა პროკურატურას გამოძიების დასაწყებად, მაგრამ საქმეებში მითითებული არცერთი პიროვნება დღემდე არ დასჯილა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ:

ვ.ირემაძის საქმე (სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის მოხსენება, პროკურატურის თავი); გოჩა ეხვაიას საქმე (სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის მოხსენება); როინ შავაძის საქმე (სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის მოხსენება); მარტყოფის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების საქმე (სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის მოხსენება); ა.ბახუტოვის საქმე (სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის მოხსენება); ე.წ. „შიშველი პატიმრების“ საქმე (2006 წლის მეორე ნახევრის მოხსნება).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი იხილავდა მოქალაქეთა საჩივრებს, რომლებიც მიუთითებდნენ რომ საჯარო მოხელეების მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ მიმართ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. სახალხო დამცველმა წინასწარი გამოძიების დაწყების არაერთი რეკომენდაციით მიმართა პროკურატურას წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, თუმცა პროკურატურამ მხოლოდ 4 საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება 144[1]–ე მუხლით (წამება).(ნიკოლოზ ბიბილაშვილის საქმე; ჯიმშერ ჯაფარიძის საქმე;; ლაშა ჯანხოთელის საქმე). დანარჩენ საქმეებზე კი წინასწარი გამოძიება დაიწყო სსსკ–ის 333–ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

მაგალითისთვის, 2008 წლის 25 ივლისს ზაზა მეკარიშვილის საქმესთან დაკავშირებით ირკვევა, რომ მისთვის ადგილი ქონდა ყუმბარის ჩადების ფაქტს (აღნიშნული დასტურდება ზ.მეკარიშვილის ნათესავების მიერ მოპოვებული ფარული ჩანაწერებით), ხოლო დაკავებისას მას ცემის შედეგად მიაყენეს სხეულის დაზიანება, რაც დასტურდება სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციით.

ჯიმშერ ჯაფარიძემ 2009 წლის 18 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით სადაც იგი აღნიშნავდა, რომ იგი დაკავებულ იქნა 2009 წლის 15 თებერვალს ზესტაფონის პოლიციის თანამშრომლების მიერ. პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ, პოლიციის თანამშრომლები მასზე ახორციელებდნენ ზეწოლას.

წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა საქართველოში

კერძოდ, სთხოვდნენ გაუპატიურების ფაქტის აღიარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრებოდნენ ციხეში გაშვებით. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ პოლიციის განყოფილებაში იგი იქნა ნაცემი, იგი აგრეთვე აიძულეს გაეხადა ტანსაცმელი და მიეცა აღიარებითი ჩვენება.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სავარაუდო წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე სწრაფი და ადეკვატური რეაგირება და მათი ეფექტურ გამოძიება უნდა წარმოადგენდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის ერთ–ერთ უმთავრეს მიმართულებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი კვლავ თვალყურს მიადევნებს აღნიშნული საქმეების გამოძიების მიმდინარეობას. ვიმედოვნებთ, რომ ამ საქმეების გამოძიება მოხდება გონივრულ ვადებში, რაც ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ხარისხზე მიუთითებს.

რეკომენდაცია:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურამ: მოახდინოს სავარაუდო წამების ფაქტების ეფექტური, მიუკერძოებელი და სწრაფი გამოძიება და დადგეს შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

შეკრება–მანიფესტაციების თავისუფლება

2009 წლის პირველი ნახევარი შეკრება–მანიფესტაციების მხრივ აქტიურ პერიოდს წარმოადგენდა. გაერთიანებული ოპოზიციის აქციები 2009 წლის აპრილის თვიდან ივლისის დასაწყისამდე გაგრძელდა. შეკრება–მანიფესტაციები ძირითადად ქ.თბილისში იმართებოდა, თუმცა ადგილი ჰქონდა რეგიონებში გასვლებსაც.

სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც 24 საათიან რეჟიმში აკვირდებოდნენ მანიფესტაციების მიმდინარეობას. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან ერთად მონიტორინგს ახორციელებდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებათა საინფორმაცო და სადოკუმენტაციო ცენტრი და სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრები.

იმისთვის, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლების – მონიტორების იდენტიფიცირება გაადვილებულიყო, მათ დაურიგდათ სპეციალური ფორმები, წითელი და თეთრი ფერის, რომლებზეც აღნიშნული იყო ორგანიზაციის დასახელება. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი.

მონიტორინგის მიზანს შეკრება–მანიფესტაციების მსვლელობისას ადამიანის უფლებების დარღვევის აღკვეთა წარმოადგენდა.

მონიტორინგისა და შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად დაფიქსირდა რამდენიმე ათეული ფაქტი, როდესაც პირები აცხადებდნენ, რომ მათ ფიზიკური შეურაცხყოფა აქციებში აქტიური მონაწილეობის გამო მიაყენეს. ზოგადად აპრილ–ივლისის აქციები საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა. კანონდარღვევები დაფიქსირდა როგორც მომიტინგეთა მიმართ, ისე მომიტინგეთა მხრიდან. განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში უხდებოდათ მუშაობა ჟურნალისტებს. სამწუხაროდ, გამოვლინდა მათი ფიზიკური შეურაცხყოფისა და პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ხელის შეშლის ფაქტები, როგორც აქციის მონაწილეთა (მაგ: ნიკა ავალიანის ცემის ფაქტი, რუსთავი–2 ის ჟურნალისტის ნათია ლეკიაშვილისა და ოპერატორის ცემის ფაქტი, ახალი თაობის ჟურნალიტების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი), ისე სამართალდამცავების მხრიდან (მაგ: 15 ივნისს ქ.თბილისის შს მთავარი

სამმართველოს წინ ჟურნალისტთა ფიზიკურ შურაცხყოფისა და მათი ჩანაწერების განადგურების ფაქტი).[82]

1. საკანონმდებლო ცვლილებები

2009 წლის პირველი ნახევარი საკანონმდებლო კუთხითაც აქტიური პერიოდი იყო. კერძოდ, ცვლილებები შევიდა კანონებში ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ", ,,პოლიციის შესახებ" და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

2009 წლის ივლისის თვეში სახალხო დამცველმა განიხილა საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც შეეხებოდა ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ", ,,პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონებში და ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებების და დამატებების შეტანას. აღნიშნულ პროექტებზე საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნა სახალხო დამცველის რეკომენდაციები.

მისასალმებელია აღნიშნული კანონმდებლობის დახვეწისაკენ მიმართული ძალისხმევა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამის პარალელურად, ცვლილებებით გათვალისწინებული ზოგიერთი ახალი რეგულაცია ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ისევე, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

2009 წლის 17 ივლისს ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" და „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონებში, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები. საკანონმდებლო ორგანომ სახალხო დამცველის მხოლოდ ერთი რეკომენდაცია გაითვალისწინა, კერძოდ, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც იგი პატიმრობას ეხება.[83]

---

[82] იხ. სახალო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო ანგარიშის გამოხატვის თავისუფლების თავი.

[83] იხ. დანართი #1 – სახალხო დამცველის დასკვნა ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ", ,,პოლიციის შესახებ" კანონებში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებებთან დაკავშირებით.

2. შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს არალეტალური იარაღის გამოყენება სამართალდამცავთა მხრიდან

2009 წლის 6 მაისს ქ.თბილისის შს მთავარ სამმართველოსთან განვითარებული მოვლენების დროს სამართალდამცავებმა, საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ, გამოიყენეს არალეტალური იარაღი კერძოდ, პლასტიკური და რეზინის ტყვიები..აღნიშნული იარაღის გამოყენება, იმ პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობით არ იყო დაშვებული, ასეთი იარაღის გამოყენების შედეგად არაერთმა ადამიანმა მიიღო სხეულის დაზიანება, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა, *დავით ჩანტლაძემ,* დაკარგა თვალი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს 6 მაისს დაზარალებული დავით ჩანტლაძის საქმის შესწავლის რეკომენდაციით მიმართა.

დავით ჩანტლაძის შემთხვევაში იგი 6 მაისს თბილისის შს სამმართველოს წინ გამართულ საპროტესტო აქციის დროს მიღებული დაზიანებებით გადაიყვანეს საავადმყოფოში. ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობის თანახმად მას დაუდგინდა ზედა ქუთუთოს ჭრილობა და თვალის კაკლის გასკდომა, მას გაუკეთდა ოპერაცია და ამოკვეთეს თვალი. ქუთუთოს ჭრილობის სიღრმიდან ამოიღეს უცხო სხეული (**მრგვალი ფორმის მინა, ყვითელი ფორმის ფუძით, შიგნით შავი ფერის წვრილმარცვლოვანი სტრუქტურის მასით).** აღწერილობა სრულად შეესაბამება პლასტიკურ ტყვიას.

* * *

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ,,პოლიციის შესახებ” კანონის მე–12 მუხლში ცვლილება 2009 წლის 17 ივლისს შევიდა და სპეციალური საშუალებების შესახებ ჩამონათვალს დაემატა არალეტალური იარაღი.

"პოლიციის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის ძველ რედაქციაში ამომწურავად იყო ჩამოთვლილი სპეციალური საშუალებების სახეები. 6 მაისისათვის ჩამონათვალით დაშვებულ საშუალებებს წარმოადგენდა რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წყალსატყორცნი, მაგრამ ჩამონათვალში არ გვხდებოდა რეზინის და პლასტიკური ტყვიები. აღნიშნული წარმოადგენდა ამომწურავ ჩამონათვალს და დაუშვებელი იყო კანონით გაუთვალისწინებელი იძულების სხვა სპეციალური საშუალების გამოყენება.
ამ მოსაზრებას ამყარებს "პოლიციის შესახებ" კანონის მე-10 მუხლის 1–ლი პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ „სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას

პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით.“

ვინაიდან მე-12 მუხლი არ ითვალისწინებდა პოლიციის მიერ რეზინის და პლასტიკური ტყვიის გამოყენების უფლებამოსილებას, ცხადია, რომ საჯარო კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი და შესაბამისად, აკრძალული საშუალების გამოყენებით შინაგან საქმეთა ორგანოებმა 2009 წლის 6 მაისს გადაამეტეს სამსახურებრივ უფლებამოსილებას. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მასში შემავალ გასამხედროებულ ნაწილებს, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენენ, ეკისრებათ კანონის ზუსტი აღსრულების ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ აკრძალულია ადამიანის მიმართ კანონით გაუთვალისწინებელი ნებისმიერი საშუალების გამოყენება. ამგვარად, რეზინისა და პლასტიკური ტყვიების გამოყენების ფაქტი 6 მაისს, როდესაც არალეტალური იარაღი არ იყო გათვალისწინებული ,,პოლიციის შესახებ“ კანონით, წარმოადგენს გადამეტებული ძალის გამოყენებას. შესაბამისად, დავით ჩანტლაძის წინააღმდეგ ადგილი ქონდა უკანონო იარაღის გამოყენებას და ჩადენილი ქმედება წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით.

ამა წლის 23 სექტემბერს გვეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოში, 2009 წლის 6 მაისს, მთავარი სამმართველოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხარ ინციდენტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. თუმცა, ჩვენთვის უცნობია, კონკრეტულად სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით არის დაწყებული გამოძიება და არის თუ არა ვინმე დაზარალებულად ცნობილი.

რეკომენდაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის სწრაფი და გამჭვირვალე გამოძიება.

3. ფიზიკური შეურაცხყოფა

2009 წლის 11 მაისს საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაცია „Human Rights Watch“–მა გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ

პოლიტიკურ ოპონენტებთან მოლაპარაკების დროს არ უნდა თქვას უარი თავის ვალდებულებაზე, დაიცვას ადამიანის უფლებები.

,,2009 წლის 9 აპრილიდან თბილისში ქართული პოლიტიკური ოპოზიცია აწყობს განგრძობად საპროტესტო აქციებს პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. „Human Rights Watch"-მა მოახდინა ოპოზიციონერ დემონსტრანტებზე მომხდარი სანიმუშო თავდასხმების დოკუმენტირება და ასკვნის, რომ ამგვარი თავდასხმები მიმართული იყო დემონსტრანტების დაშინებისა და მათი შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლისაკენ."[84]

სახალხო დამცველმა შეკრება–მანიფესტაციების მიმდინარეობისას დააფიქსირა არაერთი ფაქტი, როდესაც დაზარალებულები აცხადებდნენ, რომ მათ უცნობმა პირებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ისინი თავდასხმებს მათ პოლიტიკურ აქტივობას უკავშირებდნენ.

სახალხო დამცველის ახსნა–განმარტებები მისცეს 32 ასეთ შემთხვევაზე. აქედან უმეტეს შემთხვევებში პირებმა მიიღეს ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც დასტურდება მათ მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციით. თითოეულ შემთხვევაში სახალხო დამცველი მის ხელთ არსებულ ახსნა-განმარტებებსა და რიგ შემთხვევაში, თავდასხმის ამსახველ ვიდეო ფირებსაც შემდგომი რეაგირებისათვის აწვდიდა საქართველოს მთავარ პროკურატურას. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამჟამად, თითოეულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

აღნიშნულ საქმეებზე შემდგომი რეაგირება სცდება სახალხო დამცველის კომპეტენციას და მათზე ობიექტური ჭეშმარტების დადგენა წარმოადგენს საგამოძიებო სტრუქტურების, შემდგომ კი სასამართლოს პრეროგატივას. თუმცა, მიგვაჩნია, რომ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე საზოგადოების დიდი ინტერესის გამო, საგამოძიებო ორგანოებმა რაც შეიძლება დროულად და ეფექტურად უნდა დაადგინონ თითოეულ საქმეზე ჭეშმარიტება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემთხვევები, როდესაც დაზარალებულები საუბრობენ ინციდენტის ადგილას სამართალდამცავი პირების ყოფნასა და მათ უმოქმედობაზე (მაგ. ინციდენტის ადგილას სამართალდამცავთა ყოფნასა და უმოქმედობაზე ახსნა–განმარტებებში საუბრობენ შმაგი გელბახიანი, შალვა და თემურ რადიანები, გოჩა და ამირან გაბაიძეები და სხვები).

[84] http://www.hrw.org/en/news/2009/05/11/georgia-justice-not-negotiable

იდენტურ პოზიციას აფიქსირებს ,,Human Rights Watch”-ი. აღნიშნულმა ორგანიზაციამ 2009 წლის 7 მაისს წერილობით მიმართა საქართველოს მთავრობას[85].

რეკომენდაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს ზემოაღნიშნულ საქმეთა სწრაფი და გამჭვირვალე გამოძიება.

4. არაპროპორციული ძალის გამოყენება

2009 წლის 15 ივნისს, მოქალაქეების ჯგუფმა, დაახლოებით 14.00 საათზე, თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ საპროტესტო აქცია გამართა. აქციაზე 100-მდე მომიტინგე იმყოფებოდა. სახალხო დამცველის რწმუნებული აქციის მიმდინარეობაზე მონიტორინგს ახორციელებდა. საპროტესტო აქციის დაწყებიდან დაახლოებით 10 წუთში აქციის მონაწილეები დაარბიეს სამართალდამცავებმა. აქციაზე მყოფ ყველა ჟურნალისტსა და ოპერატორს ჩამოართვეს აპარატურა, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

პოლიციამ აქციის დაახლოებით 38 მონაწილე დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, თბილისის შს მთავარ სამმართველოსთან ოპოზიციის წარმომადგენლებმა ბლოკირება გაუკეთეს პოლიციის მთავარ შესასვლელს და გადაკეტეს სამანქანო გზა. პოლიცია შეეცადა შესასვლელი და სამანქანო გზის გათავისუფლებას, რა დროსაც მომიტინგეები არ დაემორჩილნენ პოლიციის თანამშრომლებს და გაუწიეს ფიზიკური წინააღმდეგობა. სამართალდამცავების მიერ პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე დაკავებულები იქნენ აქციის მონაწილეები.

მოგვიანებით, სამინისტრომ გააკეთა კიდევ ერთი განცხადება, რომლის თანახმადაც, სამართალდამცავებმა აქციის მიმდინარეობისას შენიშნეს რამდენიმე პირი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამა წლის 12 ივნისს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებში და სცადეს მათი დაკავება. სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწიეს აქციის მონაწილეებმა, რამაც გამოიწვია ინციდენტი.

[85] http://www.hrw.org/en/news/2009/05/07/letter-georgian-authorities-regarding-attacks-protesters

15 ივნისის ინციდენტის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა მოკვლევა. შედეგად სასტიკი საყვედური გამოეცხადა 2 თანამშრომელს, საყვედური - 4 თანამშრომელს, ხოლო სამ თანამშრომელს შეუჩერდა უფლებამოსილება გამოძიების დასრულებამდე.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებს, ასევე ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს.

2009 წლის 16 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. მიმღები განყოფილების ჟურნალის თანახმად, 15 ივნისს ღუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში ქალა-ტვინის ტრავმებითა და სხეულის სხვადასხვა სახის დაჟეჟილობებით აქციის 17 მონაწილე შეიყვანეს.

ახსნა-განმარტებებიდან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, კერძოდ, ინტერნეტგამოცემა iTV.ge -ის მიერ გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ აქციის მონაწილეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ძალადობას ან წინააღმდეგობას, მაშინ, როდესაც პოლიციამ ყველანაირი გაფრთხილების გარეშე დაიწყო აქციის დაშლა[86]. ამასთან, აქციის მონაწილეებს არ გადაუკეტავთ გზა და მათი ადგილსამყოფელი სამმართველოს შენობიდან აღემატებოდა 20 მეტრს.

iTV.ge–ს მიერ გავრცელებული კადრებისა და აქციის მონაწილეთა ახსნა–განმარტებების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ალყაში მოაქციეს მომიტინგეები, არ მისცეს მათ გაქცევის საშუალება და დაუწყეს ცემა. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება აქციის მონაწილეთა განმარტებით, ძირითადად ზურგისა და თავის არეში ხდებოდა. აღნიშნული დასტურდება ასევე ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრის მიმღები განყოფილების ჟურნალში არსებული ჩანაწერებით.

პოლიციელებმა აქციის მონაწილეები ჯერ დაკავებისას სცემეს, შემდეგ პოლიციელებმა დაკავებულები სამმართველოს შენობაში იატაკზე დააწვინეს და იქ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს სახალხო დამცველის რწმუნებული, რომელიც ასევე სასტიკად სცემეს და დააკავეს. შემდეგ დაკავებულები დაარეგისტრირეს და დროებითი მოთავსების იზოლატორში ჩაიყვანეს. დმი-ში მათ ჩამოართვეს ნივთები და გახადეს ტანსაცმელი. საკანში დაკავებულების

[86] იხ. ვიდეო: http://itv.ge/?p=10551

ხელახალი რეგისტრაცია მოხდა, თუმცა დაკავების ოქმი არც სახალხო დამცველის რწმუნებულსა და არც სხვა დაკავებულ პირებზე დაკავების მომენტში არ შედგენილა.

2009 წლის 23 ივნისს წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრმა „ემპათიამ“ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების N2 იზოლატორში სამედიცინო მონიტორინგი ჩაატარა და კონსულტაცია გაუწია 5 დაკავებულს. „ემპათიას“ ანგარიშის თანახმად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების და დროებითი დაკავების იზოლატორის სამედიცინო პერსონალის მიერ გაკეთებულ დაზიანებათა აღწერა ერთმანეთს არ ემთხვევა და ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კიდეც.[87]

"ემპათიას" დასკვნით, მოხდა როგორც მინიმუმ სასტიკი, ღირსების შემლახავი და არაჰუმანური მოპყრობა, რასაც ამძიმებს არაადეკვატური სამედიცინო მომსახურება.

,,ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ ,,თავიანთი მოვალეობის შესრულებისას სამართალდამცავმა პირებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ არაძალადობრივი საშუალებები, ვიდრე ისინი ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას მიმართავენ. ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მათ შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სხვა საშუალება უშედეგო აღმოჩნდება, ან მათი გამოყენებით სასურველი შედეგის მიღწევის იმედი არ არსებობს.“

ამავე პრინციპებში სპეციალური თავი ეთმობა პოლიციურ კონტროლს უკანონო შეკრებებზე, სადაც ნათქვამია, რომ ,,უკანონო, მაგრამ მშვიდობიანი შეკრებების დაშლისას სამართალდამცავი პირები უნდა მოერიდონ ძალის გამოყენებას ან, თუ ეს შესაძლებელია, საჭირო მინიმუმამდე დაიყვანონ ძალის გამოყენების ფარგლები.“

,,პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიციელი ვალდებულია, ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქის ან/და

[87] წამების, ძალადობის და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო–რეაბილიტაციის ცენტრი ,,ემპათია“ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების #2 იზოლატორში ცატარებული სამედიცინო მონიტორინგის ანგარიში – 23 ივნისი, 2009 წელი.

პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება.

ამავე კანონის მე–9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელს უფლება აქვს: ,,აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, აგრეთვე მიმდინარე აქცია, თუ იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს."

15 ივნისს ქ.თბილისის სამმართველოს წინ მიმდინარე აქციის ამსახველი კადრებიდან[88] დგინდება, რომ არანაირი გაფრთხილება აქციის მონაწილეთა მიმართ სამართალდამცავების მხრიდან არ გაკეთებულია. ამას გარდა არ იყო აშკარა საფრთხე იმისა, რომ მიმდინარე აქცია, რომელშიც დაახლოებით 70–80 კაცი მონაწილეობდა, მიიღებდა კანონსაწინააღმდეგო ხასიათს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ძალის გამოყენება არ უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც აბსოლუტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ძალის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება არა მარტო იმ პირთა ქმედება, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს, არამედ ყველა მასთან დაკავშირებული გარემოება, მათ შორის, ძალის გამოყენების დაგეგმვა და კონტროლი."[89] გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის N34/169 რეზოლუციით დამტკიცდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ქცევის კოდექსი. აღნიშნული კოდექსის მე-3 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად: „ძალის გამოყენება უნდა მოხდეს პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად. დაუშვებელია, ამ პრინციპის ინტერპრეტაცია მოხდეს იმგვარად, რომ ძალის გამოყენება იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არაპროპორციული."[90]

სახალხო დამცველის მოსაზრებით ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში მოთავსებული დაშავებული აქციის მონაწილეების მიმართ პოლიციის თანამშრომელთა ქმედებაში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 333–ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 144^3 (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით აკრძალული ქმედებები.

---

[88] იხ. ვიდეო: http://itv.ge/?p=10551

[89] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – საქმე „მაქქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ", პარაგრაფი 150.

[90] United Nations, General Assambly, Resolution #34/169 – Code of Conduct for Law enforcement Officials 17 December 1979.

სახალხო დამცველმა, შემდგომი რეაგირების მოთხოვნით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. პასუხად გვეცნობა, რომ 15 ივნისს მომხდარ ინციდენტზე დაწყებულია წინასწარი გამოძიება, თუმცა ჩვენთვის უცნობია სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულად რომელი მუხლით დაიწყო გამოძიება, არის თუ არა რომელიმე პირი დაზარალებულად ცნობილი აღნიშნულ საქმეზე და რა საგამოძიებო ღონისძიებები გატარდა აღნიშნული საქმის გამოძიების მიმდინარეობის პროცესში.

აუცილებელია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმის სწრაფი და ობიექტური გამოძიება.

რეკომენდაციები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს 2009 წლის 6 მაისს თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ მომხდარ ინციდენტზე სისხლის სამართლის საქმის სწრაფი და გამჭვირვალე გამოძიება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს სწრაფი და გამჭვირვალე გამოძიება ყველა იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც 2009 წლის 9 აპრილისა და შემდგომ მიმდინარე აქციებს უკავშირდება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს 2009 წლის 15 ივნისს თბილისის შს სამმართველოს წინ მომხდარ ინციდენტზე სისხლის სამართლის საქმის სწრაფი და ეფექტური გამოძიება.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებული პრობლემები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა 2008 წლის მეორე ნახევარში არსებული სირთულეებისაგან. აღნიშნულ პერიოდში ასევე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა საქართველოს მედიარუქა. ერთადერთი მნიშვნელოვანი სიახლე დამოუკიდებელი ჟურნალის ,,ლიბერალის" გამოცემაა, რომელიც 2009 წლის მაისიდან გამოჩნდა ქართულ მედია ბაზარზე.

2009 წლის 9 აპრილისა და შემდგომ პერიოდში რიგი პოლიტიკური პარტიების მიერ გამართულმა აქციებმა გამოკვეთა პრობლემა, რომელიც ჟურნალისტების მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების გაშუქებისას მათ უსაფრთხოებასა და პროფესიული საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებას ეხება. აგრეთვე პრობლემად დარჩა საჯარო მოხელეების (განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოების თანამშორმლების) მიერ ჟურნალისტებისათვის პროფესიული საქმიანობის განხორცილების დროს დაბრკოლებების შექმნა.

თითქმის ყველა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში საუბარია საქართველოში მედიის მდგომარეობის გაუარესებაზე.

საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House-ის ახალი ანგარიშის თანახმად, საქართველო იმ 18 ქვეყანას შორის არის, სადაც დემოკრატიის თვალსაზრისით მდგომარეობა გაუარესდა. მეტიც, საქართველოს მაჩვენებლები 2003 წლის შემდგომ პერიოდში ყველაზე დაბალ დონემდე დაეცა და დემოკრატიის ხარისხი თითქმის ყველა მიმართულებით გაუარესდა. ცალკეული ქვეყნების მაჩვენებლებს ანგარიშის ავტორები სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით აფასებენ, ერთ–ერთი მათ შორის, დამოუკიდებელი მედიაა.[91]

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და კრძალავს ცენზურას. თუმცა, პრაქტიკაში კონკრეტული ჟურნალისტები და მედია მფლობელები ზოგჯერ განიცდიან ზეწოლას, ხოლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელიც კონსტიტუციითა და კანონით არის უზრუნველყოფილი, ხშირად დაბრკოლებები ექმნება. იმ მედია საშუალებებს,

[91] ,,Nations in Transit 2009" – Freedom House, September 02, 2009
http://www.freedomhouse.hu/images/nit2009/Georgia%20NIT%20Final%20EP%20VS.pdf გვ.5

რომელთა მფლობელები მხარს უჭერენ სახელისუფლებო ძალებს, დომინანტური ადგილი უჭირავთ ქართულ მედიაში.

შესაბამისად, საქართველოს რეიტინგი დამოუკიდებელი მედიის კატეგორიაში გასული წლის დონეზე არ ამაღლებულა და 4.25-ზე შენარჩუნდა.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პრესა ასრულებს არსებით როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში. პრესის ფუნქციაა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხზე ნებისმიერი ხერხით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მის მოვალეობას და პასუხისმგებლობას. ამის გარდა, პრესის ამოცანას წარმოადგენს არა მხოლოდ საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის გავრცელება, არამედ საზოგადოებასაც აქვს მისი მიღების უფლება. ამის გარეშე პრესა მოკლებული იქნებოდა მისი სასიცოცხლო ფუნქციის – საზოგადოებრივი დარაჯის (Public Watchdog) განხორციელების შესაძლებლობას.[92]

გამოხატვის თავისუფლების სათანდოდ დაცვა ერთგვარი ტესტია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს და პრესისათვის მინიჭებული გარანტიები მეტად მნიშვნელოვანია.[93] ამ კუთხით უმნიშვნელოვანესია ის, თუ რა ტიპის კომუნიკაცია და ტრანსპარენტულობა აქვთ საჯარო მოხელეებს ჟურნალისტებთან ურთიერთობისას.

1. ზეწოლა ჟურნალისტებზე და მათი საქმიანობისათვის ხელშეშლა

2004 წლიდან დღემდე ჟურნალისტებზე თავდასხმისა თუ მათი პროფესიული მოვალეობის განხორციელებაში ხელის შეშლის მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა. სახალხო დამცველის მუშაობის ერთ–ერთ პრიორიტეტს ყოველთვის წარმოადგენდა ჟურნალისტთა უფლებების დაცვა.

დემოკრატიული საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტების თავისუფალ და დაუბრკოლებელ მუშაობას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო,

[92]European Court of Human Rights, case of Lingens v Austria. 8 July, 1986 (Application no. 9815/82), case of Oberschlick v Austria, 23 May, 1991 (Application no. 11662/85).
[93] European Court of Human Rights, case of Observer and Guardian v UK, 26 November, 1991 (Application no. 135885/88).

შესაბამისი ორგანოების სახით, უნდა უზრუნველყოფდეს ამგვარ საქმეებზე ეფექტური ღონისძიებების გატარებას, დროულ და გამჭვირვალე გამოძიებას.

არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო ნათლად წარმოსაჩენად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2004 წლიდან დღემდე რამდენ საქმეზე არის დაწყებული გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153–ე და 154–ე მუხლების საფუძველზე. თუმცა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოდან გვეცნობა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა არ აწარმოებს სტატისტიკას აღნიშნულ საკითხზე. რაც სახალხო დამცველს არ აძლევს სიტუაციის ადექვატური ანალიზის შესაძლებლობას.

2009 წლის პირველ ნახევარში სახალხო დამცველს არაერთხელ მიმართეს ჟურნალიტებზე ზეწოლის, ჟურნალისტებისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის და მათი საქმიანობის გამო სიტყვიერი ან, რიგ შემთხვევაში, ფიზიკურ შეურაცხყოფის ფაქტების გამო.

2009 წლის პირველი ნახევრის წარმატებულ საქმეებად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტების: გიგა მაქარაშვილის, ნიკა ავალიანის და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ლევან ყუბანეიშვილის შემთხვევები. შესაბამისმა ორგანოებმა გამოძიებისას გაატარეს ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა კონკრეტულ შემთხვევაში დაეცვათ აღნიშნული პირების ჟურნალისტური საქმიანობის თავისუფლება და გამოძიება ყოფილიყო ეფექტური და გამჭვირვალე.

აუცილებელია, რომ მსგავსი ეფექტური ღონისძიებები გატარდეს ყველა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჟურნალისტები საუბრობენ როგორც თანამდებობის პირების, ისე რიგითი მოქალაქეების მხრიდან მათზე ზეწოლასა თუ შეურაცხყოფაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო.

გაზეთ „ბათუმელების“ ცნობით, ქ.ბათუმში, ამა წლის 23 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) აჭარის რეგიონული განყოფილების თანამშრომლებმა ნათია როყვა იმ დროს დააკავეს, როცა ჟურნალისტი სოდ-ის მიერ ორგანიზებულ სპეცოპერაციას ფოტოკამერაზე აფიქსირებდა.

Presa.ge-ს რეგიონული კორესპონდენტის, ნანა ფაჟავას განცხადებით, ამა წლის 20 მაისს, ზუგდიდში, მთავრობის გასვლითი სხდომის „გაშუქების მცდელობისათვის" დადიანის სასახლის ღია კარიბჭესთან იდგა, როდესაც მას სამხარეო პოლიციის მაღალჩინოსნებმა ეზოს დატოვება უბრძანეს.

„გურია ნიუსის" რედაქციამ 26 იანვარს გაავრცელა მიმართვა, რომელშიც დასახელებული იყო „გურია ნიუსის" ჟურნალისტების, გიორგი გირკელიძის და ნატო გოგელიას, მიმართ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანტონ ხუნდაძის მხრიდან განხორციელებული სატელეფონო მუქარის ფაქტები. რედაქციის მიმართვის თანახმად, ხუნდაძე გააღიზიანა ჟურნალისტების დაინტერესებამ ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესით და ამ თემაზე გამოქვეყნებულმა საგაზეთო პუბლიკაციებმა.

2009 წლის 16 მაისს, ქუთაისის რეგიონული რადიოკომპანიის _ „ძველი ქალაქი" საინფორმაციო სამსახურის რედაქტორისა და ჟურნალისტის ზვიად ხუჯაძის განმარტებით, ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და განათლების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიზო თავაძემ მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ყველა ამ ფაქტის შესახებ, სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამის ორგანოებს გადაუგზავნა. აღნიშნული შემთხვევების ნამდვილობა უნდა დადასტურდეს სამართლადამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით. მათი შემდგომი შესწავლა სცილდება ჩვენს კომპეტენციას, თუმცა აუცილებელია, რომ შესაბამისი ორგანოების მხრიდან გატარებული ღონისძიებები იყოს ობიექტური, გამჭვირვალე დ მიუკერძოებელი.

2. ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობისათვის ხელშეშლა შეკრება–მანიფესტაციების დროს

2009 წლის აპრილიდან საქართველოს დედაქალაქის, თბილისის ცენტრალური ქუჩები პერმანენტულად იყო გადაკეტილი დემონსტრანტების მიერ. საზოგადოების ინტერესი ამ საკითხის მიმართ ძალიან მაღალი იყო, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჟურნალისტების თავისუფლად მუშაობას და მათი უსაფრთხოების დაცვას, რათა ინფორმაცია არსებული სიტუაციის შესახებ მათ ზუსტად, დაუბრკოლებლად და ამომწურავად მიეწოდებინათ. სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში, ოპოზიციურად

განწყობილი საზოგადოების მხრიდან გარკვეული მედიასაშუალებების მიმართ გამოვლენილმა აგრესიამ ჟურნალისტებს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას პრობლემები შეუქმნა. აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში ჟურნალისტები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა აგრესიის მსხვერპლი ხდებოდნენ.

ჟურნალისტის იძულება, თავი შეიკავოს ინფორმაციის მოპოვების ან გავრცელებისაგან, წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153–ე მუხლით (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა) და 154–ე მუხლით (ჟურნალისტის პროფესიულ საქმინაობაში უკანონოდ ხელის შეშლა) გათვალისწინებულ დანაშაულებს. გარდა ამისა, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლა, წინააღმდეგ შემთხვევაში უმოქმედობა განიხილება, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

2.1 ჟურნალისტთა შეურაცხყოფა სამართალდამცავთა მიერ

როგორც უკვე აღინიშნა, აქციების მიმდინარეობის პერიოდში ადგილი ჰქონდა ჟურნალისტთა შეურაცხყოფას და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლას სამართალდამცავთა მხრიდან.

ამა წლის 6 აპრილს, საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან საპატრულო პოლიციამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გაზეთ "ვერსიის" ჟურნალისტს ნინო კომახიძესა და ფოტორეპორტიორს ანი ხავთასს, რომლებიც პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მათ ახსნა–განმარტებები ჩამოართვეს.

2009 წლის 6 მაისს ქ.თბილისის შს მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის დროს დაზარალდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი. სახალხო დამცველის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ მას, თუმცა ჟურნალისტმა ამ ფაქტის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი თავად ჟურნალისტის ნების გათვალისწინებით სახალხო დამცველს არ შეუსწავლია და არც შემდგომი რეაგირება მომხდარა, ფაქტის არსებობა თავად შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადებაში დაადასტურა.

ჟურნალისტები ფიზიკურად დაზარალდნენ ასევე 2009 წლის 15 ივნისსაც. ტელეკომპანია ,,მაესტროს" ჟურნალისტ **ანა ბროლაძისა** და ოპერატორ **შოთა კაპანაძის** განმარტებებით, ისინი, ამა წლის 15 ივნისს, ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის გასაშუქებლად იმყოფებოდნენ. მათ პოლიციელებმა

ვიდეოკამერა და გადაღებული ფირები წაართვეს, ოპერატორს კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტების განმარტებით პოლიციელები გამიზნულად მოქმედებდნენ, ისინი სწორედ იმიტომ გამოედევნენ ჟურნალისტებს, რათა მათთვის ფირები წაერთმიათ.

დემოკრატია თავისთავად გულისხმობს აზრის გამოხატვის თავისუფლებას, მათ შორის, მედიის საშუალებით, რასაც აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 24–ე მუხლი. გამოხატვის თავისუფლება არის მოთხოვნა, რომელიც დემოკრატულობაზე პრეტენზიის მქონე ნებისმიერ საზოგადოებას წაეყენება. თავის მხრივ, გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პირის უფლებაზე, გონივრულ ფარგლებში მოიპოვოს ინფორმაცია. საქართველოს კონტიტუციის 41–ე მუხლი აღიარებს უფლებას, ნებისმიერმა დაინტერესებულმა სუბიექტმა მიიღოს ინფორმაცია ოფიციალური წყაროებიდან. ოფიციალური წყაროდან ინფორმაციის მიღების ერთ–ერთი ადგილი კი სწორედ საჯარო დაწესებულების შენობაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტს ჰქონდეს საშუალება, დაუბრკოლებლად იმუშაოს, როგორც საჯარო საწესებულების შენობაში, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე. საჯარო მოხელეებს ეკისრებათ ვალდებულება, ხელი შეუწყონ ჟურნალისტებს საქმიანობის წარმართვაში.

,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი და ამავე კანონის მე–8 მუხლი განსაზღვრავს პოლიციის საქმიანობისას კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვისა და მოქალაქის კანონიერი უფლებების დაცვის ვალდებულებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154–ე მუხლის მიხედვით: ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა ინკრიმინირებულ ქმედებადაა გამოცხადებული. შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ უნდა მოხდეს ყველა ასეთ შემთხვევაზე სწრაფი რეაგირება, დაიწყოს აღნიშნული შემთხვევების შესწავლა და მოხდეს სწრაფი და ეფექტური გამოძიება.

2.2 ჟურნალისტთა შეურაცხყოფა აქციის მონაწილეთა მიერ

2009 წლის 9 აპრილისა და შემდგომ დაგეგმილი საპროტესტო აქციები საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, საზოგადოება ხშირად ჟურნალისტებს და მედიასაშუალებებს აღიქვამდა არა როგორც ზოგადად ობიექტური ინფორმაციის გამავრცელებლებს, არამედ ისინი დაყოფილი ჰყავდათ ხელისუფლებისა თუ

ოპოზიციის მომხრეებად. ჩვეულებრივ ამბად იქცა ჟურნალისტებთან ურთიერთობის გარკვევა ფიზიკური ანგარიშსწორების გზით.

ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“–ის თანამშრომლები ნათია ლეკიშვილი და ლევან კალანდია 2009 წლის 27 აპრილს, დაახლოებით 22:00 საათზე, პარლამენტის წინ ასრულებდნენ პროფესიულ მოვალეობას. ლევან კალანდიას სამმა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა პირმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

2009 წლის 28 აპრილს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე იმყოფებოდა „პრაიმ–ნიუსის“ ჟურნალისტი თეონა მანაგაძე, კოლეგებთან – შორენა გონგლაძესთან და ხათუნა გაგნიძესთან ერთად, როდესაც უცნობმა პიროვნებამ ჟურნალისტებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. აქციის მონაწილე ერთ–ერთმა მამაკაცმა თეონა მანაგაძეს ხელი გადაუგრიხა. ადგილზე შეკრებილმა აქციის სხვა მონაწილეებმა ჟურნალისტებს ბოდიში მოუხადეს და დახმარება გაუწიეს.

2009 წლის 5 მაისს ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტს ნიკა ავალიანს პირველი არხის მიმდებარე ტერიტორიაზე მიტინგის მონაწილეებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

გამოხატვის თავისუფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დემოკრატიის კონცეფცია ემყარება იდეათა პლურალიზმსა და მათი გავრცელების თავისუფლებას. შესაბამისად, აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების დარღვევას, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტით. სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს ჟურნალისტების მუშაობის თავისუფლება, ამისათვის მან უნდა აღკვეთოს ნებისმიერი მცდელობა, რომელიც აღნიშნული უფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული. დანაშაულის ნიშნების არსებობისას კი უნდა განახორციელოს ეფექტური გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154–ე მუხლით.

რეკომენდაციები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურას:

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

- შესწავლილ იქნეს 2004 წლიდან დღემდე ჟურნალისტებზე თავდასხმის გამოუძებელი ფაქტები და დადგეს შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. მათ შორის:

- შესწავლილ იქნეს ჟურნალისტებთან (ნატო გოგელია და გიორგი გირკელიძე, ზაურ ხუჯაძე) დაკავშირებული ინციდენტები და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დადგეს შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

- შესწავლილ იქნეს ტელეკომპანია ,,რუსთავი 2"–ისა და „პრაიმ–ნიუსის" ჟურნალისტებთა დაკავშირებული ინციდენტები და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დადგეს შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

- შესწავლილ იქნეს 15 ივნისს მომხდარი ინციდენტი და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დაიწყოს დისციპლინური დევნა შესაბამისი პირების მიმართ.

- შესწავლილ იქნეს 6 აპრილს მომხდარი ინციდენტი და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დაიწყოს დისციპლინური დევნა შესაბამისი პირების მიმართ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- შესწავლილ იქნეს ნათია როყვასა და ნანა ფაჟავას საქმეები. ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დაიწყოს დისციპლინური დევნა შესაბამისი პირების მიმართ.

დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

2008 წლამდე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე 225 000 დევნილი[94] იყო რეგისტრირებული.[95] 2008 წლის აგვისტოში რუსეთ–საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად 133 000 ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი და საქართველოს მასშტაბით[96] გადაადგილებულიყო. აღსანიშნავია რომ, 90-იან წლებში განვითარებული საომარი მდგომარეობის შედეგად ამ პირთა ნაწილი უკვე სარგებლობდა იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსით. ისინი განსახლებულნი იყვნენ გორსა და მიმდებარე სოფლებში, ხოლო 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ მეორედ გახდნენ დევნილები.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ–საქართველოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა წამოჭრა მთელი რიგი ახალი პრობლემები, რომლებმაც დევნილთა უკვე არსებული, არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან მრავალი ღონისძიება გატარდა მათ მოსაგვარებლად. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2009 წლის პირველ ნახევარშიც. შესაბამისად, შემცირდა დევნილთა განცხადებების რაოდენობა და შეიცვალა პრობლემატიკაც. 2008 წლის მეორე ნახევრის ძირითად პრობლემებს დევნილებისათვის სტატუსის მინიჭება და მათი განსახლება წარმოადგენდა. პრობლემა ახლდა დევნილთა დაბრუნებას მუდმივ საცხოვრებელ ადგილას. ხშირად ისინი იძულებით დაბრუნებაზე საუბრობდნენ. მრავალი პრობლემა არსებობდა ე.წ. ,,კარვების ქალაქში“, სადაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო, როგორც წყლის, ისე ჰიგიენის კუთხით. როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ სახის პრობლემები 2009 წლის პირველ ნახევარში აღმოიფხვრა. მიუხედავად ამისა, რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც სწრაფ და ეფექტურ გადაჭრას საჭიროებს.

---

[94]იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო – საქართველოს კანონი ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, მუხლი 1.

[95] საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სტატისტიკური ინფორმაცია. იხ. http://www.mra.gov.ge/files/3_427_426374_devnilebi-Geo.pdf

[96] გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის ანგარიში A/HRC/10/13/Add2, 13 February, 2009

სახალხო დამცველს ყველაზე ხშირად კვლავ კერძო სექტორში განსახლებული დევნილები მიმართავენ. მათი განცხადებების აბსოლუტური უმრავლესობა საცხოვრებლით დაკმაყოფილებას ეხება.

1. **იძულებით გადაადგილებულ პირებთან – დევნილებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა**

წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას ცდილობდა . 2007 წლის 2 თებერვალს, საქართველოს მთავრობის #47 განკარგულებით დამტკიცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ–საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, 2008 წლის 4 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის #854 განკარგულებით სტრატეგიაში ცვლილებები და დამატებები შევიდა. აღნიშნულმა განკარგულებამ ის პირები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგადიძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილები დევნილთა მიმართ სტრატეგიის ფარგლებში მოაქცია. 2009 წლის 28 მაისს, საქართველოს მთავრობის #403 განკარგულებით დამტკიცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009–2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიზანი დევნილთა სოციალურ–ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა. ამის მისაღწევად სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადაწყვეტას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებასა და დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამაში ინტეგრირებას საერთო კრიტერიუმების საფუძველზე.

2009 წლის 3 ივნისის საქართველოს მთავრობის განკარგულებით[97] შეიქმნა სამთავრობო კომისია. მისი შექმნის მიზანი 1989-1992 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური რეინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და

[97] საქართველოს მთავრობის 2009 წლის 3 ივნისის განკარგულება N 407 – ,,1989-1992 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“.

კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროცესის დაჩქარებაა. სამთავრობო კომისიის შემადგენლობაში ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი შედის, ასევე მის მუშაობაში მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ვიმედოვნებთ, რომ კომისიის შექმნა დააჩქარებს და ეფექტურს გახდის დევნილებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის პროცესს.

2. დევნილთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა

დევნილთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა მოიცავს კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციისა და პრივატიზაციის პროცესს, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პროცესია და მას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო უწევს კოორდინაციას.

2.1. რეაბილიტაცია

შესაკეთებელი კოლექტიური ჩასახლებების შერჩევა ხდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ.

ობიექტების რეაბილიტაციას ახორციელებს **მუნიციპალური განვითარების ფონდი,** რომელიც აფასებს ცენტრების მდგომარეობას და მასში ჩასატარებელი სამუშაოების სახეებს, აცხადებს ტენდერს სამშენებლო კომპანიებისათვის და ზედამხედველობას უწევს რეაბილიტაციის პროცესს.

ოფიციალური მონაცემებით ამ ეტაპზე მიმდინარეობს შემდეგი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია:

ქალაქი/რეგიონი	ცენტრების რაოდენობა	რეაბილიტირებული
თბილისი	3	3
კახეთი	4	4
ქვემო ქართლი	9	5
მცხეთა–მთიანეთი	2	1
სამცხე–ჯავახეთი	4	1
იმერეთი	19	1
აჭარა	5	

სამეგრელო	32	

ა. სარეაბილიტაციო სტანდარტები და კრიტერიუმები

მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსებულია ამომწურავი ინფორმაცია აღნიშნული პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ინიციატივაა სტრატეგიის გეგმის განხორციელების გამჭვირვალობის კუთხით. თუმცა, აღნიშნულ სფეროში რჩება რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელიც ძირითადად პროცესის გამჭვირვალობასა და მის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას უკავშირდება. კერძოდ, არ არსებობს ნათლად გაწერილი სტანდარტები: უცნობია, რა კრიტერიუმებით ხდება სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ, რა კრიტერიუმებით დგება მათი თანმიმდევრობა, რა კრიტერიუმების საფუძველზე განისაზღვრება ჩასატარებელ სამუშაოთა სახე, ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უცნობია საცხოვრებელი პირობების მინიმალური სტანდარტები, მათ შორის, რა ფართი უნდა გამოიყოს ერთ სულ მოსახლეზე, როგორ უნდა განაწილდეს სველი წერტილები და ასე შემდეგ.

დევნილთა მიმართ სამოქმედო გეგმის სტრატეგიის (2.1.6) თანახმად, რეაბილიტაციის ნათელი სტანდარტებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბების პროცესი, მინიმალური კრიტერიუმების ჩათვლით, 2009 წლის მაისში უნდა დასრულებულიყო, რის შემდეგაც უნდა დაემტკიცებინა სამეთვალყურეო საბჭოს. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული კრიტერიუმების შესამუშავებლად დაწყებულია მუშაობა. სახალხო დამცველმა ამა წლის 9 სექტემბერს გამოითხოვა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან ინფორმაცია აღნიშნული კრიტერიუმების შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, თუმცა პასუხი ჩვენთვის დღემდე უცნობია. ამ სტანდარტების მიღება/დამტკიცება ხელს შეუწყობს სახელმწიფო პოლიტიკის შემდგომ დახვეწას, გაზრდის გამჭვირვალობას და გააუმჯობესებს იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობას. გარდა ამისა, ინფორმაციის საჯაროობა დაეხმარება დევნილებს მიიღონ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ ზუსტი ინფორმაცია.

ბ. რეაბილიტაციის თანმხლები პრობლემები, ინფორმირებულობა, ჩართულობა

გარკვეულ ადგილებში დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სამშენებლო მასალის ხარისხთან და რეაბილიტაციის ტემპებთან დაკავშირებით. ასევე, დევნილები ხშირად აცხადებენ, რომ მათთვის უცნობია იმ ღონისძიებების შესახებ, რაც რეაბილიტაციაში მოიაზრება. (მაგ: ზუგდიდში, ჭავჭავაძის #6 ე.წ. ფაიფურის შენობა, ინგირის კოლექტიური ცენტრი, ც.დადიანის #21 სახლში მცხოვრები დევნილები აცხადებენ, რომ მათ საცხოვრებელს მხოლოდ იატაკი აქვს გამოცვლილი).

2009 წლის 7 ივლისს პრივატიზაციის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა გამოაქვეყნა საცხოვრებლის საკუთრებაში გადაცემის პროცესის ანალიზი. აღნიშნული ანგარიში მომზადდა საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ. ანგარიშში ერთ–ერთი რეკომენდაცია სწორედ რეაბილიტაციის სამუშაოების თაობაზე დევნილთა ინფორმირებულობას ეხებოდა. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციით, ,,დევნილები სათანადოდ უნდა იყვნენ ინფორმირებული მათ კოლექტიურ ცენტრში ჩასატარებელი რეაბილიტაციის სამუშაოების შესახებ და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ სარეაბილიტაციო საჭიროებების გამოვლენაში.“[98]

როგორც წესი, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას დევნილები არ რჩებიან საცხოვრებელ ფართში. ვინაიდან, სარემონტო სამუშაოები გარკვეულ შემთხვევებში დიდხანს გრძელდება, დევნილებს პრობლემები ექმნებათ. მიმდინარე წლის 02 სექტემბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ბათუმში სასტუმრო ”მეზღვაურში” და საზღვაო აკადემიის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები დევნილები ინახულეს. სასტუმრო მეზღვაურში სულ 38 ოჯახი ცხოვრობს. 2008 წლის ოქტომბერში დაწყებული სარემონტო სამუშაოების შედეგად, გარემონტებულია 1-3 სართულები, ხოლო მე-4, მე-5 სართულებზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ადგილზე გაირკვა, რომ 1-16 აგვისტოს ჩათვლით დევნილებს ელ.ენერგია არ მიეწოდებოდათ.

[98] ანგარიში მომზადდა გაეროს ლტოლვილტა უმაღლესი კომისარიატის მიერ. ანგარიშში აისახა პრივატიზაციის საკითხზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია. აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მისი ორი სააგენტო: სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC), ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) და საზოგადოებრივი პროგრამების ფონდი (SPF).

ზოგადად, დევნილთა ინფორმირებულობა მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ და მათი ჩართულობა ასეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

თავად სტრატეგიის სამოქმედო გეგმა (1.5) განსაზღვრავს, რომ ,,...განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დევნილთა მიერ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და თავისუფალ არჩევანს, დიალოგს დევნილებთან და მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში". (1.6) ,,საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო შეიმუშავებს და განახორციელებს ყოვლისმომცველ საინფორმაციო კამპანიას, რომლის მეშვეობითაც დევნილები რეგულარულად მიიღებენ ინფორმაციას სამოქმედო გეგმის ყველა ასპექტთან დაკავშირებით, რაც მათ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებათ"

2.2. პრივატიზაცია, ქონების საკუთრებაში გადაცემა

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით შემდეგი კოლექტიური ცენტრების საკუთრებაში გადაცემის პროცესი მიმდინარეობს:

თბილისი – 150 კოლექტიური ცენტრი;
რუსთავი – 19;
ქუთაისი – 29;
სენაკი – 46;
ზუგდიდი – 38;
ფოთი – 15;

პრივატიზაციის პროცესი მთლიანობაში მიმდინარეობს პრობლემების გარეშე, რისი თქმის საფუძველსაც აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით სახალხო დამცველისადმი მომართვების არარსებობა იძლევა. თუმცა, არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელსაც, მიგვაჩნია, რომ ყურადღება უნდა მიექცეს.

სტრატეგიის თანახმად, ,,კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილების უფლება – იცხოვრონ კანონით დადგენილი წესით დაკავებულ ფართობებში, რჩება ხელშეუხებელი კოლექტიური ცენტრების პრივატიზებისა და რეაბილიტაციის მიუხედავად, ვიდრე

დევნილი არ განაცხადებს თანხმობას 2.1.9 პუნქტით გათვალისწინებულ ერთ–ერთ ალტერნატიულ შეთავაზებაზე“.[99]

პრივატიზაციის საკითხზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კოლექტიურ ცენტრებში, სადაც განხორციელდა პრივატიზაცია, მდგომარეობა სხვადასხვაგვარია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ პრივატიზაციაზე დევნილთა თანხმობის საყოველთაო მაჩვენებელი 100% მიაღწევს.

ნაწილობრივ პრივატიზებულ ობიექტებში ცხოვრებას განაგრძობენ ის დევნილები, რომლებიც უარს ამბობენ მათ სარგებლობაში არსებული ფართის პრივატიზაციაზე მანამ, სანამ ისინი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ალტერნატიული საშუალებით არ დაკმაყოფილდებიან. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი საკითხების დარეგულირება როგორიცაა **ნაწილობრივ პრივატიზებული კომპაქტური ჩასახლებების მართვა, რა პერიოდის განმავლობაში გაუწევს სახელმწიფო დახმარებას ნაწილობრივ პრივატიზებულ ობიექტებს.**

ასევე სწრაფად შემუშავდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისს დამტკიცებულ „დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული“ ალტერნატიული გრძელვადიანი განსახლების საშუალებები, შესაძლებლობები და კრიტერიუმები, რათა დევნილებს ჰქონდეთ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების საშუალება.

3. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებულ პირთა – დევნილთა მდგომარეობა

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად, ამჟამად 26 000 დევნილია დარეგისტრირებული. კერძოდ, ცხინვალის რეგიონიდან – 19 381; კოდორიდან – 1 893; ახალგორიდან – 5 348,[100] აღნიშნულ დევნილთა მდგომარეობა გარკვეულწილად განსხვავდება 1990–იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობისაგან. სახელმწიფოს მიერ ამ პერიოდში მოგვარდა ისეთი პრობლემები, როგორიცაა დევნილთათვის სტატუსის მინიჭება, მათი

[99] საქართველოს მთავრობის #47 განკარგულება „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. 2007 წლის 2 თებერვალს,

[100] საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სტატისტიკური ინფორმაცია. იხ. http://www.mra.gov.ge/files/3_427_426374_devnilebi-Geo.pdf

საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება – როგორც კოლექტიურ ცენტრებში, ისე ახალ ჩასახლებებში.

ასევე დადებითი ნაბიჯები გადაიდგა დევნილთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, ,,სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილებით, განსაზღვრული სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის მიღების უფლებით სარგებლობენ ოჯახები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 000–ს.

2008 წლის 29 დეკემბერს აღნიშნულ დადგენილებაში შევიდა ცვლილება (მუხლი 11, პუნქტი 9) რომლის თანახმად, საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა 2009 წლის იანვრიდან ერთი წლის ვადით ავტომატურად გავრცელდა იმ ოჯახებზე, რომლებიც არ იღებენ საარსებო შემწეობას, 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილდნენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. აღნიშნული ოჯახები აღრიცხულნი არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და განსახლებულნი არიან სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში, მათი დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დროებით შეუძლებელია (ამ ადგილების ოკუპაციის გამო) და ამავდროულად ოჯახის არც ერთი წევრი არ ეწევა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო–საგანმანათლებლო საქმიანობისა.

3.1.სტატუსი

2008 წელს არსებული პრობლემა, რომელიც უკავშირდებოდა 2008 წლის აგვისტოს თვეში ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებას, 2009 წლის პირველ ნახევარში გადაიჭრა. 2008 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში სახალხო დამცველმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მისცა რეკომენდაცია სტატუსის მინიჭების პროცედურის დაწყების შესახებ, ვინაიდან მიიჩნია რომ დევნილთათვის სტატუსის მინიჭების პროცედურის დაუყოვნებლივ არ დაწყება არღვევდა ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონს. დევნილთათვის სტატუსის მინიჭების პროცესი ახალ ჩასახლებებში 2009 წლის მაისის თვეში დაიწყო.

ახალ ჩასახლებებში დევნილთა დაახლოებით 90%–ს მიენიჭა სტატუსი, დაახლოებით 5% დარეგისტრირებულია, როგორც დევნილის სტატუსის მაძიებელი, ხოლო დარჩენილი 5% არცერთ კატეგორიაში არაა მოხვედრილი. ამის მთავარი მიზეზი კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი დოკუმენტაციის უქონლობაა. სტატუსის მინიჭების პროცედურა და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება მიმდინარეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კოორდინირებული მუშაობით. შედეგად, ივლისის შუა რიცხვებისათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების უმეტესობა გადაიჭრა.[101]

ზოგიერთ სოფლებში, მაგ: ახალსოფელში, არსებობდა ინფორმაციის ნაკლებობა დევნილის სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის შესახებ. მოსახლეობა არ იყო იმის შესახებ ინფორმირებული, რომ სიძეს და რძალს, რომლებიც წარმოშობით არ იყვნენ იმ სოფლიდან, რომელ ოჯახშიც ცხოვრობდნენ, უნდა წარმოედგინათ ქორწინების მოწმობები, რათა მიეღოთ დევნილის სტატუსი.

თუმცა, მთლიანობაში აღნიშნულმა პროცესმა დევნილთათვის უმტკივნეულოდ ჩაიარა და სახალხო დამცველისათვის მიმართვების სიხშირე მაღალი არ ყოფილა.

3.2. სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობა

,,სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“ მე–18 პრინციპში განსაზღვრავს, რომ ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს შესატყვისი ცხოვრების დონის მოთხოვნის უფლება და განსაზღვრავს იმ მინიმალურ ღონისძიებებს, რომელიც უნდა გაატაროს ხელისუფლებამ, რათა ნებისმიერ ვითარებაში და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ საკვებზე და წყალზე, თავშესაფარსა და საცხოვრებელზე, შესაფერის ტანსაცმელზე და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასა და სანიტარულ მომსახურებაზე დევნილთა უსაფრთხოდ ხელმისაწვდომობა

- **2.1 თავშესაფარი და საცხოვრებელი**

[101] Norwegian Refugee Council – Monitoring results following the formalization of IDP status in settlements Summery Report for the period of (11.05.09 – 29.06.09) – Tbilisi, 15 July 2009

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, 2008 წლის კონფლიქტის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი დევნილებისათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, ახალ 38 ჩასახლებაში აშენდა 3979 კოტეჯი და შეკეთდა 1542 ბინა[102]

18 173 დევნილი განსახლებულია ახალ ჩასახლებებში, 8 438 განსახლებულია კოლექტიურ ცენტრებში, 2776 განსახლებულია კერძო სექტორში.[103]

UNICEF ის მონაცემებით, 2008 წლის კონფლიქტის შედეგად საქართველოში 12 000 ბავშვი გახდა იძულებით გადაადგილებული პირი.[104]

დღეისათვის დევნილთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ადგილით. მათი ნაწილი შესახლებულია კოტეჯებში, რომლებიც მდებარეობს საგზაო მაგისტრალთან ახლოს. თითქოს ამ გარემოებას დევნილებისათვის უნდა გაეადვილებინა დედაქალაქთან ან რაიონულ ცენტრთან დაკავშირება, თუმცა, დევნილებს უჭირთ გადაადგილება, რაც მათთვის პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად აუცილებელია შესაბამისმა ორგანოებმა მიიღონ ზომები, რათა დაეხმარონ მათ ამ პრობლემის მოგვარებაში.

ახალ დასახლებებში (მაგ. კარალეთში და შავშვებში) დევნილებს გარკვეული პრობლემები აქვთ. კერძოდ, კედლები დანესტიანებულია და შენობაში ადვილად აღწევს ნალექი. არის ისეთი კოტეჯები, რომლებსაც არ გააჩნიათ საწვიმარი, რაც იწვევს შენობების დატბორვას. მაგ, კარალეთში, იმის გამო, რომ იატაკის მასალა არ იყო გამომშრალი, მოგვიანებით, ფიცრებს შორის გაჩნდა ადგილი და ამოდის ბალახი. ხოლო კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. თელიანში სახლის კედლებმა განიცადა დეფორმაცია, რის გამოც რამდენიმე ოჯახი ვეღარ ახერხებს მეტალოპლასტმასის კარების დახურვას.

აღნიშნული მეტყველებს მშენებლობის დაბალ ხარისხზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ფაქტორი ამისა არის ის, რომ კოტეჯების მშენებლობა განხორციელდა ძალზედ შემჭიდროებულ ვადებში, რადა მომხდარიყო დევნილების დროული უზრუნველყოფა საცხოვრებლით.

---

[102] საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სტატისტიკური ინფორმაცია. იხ. http://www.mra.gov.ge/files/3_427_426374_devnilebi-Geo.pdf

[103] იქვე.

[104] ,,Assessment of situation, needs and priorities for water, sanitation and hygiene in Georgia IDP settlements " UNICEF June, 12 2009 http://www.unicef.org/georgia/IRC-ACF_UNICEF_REPORT_fina.pdf

,,საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მონაცემებით: ,,კოტეჯების მშენებლობის სისწრაფის გამო წარმოიშვა მთელი რიგი პრობლემები. საერთაშორისო გამჭვირვალობის მონიტორინგის ჯგუფმა 2009 წლის იანვარში ახალ ჩასახლებებში ვიზიტისას შეშფოთება გამოხატა არსებული პირობების გამო. კოტეჯების უმეტესობაში ჭერი არის ჩამონგრეული, კედლები დანესტილი და დაობებულია, ხოლო იატაკი – დაზიანებული.

მიუხედავად იმისა, რომ პირობები ძალიან შორს არის საუკეთესოსგან, მშენებლობის სისწრაფისა და ღირებულების გათვალისწინებით ეს ის არის, რისი მოლოდინიც უნდა გვქონოდა.“[105]

ასეთი პრობლემა გვხვდება კომპაქტური ჩასახლების ობიექტებშიც. კერძოდ, ქ.გორში, კომპაქტური ჩასახლების ობიექტში, სისხლის გადასხმის ცენტრში განსახლებული დევნილები დაუკავშირდნენ შიდა ქართლში სახალხო დამცველის წარმომადგენელს. აღნიშნული შენობის დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ სამშენებლო კომპანიამ მოახდინა წყლის მილების არასწორი მონტაჟი. მას შემდეგ, რაც აღნიშნული შენობა ექსპლუატაციაში იქნა მიღებული და განსახლდნენ დევნილები, მწყობრიდან გამოვიდა სისტემა და წყალმა დააზიანა შენობის ქვედა სართულები. ცენტრის დირექტორმა გადაკეტა წყლის სათავე ნაგებობა, რის გამოც დევნილებს დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში არ ჰქონდათ წყალი. სახალხო დამცველმა მიმართა ქ.გორის გამგეობას, სადაც განმარტეს, რომ უახლოეს მომავალში ამ პრობლემას მოაგვარებდნენ. სახალხო დამცველის ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად გამგეობა შესაბამის ღონისძიებებს ატარებს.

2009 წლის 2 სექტემბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დაათვალიერეს ქ.ქუთაისში, ხარებავას ქუჩაზე მდებარე დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტი, ე.წ. სამხედრო ლიცეუმის შენობა. შენობაში სულ 69 ოჯახია შესახლებული (45 კოდორის ხეობიდან დევნილი, 19 აფხაზეთიდან დევნილი, ხოლო 5 ადგილობრივი). დევნილთა განმარტებით, საცხოვრებელ ბინებში მათ პირველადი მოხმარების საგნები (სამზარეულოს ავეჯი, მაცივარი, ტელევიზორი, კარადა და საწოლები) დახვდათ, თუმცა ავეჯი უხარისხოა. მათივე თქმით, სარემონტო სამუშაოები უხარისხოდაა ჩატარებული და უკვე დაზიანებულია წყალგაყვანილობის სისტემა და სანტექნიკა. იმის გამო, რომ სარდაფში მუდმივად ჩაედინება წყალი და ფეკალური მასები, შენობაში (განსაკუთრებით პირველ სართულზე) იგრძნობა ნესტის სუნი, მომრავლებულია მწერები.

[105] Transparency International Georgia – Internally Displaced Persons in Georgia: Issues of Concern – Tbilisi, 3 April 2009 გვ.1.

უახლოეს მომავალში აუცილებელია ჩატარდეს ასეთი შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- **სანიტარიული პირობები, ჰიგიენა, წყალი**

იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების მე–18 პრინციპის მე–2 პუნქტის ,,ა" და ,,დ" ქვეპუნქტები მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს დევნილის არადისკრიმინაციული, მუდმივი ხელმისაწვდომობა საკმაო ოდენობის სასმელად ვარგის წყალზე (როგორც პირადი, ისე საოჯახო მოხმარების) და სანიტარიულ მომსახურებაზე. ეს უფლება პირდაპირ კავშირშია ადეკვატური საცხოვრებლით, ადეკვატური საჭმლით უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის უფლების სრულ რეალიზაციასთან.[106]

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა განაცხადა, რომ დევნილთა საცხოვრებელი პირობები, ზოგადად, არის ,,არასტანდარტული, არასანიტარული და პოტენციურად სახიფათო, განსაკუთრებით ბავშვებისათვის".[107]

შიდა ქართლში დევნილთა ახალი დასახლებებიდან მხოლოდ ქალაქ გორის ახალი გარეუბანი, კარალეთის დასახლება არის უზრუნველყოფილი კანალიზაციით და სველი წერტილებით შენობის შიგნით. სხვა დასახლებებს ამ მხრივ არ გაუმართლათ. აღნიშნულ დასახლებებში ამოთხრილია ორმო, რომელსაც ადგას ხის მსუბუქი კონსტრუქცია და ასრულებს საპირფარეშოს მოვალეობას. აღსანიშნავია, რომ ასეთი საპირფარეშოების თხრილები არ არის ღრმა და არ არსებობს ფეკალური მასების გადინების სისტემა, ისინი ძალიან ახლოსაა კოტეჯებთან, რაც ანტისანიტარულ გარემოს ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა ოჯახები მომარაგებულები არიან პლასტიკატის სააბაზანოებითა და სათლებით, კოტეჯებში არ არის გამოყოფილი ოთახი აბაზანისათვის, რაც მძიმე ჰიგიენურ მდგომარეობას ქმნის. ამ პრობლემის გადასაწყვეტად თითქმის ყველა ახალ დასახლებაში შენდება კომუნალური აბაზანა, რომელიც მოემსახურება ახალი დასახლების ყველა მკვიდრს. აღნიშნული შენობის

[106] Guideline principles on Internal Displacement – United Nations – principle 18.

[107] Council of Europe, Georgia: Report on human rights issues following the August 2008 armed Conflict

Date: 12 May 2009.

მშენებლობა მხოლოდ გორის მახლობლად მდებარე ბერბუკის ახალ დასახლებაშია დასრულებული, თუმცა დღეისათვის ექსპლუატაციაში არც ეს უკანასკნელია მიღებული. შესაბამისად, ეს პრობლემებს უქმნის იქ მაცხოვრებლებს და ზრდის ეპიდემიის ან ინფექციების გავრცელების საფრთხეს.

2009 წლის 12 ივნისს UNICEF-მა გამოაქვეყნა ანგარიში – ,,დევნილთა ახალ ჩასახლებებში სიტუაციის შეფასება, საჭიროებები და პრიორიტეტები წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის კუთხით“.

აღნიშნული ანგარიშის თანახმად, ,,35–დან სულ მცირე 8 ახალ ჩასახლებაში სანიტარული ინფრასტრუქტურა აშენებულია გარეთ, წყლის საერთო წერტილებთან ახლოს, რაც ზრდის ეპიდემიის ან ინფექციის წყლის საშუალებით გავრცელების საშიშროებას”[108].

მთელ რიგ ახალ ჩასახლებებში მცხოვრებ დევნილებს არ აქვთ ყოველდღიურ წყალზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა. UNICEF-ის მონაცემებით, მხოლოდ დევნილთა 63%–ს აქვს წყალთან ხელმისაწვდომობა – მათ ონკანები აქვთ ეზოში[109]. დანარჩენ დევნილებს (მაგ. ქარელის რაიონის ახალსოფელი) წყლის მოტანა უწევთ 20–100 მეტრის დისტანციიდან, რაც თავისთავად დიდი პრობლემაა ხანშიშესული მოსახლეობისათვის.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელი შავშვების ახალ დასახლებაში მძიმე პრობლემას წარმოადგენდა სასმელი წყალი. ახალ დასახლებაში მაცხოვრებელ დევნილებს შორი მანძილიდან უხდებოდათ წყლის ზიდვა. 2009 წლის 13 თებერვალს შავშვებში მცხოვრები დევნილების პრობლემებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს და გორის მუნიციპალიტეტის გამგებელს. 2009 წლის 30 მარტს გორის მუნიციპალიტეტის მიერ გამოგზავნილი პასუხით ირკვევა, რომ შავშვებში დევნილების სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა გადაჭრილია.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიგიენის პრობლემის მოსაგვარებლად გარკვეული ღონისძიებები ტარდება, ჰიგიენური საშუალებების დისტრიბუცია მაინც პრობლემად რჩება. UNICEF–ის მონაცემებით, 9 ახალი ჩასახლება ჰიგიენის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის კუთხით კრიტიკულ სიტუაციაშია.

---

[108] ,,Assessment of situation, needs and priorities for water, sanitation and hygiene in Georgia IDP settlements“ UNICEF June, 12 2009 http://www.unicef.org/georgia/IRC-ACF_UNICEF_REPORT_fina.pdf

[109] იქვე.

,,დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში იძულებით გადაადგილებული პირები იყენებენ საერთო წყლისა და სანიტარიის საშუალებებს, რომელიც SPHERE[110] სტანდარტზე დაბლაა, რაც საბოლოოდ ინფექციისა და დაავადების რისკს იწვევს.[111]“

ბერბუკისა და კარალეთის დასახლება ქალაქ გორთან სიახლოვის გამო იმით გამოირჩევა, რომ აქ მოგვარებულია ნარჩენების გატანის პრობლემა. აღნიშნულ დასახლებებში არის ნაგვის ბუნკერები. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის დასუფთავების სამსახური რეგულარულად უზრუნველყოფს დასახლებიდან ნარჩენების გატანას. გორის მუნიციპალიტეტის სოფელი სკრის, ასევე ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების ახალსოფლისა და მოხისის დევნილთა ახალ დასახლებაში ნარჩენებს ყრიან დასახლებიდან რამდენიმე მეტრში გათხრილ ორმოში. ეს გარემოება ქმნის დასახლებაში სერიოზული ანტისანიტარიის საფრთხეს.

შესაბამისად, აუცილებელია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების დახმარებით აღმოფხვრას წყლის მიწოდებასთან და ნაგვის გატანასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები.

- **სამედიცინო დახმარება**

პრობლემებია დევნილების ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებითაც. დევნილებს არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია, რა სახის სამედიცინო დახმარება შეუძლიათ მიიღონ.

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოში მოქმედებს დევნილთა უფასო სამედიცინო მომსახურების პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო გამოკვლევები უფასოა, დევნილები აცხადებენ, რომ არის შემთხვევები, როდესაც ფორმა №100 გაცემისათვის დევნილს სთხოვენ 10 ლარის გადახდას, თუმცა ამის ოფიციალურად დაფიქსირებისგან თავს იკავებენ.

[110] The SPHERE Humanitarian Charter and Minimum Standards in Disaster Response.

[111] ,,Assessment of situation, needs and priorities for water, sanitation and hygiene in Georgia IDP settlements“ UNICEF June, 12 2009 http://www.unicef.org/georgia/IRC-ACF_UNICEF_REPORT_fina.pdf გვ 2.

არსებობს პრობლემები მედიკამენტების მიწოდებასა და შეძენასთან დაკავშირებითაც. უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ იქნა საჭირო მედიკამენტების ორი კვირით დაგვიანების შემთხვევები.

იძულებით გადაადგილებული პირები აცხადებენ, რომ უფასო სამედიცინო კონსულტაციების ფარგლებში ექიმების მიერ დანიშნული წამლები ფასიანია და მათი ყიდვის საშუალება დევნილებს არ გააჩნიათ.[112]

ჯანდაცვის კუთხით პრობლემას წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ პირთა დაცვა. დევნილებს არ აქვთ ხელსაწყო, რომელიც ზომავს სისხლში გლუკოზის შემცველობას. აღნიშნულ პრობლემას ემატება ისიც, რომ დევნილთათვის გათვალისწინებული საკვები, რომელსაც ისინი დახმარების სახით იღებენ, არ შეესაბამება დიაბეტით დაავადებული პირებისათვის გათვალისწინებული საკვების სტანდარტს. აღნიშნული დახმარების ძირითადი შემადგენლობა არის თეთრი პური, შაქარი, მაკარონი, პურის თეთრი ფქვილი, რომელიც გლუკოზას დიდი ოდენობით შეიცავს. ხოლო თავად დევნილებს, მძიმე მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციფიკური საკვების შეძენის შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ.

აუცილებლად მიგვაჩნია ამ კუთხით სიტუაციის შესწავლა რათა მომავალში გათვალისწინებულ იქნას ის სპეციფიკური საჭიროებები რომელიც დევნილებს გააჩნიათ.

- **დასაქმება**

იძულებით გადაადგილებული პირები, როგორც წესი, საკუთარი ნების მიუხედავად და იქიდან გამომდინარე რომ მოუხდათ დაეტოვებინათ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილები, იძულებულნი არიან შეწყვიტონ ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობა. მათი უმრავლესობის თვითკმარობის დონე იწევს დაბლა და უმეტესობა სახელმწიფოზე დამოკიდებული ხდება.

აღნიშნული პრობლემის ნაწილობრივ მოსაგვარებლად სახელმწიფომ გადადგა პოზიტიური ნაბიჯი და ახალ ჩასახლებებში მცხოვრები დევნილებისათვის გამოყო სასოფლო–სამეურნეო მიწები. მათ ასევე სათესლე მასალა დაურიგდათ. ეს დაეხმარება

[112] Transparency International Georgia – Internally Displaced Persons in Georgia: Issues of Concern – Tbilisi, 3 April 2009 გვ 4

დევნილებს, გაიჩინონ საკუთარი შემოსავალი, რაც სახელმწიფოზე მათ დამოკიდებულებას შეამცირებს.

სახალხო დამცველის აპარატმა მიწებთან დაკავშირებული პრობლემა დააფიქსირა მხოლოდ სოფელ მოხისში. აქ დევნილებს პრობლემა წარმოექმნათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლებმაც განაცხადეს, რომ მიწები, რომლებიც გადაეცათ დევნილებს, იყო მათი საძოვრები. დევნილებს დაუზიანეს ნათესები, რის გამოც ისინი ფაქტობრივად დარჩნენ მოსავლის გარეშე და ვერ იყენებენ მიწას. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ ეს პრობლემა უახლოეს მომავალში მოგვარდება.

აღსანიშნავია, რომ დევნილებს შორის დასაქმებულები არიან ასევე სკოლის პერსონალი და პირები, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში მუშაობდნენ.

აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა დაუყოვნებლივ მოაგვარონ სოფ. მოხისში მიწებთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემა

- **მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებული პირები**

სახალხო დამცველის შიდა ქართლის ოფისში შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული უცნაური ადმინისტრაციული წარმოების პრაქტიკა. 2009 წლის აპრილის თვეში სახალხო დამცველს ერთგვაროვანი განცხადებებით მიმართა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებმა ხუთმა პირმა.

ყველა განმცხადებელი მიუთითებს, რომ 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაუზიანდათ ან გაუნადგურდათ საცხოვრებელი სახლები. ადგილობრივი ხელისუფლება კი უარს ეუბნებოდა სახლების შეკეთებაზე.

თითოეულ საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა მოახდინა რეაგირება და წერილობით მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას. ზემოხსენებულ წერილებთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტისგან მიღებულ იქნა იდენტური პასუხები რომ განმცხადებლის საცხოვრებელი დაზიანებულია სიძველის შედეგად.“

2009 წლის 16 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის გამგებელს გაეგზავნა წერილი, რომლითაც მოვითხოვეთ ყველა იმ დოკუმენტის ასლები, რომლითაც დასტურდება, რომ რიგი მოქალაქეების სახლები დაზიანებულია სიძველის შედეგად.

2009 წლის 29 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით გვეცნობა, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია სპეციალისტების ჯგუფი, დაკომპლექტებული გამგეობის თანამშრომლებისაგან, რომელთა მეშვეობითაც შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთან ერთად ხდება შესწავლა თუ რის გამოა დაზიანებული საცხოვრებელი სახლი. აღნიშნული საკითხის შესწავლა ხდება **ვიზუალური დათვალიერებით.**

რაც შეეხება დოკუმენტაციას, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ინახება სამსახურებისა და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულების მიერ განცხადებების განხილვისა და შესწავლის წერილობითი პასუხები. ზემოთ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით სხვა სახის დოკუმენტაცია არ შექმნილა.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ,,ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.“

იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.“

მოცემულ შემთხვევაში გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტებმა მხოლოდ ვიზუალურად დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, ისე რომ დეტალურად არ აღწერეს, თუ რა სახის დაზიანება იყო მიყენებული თითოეული საცხოვრებელი სახლისათვის. არ

არსებობს რაიმე სახის დოკუმენტი, სპეციალისტთა შეფასების, ექსპერტის დასკვნის თუ სხვა სახის წერილობითი დოკუმენტის სახით, რომელშიც მოცემული იქნებოდა მოტივირებული ახსნა იმისა, თუ რატომ მივიდნენ სპეციალისტები იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებლების სახლები მართლაც სიძველის და არა საომარი მოქმედებების შედეგად იყო დაზიანებული. ვიზუალური დათვალიერების წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში არათუ სპეციალისტების დასკვნის სისწორის გადამოწმება, არამედ იმის მტკიცებაც შეუძლებელი ხდება, მართლაც ჩატარდა თუ არა ამგვარი ვიზუალური დათვალიერება. ერთადერთი წერილობითი დოკუმენტი, რაც ე.წ. ,,ბუფერული ზონის“ მაცხოვრებელთა განცხადებებთან დაკავშირებით არის შექმნილი, ეს არის გამგებლის წერილი, სადაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აღნიშნულია, რომ სახლების დაზიანება წარმოშობილია არა სამხედრო მოქმედებების, არამედ სიძველის გამო.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილები არა მხოლოდ დაუსაბუთებელია, არამედ წინააღმდეგობრივიც. მაგ: *ზურაბ მაისურაძის საქმე.* 2008 წლის 19 ნოემბრის გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის ცნობაში აღნიშნულია, რომ ზურაბ მაისურაძის საცხოვრებელი ბინა დაზიანდა საომარი მოქმედებების შედეგად და გამოუსადეგარია საცხოვრებელად, ხოლო 2009 წლის 18 აგვისტოს იგივე გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილის მიხედვით სახლის დაზიანებები ომისაგან არ არის გამოწვეული. ის დაზიანებულია სიძველით და ამ ეტაპზე ბიუჯეტში მსგავსი სამუშაოების შესრულება არ არის გათვალისწინებული.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ასეთ შემთხვევებში უნდა დაიწყონ თითოეულ ასეთ განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოება. კომისიური წესით მოახდინონ საცხოვრებელი სახლების შემოწმება, რისი შედეგებიც უნდა აისახოს წერილობით დასკვნაში, რომელიც კანონმდებლობის დაცვით იქნება დასაბუთებული.

რეკომენდაციები:

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეიმუშაოს სარემონტო სამუშაოების დროს დასაცავი მინიმალური სტანდარტები, რომლებიც ყველა კოლექტიურ ცენტრში იქნება სავალდებულო, იმის მიუხედავად, რომელი სამშენებლო კომპანია ასრულებს მას;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ და იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშაონ სარეაბილიტაციო და საპრივატიზაციო ობიექტთა შერჩევისა და რიგითობის ნათელი კრიტერიუმები;

გაიზარდოს დევნილთა ინფორმირებულობის ხარისხი სარეაბილიტაციო პროცესის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

აუცილებელია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ბრძანებით განისაზღვროს, თუ როგორ უნდა მოხდეს ნაწილობრივ პრივატიზებული კომპაქტური ჩასახლებების მართვა;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ განსაზღვროს რა პერიოდის განმავლობაში გაუწევს სახელმწიფო დახმარებას ნაწილობრივ პრივატიზებულ ობიექტებს;

აუცილებელია, სწრაფად შემუშავდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისს დამტკიცებულ ,,დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული“ ალტერნატიული გრძელვადიანი განსახლების საშუალებები, შესაძლებლობები და კრიტერიუმები, რათა დევნილებს ჰქონდეთ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების საშუალება;

უახლოეს მომავალში, აუცილებელია, რომ ჩატარდეს დევნილთა ახალ ჩასახლებებში შენობების სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები;

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების დახმარებით აღმოფხვრას წყლის მიწოდებასთან და ნაგვის გატანასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები;

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციული საქმისწარმოების დაწყება ყველა იმ განცხადებაზე, რომელიც ეხება საომარი მოქმედებების შედეგად საცხოვრებელი სახლების დაზიანებას და შესაბამისი კომპენსაციის გაცემას. კომისიური წესით დადგინდეს საცხოვრებელი სახლების დაზიანების მიზეზები, რომლებიც აისახება წერილობით დასკვნებში.

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ბოლო მონაცემებით, 2009 წლის იანვრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 992 ლტოლვილის[113] სტატუსის მქონე პირი.

საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირების აღრიცხვა ხორციელდება 1994 წლიდან, თუმცა მათი რაოდენობა 1999 წლამდე ერთეულობით შემოიფარგლებოდა. 1999 წელს რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკაში დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა მოთხოვნა გაიზარდა. 1999 წელს საქართველოს ხელისუფლებამ შვიდი ათასამდე პიროვნებას "prima facie"[114] პრინციპით მიანიჭა ლტოლვილის სტატუსი და განათავსა პანკისის ხეობაში, სადაც მათი მონათესავე ეთნოსი ქისტები ცხოვრობენ.

მიუხედავად იმისა,რომ წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროში ბევრი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა, დღესდღეობით ლტოლვილებზე ზრუნვას ძირითადად საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ.

1.კანონმდებლობა

საქართველოსთვის ამ სფეროში ძირითად დოკუმენტებს წარმოადგენს 1951 წლის გაეროს კონვენცია ,,ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“[115], 1966 წლის ,,ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი და საქართველოს კანონი ,,ლტოლვილთა შესახებ“[116].

---

[113] ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო – საქართველოს კანონი ,,ლტოლვილთა შესახებ“, მუხლი 1.

[114] ,,Prima facie” პრინციპით ლტოლვილის სტატუსის მინიჭება - ლტოლვილის სტატუსის მინიჭება უპირობოდ, სათანადო პროცედურების გარეშე.

[115] კონვენცია საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 7 ნოემბრიდან.

[116] დამატებითი ოქმი საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 9 აგვისტოდან.

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა
უფლებრივი მდგომარეობა

2008 წლის 21 მარტს ცვლილება შევიდა ,,საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებების საფუძველზე, ლტოლვილებზე საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი სამგზავრო დოკუმენტები გაიცემა. ამ ცვლილებამ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი გამოასწორა, როდესაც ლტოლვილებს არ ეძლეოდათ საშუალება გასულიყვნენ ქვეყნის გარეთ და შემდგომში დაბრუნებულიყვნენ საქართველოში, ვინაიდან მათ არ ქონდათ საერთაშორისო სამართლით დადგენილი სამგზავრო დოკუმენტები.

ამასთან, „საქართველოს კანონში ლტოლვილთა შესახებ“ არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ,,ლტოლვილთა შესახებ“ ახალი კანონის პროექტი მოამზადა, რომელიც, სამინისტროს ინფორმაციით, სავარაუდოდ ერთ თვეში გადაეგზავნება საქართველოს პარლამენტს.
ვიმედოვნებთ, რომ ახალი კანონი გამოასწორებს ყველა იმ ხარვეზს, რომელიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით ზღუდავს ლტოლვილთა გადაადგილების თავისუფლებას და სახელმწიფოს ეს ვალდებულება შესაბამისობაში მოვა საერთაშორისო ნორმებთან.

2008 წლიდან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შემუშავდა „ლტოლვილთა და დროებითი თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. სავარაუდოდ კანონპროექტი 2009 წლის შემოდგომაზე გადაეგზავნება საქართველოს პარლამენტს განსახილველად. აღნიშნული კანონპროექტი მიმართულია მოქმედ საქართველოს კანონში „ლტოლვილთა შესახებ“ არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, რომელიც რიგ შემთხვევებში აშკარად არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლის ნორმებთან.

კანონპროექტის თანახმადაც შემუშავებულ იქნა ლტოლვილისა და დროებითი თავშესაფრის მაძიებელთა დეფინიციები. კანონპროექტი აფართოებს ლტოლვილთა სტატუსის მინიჭების არეალს. 1998 წლის კანონი არ ითვალისწინებს „დევნის გონივრულ შიშს“, როგორც საფუძველს იმისა, რომ პირს მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი. თუმცა, ახალი კანონპროექტით ეს საფუძველი გათვალისწინებულია.

კანონს აგრეთვე შემოაქვს სიახლე ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სახით (მუხლი 4), რომელიც ენიჭება უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისათვის მოთხოვნებს, თუმცა ასეთი

დროებითი სტატუსის მინიჭების შემთხვევაში პირს ეძლევა შესაძლებლობა კანონიერად იყოს და მოღვაწეობდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული კანონპროექტის განხილვა და შემდგომ მისი მიღება რეალურად შეცვლის ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივ გარანტიებს და კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო მოთხოვნებთან დაახლოებისათვის.

2. განათლება

,,ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციის 22–ე მუხლი განსაზღვრავს ,,ხელშემკვრელი სახელმწიფოები დაწყებითი განათლების საკითხში ლტოლვილებს უქმნიან მოქალაქეების მსგავს უფლებრივ მდგომარეობას.“

განათლების უფლება ლტოლვილთათვის გარანტირებულია საქართველოს კანონით ,,ლტოლვილთა შესახებ“, რომლის მე–7 მუხლის ,,ვ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესაბამისი ორგანოები ვალდებულები არიან ხელი შეუწყონ ლტოლვილ ბავშვებს სახელმწიფო სკოლამდელ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოწყობაში“.

აღსანიშნავია, რომ ლტოლვილ მოსახლეობაში იზრდება ქართულ ენაზე სწავლის სურვილი. კერძოდ, ახმეტის რესურსცენტრის ინფორმაციით, ლტოლვილი ბავშვების საკმაოდ დიდი ნაწილი მშობლებს შეჰყავთ სკოლების ქართულ სექტორზე, რაც მისასალმებელი და დადებითი ტენდენციაა. აღნიშნული გააადვილებს საზოგადოებაში ლტოლვილთა ინტეგრაციას.

მიუხედავად ამისა, ლტოლვილ ბავშვებს განათლების კუთხით გარკვეული პრობლემები მაინც ექმნებათ. ახმეტის რესურსცენტრის ინფორმაციით, რეგიონში სულ ხუთი სკოლა ფუნქციონირებს: დუისის, წინუბანის, ბირკიანის, დუმასტურისა და ჯოყოლოს. ამჟამად ლტოლვილი ბავშვების უმრავლესობა ორ სკოლაშია გადანაწილებული – სოფელ დუისსა და ჯოყოლოში. დუისის სკოლაში არსებობს რუსული სექტორი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზეა. რუსულ სექტორზე ამჟამად სულ 700 მოსწავლეა, აქედან 133 არის ლტოლვილი ბავშვი. რაც

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა
 უფლებრივი მდგომარეობა

შეეხება სოფ. ჯოყოლოს, აქ რუსულ სექტორზე სწავლობს 25 ლტოლვილი ბავშვი. აღნიშნულ სექტორს აქვს პრობლემა. იგი ამჟამად არ არის საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე. მას გარკვეული პერიოდი აფინანსებდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR). მოგვიანებით, მისი დაფინანსება თავის თავზე აიღო ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ (NRC). იმის გამო, რომ ჯოყოლოს სკოლის რუსული სექტორი არ არის სამინისტროს ბალანსზე, მასზე არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარანტიები, როგორიცაა მაგალითად სადაზღვევო ვაუჩერები. ჩვენს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით, ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის სექტორის სამინისტროს ბალანსზე აყვანასთან დაკავშირებით. ვიმედოვნებთ, რომ მოლაპარაკების შედეგად აღნიშნული საკითხი დადებითად გადაწყდება.

სკოლებში ერთ–ერთ პრობლემად ლტოლვილი ბავშვების დასწრება და სწავლისთვის თავის დანებება რჩება. თუმცა, აღსანიშნავია რომ ეს არ არის მხოლოდ ლტოლვილი ბავშვების პრობლემა. იგივე პრობლემა აქვს მთლიანად პანკისის მოსახლეობას. კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სოფ. წინუბანში არის მხოლოდ შვიდწლედი. ზედა კლასების დასრულების მიზნით, ლტოლვილ ბავშვებს, ისევე, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, უწევს ერთი სოფლიდან მეორეში სიარული – დუისში. იმის გამო, რომ ამ ბავშვების ტრანსპორტირება არ ხდება არც სახელმწიფოს და არც სხვა ორგანიზაციათა დახმარებით, მათ უხდებათ დიდი მანძილის გავლა. პანკისის ხეობა ზამთარში რთული კლიმატური პირობებით გამოირჩევა, რის გამოც ბევრი ბავშვი ვერ ახერხებს სასკოლო მეცადინეობებზე დასწრებას, შესაბამისად, ვერ იღებს ადეკვატურ განათლებას.

1989 წლის გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის[117] 28-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, აუცილებელია პრობლემის გადასაჭრელად გარკვეული ღონისძიებების გატარება, როგორიცაა მაგალითად ტრანსპორტირების პრობლემის აღმოფხვრა.

არის შემთხვევები, როდესაც ლტოლვილი ბავშვები თავს ანებებენ სკოლაში სიარულს. მიზეზი ძირითადად ნაადრევი დაოჯახება/გათხოვება და შესაბამის ტანსაცმელთან და სხვა აუცილებელ ნივთებთან დაკავშირებული ხარჯებია. სწავლისათვის თავის

[117] ,აღნიშნული კონვენცია საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 2 ივნისიდან.

დანებების ფაქტები განსაკუთრებით თვალშისაცემია 12–16 წლის ლტოლვილ გოგონებს შორის, რაც მათი მშობლების გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება.[118]
აღნიშნულ პრობლემაზე აქცენტი გაამახვილა ასევე გაეროს ბავშვთა დაცვის კომიტეტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ იგი განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ ლტოლვილ ბავშვთა უფლებების გარანტიების დაცვის არასაკმარისობით, რომლებიც ცხოვრობენ განცალკევებულ და მოშორებულ ლტოლვილთა დასახლებებში, რაც მათ განვითარებას უშლის ხელს.[119]

,,ბავშვთა უფლებების კონვენციის" თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ზომები სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად და სკოლიდან განთესილ ბავშვთა რიცხვის შესამცირებლად[120].

ინკლუზიური განათლების კუთხით საქართველოში 2006–2008 წლებში განხორციელდა პილოტური პროგრამა, რომელიც თბილისის 10 სკოლას მოიცავდა. ამჟამად ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნით, საქართველოს ყველა სკოლის ეტაპობრივი მომზადება მიმდინარეობს. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ინფორმაციით, ლტოლვილთა აღრიცხვისას, პანკისის ხეობაში მცხოვრებ ლტოლვილთა შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საკმაოდ დიდი რაოდენობა გამოვლინდა. 2005 წელს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ დაიწყო პილოტური პროექტი, რომელიც ლტოლვილი ბავშვების ინკლუზიურ განათლებას ეხებოდა, თუმცა პროექტს შეექმნა პრობლემა. მასში ჩართული იყო სასკოლო ასაკის 4 ბავშვი და 5 მოზრდილი. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს განმარტებით, ამ პროექტმა ორი მიზეზით არ გაამართლა. პირველი – გონებრივად უნარშეზღუდული ბავშვის ყოლა ჩეჩენ საზოგადოებაში დიდ სირცხვილად ითვლება და მშობლებს ურჩევნიათ, ისინი სახლში ჰყავდეთ, მეორე – საგანმანათლებლო კლასი არ მოქმედებდა მთელი დღე და ბავშვებისთვის საკვები არ იყო გათვალისწინებული. ამჟამად ლტოლვილ შშმ ბავშვებზე პასუხისმგებლობა აღებული აქვს წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრს (GCRT). მათ გონებრივი და ფიზიკური შეზღუდვით 12 ბავშვი ჰყავთ რეგისტრირებული.

---

[118] საქართველო: ლტოლვილთა საკითხებზე კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების ანალიზი - UNHCR აპრილი, 2008.

[119] გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტი, 48 სხდომა ხელშემკვრელ მხარეების მიერ კონვენციის 44-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული მოხსენებები Concluding observations: საქართველო, პარაგრაფი 58. http://www2.ohchr.org/english/bodies/hrc/hrcs91.htm

[120] ,,ბავშვის უფლებათა კონვენცია" მუხლი 28, ,,ე" ქვეპუნქტი.

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა
 უფლებრივი მდგომარეობა

ლტოლვილი ბავშვებისთვის ამჟამად ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს (NRC) ფინანსური მხარდაჭერით ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები. 2009 წლის 1 ოქტომბრიდან იგეგმება მათი ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემა.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება სკოლებში ლტოლვილი ბავშვების დასწრების გაუმჯობესებისაკენ. ასევე, აუცილებელია გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები, ბავშვთა სკოლაში ტრანსპორტირების მიზნით, რაც გაუადვილებს, როგორც ლტოლვილ ისე ადგილობრივ ბავშვებს სკოლაში სიარულს ერთი სოფლიდან მეორეში.

3. დასაქმება

,,ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–7 მუხლის თანახმად, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, მოსახლეობის დასაქმების დონის გათვალისწინებით, ლტოლვილს მისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით დახმარება გაუწიონ შრომით მოწყობაში. ადგილზე შრომითი მოწყობის შეუძლებლობისას, საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ლტოლვილი, როგორც უმუშევარი და ხელი შეუწყოს მას სამუშაო ადგილით უზრუნველყოფაში;

პრაქტიკაში რეგიონის ადგილმდებარეობისა და პანკისის ხეობაში დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ეს დებულებები ეფექტურად არ ხორციელდება და მთავრობას არ აქვს ლტოლვილთათვის სამსახურის მოძიების ერთიანი სტრატეგია. დღესდღეობით საქართველოში მცხოვრები ლტოლვილებისათვის არ ხორციელდება დასაქმების არცერთი სახელმწიფო პროგრამა.

კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი, ლტოლვილთა დასაქმების მიზნით, დონორთა დახმარებით, სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს. (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, პოლონეთის საელჩო, ევროკავშირი, ნიდერლანდების საელჩო და ა.შ).

კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პროექტები ძირითადად მიმართულია პანკისის ხეობაში მცირე ბიზნესის

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა
 უფლებრივი მდგომარეობა

განვითარებისა და ლტოლვილთა მაქსიმალური დასაქმებისაკენ, რათა გაიზარდოს მათი თვითმყოფადობა და შემცირდეს მატერიალური დამოკიდებულება სახელმწიფოსა და სხვადასხვა საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებზე. პროექტთა უმეტესობა წარმატებით ხორციელდება. (მაგ. მედურგლეობა დუისში, სამკერვალო – წინუბანში, მეფუტკრეობა – დუისსა და წინუბანში.) აღნიშნული პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგს კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი და დონორი ორგანიზაციები აწარმოებენ.

პანკისის ხეობაში სახელმწიფოს მხრიდან არ ხორციელდება გადამზადების პროგრამები. ასეთი პროექტებიც, ისევე, როგორც უმეტესობა აქტივობებისა, ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით.

კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი, დონორთა მეშვეობით, ამ ეტაპზე სხვადასხვა პროფესიული გადამზადების კურსებს კურირებს. ესენია: ბუღალტერიის, ჭრა–კერვის, კულინარიის, ელექტრო შედუღების, მეფუტკრეობის, სადურგლო ხელობის დაუფლების კურსები. ხოლო ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს კურატორობით ხორციელდება ქართული, რუსული, ინგლისური ენების, მათემატიკის, გეოგრაფიის, ზოგადი უნარებისა და კომპიუტერის დაუფლების პროგრამები.

გადამზადების სახელმწიფო პროგრამების არსებობა პანკისის ხეობაში გაზრდიდა ლტოლვილთა შესაძლებლობას, დასაქმდნენ და მეტ–ნაკლებად დამოუკიდებლები გახდნენ მატერიალური კუთხით.

4.სოციალურ–ეკონომიკური პირობები

4.1 ფულადი დახმარება

2007 წლის დასაწყისში საქართველოში რეგისტრირებულ ლტოლვილებზე გაიცა დროებითი ბინადრობის მოწმობა. 2007 წლის იანვრის თვიდან დროებითი ბინადრობის მოწმობის საფუძველზე საქართველოში რეგისტრირებულ ლტოლვილებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემოდა ფულადი შემწეობა 14 ლარი, რომელიც 2008 წლის აპრილიდან გაიზარდა 28 ლარამდე.
ამ დახმარების გარდა, ლტოლვილებს მატერიალურ დახმარებას გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატიც უწევს. აღნიშნული ორგანიზაცია, დონორების დახმარებით,

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა
 უფლებრივი მდგომარეობა

2007 წლამდე ახორციელებდა ლტოლვილებისათვის სასურსათო პროდუქტების დისტრიბუციას, ხოლო 2008 წლიდან სასურსათო დახმარება ფულადი დახმარებით შეიცვალა.

4.2 საყოფაცხოვრებო პირობები

ლტოლვილთა საკმაოდ დიდი რაოდენობა განსახლებულია კერძო სექტორში. ბოლო მონაცემებით, კოლექტიური ცენტრებში განსახლებულია ლტოლვილთა დაახლოებით 20%. 2006 წელს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დახმარებით განხორციელდა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია, თუმცა ლტოლვილთა განმარტებით, იქ საკმაოდ ბევრი პრობლემაა. ლტოლვილებისათვის, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, ისევ პრობლემურია ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და საყოფაცხოვრებო ნივთები. ამჟამად მიმდინარეობს აქტივობები, ლტოლვილებს დაურიგდათ სარემონტო მასალები (საღებავი, ლინოლიუმი და ა.შ), ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დაარიგა გარკვეული საყოფაცხოვრებო ნივთები.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, 2008 წელს ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ლტოლვილთა გარკვეული ნაწილი, ძირითადად ის ოჯახები, რომლებსაც ქალები უძღვებიან, სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ. არის ისეთი ოჯახები, რომლებსაც შვილებისთვის ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ყიდვის საშუალება არ აქვთ, რის გამოც ბავშვები ვერ ახერხებენ სკოლაში სიარულს. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა სასურსათო დახმარება ფულადი დახმარებით შეცვალა.

სამწუხაროდ, სახალხო დამცველის წარმომადგენლებს ამ პერიოდში არ მოუნახულებიათ ლტოლვილების კომპაქტური ჩასახლების ობიექტები, შესაბამისად, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია მწირია და მისი წყარო ძირითადად თავად ლტოლვილები და საერთაშორისო ორგანიზაციები არიან.

4.3 ჯანდაცვა

საქართველოს კანონით ,,ლტოლვილთა შესახებ“ არ ითვალისწინებს უფასო ან შეღავათიანი სამედიცინო დახმარებას ლტოლვილთათვის. ასევე არ არსებობს არც ერთი

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა
უფლებრივი მდგომარეობა

სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საშუალებას მისცემდათ ლტოლვილებს გარკვეული შეღავათით ესარგებლათ სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნული კანონის მე–3 მუხლი ჯანდაცვის კუთხით ითვალისწინებს მხოლოდ ლტოლვილის სავალდებულო სამედიცინო შემოწმების გავლას. სახელმწიფოს მხრიდან ლტოლვილებზე ჯანდაცვის სფეროში რაიმე სახის შეღავათი არ არსებობს. აღნიშნული კუთხით ლტოლვილებს დახმარებას მთლიანად საერთაშორისო ორგანიზაციები უწევენ (UNHCR-ი და ტექნიკური დახმარება საქართველოსათვის – TAG). მათი ძალისხმევით, ლტოლვილებისათვის უფასო სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომია ადგილობრივ დონეზე. დუისში, ჯოყოლოში და ომალოში არის ამბულატორიები, სადაც ლტოლვილთათვის სამედიცინო მომსახურება უფასოა. ტექნიკური დახმარება საქართველოსათვის (TAG) ლტოლვილებს სამედიცინო კუთხით არსებული პრობლემების გადასაწყვეტად მატერიალურადაც ეხმარება.

4.4 სამოქალაქო დოკუმენტაცია და იურიდიული დახმარება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლტოლვილებს პრობლემა არ ექმნებათ არც ბინადრობის მოწმობებთან დაკავშირებით და არც სამგზავრო დოკუმენტების მიღებისას.

კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის ინფორმაციით, აღნიშნული ორგანიზაცია ახორციელებს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს პროექტს ICLA - ინფორმაცია, კონსულტაცია, იურიდიული დახმარება, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია ჩეჩენი ლტოლვილების უფასო იურიდიული დახმარება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლტოლვილთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებული სიტუაცია ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციათა დახმარებით არის მიღწეული. აუცილებელია, რომ კონკრეტულმა პასუხისმგებელმა სტრუქტურებმა გაატარონ საჭირო ღონისძიებანი იმისთვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს საერთაშორისო დონეზე ლტოლვილების წინაშე აღებული პასუხისმგებლობის სათანადო შესრულება.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა და მისი გაეროს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმოკლეს ვადაში მოხდეს ჯოყოლოს სკოლის რუსული სექტორის სამინისტროს ბალანსზე აყვანა;

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გატარდეს ღონისძიებები, რომელიც მოაგვარებს ადგილობრივი და ლტოლვილი ბავშვების ტრანსპორტირების პრობლემას სკოლებში;

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გადაიხედოს სახელმწიფო პოლიტიკა ლტოლვილ პირთათვის სამედიცინო დახმარების სფეროში გარანტიებისა და შეღავათების შესაძლებლობის დაწესების მიზნით.

ბავშვთა უფლებები

საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენებებში არაერთხელ იყო განხილული საქართველოში იმ ბავშვების მდგომარეობა, რომლებიც სამზრუნველო დაწესებულებებში არიან მოთავსებული. ანგარიშები ეხებოდა ისეთ პრობლემურ საკითხებს, როგორებიცაა ბავშვთა სახლებში არასათანადო საცხოვრებელი პირობები და არაკვალიფიციური კადრები.

საანგარიშო პერიოდში დადებითად შეიძლება შეფასდეს სახელმწიფოს მხრიდან გადაწყვეტილება სამზრუნველო დაწესებულებების ხელმძღვანელების შეცვლის შესახებ. სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ახალი კადრები უფრო დაინტერესებული არიან პოზიტიური ცვლილებების განხორციელებითა და რეფორმების გატარებით.

სახელმწიფომ შეიმუშავა სტანდარტები, რომლებიც აღნიშნულ დაწესებულებებში უნდა სრულდებოდეს. დაიწყო მათი ბავშვთა სახლებში დანერგვის პროცესი. ასევე დაიწყო სახლების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გადაკეთება.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეკომენდაციას უწევს საქართველოს: "სიღარიბის დაძლევის სტრატეგიაში – "ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამაში" – ცალკე თავი მიუძღვნას ბავშვებს და პრიორიტეტი მიანიჭოს მათ საჭიროებებს. ამით უზრუნველყოფილი იქნება ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვების განვითარებას და დაიცავს მათ სიღარიბისგან."[121]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ განხორციელდა სხვადასხვა ტიპის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინსტიტუციების მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ პრობლემათა უმრავლესობა არაერთხელ დაფიქსირებულა წინა საანგარიშო პერიოდის მოხსენებებში.

უმთავრესი პრობლემა, რასაც თავად დაწესებულებების ხელმძღვანელები ადასტურებენ, კვლავ არის სახელმწიფო დაფინანსების სიმწირე. აღნიშნულიდან გამომდინარეობს ყველა სხვა საჭირბოროტო საკითხი.

ამგვარი დაწესებულებებისათვის კვლავ მწვავედ დგას შენობათა სიძველისა და ამორტიზებულობის საკითხი, რაც ბავშვებისათვის არასათანადო საცხოვრებელი პირობების არსებობას განაპირობებს. მაგალითად, საკანალიზაციო სისტემის მოუწესრიგებლობა პირდაპირ კავშირშია სანიტარულ– ჰიგიენურ მდგომარეობასთან.

---

[121] ბავშვის უფლებების კომიტეტის 48-ე სხდომა (2008 წლის 6 ივნისი) ბავშვის უფლებათა კონვენციის 44-ე მუხლის თანახმად მონაწილე სახეკლმწიფოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, დასკვნითი შენიშვნები:საქართველო CRC/C/GEO/CO/3 პარაგრაფი 55.

ინსტიტუციათა უმრავლესობაში შესვლისას გამოკვეთილად იგრძნობა სპეციფიკური სუნი, არ არის გამწოვები, ანტისანიტარიაა ტუალეტებში, სასაპნეებში არ დევს საპონი და სხვა.

არასათანადო საცხოვრებელ პირობებს განაპირობებს, აგრეთვე, შემდეგი გარემოება: აღსაზრდელებს, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნიათ პირადი ნივთების შესანახი სათავსოები და პირადი კუთხე; პრობლემად რჩება ბავშვებისათვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საჭირო რაოდენობის არსებობა.

ბიუჯეტის სიმწირის გამო ბავშვები მოკლებული არიან შესაძლებლობას, სრულფასოვნად მიიღონ კლასგარეშე არაფორმალური განათლება. მათ არ აქვთ საშუალება, სისტემატურად ჩაერთონ სხვადასხვა სახის შემეცნებით–გასართობ ღონისძიებებში.

კვლავ ვერ ხერხდება ძიძებისა და მომვლელებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემური ხასიათის ტრენინგების ჩატარება. აღნიშნული საკითხის მოუგვარებლობა კი, ხშირ შემთხვევაში, ხელს უშლის აღსაზრდელებსა და აღმზრდელებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ზოგიერთ ინსტიტუციას არ ჰყავს ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი.

1. **სკოლა–პანსიონების დაფინანსების პრობლემა**

2009 წლის იანვრიდან პანსიონური მომსახურების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლასთან დაკავშირებით, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინსტიტუციების უმრავლესობას გარკვეული პერიოდით, 2009 წლის მარტამდე, შეექმნა დაფინანსების პრობლემა – შეფერხდა რამდენიმე თვის განმავლობაში საჭირო თანხების გადარიცხვა. ასეთ პირობებში ინსტიტუციების დირექტორებს პირადი ნაცნობობისა და ნდობის ხარჯზე უწევდათ კვების პროდუქტების შემოტანა. რაც შეეხება სხვა საჭიროებებს, ადმინისტრაცია ფაქტობრივად ვერ ახერხებდა სკოლების უზრუნველყოფას.

ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა ჩაატარა თემატური მონიტორინგი, რომლის მიზანიც იყო დროებით დაფინანსების გარეშე დარჩენილი სკოლა–პანსიონების პრობლემების შესწავლა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ინსტიტუციებს, ზემოაღნიშნული კონკრეტული და სხვა საერთო მიზეზებიდან გამომდინარე, ძირითადი პრობლემებიც მსგავსი აღმოაჩნდათ.

როგორც აღინიშნა, სკოლა–პანისონების მთავარ პრობლემას დაფინანსების შეფერხება წარმოადგენდა; ამ დაწესებულებების ბიუჯეტი დროულად არ დამტკიცდა, რადგან არ იყო გარკვეული, რომელი სამინისტროა პასუხისმგებელი მათ დაფინანსებაზე, ვინაიდან ამ დაწესებულებების ერთი ნაწილი – სკოლა ექვემდებარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პანსიონი კი – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

ამ მიზეზით, ხშირ შემთხვევებში, აღნიშნული დაწესებულებები საკვები პროდუქტების არსებულ მარაგს იყენებდნენ ან როგორც აღვნიშნეთ, მომმარაგებელ სადისტრიბუციო კომპანიებთან პირადი ნაცნობობისა და ნდობის საფუძველზე იძენდნენ საჭირო საკვებს ბავშვებისთვის. ამ გარემოებამ, შექმნა პრობლემები, რომელთა გამოსწორებასაც რამდენიმე თვე დასჭირდა. თუმცა, ამ ხნის მანძილზე, 2009 წლის მარტამდე, ზოგიერთი სკოლა–პანსიონი მაინც ახერხებდა არსებული თანხის გადანაწილებას აუცილებელი ნივთების შესაძენად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ დაწესებულებებს სხვა პრობლემებიც ჯერჯერობით გადაუჭრელი აქვს; ჩამოვთვლით მხოლოდ რამდენიმეს:

- პერსონალის გადამზადების სპეციალური კურსების არარსებობა; ტრენინგები მხოლოდ მასწავლებლებს უტარდებათ არარეგულარულად.
- დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ლიკვიდაციისთვის განკუთვნილი დაწესებულებების ამორტიზებული, ურემონტო შენობების არსებობა; დეინსტიტუციონალიზაცია ნამდვილად რაციონალური გამოსავალია ბავშვებისთვის და სრულად პასუხობს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების პრინციპს, მაგრამ ეს პროცესი დროს მოითხოვს. ამ დაწესებულებებში მყოფი ბავშვები კი წლების მანძილზე განაგრძობენ იმავე პირობებში ცხოვრებას და მათი უმეტესობა ისე მიაღწევს ზრდასრულ ასაკს, რომ რეფორმა მათ ვერ შეეხება.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვე–პროექტების მომზადების შესახებ ბავშვთა იმ დაწესებულებებისთვის, რომლებიც რეორგანიზაციას უნდა დაექვემდებარონ;

- ბავშვთა სპეციალური დაწესებულებებისათვის აუცილებელი ახალი კვალიფიციური კადრების სიმცირე;
- ბავშვთა სპეციალურ დაწესებულებებში საჭირო ადაპტირებული წიგნების ნაკლებობა, სასწავლო ინვენტარისა და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი

თვალსაჩინოების (მეტყველების სწავლებისთვის საჭირო სპეციალური კომპლექტები, ბრაილის შრიფტით მომზადებული სახელმძღვანელოები და თანამედროვე ლიტერატურა, სპეციალური ელექტრონული პროგრამები უნარშეზღუდულთათვის კომპიუტერთან სამუშაოდ) სიმცირე და ცუდი ხარისხი, მოძველებული და არაადაპტირებული წიგნებით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკები, რომლებიც ვერანაირად ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებსა და ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო დანიშნულებას.

- აღნიშნულ დაწესებულებებში, ბავშვთა სხვა დაწესებულებების მსგავსად, არ არსებობს ძალადობის პრევენციისთვის საჭირო მექანიზმი. ამ ინსტიტუციების წესდებებსა თუ დებულებებში არ არის სისტემურად გათვალისწინებული ბავშვის მიმართ სხვადასხვა ფორმის ძალადობის დაძლევის პოლიტიკა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უფრო ქმედითად უნდა აამოქმედოს მის მიერ შემუშავებული უსაფრთხო სკოლის პროგრამა, რომელიც ასევე უნდა შეეხოს ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებებს. ბავშვის მიმართ ძალადობის დაძლევის ღონისძიებები უნდა ატარებდეს სისტემურ ხასიათს, რასაც კოორდინირებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნული პროგრამა უნდა უწევდეს.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დასრულების შემდეგ თითოეული სკოლა–პანსიონის ხელმძღვანელს გაეგზავნა მისი ინსტიტუციის მონიტორინგის ანგარიში.

2. სკოლის მოსწავლეთა დისკრიმინაცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.

გაეროს ბავშვთა უფლებათა შესახებ კონვენციის შესაბამისად „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვეციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად.“[122]

[122] საქართველო აღნიშნული კონვენციის წევრია 1994 წლიდან.

ამასთან, ამავე კონვენციის ერთ–ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს ბავშვის ინდივიდუალობის განვითარებისა და მისი პიროვნების თვითგამოხატვის დაცვა და ხელშეწყობა.

სამწუხაროდ, ამ პრინციპის დაცვა საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობაში არ არის სრულად გარანტირებული. ეს გამოწვეულია ამ დაწესებულებების ხელმძღვანელების მოზარდისადმი არაპროფესიონალური მიდგომით.

2009 წლის 4 ივნისს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავიდა რეპორტაჟი, რომელიც ეხებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსის საჯარო სკოლის მოსწავლეების, ბელა შ.–ს (რომელიც აღნიშნული მომენტისათვის იყო არასრულწლოვანი)და ლია კ.–ს (რომელიც იმ დორისთვის იყო სრულწლოვანი და სწავლობდა 12 კლასში)სახლიდან გაქცევის ფაქტს.

სახალხო დამცველის აპარატის რწმუნებულმა ახსნა–განმარტება ჩამოართვა სოფელ სუფსის სკოლის პედაგოგებს, დირექციის წარმომადგენლებს, სკოლის მოსწავლეებს და გოგონების მშობლებს კანონით დადგენილი უფლებების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით.

ირკვევა, რომ ლია კ.–სა და ბელა შ.–ს მიმართ, სკოლის დირექტორისა და პედაგოგების პრეტენზია განპირობებული იყო მოსწავლეთა ქცევით, ზოგადად მათი განსხვავებული ჩაცმულობით (სამკაულებისა და “პირსინგების” ტარებით). სკოლის დირექტორმა და პედაგოგებმა გამოთქვეს მოსაზრება, მოსწავლეების სკოლაში დაბრუნების მიზანშეწონილობის შესახებ. როგორც ტელეკომპანია „იმედის“ რეპორტაჟში ჩანს მასწავლებლების დიდი ნაწილი და სკოლის დირექტორი ეთანხმება იმ პოზიციას რომ ბავშვებს არ უნდა მიეცეთ საშუალება შემდგომ გააგრძელონ სწავლა აღნიშნულ სკოლაში, რადგან ისინი სკოლის სხვა მოსწავლეებისათვის საფრთხეს წარმოადგენენ, თუმცა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ არასრულწლოვნები ცუდ ზეგავლენას არ ახდენენ სკოლის მოსწავლეებზე.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მოხელეების მხრიდან აღნიშნულ სიტუაციის მიმართ არსებული დამოკიდებულება სერიოზულად აყენებს ეჭვქვეშ საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით, ასევე საერთაშორისო სამართლით დაცულ ბავშვთა უფლებებს. ამასთან, გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტმა 2008 წლის საქართველოსათვის მიცემულ დასკვნით შენიშვნებში აღნიშნა, რომ იგი შეშფოთებას გამოთქვამს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ, მიუხედავად კონსტიტუციური და სხვა

გარანტიებისა, დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი არ არის პრაქტიკაში სრულად უზრუნველოფილი ბავშვთა გარკვეულ ჯგუფებისათვის.[123]

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, „მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს, აგრეთვე მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ ამ თავით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით".

ამავე კანონის მე–13 მუხლის მე–5 პუნქტით, „ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას".

ამავე კანონის მე–17 მუხლის პირველი პუნქტი აწესებს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპს. მათ არ შეიძლება მოეთხოვოთ, გაამჟღავნონ ინფორმაცია თავიანთ პირად ცხოვრებაზე.

საქართველოს კანონმდებლობის მოცემული დებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სოფელ სუფსის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიმართ, ამავე სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების მხრიდან მოხდა მათი უფლებებისა და თავისუფლებების უხეში ხელყოფა.

2009 წლის 8 ივნისს, განათლების და მეცნიერების სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ტელეკომპანია ,,იმედის" ეთერში 4 ივნისს გასული სიუჟეტის შემდეგ დაიწყო სოფ. სუფსის საჯარო სკოლის სამსახურეობრივი შემოწმება.[124]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 ივლისის N514 ბრძანების საფუძველზე ზემოაღნიშნულ საჯარო სკოლას გამოეცხადა წერილობითი გაფრთხილება. სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სამართლიანად დაასკვნა რომ „სკოლის მხრიდან მოხდა ... ღირსების სფეროში გაუმართლებელი ჩარევა, რაც გამოიხატა იმ გარემოებებით, რომ საჯარო სკოლის დირექტორისა და პედაგოგების მხრიდან საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გასულმა ინფორმაციამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას მოსწავლეთა სახელების გამტეხი

[123] ბავშვის უფლებების კომიტეტის 48-ე სხდომა (2008 წლის 6 ივნისი) ბავშვის უფლებათა კონვენციის 44-ე მუხლის თანახმად მონაწილე სახეკლმწიფოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, დასკვნითი შენიშვნები:საქართველო CRC/C/GEO/CO/3 პარაგრაფი 21.

[124] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება 2009 წლის 8 ივნისი. http://mes.gov.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=1&id=1645

გამონათქვამების გავრცელებაში ... [რამაც] მოახდინა საქართველოს კონსტიტუციის მე–20 მუხლით განმტკიცებული პირადი ცხოვრების სფეროში გაუმართლებელი ჩარევა.”

გარდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსის საჯარო სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების მიერ აღნიშნული უფლებების ხელყოფის ფაქტისა, აღსანიშნავია ასევე, რომ ტელეკომპანიების მიერ გავრცელებული საინფორმაციო სიუჟეტები ასევე არაპოზიტიურად აისახა მოსწავლეთა მდგომარეობაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ იქნა დაცული მოსწავლეთა კონფიდენციალურობა.

3. კადრების მომზადება შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მიზნით

2008 წლის სექტემბერში, ირლანდიაში, ქ.დუბლინში, ევროპის ბავშვთა ომბუდსმენების გენერალურ ასამბლეაზე, საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება აგვისტოს მოვლენების შემდეგ სამაჩაბლოს რეგიონის ბავშვების მდგომარეობის შესახებ.

მოცემულ ინფორმაციაში, სხვა არსებულ პრობლემებთან ერთად, აღნიშნული იყო ისიც, რომ კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ტრავმირებულია გადატანილი ომით და ფსიქოლოგების პროფესიულ დახმარებას საჭიროებს. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ბავშვებთან საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების რამდენიმე ჯგუფი მუშაობს, მაგრამ ქვეყანას ამ სფეროში მეტი კვალიფიციური კადრი ესაჭიროება.

ამ ინფორმაციას ევროპის რამდენიმე ბავშვთა ომბუდსმენი გამოეხმაურა. პირველი კონკრეტული დახმარება კი ქართველ კოლეგებს ნორვეგიის ბავშვთა ომბუდსმენმა შესთავაზა. ამის საფუძველზე, ნორვეგიის ქალაქ ბერგენის კრიზისული ფსიქოლოგიის ცენტრმა ამ სფეროში მომუშავე 10 ქართველი ფსიქოლოგი კრიზისული ინტერვენციის კურსის გასავლელად მიიწვია.

ტრენინგი ჩატარდა 2008 წლის 7–18 დეკემბერს და მისი თემა იყო კრიზისული ინტერვენციის მეთოდის გამოყენება ომით ტრავმირებულ ბავშვებში. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა ფსიქოლოგებმა, რომლებსაც ომით ტრავმირებულ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ. რამდენიმე მათგანი კი სამაჩაბლოდან დევნილ ბავშვებს ახლდა პოლონეთში აგვისტოსა და სექტემბერში.

ნორვეგიაში ტრენინგის გავლის შემდეგ ფსიქოლოგები განაგრძობენ მუშაობას სამაჩაბლოდან დევნილ ბავშვებთან. გარდა ამისა, ისინი მიღებულ ცოდნას უზიარებენ

თავიანთ კოლეგებს და ტრენინგებს უტარებენ იმ მასწავლებლებს, რომლებსაც ყოველდღიური კავშირი აქვთ სამაჩაბლოს რეგიონის მოსწავლეებთან.

2009 წლის 26 აპრილიდან 23 ივნისის ჩათვლით, სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებითა და გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, ფსიქოლოგების აღნიშნულმა ჯგუფმა ხაშურის საჯარო სკოლების მასწავლებელთათვის ჩაატარა ტრენინგები „ ტრავმა და მისი გავლენა ბავშვზე – რა უნდა იცოდეს სკოლის მასწავლებელმა“.

ტრენინგები ჩატარდა ხაშურის რაიონის 15 საჯარო სკოლაში და მათში მონაწილეობა მიიღო 314 პედაგოგმა. ათმა ფსიქოლოგმა შეადგინა 5 ორკაციანი ჯგუფი. სულ ჩატარდა 30 სატრენინგო სესია. თითოეული სესიის ხანგრძლივობა შეადგენდა 5 საათს.

ტრენინგების ამოცანა იყო საჯარო სკოლის მასწავლებელთათვის ტრავმისა და სტრესის გამოხატული ნიშნების იდენტიფიკაციის სწავლება ომით და სხვა სტრესული ვითარებით დაზარალებული ბავშვებისთვის გადაუდებელი დახმარების გაწევისა და საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი პროფესიული ჩარევის მიზნით.

სამუშაო ჯგუფის ფუნქციას შეადგენდა აგრეთვე ტრენინგის მოდულის მომზადება.

ტრენინგები ჩატარდა ხაშურის N1,2,3,4,5,6,7,8,9, სურამის N1 და N3, ხაშურის რაიონის სოფლების: ოსიაურის, იტრიის, ქვიშხეთისა და ალის საჯარო სკოლებში.როგორც აღინიშნა, აგვისტოს ომით დაზარალებულ ადამიანებს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები უწევენ დახმარებას. საქართველოს პარლამენტმა მათი მუშაობის კოორდინირება ითავა. გარდა ამისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში კოორდინირებას უწევს ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს (რეგულარული შეხვედრები, ინფორმირება, ელექტრონული ქსელი, სამუშაო გეგმების ურთიერთგაზიარება). მიუხედავად ამისა, ჩვენმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ სფეროში მაინც არის შეუთანხმებლად მოქმედების შემთხვევები. არასრულია, აგრეთვე ამ სამსახურების მიერ სამიზნე ჯგუფების დაფარვის სფერო. ამიტომ, სასურველია, რომ სახელმწიფომ უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგას ამ საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციების უკეთ კოორდინირების მიმართულებით.

4. საზაფხულო სკოლა მოზარდებისთვის

2009 წლის 23 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა, ევროკავშირის პროექტის „ სახალხო დამცველის აპარატის

ხელშეწყობა“ და „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის“ ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი „საზაფხულო სკოლა მოზარდებისთვის“.

ცენტრი, თავისი ფუნქციონირების პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე, 2007 წლიდან ყოველ ზაფხულს ორგანიზებას უკეთებს საგანმანათლებლო–გამაჯანსაღებელ–გასართობ ბანაკებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ბავშვებისთვის.

მოზარდთა ამ შეკრებების ძირითადი მიზანია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თავმოყრილ მოზარდთა შორის ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება, მათთვის ადამიანის უფლებათა ევროპული და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციების პრინციპების, სახალხო დამცველის, გაეროს ბავშვთა ფონდის, ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გაცნობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის უპირატესობის ჩვენება. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია ზაფხულის სკოლის მონაწილეთა დაახლოება და ინტეგრაცია.

2009 წლის საზაფხულო სკოლის ერთ–ერთი ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საგანმანათლებლო ინსტიტუციების მოზარდების ინტეგრაცია და ომით დაზარალებული მოზარდების სოციალური რეაბილიტაცია.

ჩვენი ამოცანა იყო სხვადასხვა გეოგრაფიულ, სოციალურ, ინტელექტუალურ თუ ემოციურ გარემოში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის თანამშრომლობის და მეგობრობის ატმოსფეროს შექმნა, აგრეთვე, დისკუსიის კულტურის დანერგვა და მათი სააზროვნო უნარ–ჩვევების განვითარება.

20 მოსწავლე შევარჩიეთ ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, დუშეთის, თელავის, თბილისის, ოზურგეთისა და სურამის საჯარო სკოლებში, 10 მოსწავლე კი გორის რაიონის დევნილთა კოლექტიურ ცენტრებსა და ახალ ჩასახლებებში.

ბანაკის წევრები შერჩეული იყვნენ ორი პრინციპით: მათი ნაწილი შეირჩა ნაწერების საფუძველზე (შეთავაზებული იყო ორი თხზულება – „შესაძლებელია თუ არა მეგობრობა გოგონასა და ვაჟს შორის?“ და „ყოველთვის სიმართლეს ვამბობ, მაშინაც, როცა ეს ჩემთვის საზიანოა“). მონაწილეთა იმ ნაწილის შერჩევა, რომლებიც დედაქალაქიდან დაშორებულ ქალაქებში ცხოვრობენ (სადაც ვერ მოხერხდა მოსწავლეთა თავმოყრა თხზულების დასაწერად სასკოლო არდადეგების გამო), მოხდა ადგილობრივი მედიასაშუალებებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების რეკომენდაციების საფუძველზე.

ბანაკის ხანგრძლივობა განისაზღვრა 11 დღით – 23 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით. პირველი ექვსი დღის განმავლობაში მეცადინეობას ეთმობოდა როგორც დღის პირველი, ასევე – მეორე ნახევარი. დანარჩენი სამი დღე კი დღის მეორე ნახევარი ეთმობოდა სპორტულ ღონისძიებებს. ერთი დღე მთლიანად დაეთმო გამგზავრებას ყაზბეგში.

ზაფხულის სკოლაში ტრენინგები ტარდებოდა ორი მიმართულებით: ტრენინგი სამოქალაქო განათლებაში და ფსიქოლოგების ტრენინგი კომუნიკაციასა და ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

სატრენინგო კურსის ორივე მიმართულება წარმატებული აღმოჩნდა. ეს იყო მაღალი მოტივაციის მქონე მოსწავლეთა ჯგუფი, რომელმაც ბევრი პრობლემა ახლებურად გაიაზრა და სამომავლოდ სასარგებლო დასკვნები გააკეთა. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ისინი უფრო მეტად დაინტერესდნენ განხილული თემებითა და პრობლემებით – ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული იმ ღონისძიებებით, რომლებსაც ატარებენ სახალხო დამცველის აპარატი და საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები. სასურველია, რომ მომავალმა საზაფხულო სკოლამ მოსწავლეთა უფრო მრავალფეროვანი სპექტრი შეკრიბოს.

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მათი იურისდიქციის ქვეშ შემავალი მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინსტიტუციები უზრუნველყონ სათანადო პირობებით (საცხოვრებლად/სასწავლებლად ვარგისი ფართი, სანიტარულ– ჰიგიენური მდგომარეობა, პირადი მოხმარების აუცილებელი ნივთები)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სისტემატურად ჩაატარონ ძიძებისა და მომვლელებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ბავშვთა უფლებების დაცვა და უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს სწრაფი და ეფექტური მოკვლევა.

ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების დაცვის საკითხში, განვლილ წლებთან შედარებით, ბოლო პერიოდში გარკვეული პოზიტიური ძვრები შეინიშნება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი სისტემური პრობლემა კვლავ გადაუწყვეტელია.[125]

2005 წელს მოხდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს განკარგულებით შეიქმნა პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო საბჭო, რომელსაც ჩარჩო კონვენციის შესრულების მიზნით დაევალა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მომზადება, აღნიშნულმა კომისიამ მოამზადა შესაბამისი დოკუმენტი და 2009 წლის 8 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულ იქნა ეროვნულ უმცირესობებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციით მრავალი აქტივობაა გათვალისწინებული, რაც განხორციელების შემთხვევაში ხელს შეუწყობს ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას და მათი უფლებების დაცვას. აღსანიშნავია, რომ ეროვნული უმცირესობებისა და ექსპერტების ნაწილს ამ დოკუმენტის შესახებ აქვთ გარკვეული შენიშვნები, მაგრამ პოზიტიური მომენტია ის, რომ პრეზიდენტთან არსებულმა შემწყნარებლობის საბჭომ და სახელმწიფო მინისტრის აპარატმა რეინტეგრაციის საკითხებში სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებს აღუთქვეს, რომ გაიზიარებენ და კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში ასახავენ წარმოდგენილ შენიშვნებს.

---

[125] ამასთან დაკავშირებით, ეროვნული უმცერესობათა მდგომარეობის გამუჯობესებისათვის 2009 წლის ივლისს კონფერენციის "სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში" შედეგად შემუშავებულ იქნა რიგი რეკომენაციები, რომლის შესრულებასაც სახალხო დამცველი მიიჩნევს საჭიროდ. აღნიშნული რეკომენდაციები იხილეთ ნადართში N3.

კონცეფცია და სამოქმედო გეგმა 5 წლიანია და 2009 - 2014 წლების განმავლობაში უნდა განხორციელდეს. კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია მისი განხორციელება-შესრულების მონიტორინგში სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ჩართვა, კერძოდ კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია მემორანდუმების გაფორმება სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და სხვადასხვა სამინისტროებს შორის. აღიშნული თანამშრომლობა შესაძლებლობას მისცემს ეროვნულ უმცირესობებს ჩაერთონ ამ კონცეფციის იმპლემენტაციაში.

1. სახელმწიფო ენის სწავლება

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში რაიონისა და დასახლების დონეზე სახელმწიფო ენის საკომუნიკაციო არეალი ძალზე შეზღუდულია, რაც ქართული ენის შესწავლისთვის მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორია.

ათწლეულების განმავლობაში, როგორც საბჭოთა პერიოდში, ასევე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საკომუნიკაციო და საქმისწარმოების ენა იყო რუსული და, შესაბამისად, მოსახლეობაში არ არსებობდა ქართული ენის შესწავლის სურვილი და მის შესწავლის საჭიროებასაც არ გრძნობდნენ. სულ რაღაც 3-4 წლის წინ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ბევრი ადამიანი ქართული ენის შესწავლას უსარგებლოდ და რიგ შემთხვევებში სამარცხვინოდაც მიიჩნევდა. თუმცა, საქართველოში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების ქვეყნის ტერიტორიის დატოვების შემდეგ სიტუაცია ამ მხრივ მკვეთრად შეიცვალ. ამჟამად ადამიანები ხედავენ სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობას.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად გასახლებულ რეგიონებში, არაქართულენოვან საჯარო სკოლებში, სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხი ვერ უზრუნველყოფს ამ სკოლების მოსწავლეთა ცოდნის სათანადო დონეს ქართული

ენაში. ამ რეგიონების უმრავლეს სკოლაში, განსაკუთრებით სოფლებში, ქართული ენის გაკვეთილი ფორმალურად, ან საერთოდ არ ტარდება. არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებლებს, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ სათანადო კვალიფიკაცია. შედეგად, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდები, საკომუნიკაციო დონეზეც ვერ ფლობენ ქართულს.

აღნიშნული პრობლემების გამო ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან გამოსული აბიტურიენტების უმრავლესობა ვერ ახერხებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას.

შესაბამისად აუცილებელია, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის დონის გაუმჯობესება.

2. ეროვნულ უმცირესობათა მშობლიური ენის გამოყენება

ეროვნული უმცირესობების ნაწილი ითხოვს მშობლიური ენის გამოყენების უფლებას ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დონეზე. ეთნიკურ უმცირესობათა დიდი ნაწილისთვის სახელმწიფო უწყებების მომსახურების მიღება რთულდება ქართული ენის უცოდინრობის გამო. მოქალაქეთა განმარტებით, სახელმწიფო უწყებები განცხადებისა და სხვა დოკუმენტების წარდგენას (ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად) ქართულ ენაზე ითხოვენ. ეს პრობლემა ძირითადად ქვემო ქართლის მოსახლეობას ეხება, რაც იწვევს მოქალაქეების-გლეხების მიერ თარჯიმნისა და ნოტარიუსისთვის დამატებით ხარჯების გაღებას.

ამ პრობლემების შესახებ სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ, რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, კანონმდებლობაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და ეროვნულ უმცირესობებს სახელმწიფო უწყებებისგან მათთვის გასაგებ ენაზე მომსახურების მიღების საშუალება მიეცეთ[126], მაგრამ ამავე დროს სახელმწიფო საქმისწარმოების ენა ქართული უნდა დარჩეს, ხოლო მოხელეებს უნდა მოეთხოვებოდეთ სახელმწიფო ენის ცოდნა.

[126] აღსანიშნავია, რომ იგივე რეკომენდაცია მიეცა საქართველოს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 91-ე სხდომაზე CCPR/C/GEO/CO/3 გვ.5.

დისპერსიულად განსახლებული და მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობებისთვის, მნიშვნელოვანია მშობლიური ენის შესწავლის საკითხი. სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ არაერთხელ გამოითქვა სურვილი, რომ ეროვნულ უმცირესობებს საშუალება მიეცეთ სასკოლო განათლების ფარგლებში (შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) შეისწავლონ მშობლიური ენა. ამ წინადადებას, სახალხო დამცველის ოფისში ეროვნულ უმცირესობებთან გამართულ შეხვედრაზე განათლების სამინისტრო მოწონებით შეხვდა და ქურთულ დიასპორას ამ საკითხის გადაწყვეტას დაპირდა. ქურთული დიასპორის თხოვნის საფუძველზე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა განათლების მინისტრს, რათა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში შეექმნათ ქურთული ენის შემსწავლელი კურსები. ეს საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია. თუმცა, ამ თვალსაზრისით პოზიტიური გამოცდილებაც არსებობს, ქ.თბილისი #11 სკოლაში უკვე მესამე წელია ფუნქციონირებს ოსური საკვირაო სკოლა.

3. ეროვნული უმცირესობების დასაქმება და გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის მიღება

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები მინიმალურად არიან ჩართულები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. აგრეთვე, ისინი ძალზე მცირე რაოდენობით არიან დასაქმებულნი სახელმწიფო დაწესებულებებში.[127] ეროვნული უმცირესობები ძირითადად მათი კომპაქტური განსახლების რეგიონში არიან დასაქმებულნი, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების და საქართველოს სხვა რეგიონების უწყებებში ძალზედ მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. რაც ერთი მხრივ განპირობებულია ამ საკითხის მიმართ სახელმწიფო უწყებების ნაკლები ყურადღებით, ხოლო მეორე მხრივ მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ეროვნული უმცირესობების ნაკლები აქტიურობით - ეროვნულ უმცირესობებში კვლავ ძლიერია სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ არაქართული ეთნიკური წარმოშობის გამო მათ არ მიიღებენ საჯარო სამსახურში, არ დანიშნავენ მაღალ თანამდებობებზე, რის შედეგადაც მათი დიდი ნაწილი არც კი ცდილობს საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყებას. აღსანიშნავია ისიც, რომ დასაქმების თვალსაზრისით პრობლემურია კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობა. გასათვალისწინებელია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში მართლაც იყო ეთნიკური ნიშნით ადამიანების სამსახურებიდან დათხოვნისა და

[127] იგივე გვ.6.

მათი პროფესიული წინსვლისთვის ხელშეშლის ფაქტები, მაგრამ ამჟამად მსგავსი პრობლემა სახელმწიფო უწყებების მხრიდან არ იქმნება.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, კერძოდ ჯავახეთში პრობლემურია ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობაზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საკითხი. ადგილობრივები ითხოვდნენ მათი ინტერესების დაცვას, სამუშაო ადგილების გარკვეული რაოდენობის მათთვის გამოყოფას და შესაბამისი სასწავლო ტრენინგების ჩატარებას, რათა ისინი დასაქმდნენ, როგორც რკინიგზის მშენებლობაზე, ასევე რკინიგზის გახსნის შემდგომ, რკინიგზის მუშა პერსონალად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაპირება მათ თავიანთივე განმარტებით ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიუღიათ, მაგრამ ადგილობრივების განცხადებითა ეს პირობა შეუსრულებლადაა დარჩენილი. მართალია ჯავახეთის მოსახლეობის ნაწილს მსგავსი ვითარება ექსკლუზიურად ჯავახეთის პრობლემად მიაჩნია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შინაარსის პრეტენზიები აქვთ (სხვა სამშენებლო ობიექტებთან მიმართებაში) უპირატესად ქართული ეთნიკური წარმოშობის მოქალაქეებით დასახლებულ რეგიონებში - იმერეთში, კახეთში და სხვა რეგიონებში.

4. ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ინფორმირება ქვეყანაში განვითარებულ მოვლენათა შესახებ თავიანთ ენაზე, წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერით კვირაში ერთხელ გადაიცემა 25 წუთიანი საინფორმაციო გადაცემები სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, ოსურ, აფხაზურ ენებზე, ხოლო საზოგადოებრივი რადიოს ეთერით საინფორმაციო გადაცმები მზადდება აღნიშნულ ენებზე და ასევე ქურთულ ენაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კვირაში მხოლოდ ერთი საინფორმაციო ტელე-გადაცემით მოსახლეობის დროული ინფორმირება შეუძლებელია. მით უფრო, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ტექნიკური მიზეზების გამო სრულად ვერ ფარავს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებს.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, მათთვის გასაგებ ენაზე იშვიათად მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია. ამ პრობლემის გადაწყვეტას უკვე მრავალი წელია

ითხოვენ როგორც ეროვნული უმცირესობები, ასევე არასამთავრობო გაერთიანებები და სახალხო დამცველის ოფისი, მაგრამ ამის მიუხედავად ჯერჯერობით არ შექმნილა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდების სისტემა.

5. საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობათა საბჭოს საქმიანობა

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო ჩამოყალიბდა 2005 წელს. საბჭო ფუნქციონირებს უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. ეროვნულ უმცირესობათა საბჭოში გაერთიანებულია ოთხმოცზე მეტი ორგანიზაცია. საბჭოს მთავარი მიზანია ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისთვის ხელშეწყობა; ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ეროვნული უმცირესობათა სრულფასოვანი ჩართვა; ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება; ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დარღვევის ან კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში დროული რეაგირება; სახალხო დამცველისა და სხვა თანამდებობის პირებისათვის ეროვნული უმცირესობების დაცვის მიზნით რეკომენდაციების მომზადება; ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო თავდაპირველად მოიაზრებოდა როგორც საქართველოს სახალხო დამცველის საკონსულტაციო ორგანო, მაგრამ საბჭოს აქტიურობიდან გამომდინარე იგი ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებში სახელმწიფო უწყებების ერთ-ერთ ძირითად პარტნიორად ჩამოყალიბდა.

ხელისუფლებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა შორის უშუალო დიალოგის ხელშეწყობის მიზნით, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო პერიოდულად მართავს შეხვედრებს სხვადასხვა თანამდებობის პირებთან. საბჭო თანამშრომლობს პრეზიდენტთან არსებულ ტოლერანტობის და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოსთან, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან.

საბჭომ სხვადასხვა პერიოდში გამართა მრავალი მნიშვნელოვანი შეხვედრა საქართველოს პარლამენტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, ქალაქ თბილისის მერიის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, განათლების სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრების დროს ეთნიკური უმცირესობათა საბჭოს წევრებს საშუალება მიეცათ, უშუალოდ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი პირებისგან მიეღოთ მათთვის საინტერესო ინფორმაცია.

საბჭოს ეფექტური მუშაობის მიზნით შექმნილია ოთხი სამუშაო ჯგუფი: მედიისა და ინფორმაციის, განათლებისა და კულტურის, რეგიონული ინტეგრაციის და იურიდიულ საკითხთა კომისიები. 2009 წლის დასაწყისიდან საბჭოს წევრთა რეკომენდაციით ჩამოყალიბდა გენდერულ საკითხთა ჯგუფი და ახალგაზრდული ცენტრი.

საბჭოს წარმომადგენლები, ვითარების ადგილზე გაცნობისა და მონიტორინგის მიზნით, რეგულარულად სტუმრობენ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს - ქვემო ქართლს: წალკა, მარნეული, გარდაბანი; სამცხე ჯავახეთს: ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე; კახეთს: ყვარელი, ახმეტა, პანკისის ხეობა და სხვა.

როგორც აღინიშნა 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება. სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ ამ კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით, 2006-2007 წლებში შეიმუშავა რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც მხარდაჭერილი იყო უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის, გაეროს განვითარების პროგრამის და სახალხო დამცველის ექსპერტების მიერ. რეკომენდაციები გადაეგზავნა თერთმეტ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციას. ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი უწყება გამოეხმაურა აღნიშნულ რეკომენდაციებს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), ხოლო სხვა სახელმწიფო უწყებიდან რეაგირება არ მომხდარა. უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციებში მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია დასმული, რომელთა გაზიარებაც პოზიტიურ გავლენას იქონიებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე. მართალია სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს რეკომენდაციების ადრესატებისგან პასუხი არ მიუღია, მაგრამ ამ რეკომენდაციების

მნიშვნელოვანი ნაწილი შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში არის ასახული. აღსანიშნავია, რომ კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მიღების საკითხიც რეკომენდაციების ერთ-ერთი პუნქტი იყო - ეს რეკომენდაცია მიმართული იყო პარლამენტისადმი, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა მთავრობამ დაამტკიცა, რაც მის არსს არ ცვლის, რადგან იგი ნორმატიული აქტია და შესასრულებლად სავალდებულოა სახელმწიფო უწყებებისთვის.

6. ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მონაწილეობა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სამოქალაქო ინტეგრაციისა და შემწყნარებლობის სახელმწიფო საბჭოს მიერ მომზადებულ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხილვაში ჩართული იყვნენ ექსპერტები და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები, როგორც დედაქალაქიდან, ასევე ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან.

2009 წლის 26 ივნისს ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭომ და სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმის ფარგლებში მხარეებმა აიღეს ვალდებულება ითანამშრომლონ სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, აგრეთვე საქართველოში ტოლერანტული გარემოს განვითარებისა და განმტკიცების, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხარისხის ამაღლებისათვის. ხელის მოწერის შემდეგ ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭომ და სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ გამართეს რამდენიმე შეხვედრა, სადაც განიხილეს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის პროექტი, საბჭოს წევრებს როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში რამდენჯერმე პირადად შეხვდა პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი თამარ კინწურაშვილი. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა თავისი შენიშვნები გამოთქვეს ამ კონცეფციასთან და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, გამოთქმული შენიშვნების ნაწილი პრეზიდენტთან არსებულმა საბჭომ გაიზიარა.

უნდა აღინიშნოს, რომ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მოლოდინი ეროვნულ უმცირესობების მნიშვნელოვან ნაწილში საკმაოდ მაღალია.

ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმით საქართველოს მთავრობის მიერ გათვალისწინებული საქმიანობის შესრულების მონიტორინგის პროცესში, სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭო აქტიურ როლს შეასრულებს, კერძოდ გათვალისწინებულია თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან; საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან; საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან; საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან, აგრეთვე, არსებობს შეთანხმება საზოგადოებრივ მაუწყებელთან.

სახალხო დამცველის აპარატი გეგმავს შეთავაზოს სამინისტროებსა და უწყებებს სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან პერიოდული შეხვედრების გაგრძელება, რათა კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაში ეროვნული უმცირესობები უშუალოდ იყვნენ ჩართულები.

გასათვალისწინებელია, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების ნაწილმა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის სურვილი გამოთქვა. სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლისა და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადებით ისინი მზად არიან გაიზიარონ ეროვნული უმცირესობების წინადადებები და შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში.

ასევე დაგეგემილია, რომ სამინისტროებთან თანამშრომლობის მემორანდუმები 2009 წლის ბოლომდე გაფორმება.

7. სახალხო დამცველის რეგიონული ოფისები ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში

ეროვნული უმცირესობების უფლებების უფრო ეფექტური დაცვისთვის საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა - ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში გაიხსნა სახალხო დამცველის ოფისები. მართალია მატერიალური რესურსების სიმცირისა და შენობების მძიმე მდგომარეობის გამო, ოფისები ჯერჯერობით სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, მაგრამ უახლოს პერიოდში იგეგმება ამ ოფისების სარემონტო სამუშაოები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ამ რეგიონებში სახალხო დამცველის წარმომადგენლობების სრულფასოვანი ამოქმედება.

8. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს აქტივობები

2009 წლის 14 იანვარი - სახალხო დამცველის ოფისში ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები შეხვდნენ ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ გიორგი ამარიანს. შეხვედრაზე განიხილეს სკოლის სამომავლო გეგმები. შეხვედრაზე ბატონმა გ. ამარიანმა განაცხადა, რომ ისინი გეგმავენ ჟვანიას სკოლის ფილიალების გახსნას სამცხე ჯავახეთში და ქვემო ქართლში. სამცხე-ჯავახეთში სკოლის ფილიალების გახსნა ახალქალაქში და ნინოწმინდაში იყო ნავარაუდევი, ხოლო ქვემო ქართლში, საბჭოს წევრთა წინადადებით, გარდაბანსა და ბოლნისში. ზ. ჟვანიას სახელობის სკოლის დირექტორი დაინტერესდა სკოლის პროგრამის შესახებ საბჭოს წევრების აზრით. საბჭოს წევრების აზრით საჭიროა ქუთაისის ზ.ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლადამთავრებულების დასაქმებაზე ზრუნვა.

2008 წლის დასაწყისში სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობათა საბჭოს წევრი ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით უმცირესობათა საკითხების ევროპულმა ცენტრმა გამოაცხადა საგრანტო კონკურსი "მცირე ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა". ამ პროგრამის ფარგლებში, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს 5 ორგანიზაციაზე გაიცა მცირე გრანტები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა რამდენიმე კვლევა და სხვა აქტივობები (იანვარი-მარტი 2009 წ.) .

2009 წლის 5 თებერვალს ჩატარდა ეროვნული უმცირესობათა საბჭოს შეხვედრა განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ეროვნული უმცირესობათა

განათლების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები, ჯავახეთისა და წალკის სამოქალაქო ფორუმისა და მცირერიცხოვანი უმცირესობების წარმომადგენლები.

2009 წლის 6 მარტს სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდული ცენტრის პრეზენტაცია. ახალგაზრდული ცენტრის მუშაობაში ჩართულნი არიან საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური დიასპორის ახალგაზრდა ლიდერები თბილისიდან, კახეთიდან, ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან.

ცენტრის მიზანია საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა, სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა და ქვეყნის ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდების სრულფასოვანი ჩართვა.

პრეზენტაციისას ახალგაზრდები შეხვდნენ საქართველოს სახალხო დამცველს, რომელიც მიესალმა წამოწყებას და აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის ოფისი ყოველთვის მზად არის დაეხმაროს ეროვნული უმცირესობების ახალგაზრდებს საინტერესო ინიციატივებისა და გეგმების რეალიზებაში.

2009 წლის 17 მარტს სახალხო დამცველის ოფისში სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს გენდერული საკითხების სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა მრგვალი მაგიდა თემაზე "ქალთა საერთაშორისო დღე და ქალის როლი ეთნიკურ ტრადიციებში". ღონისძიების მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა ინტერ-კულტურული და ინტერ-ეთნიკური ინიციატივებისა და ურთიერთობების ხელშეწყობა. ასევე, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მცხოვრები ეთნოსების კულტურისა და ტრადიციების შესახებ.

ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქურთულმა, ებრაულმა, ბულგარულმა და აზერბაიჯანულმა დიასპორებმა. მათ შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს აზერბაიჯანული ნოვრუზ ბაირამის, ქურთული კლოჯის, ებრაული ფურიმისა და ბულგარული მარტინიცას დღესასწაულთა წარმოშობისა და აღნიშვნის ტრადიციები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სახალხო დამცველის ოფისის, პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული საკითხების საბჭოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორისა და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური დიასპორების წარმომადგენლები.

2009 წლის 26 მარტს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ახალგაზრდული ცენტრი შეხვდა სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს რეინტეგრაციის საკითხებში ქალბატონ ელენე თევდორაძეს და ამ სამინისტროს თანამშრომლებს.

შეხვედრის დროს ისაუბრეს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში შექმნილი მდგომარეობის, მათ შორის სახელმწიფო ენის შესწავლის თვალსაზრისით არსებული სირთულეებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ. ყურადღება გამახვილდა ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, რის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სახელმწიფო ენის არცოდნა დასახელდა.

ქალბატონმა ელენე თევდორაძემ ახალგაზრდებს მიაწოდა ინფორმაცია რეინტეგრაციის სამინისტროს მანდატისა და მუშაობის შესახებ, რომლის ერთ-ერთი მიმართულება არის ეთნიკურ უმცირესობებთან მუშაობა და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობათა საბჭოს ახალგაზრდული ცენტრის წევრებში ამ შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრის ბოლოს ელენე თევდორაძემ აღნიშნა, რომ რეინტეგრაციის სამინისტრო მზად არის ითანამშრომლოს სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ახალგაზრდულ ცენტრთან, რასაც ახალგაზრდები მოწონებით შეხვდნენ.

2009 წლის მარტში სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს თხუთმეტმა წევრმა გაიარა ტრენინგი იუსტიციის სამინისტროს ტრენინგ ცენტრში თემაზე - "არასამთავრობო ორგანიზაციების მართვა". ტრენინგი ჩატარდა უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მხარდაჭერით.

2009 წლის 12 მაისს ქ. წალკაში შედგა შეხვედრა წალკის სამოქალაქო ფორუმის წევრებსა და სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლებს შორის. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი საჯარო

სკოლების დირექტორები, პედაგოგები და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის წარმომადგენლები. შეხვედრაზე განიხილეს წალკის რაიონის სკოლებში არსებული ვითარება.

2009 წლის 30 ივნისს ახალქალაქში სახალხო დამცველის ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები შეხვდნენ ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმის, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ახალქალაქის რაიონის სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს. შეხვედრაზე საუბარი იყო ამ რეგიონში არსებულ ვითარებაზე, მათ შორის განათლების სფეროში შექმნილ სირთულეებზე. იმავე დღეს საბჭოს წევრები შეხვდნენ რეგიონულ მედიას. შეხვედრას ესწრებოდნენ ტელევიზიები "ATV-12", "ფარვანა", "ალანია" და გაზეთი "სამხრეთის კარიბჭე".

2009 წლის 1 ივლისს და 20 ივლისს ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკაში სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები შეხვდნენ ადგილობრივ დუხობორებს. შეხვედრაზე განხილეს სოციალური და ყოფითი ხასიათის პრობლემები. საბჭოს წევრებმა მოინახულეს დუხობორების სამლოცველო ე.წ. "სიროტსკი დომ". იმის გამო, რომ დუხობორები საკუთარი ძალებით ვეღარ ახერხებენ "სიროტსკი დომ-ის" შენახვას და შენარჩუნებას, მათ, ამ უნიკალური შენობის დაცვისა და მოვლის მიზნით, სურთ "სიროტსკი დომ"-ისთვის მუზეუმის სტატუსის მინიჭება. ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო გეგმავს მოაწყოს კონფერენცია, სადაც მოწვეულნი იქნებიან კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტობა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველისთვის რელიგიური თავისუფლების შელახვისა და შეუწყნარებლობის 21 შემთხვევის შესახებ გახდა ცნობილი. ამ ფაქტებიდან 20 იეჰოვას მოწმეების რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლების წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებთანაა დაკავშირებული, ხოლო ერთი შემთხვევა რელიგიური გაერთიანება ,,სიცოცხლის სიტყვის" სამლოცველო სახლის ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანებას ეხება.

საანგარიშო პერიოდში კვლავ უცვლელი დარჩა საზოგადოების მხრიდან რელიგიური უმცირესობათა მიმართ შეუწყნარებლობის ფაქტები, რაც ძირითადად გამოიკვეთა რელიგიური ნიშნით პირების დევნისა და მათზე და რელიგიური დანიშნულების მატარებელ შენობა-ნაგებობებზე თავდასხმის შემთხვევებით და მათზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ არაადეკვატური რეაგირებით.

დევნა რელიგიური ნიშნით და თავდასხმის ფაქტები რელიგიურ ნაგებობებზე

იეჰოვას მოწმეები ქადაგებენ ქუჩაში და საცხოვრებელ ადგილებშიც აკითხავენ მოქალაქეებს. ეს უფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული. ამგვარი სამისიონერო პრაქტიკის გამო, ხშირ შემთხვევაში, მათი წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს რეაქციული ხასიათი აქვს. გასული სამი წლის განმავლობაში რელიგიური ძალადობის უმეტესი შემთხვევა სწორედ რეაქციას წარმოადგენდა, მაგრამ საანგარიშო პერიოდში მოიმატა შემთხვევებმა, როდესაც მათ წინააღმდეგ განხორციელებულმა ქმედებებმა აქტიური ხასიათი შეიძინა. სახალხო დამცველის მიერ დაფიქსირებულია 12 ასეთი შემთხვევა.

იეჰოვას მოწმეების მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, წალენჯიხაში იეჰოვას მოწმეების მშენებარე ნაგებობის წინ ადგილობრივმა მოსახლეობამ აღმართა ორი ჯვარი და მოაწყო საპროტესტო აქცია, რომელშიც მონაწილეობდნენ სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები. ამ დროს სასწავლო პროცესი შეჩერებული იყო. მშენებარე ობიექტის მიმართულებით ისროდნენ ქვებს (მამუკა ადონიას და სხვ. საქმე. წალენჯიხა 21. 01. 09), ანალოგიურ შემთხვევას ბორჯომშიც ჰქონდა ადგილი (ბორჯომი 02.02. 09). საგარეჯოში იეჰოვას მოწმეების ,,სამეფო დარბაზს" დაუშინეს ქვები და მინის ბოთლები, დაზიანდა შენობა, ხოლო იეჰოვას მოწმე მ. იაკოშვილს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. დღის

განმავლობაში თავდასხმა ორჯერ განმეორდა. ამავდროულად, მ. იაკოშვილს დაემუქრნენ, რომ გადაწვავდნენ ამ შენობას (მ.იაკოშვილის საქმე. ქ.საგარეჯო. 29.01.09).

თბილისში, გურამიშვილის გამზირის 12ა-ში, იეჰოვას მოწმეები ფლობენ საოფისე ფართს. აღნიშნულ მისამართზე ტარდება იეჰოვას მოწმეების რელიგიური შეხვედრები. ოფისში დროებით ამ ორგანიზაციის უცხოელი წარმომადგენლებიც ცხოვრობენ. შენობის მიმართულებით სისტემატურად ისვრიან ქვებს, რამდენჯერმე ჩაიმსხვრა მინები და დაზიანდა ნივთები. ოფისში შეკრებილებს, მათ შორის უცხოელებსაც, გამუდმებით აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. 2009 წლის 19 თებერვალს უცხოელ სტუმრებს და მათთან მისულ მეგობრებს ქვები ესროლეს (ზ.ხიზანიშვილის და სხვ. საქმე. თბილისი. გურამიშვილის გამზირი 12ა 19.02.09). 2009 წლის 26 თებერვალს, დიდ დიღომში არსებულ სამეფო დარბაზს, იეჰოვას მოწმეთა კრების მსვლელობისას უცხო პირებმა (მოზარდებმა) დაუშინეს ქვები, დააზიანეს შენობა, ჩაამსხვრიეს იეჰოვას მოწმე ა.ჩიქობავას კუთვნილი ავტომანქანის მინები. გარდა ამისა, ჭიშკარსა და ღობეზე გაჩნდა იეჰოვას მოწმეების შეურაცხმყოფელი წარწერები. (გ.ობოლაძისა და ა.ჩიქობავას საქმე. თბილისი სოფ. დიღომი, დიდი დიღომი. 26.02.2009).

ქ.ბორჯომში რუსთაველის #16-ში მიმდინარეობდა იეჰოვას მოწმეთა გაერთიანების კუთვნილი ნაგებობის სარემონტო სამუშაოები. 26 თებერვალს, ღამით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ორმა პიროვნებამ შეანგრია აღნიშნული შენობის კარი და იქ მყოფ ორ დარაჯს მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ნახევარი საათის შემდეგ, თავდამსხმელებს სხვა პიროვნებებიც შეუერთდნენ. 27 თებერვალს თავდასხმა განმეორდა. (ბ.სოტირადისა და გ.ხიდურის საქმე. ბორჯომი 26.02.09).

2009 წლის 17 აპრილს, სენაკში, სამეფო დარბაზის მშენებლობის ადგილზე დაუდგენელმა პირებმა სამშენებლო მასალას ცეცხლი წაუკიდეს. 20 აპრილს, იმავე ადგილას, იეჰოვას მოწმეების კუთვნილ ავტომანქანას ასევე დაუდგენელმა პირებმა ჩაუმსხვრიეს წინა და უკანა საქარე მინები (სენაკის საქმე. სენაკი 21.03.09).

13 მაისს, საგარეჯოში, ,,სამეფო დარბაზის" ეზოს ჭიშკარს უცნობი პირი ფეხს ურტყამდა, შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გარეთ გამოსულ იეჰოვას მოწმე მ. იკოშვილს და ცდილობდა ძალით შეჭრილიყო აღნიშნულ შენობაში (მ.იკოშვილის საქმე. საგარეჯო. 13.05.09).

თბილისში ჩუბინაშვილის #26-ში, სადაც ტარდება იეჰოვას მოწმეთა რელიგიური შეკრებები, დაახლოებით 18:00-დან 19:00-მდე, როცა ხალხის უმეტესობა ჯერ კიდევ ეზოში იმყოფებოდა, უცნობმა პირებმა შეაგდეს კუსტარულად დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობა, თუმცა, აფეთქების მიუხედავად, იქ მყოფი ადამიანები არ

დაშავებულან, დაზიანდა კედელი და სხვადასხვა ნივთი (თბილისი. ჩუბინიშვილის საქმე #26 საქმე).

6 ივნისს განმეორდა თავდასხმა თბილისში, გურამიშვილის გამზირის #12ა-ში, სადაც ტარდება იეჰოვას მოწმეების რელიგიური შეკრებები, რის შედეგადაც დაზიანდა შესასვლელი კარი, ცეცხლი წაუკიდეს ფანჯარას და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს იქ დროებით მცხოვრებ უცხოელ სტუმრებს. შემთხვევა დაფიქსირებულია შენობაზე დამონტაჟებული ვიდეოთვალით, რომლის ჩანაწერიდანაც შესაძლებელია თავდამსხმელთა იდენტიფიკაცია.

კიდევ ორ შემთხვევაში იეჰოვას მოწმეები ფიზიკურად შეურაცხყვეს მხოლოდ იმის გამო, რომ მდევნელებმა მათში ამ რელიგიური გაერთიანების წევრები ამოიცნეს (ა.ნაჭყებიას საქმე საგარეჯო. 21.03.09. და მ.იკოშვილის საქმე. საგარეჯო. 07.05.09).

პროტესტანული ეკლესია ,,სიცოცხლის სიტვის“ რელიგური შეკრებებისათვის განკუთვნილი შენობა, რომელიც თბილისში, ნუცუბიძის III მ/რ-ში მდებარეობს, თავდამსხმელებმა ღამით, ექვსჯერ ესროლეს ცეცხლსასროლი იარაღი და მიიმალნენ (თბილისი. ნუცუბიძის III მ/რ. 13.02.09).

დანარჩენ 7 შემთხვევაში რელიგიურ დევნას, იეოჰოვას მოწმე მოქალაქეების ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას იმ დროს ჰქონდა ადგილი, როცა ისინი ქუჩაში ან მოქალაქეების საცხოვრებელ ადგილებში ახორციელებდნენ თავიანთ სამისიონერო საქმიანობას. ერთ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც იეჰოვას მოწმეების ფიზიკურ შეურაცხყოფას შეესწრნენ, არაფერი იღონეს ინციდენტის აღმოსაფხვრელად და სამართალდამრღვევების დასაკავებლად. პირიქით, როგორც იეჰოვას მოწმეები აცხადებენ, მათ წინააღმდეგ აქეზებდნენ მდევნელებს (ა. ნაჭყებიას საქმე. საგარეჯო. 21.03.09). სხვა სამი შემთხვევისას გამოძახებული საპატრულო პოლიციის თანამშრომლები არ მოქმედებდნენ ოპერატიულად და მათ ვერ მოახერხეს მოძალადეების დაკავება.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქის მართლმადიდებელი მღვდლის ირაკლი ხომერიკის დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად პოლიციისა და პროკურატურის არაეფექტური მოქმედება. მღვდელი ირაკლი ხომერიკი კასპის რაიონში 2007 წლიდან დევნის იეჰოვას მოწმეებს. 2008 წელს აღნიშნულ ფაქტზე სსკ-ს 155-ე მუხლის პირველი ნაწილით (რელიგიური წესის აღსრულებისათვის ხელის შეშლა) დაწყებული გამოძიება გორის რაიონულმა პროკურატურამ შეწყვიტა, ვინაიდან ვერ დადგინდა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. შსს-ს შიდა ქართლის სამხ. მთავარი სამმართველოს კასპის რაიონული სამმართველომ სახალხო დამცველს აცნობა, რომ აღნიშნული სასულიერო პირი

ხელწერილით იქნა გაფრთხილებული, ,,რათა ,,იეჰოვას" მიმდევრებს მომავალში აღარ მიაყენოს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა (16. 03.09) #29/7/9/599)". ამ ხელწერილის შემდეგ მღვდელმა ი.ხომერიკმა კიდევ ორჯერ განახორციელა იეჰოვას მოწმეების დევნა და მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ორ შემთხვევაში იქნენ უფლებადამრღვევები მიცემული პასუხისგებაში, ერთ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით ისინი 100 ლარით დაჯარიმდნენ და ხელწერილით იქნენ გაფრთხილებულები (გ.ხადურის საქმე. ბორჯომი 02.02.09), მეორე შემთხვევაში რელიგიურ მოძალადეს 3 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს (ბ.სოტირიდისა და გ.ხადურის საქმე. ბორჯომი. 26. 02.09). ხოლო, კიდევ ერთ შემთხვევაში, მოძალადემ სამართალდამცავებისგან მიიღო გაფრთხილება (ჯ. კაციასა და ო. ფაჩულიას საქმე. ლანჩხუთი. შუხუთი. 16.01.09.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით, როცა რელიგიის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით აშკარა იყო პროგრესი[128], საანგარიშო პერიოდში ვითარება მკვეთრად გაუარესდა. რელიგიის თავისუფლების შელახვასთან დაკავშირებული საქმეების უმრავლესობა სამართალდამცავების მიერ არის შეწყვეტილი ან ძიება მეტისმეტად გაჭიანურებულია. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ მას შემდეგ რაც 2004 წლის მარტში დეკანოზი ბასილ მკალავიშვილი დააკავეს 2005 წლის პირველ ნახევრამდე, სახალხო დამცველის სახელზე არ შემოსულა არცერთი განცხადება, 2005 წლის მეორე ნახევარში განცხადებათა რაოდენობამ 12 შეადგინა, 2006 წლის პირველ ნახევარში შემოსული იყო ასევე 12 განცხადება, 2006 წლის მეორე ნახევარში 8, 2007 წლის პირველ ნახევარში 11, მეორე ნახევარში 13, 2008 წლის პირველ ნახევარში 2, ხოლო მეორე ნახევარში 8. ამ წლებში შემოსული განცხადებების რაოდენობა მიუთითებს, რომ 2005 წლიდან 2008 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით რელიგიის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით, ხერხდებოდა სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება. 2008-2009 წლის პირველი ნახევრის მონაცემებს 2005-2007 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ ვნახავთ, რომ სამართალდამცველების (შსს და პროკურატურა) მხრიდან რეაგირების ხარისხმა მკვეთრი რეგრესი განიცადა, რაც შეიძლება რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის ერთ–ერთ მიზეზად მივიჩნიოთ (აქტიური ხასიათის სამართალდარღვევებისა და შეუწყნარებლობის ფაქტების გამრავლება). რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილ დამნაშევთა დაუსჯელობა სამომავლოდ

[128] რელიგიური დევნის, დისკრიმინაციისა და რელიგიური წესის აღრსრულებისთვის ხელის შეშლის გამო 2006-2008 წლებში პასუხისგებაში 17 პირი იყო მიცემული, ამათგან 9 იხდიდა სასჯელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

კიდევ უფრო გაზრდის და სახიფათო ტენდენციის სახეს შესძენს რელიგიურ დევნასა და დისკრიმინაციას.

საკუთრების საკითხი

წინა წლებთან შედარებით ზოგადი ფონი რელიგიური დისკრიმინაციის თვალსაზრისით უცვლელი დარჩა. რამდენიმე ე.წ. ტრადიციული რელიგიური გაერთიანება (სომეხთა წმინდა სამოციქულო ეკლესია, კათოლიკე ეკლესია, მუსლიმთა თემი აჭარაში, იუდაური თემი) ვერ ახერხებენ საკუთარი ისტორიული ქონების (რელიგიური ნაგებობების) დაბრუნებას. სომეხთა წმინდა სამოციქულო ეკლესია სახელმწიფოსთან დავობს 6 ისტორიული ტაძრის დაბრუნების თაობაზე, რომელთაგან დღესდღეობით არცერთი არ ფუნქციონირებს. კათოლიკე ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს ედავება 5 ტაძარს, ხოლო აჭარის მუსლიმთა სამმართველო სახელმწიფოსგან 2 მეჩეთის დაბრუნებას მოითხოვს (ქობულეთის რაიონის სოფ. მუხაესტატეში ყოფილ მეჩეთში ფუნქციონირებს პოლიციის განყოფილება, ხოლო ქ.ქობულეთში აღმაშენებლის ქ.#100–ში მდებარე ყოფილ მეჩეთში განთავსებულია ცეკვის სტუდია). ასევე, უნდა აღინიშნოს 5 უმოქმედო მეჩეთის შესახებ ახალციხისა და ადიგენის რაიონებში - მე-19 და მე-20 საუკუნეებში ადგილობრივი მესხების მიერ აგებული საკულტო ნაგებობები. ამ ტერიტორიებზე დღეს ნაწილობრივ სახლობენ როგორც ეკომიგრანტი მუსლიმები აჭარიდან, ასევე რამდენიმე რეპატრირებული მესხი ოჯახი (მაგალითად, ადიგენის რაიონის სოფ. აბასთუმანში). მეჩეთების მდგომარეობა სავალალოა. ადიგენის რაიონის სოფ. ფლატეში 2006 წელს მეზობლად მდებარე ზარზმის მონასტრის მრევლმა დაიწყო მეჩეთის ნგრევა (აღსანიშნავია, რომ თავად სოფ. ზარზმაშიც ძირითადი მოსახლეობა მუსლიმია), რათა ამ ქვებით მართლმადიდებლური სამლოცველო და სენაკები აეშენებინათ. (იხ. სახალხო დამცველის ანგარიში 2007-2008). აღნიშნულ ქმედებებს სამართალდამცავების მხრიდან ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია.

ქონებრივი საკითხების გადაწყვეტის მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია რესტიტუციის საკითხისადმი სახელმწიფოს დისკრიმინაციული მიდგომა. სახელმწიფოს კონსტიტუციური შეთანხმებით საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, სახელმწიფოს მართებულად აქვს ნაკისრი ვალდებულება საპატრიარქოს დაუბრუნოს ან აუნაზღაუროს გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ ჩამორთმეული ქონება, თუმცა რესტიტუციის ანალოგიური პრინციპით სახელმწიფო სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებით არ ხელმძღვანელობს, რითაც უთანასწორო ანუ

დისკრიმინაციულ მოპყრობას იჩენს დასახელებული რელიგიური გაერთიანებებისადმი. ამ დისკრიმინაციული დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ კონსტიტუციურ შეთანხმებაში გამოკვეთილი რესტიტუციის პრინციპის ანალოგიურად იმოქმედოს სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართაც.

ამ ეტაპზე პრობლემის გადასალახავად არცერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ არის გადადგმული, არ შექმნილა ძეგლების ისტორიული წარმომავლობის დამდგენი კომისია, სახელმწიფოს არ შეუმუშავებია ამ პრობლემის დაძლევის ხედვა. შედეგად, ეს საკითხი წლების განმავლობაში ურთიერთობების დაძაბვისა და კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის მუდმივ საფრთხედ რჩება.

ამავდროულად, რელიგიურ გაერთიანებებს ახალი რელიგიური ნაგებობების ასაშენებლად ზოგიერთ შემთხვევაში კვლავაც უჭირთ ნებართვის მოპოვება ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელებისგან. მაგალითად, კათოლიკე ეკლესია 2007 წლიდან დღემდე ელოდება პასუხს ეკონომიკის სამინისტროსგან იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა მას განახორციელოს ქ. ახალციხეში, ისტორიულ რაბათის უბანში, ძველი კათოლიკური ეკლესიის აღდენა-განახლება.

საგადასახადო რეჟიმი

რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის უზრუნველყოფა დიდწილადაა დამოკიდებული არსებულ საგადასახადო რეჟიმზე. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ საგადასახადო რეჟიმი საკმაოდ ლიბერალურია არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციების მიმართ და არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა თითქმის გათავისუფლებულია გადასახადებისგან.

დამატებითი რეგულაციებია განსაზღვრული კონსტიტუციურ შეთანხმებასა და საგადასახადო კოდექსში გადასახადის საკითხების დასარეგულირებლად. კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით: ,,ეკლესიის საღვთისმსახურო მიზნით წარმოებული, შემოტანილი და მიწოდებული პროდუქცია და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადისაგან (მუხლი 6)”.

აღნიშნული პუნქტი ასახულია სხვა საკანონმდებლო აქტებშიც, როგორიცაა საგადასახადო კოდექსი. კოდექსის თანახმად: მოგების გადასახადისგან თავისუფლდება „დ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული

მოგება (მუხლი 172)“; ასევე დღგ-ს გადასახადისგან თავისუფლდება ,,საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნის მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები (მუხლი 230)”.

საკანონმდებლო ნორმები მხოლოდ ერთი კონკრეტული ეკლესიის მიმართ ადგენს რეგულირების რეჟიმს, რაც არათანაბარ გარემოში აქცევს სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს.

სახალხო დამცველის საქმიანობა

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ–ერთი პრიორიტეტი ტოლერანტობის კულტურის მხარდაჭერა და რელიგიის თავისუფლების, რელიგიური უმცირესობების დაცვაა. ამ მიმართულების გასაძლიერებლად საქართველოს სახალხო დამცველთან 2006 წლიდან არსებობს ტოლერანტობის ცენტრი, რომლის საქმიანობას მხარს უჭერს გაეროს განვითარების პროგრამა. ტოლერანტობის ცენტრი, თავის მხრივ, კოორდინაციას უწევს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს, რომლის საქმიანობაში მონაწილეობას იღებს 21 რელიგიური გაერთიანება. ტოლერანტობის ცენტრი ახორციელებს უმცირესობების უფლებათა მონიტორინგს, ეწევა საგანმანათლებლო, საგამომცემლო და კვლევით საქმიანობას.

2008 წელს ცენტრმა მოამზადა ორი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია: რელიგიები საქართველოში და ეთნოსები საქართველოში. ეს არის საენციკლოპედიო საცნობარო ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც მაქსიმალურად სრულად არის ასახული საქართველოში არსებული ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება. 2009 წლის ივნისში ამ პუბლიკაციებში წარმოდგენილი მასალის ცოდნის გამოსავლენად საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 6-მა სკოლამ მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველის მიერ გამართულ ვიქტორინაში. ვიქტორინის, ისევე როგორც თავად პუბლიკაციების მიზანს, ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობა წარმოადგენდა. ამავდროულად, ტოლერანტობის ცენტრი გამოსცემს პერიოდულ ჟურნალს ,,სოლიდარობა”, რომელშიც შუქდება რელიგიის თავისუფლებასთან, ტოლერანტობის

კულტურასთან, სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთმიმართების თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხები.

სოლიდარობის თემების გარშემო მუდმივად იმართება საჯარო დისკუსიები ბათუმსა და ქუთაისში. სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ 2009 წელს დაასრულა მუშაობა ერთიან სოციალურ კონცეფციაზე, რომელშიც ასახულია განსხვავებული რელიგიური გაერთიანებების საერთო ხედვა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საკითხებზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა კვლავაც არასახარბიელო რჩება. ამის ძირითადი მიზეზი ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა და სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან შშმ პირთა უფლებების ხშირი და უხეში უგულვებელყოფაა.

მოცემულ ანგარიშში ასახულია 2009 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 ივლისამდე შშმ პირთა მდგომარეობის მიმოხილვა უფლებათა დარღვევის მონიტორინგისა და ინდივიდუალურ საჩივრებზე რეაგირების კუთხით. ასახულია სახალხო დამცველის სტრატეგია შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით გამოიკვეთა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ასახულია მოცემულ მოხსენებაში. აღნიშნული ანგარიში მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო სამოქმედო სტრატეგიული გეგმის დადებითი და უარყოფითი მხარეების მიმოხილვა და მოსალოდნელი შედეგები;
- გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაციისა და იმპლემენტაციის პროცესი;
- აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დარღვეული უფლებების აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციების არ აღსრულება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლებაზე და ამ მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება სათანადო საცხოვრებელზე;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრის რეფორმა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისათვის განხორციელებული ღონისძიებები;

1. **სახელმწიფო პოლიტიკა**

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო სამოქმედო სტრატეგიულ გეგმა**

2008 წლის 02 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დადგენილების სახით მიიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო კონცეფცია, რომლის თანახმად: „2009 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს მთავრობას დაევალა, შეიმუშავოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო სამოქმედო სტრატეგიული გეგმა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის“ პრინციპების გათვალისწინებით.“ მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი შეხსენებისა, გეგმაზე მუშაობა დაიწყო დაგვიანებით, პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრული ვადის დასრულებამდე 3 თვით ადრე, რამაც საკმაოდ მძიმე ასახვა ჰპოვა ზოგადად გეგმაზე მუშაობის პროცესზე. გეგმაში გაწერილ ღონისძიებებს არ მიეცა კონკრეტული ხასიათი, ხოლო ინდიკატორების არაგაზომვადი სახე დოკუმენტის სრულფასოვნებას ეჭვქვეშ აყენებს. გეგმაში მოცემული აქტივობების შედეგები და ინდიკატორები არ ეყრდნობა სიტუაციის შესწავლის მიზნით ჩატარებულ არცერთ კვლევას და მასში მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლები მხოლოდ და მხოლოდ იდეის ავტორების მოსაზრებებსა და მათ ხელთ არსებულ მონაცემებზეა აგებული. აღნიშნული, მომავალში გააძნელებს სამოქმედო გეგმით განხორციელებული შედეგების რეალურ შეფასებას. გარდა ამისა უნდა ითქვას, ხშირად ყურადღება მახვილდება რაოდენობრივ მაჩვენებელზე, რის გამოც ამ გეგმით შეუძლებელია პრობლემის თვისობრივი გადაწყვეტა.

კონცეფციის თანახმად, სამოქმედო გეგმის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს. სახალხო დამცველის ოფისის მიერ გეგმის შემუშავების პროცესზე მონიტორინგმა, ისევე, როგორც თავად გეგმამ, ცხადი გახადა, რომ სამოქმედო გეგმაში სამოქალაქო სექტორის მონაწილეობა, სამწუხაროდ, არაქმედით ხასიათს ატარებდა. სამოქალაქო საზოგადოების წინადადებების გათვალისწინება ნაკლებად განხორციელდა, რაც საეჭვოს ხდის თანამონაწილეობის პრინციპს.

სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავებისას სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი არ იყო ჩართული პროექტის შემუშავების ყველა პროცესში იმ წრესთან. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მიერ ინიცირებული წინადადებების გათვალისწინება არ ხდებოდა სამოქმედო გეგმაში იმის გამო, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განმარტებით ინიციატივებს თან არ ერთვოდა წარმოდგენილი წინადადების საბიუჯეტო გათვლები და არ იყო „სრულყოფილი“, რაც

არ წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციას, მათი როლი გეგმის შემუშავების პროცესში იყო მხოლოდ იდეის გაჟღერება და არა მისი მისი ფინანსური გაანგარიშების წარდგენა. იმის გამო, რომ გეგმის პარლამენტში წარდგენამდე მცირე დრო იყო დარჩენილი სამინისტრომ უარი თქვა სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებზე, აღნიშნული კი სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციას არ წარმოადგენს.

სამწუხაროდ, სამოქმედო გეგმის არსებული ვერსიის რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები და შედეგები ორიენტირებულია განყენებულ პროცესებზე და ობიექტებზე. მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი სისტემის ეფექტური ფუნქციონირების საზომი ობიექტური მოცემულობები უნდა იყოს.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, აღნიშნული გეგმის შემუშავების პროცესში არ იქნა გათვალისწინებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მიღებული „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ დოკუმენტით გათვალისწინებული_ღონისძიებები.[129]

სამწუხაროდ დღემდე სადავოს საკითხად რჩება გეგმაში გაწერილი გარკვეული ღონისძიების აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოსა და ამ უკანასკნელის კომპეტენციების ურთიერთმიმართება.

- **გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია**

სახალხო დამცველის გასული წლების ანგარიშებში მუდმივად იყო საუბარი გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან საქართველოს სახელმწიფოს შეერთების პროცესზე, ვინაიდან იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო უფლებადაცვით დოკუმენტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამის „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერების“ პროექტის ფინანსური მხარდაჭერით 2009 წლის 08 მაისს შედგა სამუშაო შეხვედრა, სადაც მოწვეული იყვნენ სხვადასხვა სამინისტროების, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები და ინვალიდობის სფეროში მომუშავე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. შეხვედრაზე მოწვეულ პირთაგან შედგა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიც იყო კონვენციის რატიფიკაციის და იმპლემენტაციის პროცესის მხარდაჭერა.

[129] აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულ იქნა ჰოლანდიური ფონდის “კორდაიდის“ ხელშეწყობით და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე 6 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციას.

2009 წლის 10 ივლისს, გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, 2009 წლის 20 მაისის, საქართველოს პრეზიდენტის N267 ბრძანებულების თანახმად, ხელი მოაწერა 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას, რითაც საქართველოს სახელმწიფომ დაადასტურა მისი ურყევი ნება, იკისროს ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

სახალხო დამცველის აპარატი კვლავ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას რათა დროულად მოხდეს აღნიშნული კონვენციის რატიფიკაცია და მისი შემდგომი სრულყოფილი იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში.

სახალხო დამცველის გასული წლის ანგარიშში საუბარი იყო გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პროცესის დაწყებაზე, კერძოდ, საგანმანათლებლო კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე. სახალხო დამცველის აპარატმა, გაეროს ბავშვთა ფონდისა და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, მოახდინა საკანონმდებლო ჰარმონიზაციის პროცესის ფასილიტაცია, კერძოდ, სფეროს ექსპერტების მიერ მომზადდა რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა მოქმედ საგანმანათლებლო კანონმდებლობაში („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი) შესატან ცვლილებებს. ექსპერტების მიერ მომზადებული რეკომენდაციები 2009 წლის მაისის თვეში გადაიგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. რეკომენდაციები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: ზემოაღნიშნულ კანონებში არსებული ტერმინოლოგიური უზუსტობების აღმოფხრას, შშმ ბავშვების სკოლაში მიღების და მისი შემდგომი სწავლების მისადაგებას კონვენციით განსაზღვრულ სტანდარტებთან, შშმ ბავშვების სკოლაში სწავლების დაფინანსების გაზრდას, სწავლისათვის საჭირო ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფას, აქტიურ ჩართვას შშმ პირებისა სასწავლებლის მართვის ორგანოებში, ასევე ტექნიკურ ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც აუცილებელია შშმ პირების სრულფასოვანი სწავლა განათლებისათვის.

- **აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე სახალხო დამცველის რეკომენდაციების არ აღსრულება**

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა რამდენჯერმე მიმართა სახელმწიფო დაწესებულებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დარღვეული უფლებების

აღდგენის რეკომენდაციით, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული რეკომენდაციების მოთხოვნები სათანადოდ არ შესრულებულა.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2009 წლის 5 მარტს რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პრემიერ–მინისტრს. რეკომენდაციის თანახმად სახალხო დამცველი ითხოვდა 150–მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის (უმეტესად ბავშვების) სოციალური რეაბილიტაციის, დღის ცენტრების ქვეკომპონენტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისათვის საკმარისი თანხების გამოყოფას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. 150–მდე მოქალაქე, რომლებიც წლების განმავლობაში ჩართულნი იყვნენ ზემოაღნიშნულ პროგრამაში, გაურკვეველი მიზეზების გამო დარჩნენ მომსახურების გარეშე. აღნიშნული ადამიანები აღმოჩნდნენ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში სხვა შშმ პირებთან შედარებით, რადგან დარჩნენ სერვისის გარეთ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გასულ წელთან შედარებით სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დღის ცენტრების მომსახურეობის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 120 ადამიანით. როგორ დარჩა 150 – მდე შშმ პირი გაზრდილი სახელმწიფო პროგრამის გარეთ, სამინისტროს პასუხში განმარტებული არ არის.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2009 წლის 01 აპრილს რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს, სახელმწიფოს მიერ მარტოხელა ხანშიშესულ მოხუცთა მზრუნველობის აუცილებლობის შესახებ. რეკომენდაციაში საუბარი იყო სახელმწიფოს არაადეკვატურ და არასაკმარის მოქმედებებზე ამ სფეროში. დღეს მოქმედი სახელმწიფო პროგრამით, სულ ორასამდე მოხუცი არის განთავსებული მოხუცთა თავშესაფრებში, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. აღნიშნულს ისიც ადასტურებს, რომ 13 ადამიანიდან, ვინც სახალხო დამცველს დახმარებისათვის მიმართა, 3 ადამიანი მზრუნველობის არარსებობის გამო გარდაიცვალა. ამგვარად, სახელმწიფოს მხრიდან უმოქმედობამ გამოიწვია ამ ადამიანების სიცოცხლის უფლების არაპირდაპირი ხელყოფა.

რეკომენდაციაში ასევე საუბარი იყო სახალხო დამცველის მიერ შეთავაზებულ „შინ მოვლის სოციალური მომსახურეობის“ კომპონენტის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინების თაობაზე (პროგრამა შემუშავდა სახალხო დამცველის აპარატის ზედამხედველობის ქვეშ სფეროს ექსპერტების მიერ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თხოვნით). აღნიშნული პროგრამის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ამ პრობლემის

მინიმუმამდე დაყვანა, რაც, სამწუხაროდ, არ იქნა გაზიარებული შესაბამისი სამინისტროს მიერ.

კომპონენტი გულისხმობდა შინ იზოლაციაში მყოფი ზრდასრული შშმ პირებისათვის შინ მოვლის (ძირეული მოვლა, ფსიქო–სოციალური დახმარება, განათლება და ინფორმირებულობის ამაღლება.) მომსახურების დანერგვას. აღნიშნული კომპონენტის სახელმწიფო პროგრამაში დანერგვა ხელს შეუწყობდა მარტოხელა, შინ იზოლაციაში მყოფ შშმ პირთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას და მათი ოჯახის წევრთა მხარდაჭერას, შინ მოვლის მომსახურების მიწოდების გზით. კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 40 ათას ლარს.

სახალხო დამცველის 2009 წლის 01 აპრილის რეკომენდაციაზე მივიღეთ შემდეგი პასუხი, რომ სამინისტრო მისაღებად მიიჩნევს სერვისს, თუმცა რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე ამ ეტაპისთვის უმჯობესად მიიჩნია არსებული სერვისების გაფართოება ვიდრე ახალის დანერგვა.

2. ადამიანის უფლებების დარღვევის კონკრეტული შემთხვევები

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლება**

პიროვნების ჯანმრთელობა, ადამიანის კეთილდღეობისა და ღირსების მნიშვნელოვანი პირობაა, რაც ასახულია ადამიანის უფლებათა დაცვის მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციებსა და შიდასამართლებრივ აქტებში.

აღნიშნული უფლება გულისხმობს ადამიანის უფლებას არა მხოლოდ ჯანდაცვის მომსახურებაზე, არამედ ჯანმრთელობის სხვა ფუძემდებლურ პირობებზეც, როგორიცაა უსაფრთხო სასმელი წყალი, სათანადო სანიტარული პირობები, გარემოს დაცვით განპირობებული ჯანმრთელობა და ასევე უსაფრთხო საწარმო პირობების შექმნით განპირობებული ჯანმრთელობა. ტერმინი „ჯანმრთელობის უფლება“ გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებების გატარება მოქალაქეთა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ამ თვალსაზრისით, გულისხმობს პირველ რიგში, ვალდებულებას უზრუნველყოს ჯანდაცვის არსებულ მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა და მეორე მხრივ არ დააბრკოლოს ცალკეულ პირთა ან ჯგუფების ხელმისაწვდომობა არსებულ მომსახურებაზე. სახელმწიფოს ქმედებები არ იქნება იმ საერთაშორისო პრინციპებთან და ვალდებულებებთან შესაბამისობაში რაც მას ნაკისრი აქვს საერთაშორისო დონეზე,

თუ ის სტრუქტურულად ვერ უზრუნველყოფს ჯანდაცვის სათანადო მომსახურებას საზოგადოების ცალკეული სეგმენტებისათვის, მაგალითად შშმ პირებისათვის.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა იმ ქვეყნებთან მიმართებით, რომელთა სამხედრო დანახარჯები გაცილებით მეტია ჯანდაცვაზე გაწეულ ხარჯებთან შედარებით. კომიტეტის მტკიცებით, ამგვარი დისბალანსი შესაძლოა იმის მაჩვენებლადაც ჩაითვალოს, რომ სახელმწიფო არ იცავს ჯანმრთელობის უფლებას „არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით“.[130]

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სახელმწიფო თავდაცვის ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 944 მილიონ ლარს, ხოლო სახელმწიფო ჯანდაცვისათვის კი გამოყოფილია დაახლოებით 344 მილიონი ლარი. ციფრები საკმაოდ მარტივად მეტყველებს არსებულ რეალობაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრობლემას დროული, სწრაფი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება წარმოადგენს. სამწუხაროდ, მაღალი ფასების გამო, ხშირია შემთხვევები, როდესაც შშმ პირები ვერ იღებენ სათანადო სამედიცინო დახმარებას და განწირულნი არიან გარდაუვალი სიკვდილისთვის. ჯანდაცვის მომსახურების პრივატიზაციისა და დეცენტრალიზაციის გეგმები არ ათავისუფლებს მთავრობას ვალდებულებისაგან, ხელი შეუწყოს ჯანდაცვის მომსახურებაზე სათანადო ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით მოსახლეობის შედარებით ღარიბი ფენებისათვის. ამ მდგომარეობიდან ერთ–ერთ საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი. ამ პოლისს იღებენ ის შშმ პირები, ვინც მოხვდნენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახთა მონაცემთა ერთიან ბაზაში განსაზღვრული სარეიტინგო ქულით. თუმცა, პრობლემა არც ამით მოხსნილა. სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის პროგრამებიდან ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის სისტემაზე გადასვლამ ასეთ მოკლე დროში, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად გაზარდა დაზღვევასთან დაკავშირებული საჩივრების რიცხვი. ამ დავების ძირითადი მიზეზი მზღვეველსა და დაზღვეულების მიერ სადაზღვევო პოლისის არასწორი და არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციაა. საკმაოდ ხშირად მსგავსი პრობლემით მოგვმართავენ შშმ პირები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010–2012 წლების სამოქმედო გეგმის“ პროექტში გათვალისწინებულია შშმ პირთა სამედიცინო დაზღვევის სისტემის სრულყოფა.

---

[130] იხ. ჩილესთან დაკავშირებით. UN.doc.E/C.12/1987/SR. 13, პუნქტი 12 და ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით, UN.doc.E/C.12/1987/SR. 5, პუნქტი 17

სახალხო დამცველს საანგარიშო პერიოდში 10–მდე შშმ პირმა მიმართა მსგავსი პრობლემით. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 აპრილის N92 დადგენილებით განსაზღვრულია სიღარიბის დადგენილ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის განხორციელების წესები, სადაზღვევო ვაუჩერის ღირებულება, მისი გამოყენების, გადაცემისა და განაღდების საკითხები. მიუხედავად აღნიშნული დადგენილებისა, იყო შემთხვევები, როდესაც სადაზღვევო კომპანია უარს ამბობდა სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ ახალშობილი დაზღვევის მომენტში არ იყო ოჯახის წევრი, ან იმის გამო, რომ ოპერაციის შედეგად შესაძლოა არ დამდგარიყო ზუსტად ის შედეგი, რაც დაზღვეულ პიროვნებას სურდა, რითაც უხეშად ირღვეოდა ამ დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები, რადგან სახელმწიფო არ უწევდა ჯეროვან კონტროლს აღნიშნული დადგენილების შესრულებას, რის გამოც დაზღვეული პირები ხშირად სამედიცინო დახმარების გარეშე რჩებოდნენ.

სახალხო დამცველის აპარატი ყველა ამ შემთხვევაში აქტიურად დაეხმარა შშმ პირებს და ძირითად შემთხვევებში დადებითად გადაწყდა პრობლემა. რაშიც მას აქტიური დახმარება გაუწია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ და ახლად შექმნილმა მედიაციის სამსახურმა.

მედიაციის სამსახურის შექმნა, ვიმედოვნებთ, დადებითად იმოქმედებს ზემოაღნიშნული სისტემური პრობლემის მოგვარებაზე, ვინაიდან სახალხო დამცველის 10 განმცხადებელი წარმოადგენს მხოლოდ მცირე ნაწილს იმ მოქალაქეებისა, რომლებიც იდენტური პრობლემის წინაშე დგანან.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს სადაზღვევო კომპანიების ეფექტური მონიტორინგი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 აპრილის N92 დადგენილებით, რითაც მაქსიმალურად აღმოიფხვრება ზემოაღნიშნული პრობლემა.

- **მედიკამენტების პრობლემა**

დღემდე ასევე გადაუჭრელ პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მედიკამენტებით უზრუნველყოფა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მათ უფრო მეტად და ხშირ შემთხვევაში, ყოველდღიურად სჭირდებათ გარკვეული ტიპის მედიკამენტები. საკმაოდ მაღალი ფასების და მძიმე სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გამო ისინი ხშირად მედიკამენტების გარეშე რჩებიან. გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათ აქვთ ჯანმრთელობის დაზღვევს პოლისი, მაგრამ სხვა

შემთხვევაში არ არსებობს არცერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მედიკამენტებზე.

სახალხო დამცველის სახელზე საანგარიშო პერიოდში შემოვიდა 20–ზე მეტი განცხადება, სადაც შშმ პირები ითხოვდნენ გარკვეული დასახელების მედიკამენტებს. აღნიშნული მედიკამენტების მიუღებლობის შემთხვევაში მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. ჩვენ აღნიშნული პრობლემის მოგვარების თხოვნით მივმართეთ როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ისე ქალაქ თბილისის მერიას, მაგრამ სამწუხაროდ, ორივე უწყებიდან მივიღეთ უარი ჩვენს თხოვნაზე, მიუხედავად იმისა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24–ე მუხლის მე–4 პუნქტი პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოს შშმ პირები სამკურნალწამლო მომსახურებით უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით. გამოსავალი ამ სიტუაციიდან, როგორც წესი არის კერძო საქველმოქმედო ორგანიზაციების მხარდაჭერა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ავერსი–ფარმას“ საქველმოქმედო აქცია, რომელიც დაეხმარა ყველა იმ პირს, ვინც მიმართა სახალხო დამცველს და უსასყიდლოდ გადასცა მედიკამენტები.

აუცილებელია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავოს ახალი სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც უზრუნველყოფს შშმ პირებს საჭირო მედიკამენტებით.

- **საცხოვრებელი სახლები**

სახალხო დამცველს საანგარიშო პერიოდში 15–მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა მიმართა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თხოვნით. კერძოდ, ძალიან ხშირად მათ საერთოდ არ აქვთ საცხოვრებელი სახლები, ან თუ აქვთ, ცხოვრობენ გაუსაძლის პირობებში. საცხოვრებელი სახლის არქონა ასევე უსპობთ ამ პირებს შესაძლებლობას ჩაერთონ სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამაში, რადგან ამ პროგრამაში მონაწილეობის ერთ–ერთ აუცილებელ წინაპირობას სწორედ მუდმივი საცხოვრებელი მისამართის ქონაა. აქედან გამომდინარე, ისედაც სიღატაკეში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საერთოდ ყოველგვარი დახმარების გარეშე რჩებიან.

აღნიშნულ სფეროში არ არსებობს არცერთი პროგრამა, რომელიც მიმართული იქნებოდა ამ პრობლემის გადასაჭრელად. ერთადერთი დადებითი მოვლენა ამ სფეროში იყო შვეიცარიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული

„სოციალური სახლების“ მშენებლობა, სადაც დაახლოებით 28–მდე ოჯახი შესახლდა, მათ შორის იყვნენ დევნილები, უსახლკარო მოქალაქეები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც. ბუნებრივია, ეს წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს, მაგარამ ეს ყოველივე მცირედია იმ საჭიროებასთან შედარებით რაც არსებობს. აღნიშნულ სახლებში შესახლების სურვილი უამრავმა ოჯახმა გამოთქვა. აღნიშნული ადასტურებს, რაოდენ დიდია ამ პროგრამის საჭიროება. მისასალმებელია ის გარემოება, რომ თბილისის მერიის ხელშეწყობით „სოციალური სახლების“ პროგრამა გრძელდება და კვლავ იგეგმება 24–მდე ოჯახისათვის ახალი საცხოვრებელი სახლის აშენება, მაგრამ ეს პროგრამა მოქმედებს მხოლოდ თბილისის მასშტაბით. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მთელი საქართველოს მასშტაბით მსგავსი ტიპის პროგრამების შექმნაზე, ეტაპობრივად მაინც. მით უმეტეს, რომ აღნიშნული ვალდებულება სახელმწიფოს 1995 წლის 14 ივნისის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27–ე მუხლით აქვს აღებული.

სახელმწიფოს ვალდებულება სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსაზღვრულია „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე–11 მუხლის I პუნქტით. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ბინა, აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს (ეს პაქტი საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან).

აღნიშნული პაქტის განმარტების ოფიციალურმა ორგანომ, ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა, უშუალოდ საცხოვრებლის უფლებასთან მიმართებით, მეექვსე სესიაზე მიღებულ N4 ზოგად კომენტარში განაცხადა: ,,საცხოვრებლის უფლება განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებებთან და იმ ფუნდამენტურ პრინციპებთან, რომლებზეც პაქტია დაფუძნებული.“ [131]

ამრიგად, შესაბამის პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შიდა კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებაა.

ზემოაღნიშნული, ბუნებრივია, არ გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფომ ყველა მოქალაქეს აუშენოს ბინები და უზრუნველყოს უფასო საცხოვრებლით, მაგრამ მრავალ დამატებით სტანდარტში აღიარებულია გარკვეული სოციალური ჯგუფების საცხოვრებლის უფლება, როგორებიცაა მიგრანტი მუშები, **შეზღუდული**

[131] ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა კომიტეტის N4 ზოგად კომენტარი (ადექვატური საცხოვრების უფლება) 1991, პარაგრაფი 7.

შესაძლებლობის მქონე პირები,[132] მოხუცები და მკვიდრი ხალხები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უახლოეს მომავალში უნდა იფიქროს მსგავსი პროგრამების ეტაპობრივ დაწყებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სოციალური სახლები“ ამ ყველაფრის კარგი დასაწყისია, თუმცა საჭიროება გაცილებით მეტია.

გაეროს 2006 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ 28–ე მუხლის მე–2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად: „წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებას სოციალურ დაცვაზე და ამ უფლებით შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობაზე და იღებენ შესაბამისს ზომებს ამ უფლების განხორციელების დაცვისა და ხელშეწყობისათვის, მათ შორის, ზომებს **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო სახელმწიფო საცხოვრებელი ფართით სარგებლობის პროგრამებში ჩართვის უზრუნველსაყოფად**“.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო კონცეფციაში“ განმარტებულია, რომ ინვალიდობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფა თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, რაც გულისხმობს მათ სრულფასოვან ჩართვას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. საზოგადოებრივი სიკეთე – ფიზიკური და კულტურული გარემო, **საცხოვრებელი პირობები**, ტრანსპორტი, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები, განათლება, დასაქმება, სპორტი და რეკრეაციის შესაძლებლობები – ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

საჭიროა სახელმწიფომ დაიწყოს ზრუნვა ამ თემაზე, საქართველოს მთავრობამ და ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა გაითვალისწინონ თბილისის მერიის გამოცდილება „სოციალური სახლების“ პროგრამის სახით და მიიღონ სათანადო ზომები ამ მიმართულებით.

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრა**

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დადგენის სისტემა კვლავ ცხარე დისკუსიის საგნად რჩება. 2007 წლის მაისში, სამედიცინო-სოციალური

[132] მშრომელთა საყოველთაო სოციალური უფლებების შესახებ თანამეგობრობის ქარტიის 29–ე მუხლი, მიღებულია 1989 წლის 8 დეკემბერს ევროპის თანამეგობრობის 11 წევრი სახელმწიფოს მიერ (იხ. COM (89) 568, საბოლოო ვარიანტი).

ექსპერტიზის ბიუროების მიერ შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსის მინიჭების საბჭოთა პერიოდში არსებული გამოცდილება ახალი წესით შეიცვალა. ცვლილების თანახმად ამგვარი სტატუსის დადგენა შეუძლია შესაბამისი ლიცენზიის მქონე ყველა სამედიცინო დაწესებულებას. აღნიშნულმა ცვლილებამ და სტატუსის დადგენის ახალმა პროცედურამ უკიდურესად გაართულა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისა და პროფესიონალების მდგომარეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრობლემები ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ფსიქიკური დაავადებების სპეციფიკიდან გამომდინარე. როგორც ამ სფეროში დასაქმებული ფსიქიატრები აღნიშნავენ, სტატუსის დადგენის ახალი წესის გამო მათ დაკარგეს ექიმის ფუნქცია და "გადაიქცნენ ტალონის გამომწერ ადმინისტრაციულ მუშაკებად".

პრაქტიკულად, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მინიჭების არსებულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

1. **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული დაავადებათა ჩამონათვალი, რომლის მიხედვით ხდება შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მინიჭება** – 2007 წელს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების თანახმად, "შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციიდან" ამოღებული იქნა მთელი რიგი დაავადებები, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა ინვალიდობის სტატუსის მინიჭება და შესაბამისად, საპენსიო უზრუნველყოფა. შედეგად, რამდენიმე ასეული ადამიანი პენსიის გარეშე დარჩა. 2008 წლის 4 მარტს მინისტრის ბრძანებით ზოგიერთი დაავადება კვლავ დაბრუნდა ნუსხაში. მიუხედავად ამისა, სპეციალისტების აზრით ბევრი დაავადება კვლავ ე.წ. "შავ სიაში" რჩება და ხელახალ გადახედვას საჭიროებს.

2. **სტატუსის დადგენის კანონმდებლობით გათვალისწინებული „კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალური, პროფესიულ შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფასებისთვის" ადეკვატური მექანიზმის არარსებობა** – არ არსებობს ზუსტი ინსტრუქციები და დადგენილი მექანიზმები, რის მიხედვითაც სპეციალისტებმა პაციენტის სოციალური და პროფესიულ-შრომითი უნარები უნდა შეაფასონ.

3. **თერაპიული პროცესის გართულება:** ცვლილებამ გამოიწვია ექიმი-პაციენტის ურთიერთობის გაუარესება, რადგან პაციენტისთვის ექიმი ამავე დროს „პენსიის დამნიშვნელი" პირია, რის გამოც რთული ხდება ექიმსა და პაციენტს შორის თერაპიული ალიანსის მიღწევა და მათი ურთიერთობა ძირითადად პენსიის შესახებ ვაჭრობაზეა კონცენტრირებული.

სახალხო დამცველის აპარატმა, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო პროექტი **„შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის (ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში) სისტემის რეფორმის ხელშეწყობა“** რომლის მიზანია:

1. რეკომენდაციების შემუშავება დაავადებების იმ ჩამონათვალის რევიზიისათვის, რომლის მიხედვითად ხდება შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მინიჭება;

2. რეკომენდაციების შემუშავება სტატუსის მინიჭების პროცესში ინდივიდის სოციალური და პროფესიულ-შრომითი უნარების შეფასების დახვეწისათვის;

3. სტატუსის მინიჭების სრული პროცედურის რევიზია; ექიმსა და პაციენტს შორის თერაპიული ურთიერთობის გაუმჯობესების გზების შემუშავება;

4. რეკომენდაციების შემუშავება პენსიის უფლების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების ადეკვატური მექანიზმების განსაზღვრისათვის.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ გაზიარებული იქნება რეფორმირების ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რაც გარკვეულწილად გადაჭრის არსებულ პრობლემას.

4. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრმა განახორციელა მრავალი ინიციატივა, რომლებიც მიზნად ისახავდა სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობას და გაძლიერებას, რათა ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ შშმ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრის მიერ პერმანენტულად ხორციელდებოდა სამოქალაქო საზოგადოების წევრთა ინტერესების ადვოკატირება ხელისუფლების ორგანოებთან. ცენტრი განსაკუთრებულ მხარდაჭერას გამოხატავს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების დამცავი ორგანიზაციების მიმართ, მიაჩნია რა ისინი შშმ პირთა სფეროში სისტემური ცვლილებების განხორციელების ძირითად მექანიზმად. ცენტრი მუდმივად უწევდა კონსულტაციებს არასამთავრობო ორგანიზაციებს სფეროს შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სახალხო დამცველთან არსებული ცენტრი არაერთხელ მიჩნეულ იქნა ინვალიდობის საკითხებზე ინფორმაციისა და რესურსების ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ბაზად საქართველოში. ცენტრის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახორციელებდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების დაუყოვნებელ შესწავლას ადგილზე და რეაგირებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეს, 14 ივნისს, სახალხო დამცველის აპარატთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრის ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება“ ფარგლებში, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები – საზოგადოების წევრები თუ „ინვალიდები“?

მრგვალი მაგიდის ძირითადი მიზანი იყო სტუდენტების მიერ სწორი პროფესიული დამოკიდებულების ჩამოყალიბება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ. დამოკიდებულებისა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, გააცნობიერონ და პატივი სცენ განსხვავებულობას საზოგადოებაში.

შეხვედრაზე გაიმართა ინვალიდობის თემაზე გადაღებული ფილმების ჩვენება და დისკუსია, რომელსაც უძღვებოდნენ შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე აქტივისტები „დამოუკიდებელი ცხოვრების ახალგაზრდული ცენტრიდან“.

ამავე თარიღთან დაკავშირებით, 14 ივნისს, გაიმართა ინვალიდობის თემისადმი მიძღვნილი პირველი გამოფენა–ფორუმი, რომლის ფარგლებშიც სახალხო დამცველის აპარატთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრისა და „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ინიციატივით შედგა დებატები ადამიანის უფლებების თემაზე.

გამოფენა–ფორუმის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველს გადაეცა მადლობის სიგელი ინვალიდობის სფეროში გაწეული წვლილისათვის. აღნიშნული ფორუმი გაიმართა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით პროექტის „თანაბარი პირობების განვითრების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის“ ფარგლებში, ორგანიზაციების „გადავარჩინოთ ბავშვები“ და „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ მიერ. ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერი იყო ქ.თბილისის მერია.

ევროპის საბჭოს პროექტის ”სახალხო დამცველის ოფისის შესაძლებლობათა განვითრება” ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებთან დაკავშირებით: გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენცია, სოციალური ქარტია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ტრენინგები ჩაატარეს საერთაშორისო ექსპერტებმა, ხოლო აუდიტორია აერთიანებდა როგორც სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს, ისე წარმომადგენლებს არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და პროფესიული საზოგადოებებიდან.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და მათთან პარტნიორობით განხორციელებულ ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ინიციატივებს და რეგულარულად აშუქებს მათ "საუკეთესო პრაქტიკის" დასამკვიდრებლად. იხილეთ **ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია – დეას საანგარიშო მოხსენება საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობათა შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობა-მისადაგების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე საქართველოში,** რაც დღემდე სტაბილურად გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

მონიტორინგის მიზანი იყო შესწავლა და გაანალიზება იმისა, თუ როგორ რეალიზდება შშმ პირთათვის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული პრინციპები და კანონმდებლობით გამყარებული უფლებები.

მონიტორინგისათვის შეირჩა 57 ობიექტი (26- ზუგდიდსა და 31 -თბილისში).

მონიტორინგის შედეგების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ შესწავლილ შენობა-ნაგებობათაგან სრულად მხოლოდ 8 აკმაყოფილებს შშმ პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს (2 - ზუგდიდში, 6 - თბილისში.); 17 დაწესებულების შენობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს (6 - ზუგდიდში, 11 - თბილისში), ხოლო 30 შენობა-ნაგებობა აბსოლუტურად შეუღწევადი და ხელმიუწვდომელია შშმ პირებისთვის.

მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია გატარდეს ძირეული ცვლილებები, რაც შეიძლება აისახოს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი კანონმდებლობის, მასში მოცემული უფლებების რეალიზების, ვალდებულებების აღსრულების მკაცრი და შეუვალი მექანიზმების შემუშავებაში, პასუხისმგებლობათა პროპორციულ და შესაბამის გადანაწილებაში საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ წლობით ჩამოყალიბებული არაადეკვატური შეხედულებების დაძლევასა და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას:

- **შემუშავდეს და დაინერგოს სადაზღვევო კომპანიების საფინანსო სტიმულირების მექანიზმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შესაბამისად, კორპორატიული დაზღვევის ჩათვლით;**
- **შემუშავდეს და ეტაპობრივად დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანმრთელობის დაზღვევის მინიმალური პაკეტი.**

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- **უზრუნველყოფილ იქნეს სადაზღვევო კომპანიების ეფექტური მონიტორინგი საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 აპრილის N92 დადგენილების ფარგლებში, რითაც მაქსიმალურად შემცირდება სადაზღვევო სფეროში არსებული პრობლემები და უზრუნველყოფილი იქნება დაზღვეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლება;**
- **შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა პოლისის არმქონე შშმ პირების საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით;**
- **განისაზღვროს შშმ პირთა წინააღმდეგ სამართალდამრღვევთა დამჯარიმებელი სახელმწიფო ორგანო;**
- **დაინერგოს „შინ მოვლის სოციალური მომსახურების“ კომპონენტი;**
- **დაიხვეწოს დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 178 პრიმა, 178 სეკუნდა მუხლებით განსაზღვრული პროცედურები და უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ამ მუხლების სწორ და ეფექტურ აღსრულებას.**

რეკომენდაცია ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს:

- **შემუშავდეს სამოქმედო გეგმა შშმ პირების სათანადო საცხოვრებლით ეტაპობრივად უზრუნველყოფისათვის.**

ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში

საქართველო მთლიანად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს - აღნიშნულია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანებით ვაჭრობის შესახებ 2009 წლის ანგარიშში.[133]

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, უკვე მესამე წელია, საქართველო პირველ კალათაში ხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მთლიანად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს. მთავრობამ საგრძნობლად გაზარდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების ფონდი. ამავე დროს, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომელთაც სამთავრობო პროგრამებიდან დახმარება მიიღეს. საქართველოს მთავრობამ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ორი თავშესაფრის დასახმარებლად 150 ათასი დოლარი გამოყო. ამ თავშესაფრებში ტრეფიკინგის მსხვერპლს ყველანაირი დახმარება ეწევა სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების ჩათვლით. ეფექტურად მუშაობს მექანიზმი, რომელიც სახელმწიფო მოხელეებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებასა და მათთვის დახმარების აღმოჩენაში ეხმარება.

მიუხედავად ამისა, წინგადადგმული ნაბიჯები და მიღებული შედეგები არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო გათავისუფლდა ტრეფიკინგის პრობლემისგან. საქართველო ტრეფიკინგის დონორ, ტრანზიტულ და მიმღებ ქვეყნად რჩება, რაც საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური რეაგირების უწყვეტ პროცესს.

თუმცა, აღსანიშნავია რომ საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების შედეგად გაიზარდა საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე სავარაუდო მსხვერპლთა გადაყვანის საფრთხე .

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მაქსიმალურად ეფექტური ბრძოლის გაგრძელების მიზნით, 2009 წლის 20 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის N46 განკარგულებით დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2009–2010 წლების სამოქმედო გეგმა.

2009 წლის პირველ ნახევარში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად საკოორდინაციო საბჭომ საქმიანობები წარმართა საქართველოში ტრეფიკინგის თემაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო

---

[133] U.S. Department of State, June 16, 2009, " Trafficking in persons report 2009" იხ. http://www.state.gov/g/tip/rls/tiprpt/2009/123136.htm

ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. თანამშრომლობის ამოსავალი პრინციპი ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული დისციპლინათაშორისი და ინტერსექტორული მიდგომაა. პროცესის დადებითი შედეგი ამ საქმიანობის საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში ინსტიტუციონალიზაციისა და შემდგომი დახვეწის ფორმით გამოვლინდა.

შედეგად, 2009 წლის პირველ ნახევარში ევროკავშირმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შეფასებისას აღნიშნა, რომ „ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) მიმართებით სამოქმედო გეგმა სრულად შესრულდა. სახელმწიფო სტრუქტურების წარმატებულმა თანამშრომლობამ ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მსხვერპლთა უკეთ დაცვა გამოიღო შედეგად...“[134]

2009 წლის პირველ ნახევარში საკოორდინაციო საბჭოს მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში საქმიანობა წარიმართა როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციის, ისე მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კუთხით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციისათვის უწყებათაშორისი საბჭოს კოორდინირებით წარიმართა საინფორმაციო–საგანმანათლებლო კამპანია, სადაც გამოყენებულ იყო ტელე, რადიო და ბეჭდვითი მასალა.

კერძოდ, მომზადდა სატელევიზიო კლიპი, რომელიც მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის ადვილად აღსაქმელად ახსნის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საშიშროებას. აღნიშნული მიმართულია ამ დანაშაულის პრევენციაზე.

ამავდროულად, საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით მომზადდა რამდენიმე გადაცემა და სიუჟეტი, რომელთა მიზანი ამ დანაშაულის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და დანაშაულის პრევენცია იყო.

საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში შეტანილ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ სავალდებულო კურსი, რომელიც შეიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას. სასწავლო კურსის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იურიდიული კლინიკის ელემენტებს, რომლის ფარგლებში, სტუდენტები შესაბამის სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში

[134] EU & Georgia – European Neighborhood Policy, April 2009, http://ec.europa.eu/world/enp/pdf/progress2009/com09_188_en.pdf

ტრეფიკინგთან ბრძოლის თავისებურებებსა და ამ დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ პრაქტიკულ გამოცდილებას შეიძენენ.

2009 დასაწყისში შემუშავდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო ეროვნულ სასწავლო გეგმაში სტანდარტების დახვეწის ძირითადი პრინციპები. მიღწეულია შეთანხმება სამოდელო გაკვეთილის მოდულისა და მასწავლებლების შესაბამისი მომზადების დაგეგმვაზე.

საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ინფორმაციის აქტიურ გავრცელებაზე იყო მიმართული. უმთავრეს სამიზნე ჯგუფად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელები (როგორც ბიჭები, ისე გოგონები), მათი მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები არიან არჩეულნი.

სამიზნე ჯგუფს ასევე განათლების სისტემაში წამყვან თანამდებობებზე მომუშავე პირები წარმოადგენენ, რომელთაც, ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის თანახმად, ზემდგომი სტრუქტურებისგან დაევალათ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება.

ამ საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებს, რომლებიც სასაზღვრო რაიონებში ცხოვრობენ და ეთნიკურ უმცირესობების ენაზე მოქმედ სკოლებში დადიან. იგეგმება ამ ჯგუფებისთვის სასწავლო გეგმის შექმნა მათთვის გასაგებ ენაზე.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფს გარიყული ახალგაზრდობა წარმოადგენს. მათ განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების, სკოლა–ინტერნატებისა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც მუშაობენ ისეთ ბავშვებთან, რომლებიც სხვადასხვა მიზნების გამო არ ესწრებინ სასკოლო მეცადინეობებს. ამ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

გრძელდება მუშაობა ისეთი საგანმანათლებლო მასალების შექმნასა და გავრცელებაზე, რომელთა მეშვეობით, საქართველოს საშუალო სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები გაიაზრებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეებს, მიგრაციასთან დაკავშირებულ რეალობას, ასევე უკეთ გააცნობიერებენ, თუ რა პრევენციული დახმარების მექანიზმებია ხელმისაწვდომი.

განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული რიგი ღონისძიებები. კერძოდ, განხორციელდა საქმიანობა სატელეფონო ერთიანი ცხელი ხაზის პოპულარიზაციის მიზნით; მომზადდა და გამოიცა სპეციალური სახელმძღვანელო ლიტერატურა სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოებისათვის; ჩატარდა ტრენინგები საქართველოს შს სამინისტროს (სასაზღვრო პოლიციის ჩათვლით), იუსტიციის სამინისტროს (პროკურატურის), სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის; ჩატარდა ტრენინგები შესაბამის სახელმწიფო უწყებებში ტრენინგების შემმუშავებელი და უწყებებში ამ საქმიანობის მაკოორდინირებელი ადამიანებისათვის; განხორციელდა ბავშვთა ტრეფიკინგის პრობლემის კვლევა.

ვინაიდან ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ტრანსნაციონალური დანაშაულია, საქართველოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ერთ–ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს კვლავ წარმოადგენს სხვა სახელმწიფოთა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა. სწორედ ამ მიზნით, საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით, საქართველოში მოეწყო სამუშაო შეხვედრები თურქეთის რესპუბლიკის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან.

თურქეთის რესპუბლიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის ერთ–ერთი მიზეზი ისაა, რომ თურქეთი საქართველოს მოსაზღვრე ქვეყანაა და შესაბამისად, შედარებით ყველაზე მეტი მსხვერპლი სწორედ თურქეთს უკავშირდება. ასევე, იმის გარდა, რომ თურქეთი ხშირად არის დანიშნულების ქვეყნა, იგი ცნობილია, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, საიდანაც „მონები“ სხვადასხვა მიმართულებით გაჰყავთ.

აქტიური პრევენციული ღონისძიებებისა და საინფორმაციო კამპანიის წარმართვით მოხდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პოტენციურ მსხვერპლთა ცნობიერების ამაღლება. საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების გამოძიებამ და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივმა დევნამ, ამასთან ერთად, საქართველოს მოქალაქის პასპორტის ხარისხის გაუმჯობესებამ, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის კლება გამოიწვია.

სტატისტიკური მონაცემები:

2009 წლის პირველ ნახევარში გამოძიება დაიწყო 4 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული გამოძიებებიდან 3 დაწყებულია სსკ–ის 143[1] მუხლით (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და მხოლოდ ერთი – სსკ–ის 143[2] მუხლით (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). ერთ საქმეზე 14 პირს წარედგინა ბრალდება 143[2] მუხლით, აქედან 3 ბრალდებულთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა, ხოლო დანარჩენი

ბრალდებულების მიმართ საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა სასამართლოში. ამავე საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო საქმე, რომელზეც გრძელდება გამოძიება (სსკ–ის 143[2] მუხლი). შესაბამისად, 2009 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, გამოძიება მიმდინარეობს 4 საქმეზე, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი დამდგარია 3 პირის მიმართ სსკ–ის 143[2] მუხლით. 2009 წელს სააპელაციო წესით გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2008 წელს გამოტანილი განაჩენი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გასაჩივრდა საკასაციო წესით.

რეკომენდაცია:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურას: შენარჩუნდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების გამოძიებისა და პირების პასუხისგებაში მიცემის დადებითი ტენდენცია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეინარჩუნოს და შესაძლებლობის ფარგლებში გაზარდოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების პროგრამების დაფინანსება.

გენდერული თანასწორობის საკითხები

გენდერული თანასწორობა დემოკრატიზაციისა და სოციალური სამართლიანობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. იგი გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს, საკუთარი პოტენციალის სრულად წარმოჩენას და ამ პოტენციალის რეალიზებას პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროცესში, თანაბრად სარგებლობას სხვადასხვა მიღწევებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით. შესაბამისად, არათანაბარი მოპყრობა სქესის საფუძველზე ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევაა.

გენდერული პოლიტიკის შემუშავების მიზნით, საქართველოში განხორციელდა რიგი ღონისძიებები. კერძოდ, 2004 წელს საქართველოს პარლამენტში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭო[135], რომელშიც გაერთიანდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. 2005 წელს ჩამოყალიბდა გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია[136], რომელიც დაკომპლექტებული იყო სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით. 2006 წლის თებერვალში ორივე ინსტიტუციური მექანიზმების წევრების მონაწილეობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც გაეროს სააგენტოების (UNIFEM, UNDP და UNFPA) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით შეიმუშავა სამი დოკუმენტისაგან შემდგარი გენდერული თანასწორობის სტრატეგია:

1. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, (საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ უქნა2006 წლის ივლისში);

2. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების 2007–2009 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა 2007 წლის სექტემბერში (მთავრობის განკარგულება N539)

3. რეკომენდაციების პაკეტი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის მდგრადი და ეფექტური გენდერული თანასწორობის მექანიზმების შექმნის მიზნით.

გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია გაუქმდა 2007 წლის 5 ივლისს (მთავრობის N138 დადგენილება) და ამავე წლის 26 სექტემბერს შეიქმნა გენდერული

---

[135] საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება, 2004 წლის 26 ნოემბერი.

[136] „გენდერული თანასწორობის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესახებ “ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 ივნისის #109 დადგენილება.

თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისია (მთავრობის N211 დადგენილება). მის შემადგენლობაში შევიდნენ მაღალი თანამდებობის პირები. კომისიას დაევალა აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.

რაც შეეხება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების 2007–2009 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმას, აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი პროექტი, საქმიანობის თვალსაზრისით, გაცილებით მოცულობითი იყო. იგი შეიცავდა მეტ მიზანს და ამოცანას. სამწუხაროდ, პროექტში არსებული მიზნებიდან დამტკიცებულ გეგმაში არ აისახა ისეთი საკითხები, როგორებიცაა ქალისა და მამაკაცის სრული და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე, ქალისა და მამაკაცის სრული და თანაბარი მონაწილეობის წახალისება ეკონომიკურ სფეროში, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში გენდერული პრინციპების გათვალისწინება. აღნიშნული მიზნების განხორციელება პოზიტიურ როლს შეასრულებდა ქვეყანაში რეალური გენდერული პოლიტიკის განსაზღვრასა და წარმოებაში.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007–2009 წლების სამოქმედო გეგმა შეიცავს ისეთ ამოცანებს, როგორებიცაა გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ბაზის ფორმირება და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, საზოგადოებაში გენდერული საკითხების პოპულარიზაცია და აღნიშნულ სფეროში საინფორმაციო–საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

ზემოაღნიშნული გეგმის შესწავლამ ცხადყო, რომ შემცირებული გეგმა, რომელიც დაამტკიცა მთავრობამ, მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. კერძოდ:

I ამოცანით გათვალისწინებული, გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა (2007 წლის 26 სექტემბერი) და ექვემდებარებოდა სახელმწიფო მინისტრს რეფორმების კოორდინაციის დარგში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2008 წლის მარტში სახელმწიფო აპარატის გაუქმების შემდეგ აღნიშნული კომისიის არსებობისა და ფუნქციონირების შესახებ სახალხო დამცველს ინფორმაცია არ მოეპოვება.[137]

[137]სახალხო დამცველმა 2008 წელს ორჯერ მიმართა საქართველოს პრემიერმინისტრს მოთხოვნით მოეწოდებინა ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ. თუმცა, პასუხი არ მიიღო.

რაც შეეხება მე–II ამოცანით გათვალისწინებულ, გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას, იმ ნაწილში, რომელიც ეხება არსებული კანონმდებლობის, როგორც ძველი, ასევე ახალი კანონების, გენდერულ ანალიზს, არ ჩატარებულა.

თუმცა, გარკვეული საქმიანობა წარიმართა საკანონმდებლო ბაზის ფორმირების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტში არსებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს/ექსპერტების მიერ მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი განიხილება, როგორც დროებითი ზომა და ითვალისწინებს კვოტირების წესით განსაზღვრული რაოდენობის ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ სარბიელზე. აღნიშნული მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები განიხილეს პარლამენტში, საკომიტეტო სხდომებზე, მისი მიღება საშემოდგომო სესიაზე იგეგმება.

მე–III ამოცანა გენდერული საკითხების პოპულარიზაციითა და ინფორმაციის გავრცელებით გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს. კერძოდ, ტელე–რადიო გადაცემებში გენდერულ თემებზე დისკუსიების გამართვასა და ჟურნალ–გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებში გენდერის თვალსაზრისით პრობლემატური და აქტუალური საკითხების გაშუქებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ტელე–რადიო გადაცემები იმართებოდა არა მხოლოდ ცენტრალურ არხებზე, არამედ რეგიონულ სატელევიზიო არხებზეც. გარდა ამისა, გენდერულ და ქალთა პრობლემატიკაზე ქვეყნდებოდა სტატიებიც. თუმცა, ამგვარი საქმიანობა არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კვლავაც ხორციელდება ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით.

მე–IV ამოცანა განათლების სისტემაში გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპების ახალი, გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ხედვით ჩანაცვლებაა. იგი საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებასა და პედაგოგთა უწყვეტი განათლების სისტემაში გენდერულ საკითხთა სწავლების კომპონენტის ჩართვას ითვალისწინებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, გამომცემლობებისთვის დაწესდა სახელმძღვანელოთა შეფასების კრიტერიუმები. მათ შორის ერთ–ერთი გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვაა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #138 „სახელმძღვანელოების გრიფის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“, 18.03.2009). ექსპერტები აფასებენ გამომცემლობების მიერ წარმოდგენილი

წიგნის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან და წიგნის შეფასების ძირითად კრიტერიუმებთან, მათ შორის გენდერული თანასწორობის პრინციპებთან მიმართებით. საგანმანათლებლო პროგრამები გათვლილია როგორც ვაჟებზე, ისე გოგონებზე მათი განსხვავებულობისა და თანასწორობის გათვალისწინებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მოიცავს იმ ცოდნისა და უნარ–ჩვევების ერთობლიობას, რასაც მაღალკვალიფიციური მასწავლებელი უნდა ფლობდეს. ამჟამად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მუშაობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსზე, რომელიც სასწავლო პროცესში პედაგოგისგან ეთიკური ნორმების დაცვას მოითხოვს. მასწავლებლის ეთიკის კოდექსი მოიცავს მასწავლებლის თანასწორობითი დამოკიდებულების პრინციპს მოსწავლეებისადმი, მიუხედავად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული კუთვნილებისა.

გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამის მეშვეობით 2009 წლის ივლისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და გენდერული თანასწორობა“. კონფერენციის ფარგლებში მოხდა განხილვა თუ რა გავლენა აქვს გენდერულ თანასწორობაზე ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონფერენციის შედეგად დაარსდა ახალი გამოცემა „საქართველოში ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილება“.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები, გენდერულ თანასწორობას ადეკვატური ყურადღება არ ექცევა. ამაზე გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი მუდმივმოქმედი ინსტიტუციური მექანიზმის, ამ პრობლემაზე მუშაობის და მისი გადაჭრის პოლიტიკური ნების არარსებობა და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისათვის არასაკმარისი რესურსებით უზრუნველყოფა მიუთითებს.

აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს მთავრობის 2008–2012 წლების პროგრამა „საქართველო სიღარიბის გარეშე“, რომელიც არ ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის მიღწევის სამომავლო პოლიტიკას. არადა, ქალის დისკრიმინაციის კომიტეტის[138] მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები სახელმწიფოს ავალდებულებს,

[138] 1994 წელს საქართველო მიუერთდა კონვენციას ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW), რომელიც ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს არა მარტო აღიაროს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპი, არამედ უზრუნველყოს ამ თანასწორობის მიღწევა. ამასთან, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება მათ მიერ ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად ჩატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული წარმატებების თაობაზე.

სიღარიბის დაძლევის ყველა პროგრამასა და სტრატეგიაში, რომელიც გენდერსა და ქალთა საკითხებს ეხება გაითვალისწინოს ყველა ჯგუფის მოთხოვნები, როგორც სოფლად მცხოვრები ქალების, ასევე დიასახლისების და იძულებით გადაადგილებული პირების.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი აღნიშნავს რამდენიმე დადებით ასპექტს საქართველოში ქალთა დისკრიმინაციისა და გენდერული პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით[139]. კერძოდ, დადებითად აფასებს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებას და საქართველოს პარლამენტში 2006 წელს, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ და „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონების მიღებას, ასევე სახელმწიფოს თანამშრომლობას არასამთავრობო სექტორთან გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2006 წელს შემუშავებული გენდერული თანასწორობის სტრატეგია, რომელიც მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ დოკუმენტს: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციას, სამოქმედო გეგმასა და რეკომენდაციებს, შეიძლება ითქვას, რომ არ არის ადეკვატურად გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ. კერძოდ, კონცეფცია ასახავს ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის ზოგიერთ მიზანს, მაგრამ არის ჩარჩო დოკუმენტი, რაც უნდა გახდეს კონკრეტული სახელმწიფო პოლიტიკის, პროგრამებისა და კანონების შემუშავების საფუძველი.

სტრატეგიის მესამე დოკუმენტი – რეკომენდაციები აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის – არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ. რეკომენდაციები კი უნდა გახდეს მდგრადი და ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმის დაარსების საფუძველი.

შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის, საქართველოში გენდერული პოლიტიკის გატარება ხორციელდება დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. თუმცა, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარება სახელმწიფოს პრეროგატივაა და დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა გადამწყვეტ როლს ვერ შეასრულებს. სახელმწიფოს მიერ გამოხატული პოლიტიკური ნება შეასრულოს აღებული ვალდებულებები და გაატაროს რიგი ღონისძიებებისა, რომელიც მიმართული იქნება

კონვენციის დამატებით ოქმს ხელი მოეწერა 2002 წელს.

[139] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი კომენტარები; საქართველო, C/GEO/CO/3, აგვისტო, 2006 გვ. 5.

გენდერული თანასწორობის რეალურ მიღწევაზე და უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით, გადამწყვეტია ამ პროცესში.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობამ, გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ეფექტურად განხორციელების მიზნით, შექმნას მუდმივმოქმედი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ გენდერული თანასწორობის საკითხებზე და კოორდინაციაზე;

საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნული ინსტიტუციური მექანიზმის მდგრადობისათვის საჭირო ფინანსური რესურსები;

დღეს მოქმედი გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების მიერ, (გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი სამთავრობო კომისია, პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო) 2007–2009 წლების სამოქმედო გეგმის დასრულებამდე, ჩატარდეს ამავე გეგმით გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობის სიღრმისეული გენდერული ანალიზი.

დღეს მოქმედი გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების მიერ, შემუშავდეს გენდერული თანასწორობის 2010–2012 წლების სამოქმედო გეგმა.

ძალადობა ოჯახში

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 23 აპრილის N304 განკარგულებით დამტკიცდა ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2009–2010 წლების სამოქმედო გეგმა.

გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს[140] დაევალა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობების განხორციელება და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა 2009 წლის იანვრიდან დაევალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს[141].

საანგარიშო პერიოდში მომზადდა ეროვნული რეფერალური მექანიზმი, რომელიც 2009 წლის 13 ივლისს დაამტკიცა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელმა საუწყებათაშორისო საბჭომ. რეფერალური მექანიზმი წარმოადგენს ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სფეროში მომუშავე საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტს, რომლის მიზანია იმ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომელიც მიმართული იქნება ოჯახში ძალადობის აღკვეთაზე, პრევენციასა და დახმარებაზე. ძალადობის მსხვერპლთათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დახმარების დროული და ეფექტური აღმოჩენის სისტემის შექმნა ეროვნული რეფერალური მექანიზმის მთავარი სტრატეგიული დანიშნულებაა.

საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მიზნით შემუშავდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებები. კერძოდ, დაზუსტდა კანონით განსაზღვრული ოჯახში ძალადობის პრევენციისა და

---

[140] 2008 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (#625) შეიქმნა საქართველოში ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო.

[141] 2006 წლის 18 ივლისს პრეზიდენტის #437 ბრძანებულება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“.

ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები და პროცედურები. აღნიშნულ ცვლილებათა პაკეტის განხილვა იგეგმება საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე.

ასევე შემუშავდა სავარაუდო მსხვერპლის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიუმართავობის შემთხვევაში მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიკაციის მიმნიჭებელი სუბიექტები, განისაზღვრა შემოსულ ინფორმაციაზე საუბნო და საპატრულო პოლიციის რეაგირების კონკრეტული მეთოდები და ფორმები, შემუშავდა სტანდარტული საიდენტიფიკაციო კითხვარი. ასევე შემოღებულ იქნა კრიზისული ცენტრის ცნება, დადგინდა კრიზისული ცენტრის სტანდარტები და გასაწევი დახმარების სახეები, განისაზღვრა ცენტრში მოთავსების საფუძველი და ხანგრძლივობა. გაიმიჯნა კრიზისული ცენტრის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) ცნებები. განისაზღვრა თავშესაფარში მოთავსების საფუძველი, წესი და ხანგრძლივობა, სტანდარტები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თავშესაფარი და სხვა.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო თავშესაფრის მოწყობის მიზნით, სახელმწიფო ფონდს, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის წესით, 10 წლის ვადით გადაეცა 328 კვ.მ. ფართი. მიმდინარეობს მოლაპარაკება საერთაშორისო ორგანიზაციებთან სარემონტო სამუშაოების დაფინანსების თაობაზე, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია იმისთვის, რომ ქვეყანას ჰქონდეს ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული თავშესაფარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, რაც ნიშნავს მდგრად და სიცოცხლისუნარიან თავშესაფარს.

ამასთან, აუცილებელია, შეიქმნას ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა თავშესაფარი, სადაც გათვალისწინებული იქნება ბავშვებთან ურთიერთობის სპეციფიკა და სტანდარტები, მათი უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა მომსახურება.

ოჯახში ძალდობის პრობლემის გადაწყვეტისათვის ასევე მნიშვნელოვანია მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა, სადაც მოხდება მოძალადისთვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა, რაც ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მოძალადესთან მუშაობაში.

სამწუხაროდ, არ განხორციელებულა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სტატუსისა და ფუნქციის განსაზღვრისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის მომზადება, არსებული სოციალური მუშაკებისათვის დროებითი სტატუსის განსაზღვრა და მათი ლეგიტიმაცია. აღნიშნული კი მნიშვნელოვანი კომპონენტია ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონის სრული იმპლემენტაციისათვის.

ძალადობა ოჯახში

ოჯახში ძალადობის შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაში 2009 წლის თებერვლიდან შეტანილია ოჯახში ძალადობის შესახებ ერთსემესტრიანი კურსი, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს, რომლის ფარგლებში სტუდენტები ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარ–ჩვევებსაც მიიღებენ.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ოჯახური ძალადობის საკითხებზე ერთიანი სატრეინინგო მოდულის შექმნაზე. მოდულმა უნდა უზრუნველყოს ცოდნის დონის ამაღლებისკენ მიმართული ტრეინინგების ერთიანი სტანდარტის და ფორმატის დანერგვა (სამიზნე ჯგუფების სპეციფიკის გათვალისწინებით). ასევე მომზადებულია სოციალური სარეკლამო რგოლი და დოკუმენტური კლიპი, მომზადდა ბროშურა „რჩევები და ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები თბილისსა და საქართველოში 2009 წლის პირველ ნახევარში ჩადენილი ოჯახური ძალადობის ფაქტებზე შემდეგნაირად გამოიყურება:

თბილისი, მცხეთა მთიანეთი	სულ	მსხვერპლი						მოძალადე					
		სქესი		ასაკი				სქესი		ასაკი			
		მამრ.	მდედ.	<16	16–24	25–44	44>	მამრ.	მდედ.	<16	16–24	25–44	44>
საპატრულო პოლიციის თბილისისა და მცხეთა მთიანეთის სამსახური	68	1	67		11	38	19	65	1		1	44	23
სულ	68	1	67		11	38	19	65	1		1	44	23

ქვემო ქართლი	სულ	მსხვერპლი						მოძალადე					
		სქესი		ასაკი				სქესი		ასაკი			
		მამრ.	მდედ.	<16	16–24	25–44	44>	მამრ.	მდედ.	<16	16–24	25–44	44>
საპატრულო პოლიციის ქვემო ქართლის სამსახური	12	3	9		5	6	1	9	3		2	5	5

სულ	12	3	9		5	6	1	9	3		2	5	5

იმერეთი	სულ	მსხვერპლი						მოძალადე					
		სქესი		ასაკი				სქესი		ასაკი			
		მამრ.	მდედ.	<16	16–24	25–44	44>	მამრ.	მდედ.	<16	16–24	25–44	44>
საპატრულო პოლიციის იმერეთის სამსახური	1		1				1	1				1	
სულ	1		1				1	1				1	

აჭარა	სულ	მსხვერპლი						მოძალადე					
		სქესი		ასაკი				სქესი		ასაკი			
		მამრ.	მდედ.	<16	16–24	25–44	44>	მამრ.	მდედ.	<16	16–24	25–44	44>
საპატრულო პოლიციის აჭარის სამსახური	7	1	6		1	5	1	6	1			4	3
სულ	7	1	6		1	5	1	6	1			4	3

2009 წლის პირველ ნახევარში ოჯახური ძალადობის ფაქტები არ ფიქსირდება შიდა ქართლის, კახეთის, სამეგრელო–ზემო სვანეთისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2009 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით შევიდა 60 შუამდგომლობა შემაკავებელი და დამცავი ორდერების დამტკიცების მოთხოვნით. აქედან 12 შუამდგომლობა – დამცავი ორდერის დამტკიცების თაობაზე, საიდანაც დაკმაყოფილდა 9, განუხილველი დარჩა 2, ხოლო წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვა 1. რაც შეეხება შემაკავებელი ორდერის დამტკიცებას,

სულ სასამართლოში შევიდა 48 შუამდგომლობა. აქედან დამტკიცდა 42, უარი ეთქვა 4, ხოლო განუხილველი დარჩა 2 შუამდგომლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2009 წლის პირველ ნახევარში განიხილა 18 სისხლის სამართლის საქმე (ამჟამად განხილვაშია 6), რომელიც შეეხებოდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ქმედებებს. ყველა მოძალადე (24) კაცია.

ზემოაღნიშნული საქმეების შესწავლამ დაგვანახა, რომ მათი უმრავლესობა შეიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ვერბალურ ძალადობას კაცის მხრიდან ქალის მიმართ, მათ შორის 9 არის სხეულის მძიმე დაზიანება, ჭრილობა და მკვლელობა.

რეკომენდაციები:

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და იუსტიციის სამინისტროებმა, საუწყებათაშორისო საბჭოსთან და სახელმწიფო ფონდთან თანამშრომლობით, ჩაატარონ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის ფორმირებისთვის აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებები. კერძოდ, განისაზღვროს სოციალური მუშაკებისათვის დროებითი სტატუსი და მოხდეს მათი ლეგიტიმაცია;

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მოამზადოს სოციალური მუშაკის გადამზადების პროგრამები.

სტატისტიკის დეპარტამენტმა სახელმწიფო ფონდთან თანამშრომლობით შეიმუშავოს ოჯახში ძალადობის შემთხვევის სტატისტიკის წარმოებისა და შესაბამისი ანალიზის ერთიანი წესი და კრიტერიუმები.

შრომის უფლება და შრომის პირობების უფლებები

შრომის უფლება და შრომის პირობების უფლებები სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების ყველაზე უკეთ განვითარებულ სფეროს წარმოადგენს.[142]

ზემოაღნიშნული მოსაზრების საფუძვლიანობას ამყარებს ყველა ის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი აქტი, რომელშიც გარანტირებულია ადამიანის შრომის უფლება და შრომის უფლებების პირობები.

საქართველოში ადამიანის შრომის უფლება და შრომის პირობების უფლებები განმტკიცებულია საქართველოს უზენაესი კანონით – კონსტიტუციით, საქართველოს შრომის კოდექსით, საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ", საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ"[143], სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და ყველა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით[144], რომლის ხელშემკვრელი მხარე არის საქართველო და რომელთა ნორმებით დადგენილი შრომით–სამართლებრივი რეგულაციები სავალდებულო ხასიათს ატარებს საქართველოსთვის.

ამდენად, შრომასთან დაკავშირებული უფლებები სამართლებრივად სავალდებულო სახით არის ფორმულირებული ზემოდასახელებულ აქტებში, თუმცა რამდენად ხდება მათი იმპლემენტაცია და რა ტენდენცია იკვეთება შრომის უფლების დაცვის კუთხით, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს.

შრომის უფლების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია – დასაქმების დაცვის უფლება, ანუ სამართლებრივი და სხვა ღონისძიებები შრომითი ურთიერთობების შენარჩუნებისა და დაცვისათვის[145]. დასაქმების დაცვის უფლების არსი ძირითადად გალისხმობს – ადგილი არ ჰქონდეს თვითნებურ ან უსამართლო დათხოვნას შრომითი ურთიერთობების სტაბილურობიდან და ხელშეუხებლობის განმსაზღვრელი სხვა ასპექტებიდან გამომდინარე (მაგ: მშობიარობის შემდეგ სამუშაოზე დაბრუნების უფლება ან შესაძლო განთავისუფლების შეტყობინების ვადების უფლება და სხვა)[146].

---

[142] იხ. პ. ალსტონი, „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი", გამოცემაში: პ. ალსტონი, The United Nations and Human Rights: A Critical Appraisal, 1992 წ.

[143] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი აწესრიგებს დირექციისა და მასწავლებლების შრომით სამართლებრივ ურთიერთობებს.

[144] გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები.

[145] იხ. კრჟიჟშტოფ დრჟევიცკი „შრომის უფლება და შრომის პირობების უფლებები", დასაქმების დაცვის უფლება.

[146] იხ. იქვე.

საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავენ მოქალაქეები სამსახურიდან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე განთავისუფლებასთან დაკავშირებით. მართალია, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1–ლი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტი[147] და 38-ე მუხლის 1–ლი ნაწილი[148] დამსაქმებელს არ ავალდებულებს მიუთითოს შრომითი ხელშეკრულების მოშლის მოტივებზე და ანიჭებს მას უფლებას, ნებისმიერ დროს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, მაგრამ განსხვავებულად რეგულირდება საჯარო სამსახურებიდან[149] საჯარო მოხელეების[150] განთავისუფლების საკითხი.

საჯარო სამსახურიდან[151] საჯარო მოხელე თავისუფლდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით. ანუ, საჯარო სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანებით, რომელსაც საფუძვლად უდევს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლი. მართალია, საჯარო სამსახურის უფლებამოსილ პირს კონკრეტული საკითხის (სამსახურიდან განთავისუფლება) გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, მაგრამ ამავდროულად, იგი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ანუ საჯარო სამსახურის უფლებამოსილი პირი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების (სამსახურიდან განთავისუფლება) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახვისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წერილობით დასაბუთებაში მიუთითოს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

---

[147] საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია: შრომითი ხელშეკრულების მოშლა.

[148] საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

[149] „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 1–ლი მუხლის თანახმად, „საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში".

[150] „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე–6 მუხლის 1–ლი პუნქტის შესაბამისად, „მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე".

[151] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–2 მუხლის 1–ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, „ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველოს და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება."

ამდენად, დასაქმების შეწყვეტისას აუცილებელია ბრძანებაში აისახოს ყველა ის გარემოება, რასაც საფუძვლად დაედო განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რათა გამოირიცხოს დაუსაბუთებლად მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები, რაც იმთავითვე უგულვებელყოფს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სოციალური უზრუნველყოფის უფლება

სოციალური დახმარება

სოციალური უფლებები, იმ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა მიზანია, დაიცვას და ხელი შეუწყოს ადამიანის ძირითად მოთხოვნებზე ხელმისაწვდომობას და გააუმჯობესოს და შეინარჩუნოს ცხოვრების სათანადო დონე[152].

სოციალური უზრუნველყოფის უფლება გარანტირებულია მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტებით. მათ შორის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლით და „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის[153] მე-9 მუხლით[154].

სოციალური უზრუნველყოფის უფლება მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს, მით უფრო მაშინ, როდესაც პირს არ აქვს ქონება, ან როდესაც უმუშევრობის, ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო მას არ შეუძლია, შრომით უზრუნველყოს ცხოვრების სათანადო პირობები[155].

საქართველოს, როგორც წინამდებარე კონვენციის ხელშემკვრელი მხარის, მოვალეობაა სწორედ კონვენციებში დაცული უფლებების ეფექტურად განხორციელებისათვის სათანადო ზომების გატარება, სამართლებრივი ღონისძიებების ჩათვლით.

სახელმწიფოს მიერ საზოგადოების სოციალურად დაუცველ ფენებზე ზრუნვა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციით და სხვა მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული ვალდებულებაა[156].

საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს და სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს ადგენს 2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“.

---

[152] ს.ლიებენბერგი, „სოციალურ–ეკონომიკური უფლებები“, გამოცემაში: მ.შასკალსონი და სხვები, 1998, თავი 41, გვ. 1–56.

[153] „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტს საქართველო 1994 წლის 3 აგვისტოდან შეუერთდა.

[154] „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე–9 მუხლი მიუთითებს, რომ „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით“.

[155] იხ. მ. შეინინის “The Right to Social Security”, კრებულის მე–12 თავი.

[156] საქართველოს კონსტიტუციის 39–ე მუხლით, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, 2006 წლის 28 ივლისის „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №145 დადგენილება და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „სოციალური დახმარება არის ნებისმიერი სახის, ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისათვის, ღატაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის“.

ამჯერად, ისევე როგორც 2008 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო პერიოდში, საყურადღებოა დაუცველი და არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ოჯახების მიერ ფულადი სოციალური დახმარების ერთ-ერთი სახით - საარსებო შემწეობით სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული პრობლემა, ვინაიდან პრობლემატიკა კვლავ უცვლელია და ამასთანავე, იზრდება იმ მოქალაქეების რიცხვი, რომლებიც სოციალური დახმარების დანიშვნასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველს მიმართავენ.

2008 წლის მეორე ნახევრის, ისევე, როგორც 2009 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილული საქმეების ანალიზმა ცხადად დაგვანახა სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის მარეგულირებელი აქტებისა და განსაკუთრებით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს №126 დადგენილებით დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში განსახორციელებელი ცვლილებების აუცილებლობა[157].

სწორედ ზემოაღნიშნულმა განაპირობა, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის** რეკომენდაციით[158] მიმართვა მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის მეთოდოლოგიისა და ადმინისტრირების სქემების დახვეწისა და სოციალური დახმარების მარეგულირებელ აქტებში საჭირო ცვლილებების შეტანაზე, რომელიც სამინისტროს მიერ არ იქნა გაზიარებული.

რომ არა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინირებული მუშაობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან (მიმართვის შემდგომ მოახდინოს კონკრეტული ოჯახის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შესწავლა), მიზანი – ძალიან მძიმე სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფმა ოჯახებმა მიიღონ ფულადი სოციალური დახმარება – მიუღწეველი იქნებოდა. 2008 წლის მეორე ნახევრის მსგავსად, 2009 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო პერიოდში

[157] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის მოხსენება, თავი 6, სოციალურ–ეკონომიკური უფლებები, საარსებო შემწეობა, გვ. 337–342.

[158] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის მოხსენება, თავი 6, სოციალურ–ეკონომიკური უფლებები, საარსებო შემწეობა, გვ.342.

საქართველოს სახალხო დამცველს მიმართავდნენ მოქალაქეები, რომლებიც ვერ მოხვდნენ იმ ოჯახების სიაში, რომლებიც იღებენ ფულადი სახის სოციალურ დახმარებას – საარსებო შემწეობას. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ ოჯახებში განხორციელებული მონიტორინგის შემდეგ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსადმი კონკრეტული ოჯახის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შესწავლის თხოვნით მიმართვამ, უმრავლეს შემთხვევაში, დადებითი შედეგი გამოიღო და ოჯახებს დაენიშნათ ფულადი სოციალური დახმარება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წინგადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლის ძალით დაკმაყოფილდა საქართველოს საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის მე–2 პუნქტი. (იხ.საკონსტიტუციო სარჩელები)

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისთვის ოჯახების შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსის დაანგარიშების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს №126 დადგენილებით. ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსის მაძიებელს ენიჭება სარეიტინგო ქულა.

მთავრობის მიერ დადგენილი დონე განისაზღვრება ზღვრული ქულით, რომელიც სიღატაკის ზღვარს აღნიშნავს. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე–7 მუხლის მიხედვით, საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არის 57001. ამავე დადგენილების მე–5 მუხლის შესაბამისად კი საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომლის სარეიტინგო ქულა ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე (57001–ზე) ნაკლებია.

ამდენად, ისარგებლოს თუ არა ადამიანმა სოციალური დახმარების უფლებით, როგორიცაა, მოცემულ შემთხვევაში, საარსებო შემწეობა, უშუალოდ არის დამოკიდებული სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების

მეთოდოლოგიაზე, რადგან სწორედ ის წარმოადგენს ადამიანის შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსის დაანგარიშების მექანიზმს და საშუალებას, რომლის საფუძველზეც ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა გადაწყვეტს საარსებო შემწეობის მიღების საკითხს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორია მეთოდოლოგია, რამდენად იძლევა ის შესაძლებლობას, მაქსიმალურად ადეკვატურად მოხდეს საარსებო შემწეობის რეალური აუცილებლობის მქონე პირთა დადგენა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს პოზიციისამებრ, „საქართველოში გამოყენებული მეთოდოლოგია, მიუხედავად იმისა, რომ არ გამოირჩევა აბსოლუტური სიზუსტით, ეფექტურია. იგი წარმოადგენს რთულ მათემატიკურ ფორმულას, სადაც არის ბევრი ცვლადი, დაახლოებით, ასოთხმოცი ინდიკატორი, რომელთა შეფასების საფუძველზე ხდება ოჯახის კეთილდღეობის ინდექსის განსაზღვრა. მოქმედი მეთოდოლოგია ზუსტია მიზნობრივი ჯგუფების გამოვლენის დროს, მაგრამ საკმაოდ მოუქნელია ინდივიდუალურ შემთხვევებში, ანუ ის აფიქსირებს ქრონიკულ სიღარიბეს და ვერ ასახავს კონტექსტიდან ამოვარდნილ ერთეულ შემთხვევებს. მზარდი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეთოდოლოგია სწრაფად ძველდება, ამიტომ მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა მის განახლებაზე, რაც მოითხოვს დიდ ადმინისტრაციულ რესურსსა და სახსრებს[159].

არ შეიძლება, არ დაეთანხმო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელს, როდესაც ინდივიდუალურ შემთხვევებთან დაკავშირებით მეთოდოლოგიის მოუქნელობაზე საუბრობს, თუმცა, რამდენად ინდივიდუალურ შემთხვევებთან გვაქვს საქმე, გაანალიზებას საჭიროებს, ვინაიდან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხილულია არაერთი შემთხვევა, როდესაც „რთულმა მათემატიკურმა ფორმულამ“ ვერ ასახა უკიდურეს სიდუხჭირეში მცხოვრები ოჯახის რეალური სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა. აღნიშნული ნაკლებად შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური შემთხვევა. მსგავსი ტენდენცია სწორედ სისტემურ პრობლემაზე მიუთითებს, რომლის აღმოფხვრისათვის აუცილებელია მეთოდოლოგიის სწრაფი და სისტემური განახლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის

[159] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

დანიშვნასთან დაკავშირებით, აღნიშნული უფლების მარეგულირებელ აქტებში მრავალ ხარვეზს და ბუნდოვან ფორმულირებას ხედავს[160], ღატაკი ოჯახებისათვის სოციალური დახმარებით სარგებლობის უფლების სათანადოდ რეალიზაციისათვის სახელმწიფოს მხრიდან მიზანშეწონილად მივიჩნევთ ქმედითი ღონისძიებების გატარებას. მოცემული მიზნის მისაღწევად, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** მიმართ რეკომენდაცია უცვლელი რჩება და ამასთანავე, ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო მის ხელთ არსებული რესურსების მიზნობრივად განსაკარგად შეიმუშავებს სტრატეგიას სოციალური უზრუნველყოფის უფლების „თანდათანობითი, სრული განხორციელებისათვის.“

რეკომენდაცია:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს: უზრუნველყოფილ იქნეს მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის მეთოდოლოგიისა და ადმინისტრირების სქემების დახვეწა და შესაბამისად ცვლილებების განხორციელება სოციალური დახმარების მარეგულირებელ აქტებში.

[160] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის მოხსენება, თავი 6, სოციალურ–ეკონომიკური უფლებები, საარსებო შემწეობა, გვ. 337–344.

ადამიანის უფლება სათანადო საცხოვრებელზე

,,ადამიანის უფლება სათანადო საცხოვრებელზე ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებისათვის", ,,საცხოვრებლის უფლება განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის სხვა უფლებებთან და იმ ფუნდამენტურ პრინციპებთან, რომლებზეც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტია დაფუძნებული."[161]

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე–11 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს".

საცხოვრებლის უფლება მოიცავს საბინაო სუბსიდიებსაც. სახელმწიფო ვალდებულია, გაატაროს ყველა ის აქტიური ღონისძიება, რაც საჭიროა მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი თითოეული ადამიანისთვის საცხოვრებლის უფლების გარანტიების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, თუ ამ უფლების განხორციელება მხოლოდ პირის ძალისხმევით შეუძლებელია. ეს გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ უფლების განხორციელების ვალდებულებისაგან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა კომიტეტის №3 ზოგადი კომენტარის მიხედვით, ,,ყველა მონაწილე სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება - მინიმალურ დონეზე მაინც უზრუნველყოს თოთოეული უფლების განხორციელება.[162]

1998 წელს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებულ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევის მაასტრიხტის სახელმძღვანელო პრინციპების №10 პრინციპში ნათქვამია, რომ „რესურსების ნაკლებობა სახელმწიფოს არ ათავისუფლებს გარკვეული მინიმალური ვალდებულებებისაგან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების იმპლემენტაციის თვალსაზრისით"[163].

---

[161] იხ. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მეექვსე სესიაზე (1991) მიღებული #4 ზოგადი კომენტარი პარაგრაფი 1.

[162] იხ. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მეხუთე სესიაზე (1990) მიღებული #3 ზოგადი კომენტარი პარაგრაფი 10.

[163] მაასტრიხტის სახელმძღვანელო პრინციპები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დარღვევების შესახებ (1998 წ.), Human Rights Quarterly, ტ. 20, No. 3 (1998), გვ. 691-701; და ამ კრებულის დანართი 4.

„უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა“, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით არაერთხელ მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კონკრეტული პირებისთვის ელემენტარული თავშესაფრით ან ბინით უზრუნველყოფის მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მიუთითებენ საბინაო ფონდის არ არსებობას, როგორც რეკომენდაციის შეუსრულებლობის მიზეზს.

ზემოხსენებული არგუმენტი, რომელსაც ეყრდნობა გამგეობა, არის უსაფუძვლო და საკმაოდ სუსტი იმისათვის, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო გათავისუფლდეს ვალდებულებებისგან, რომლებიც განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებებით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით, ასევე, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სათანადო საცხოვრებელზე ადამიანის უფლების იმპლემენტაციისათვის წინგადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ ვარკეთილის მასივში „სოციალური სახლების“ მშენებლობა.

2009 წლის 19 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ქ.თბილისის მერიიდან შემოსული წერილით გაირკვა, რომ ქ.თბილისში, ვარკეთილი–3, მე–2 მ/რ–ში შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოსა და დედაქალაქის მერიის ერთობლივი პროექტის – „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობის გარემოში“ – ფარგლებში აშენდა 4 ორსართულიანი კოტეჯი 28 ბინაზე. „სოციალურ სახლებში“ შესასახლებელ ოჯახთა შესარჩევად 2008 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც პროექტის ბენეფიციართა შესარჩევად შეიმუშავა სპეციალური კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმების საფუძველზე შედგა პროექტის ბენეფიციარობის კანდიდატ ოჯახთა სია (292 ოჯახი), რომელთა გადამოწმების მეთოდოლოგია შეიმუშავა და განახორციელა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაქირავებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ – „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“. კონკურსის შედეგად შეირჩა 28 ოჯახი, რომელთა შესახლება „სოციალურ სახლებში“ უკვე დამთავრებულია.

ქალაქ თბილისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, პროექტის მომდევნო ეტაპის ბენეფიციართა შესარჩევად შეიქმნება ახალი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევლენ დედაქალაქის მერიის, საქართველოს შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროების, დონორი ორგანიზაციებისა და გაერო–ს წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიერ ბენეფიციართა შესარჩევად შემუშავებული სპეციალური კრიტერიუმები ცნობილი გახდება პროექტით გათვალისწინებული „სოციალური სახლების“ მშენებლობის დამთავრებამდე (სავარაუდოდ 2009 წლის მეოთხე კვარტალში).

ამდენად, ზემოთ ხსენებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება იმ პირების გარკვეული ნაწილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რომელთაც არ გააჩნიათ ელემენტარული თავშესაფარი. თუმცა, იმავდროულად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მომავლისთვისაც დაგეგმოს და განახორციელოს მსგავსი პროექტები, რათა უსახლკარო ადამიანების მაქსიმალური რაოდენობა დაკმაყოფილდეს საცხოვრებლით. ამის პარალელურად, აუცილებელია, სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები იმ სოციალურ ჯგუფებსა და ადამიანებს (ოჯახებს) შორის, რომელთა ცხოვრების პირობები სრულ შესაბამისობაში არ არის საცხოვრებლის უფლების შინაარსთან და მიზნებთან. იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი სამუშაო ჯგუფი წარმატებით შეძლებს ამ მეტად საპასუხისმგებლო მისიის შესრულებას.

საკუთრების უფლება

საკუთრების უფლება საყოველთაოდ აღიარებული და გარანტირებული უფლებაა როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი აქტებით. იგი ადამიანის არსებობის ეკონომიკური საფუძველია და იცავს პირის ეკონომიკურ ინტერესებს. საკუთრების უფლების, ისევე, როგორც სხვა ძირითადი უფლებების სამართლებრივ გარანტიას, პირველ რიგში, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“

საკუთრების უფლების ხელყოფა

საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების გარანტია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, თავი შეიკავოს საკუთრების უფლებაზე გაუმართლებელი ზემოქმედებისაგან და კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნით დაიცვას ეს უფლება.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.[164]

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი[165] ითვალისწინებს და იცავს საკუთრების უფლებას. აღნიშნულ მუხლში ცალსახად არის მითითებული, რომ „ყოველ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აქვს უფლება მშვიდობიანად მოიხმაროს თავისი საკუთრება. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას მისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესებში და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით.“

---

[164] საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 21, მე–3 პუნქტი.

[165] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2001 წლის 27 დეკემბერის #1243 დადგენილებით.

საქართველოში, გასული წლების განმავლობაში, საკუთრების უფლების დარღვევის არაერთი ფორმა გამოვლინდა. სხვადასხვა ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ეჭვქვეშ იქნა დაყენებული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის კანონიერების არაერთი საკითხი. მრავალ მოქალაქეს, საწარმოსა თუ ორგანიზაციას დაუსაბუთებლად (აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების გარეშე) და კანონის მოთხოვნათა დარღვევით ჩამოერთვა საკუთრებაში არსებული ქონება.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საკუთრების უფლების დარღვევაზე შემოსულ განცხადებათა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც შეეხება საკუთრების უფლების ხელყოფას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან.

მაგალითისათვის მოვიყვანთ შემთხვევას, როდესაც ერთ–ერთმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ 1998 წელს შესაბამისი გადაწყვეტილების[166] საფუძველზე დაინტერესებულ პირს საკუთრებაში გადასცა 0.1 ჰა მიწის ნაკვეთი, გასცა საკუთრების უფლების მოწმობა და საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა. იმავე თვითმმართველობის ორგანომ 2004 წელს ახალი გადაწყვეტილებით გააუქმა თავისივე 1998 წლის გადაწყვეტილება და ქონების მესაკუთრეს, რომელიც ამ დროისათვის კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით ფლობდა მიწის ნაკვეთს (რომელიც რეგისტრირებული ჰქონდა საჯარო რეესტრში), ჯერ ჩამოართვა საკუთრების უფლება, მიმართვის საფუძველზე გააუქმა საჯარო რეესტრის რეგისტრაცია და შემდეგ, მის დაქვემდებარებაში მყოფი ზედამხედველობის ორგანოს საშუალებით, მოახდინა საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი.

ასეთი ქმედების სამართლებრივ საფუძვლად თვითმმართველობის ორგანომ მოიყვანა ის გარემოება, რომ „მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა იყო არამართებული, მიღებული სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ, გადაცემული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მისი საკარმიდამოდ გამოყენება არ შეიძლებოდა.“

მოქალაქისათვის საკუთრების უფლების გაუქმების თაობაზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის დასაბუთება იმდენად ბუნდოვანი და გაურკვეველია, რომ შეუძლებელია, პირდაპირ მიეთითოს მოქმედი კანონმდებლობის რომელიმე ნორმა, რომელიც შეესაბამება აქტის დასაბუთებას და

[166] ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი.

რომლითაც გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა თვითმმართველობის ორგანომ.[167]

თუ გავიზიარებთ თვითმმართველობის ორგანოს მსჯელობას, რომ მიწის ნაკვეთის დანიშნულება თავიდანვე არასწორად განისაზღვრა და ნაკვეთის საკარმიდამოდ გამოყენება არ შეიძლებოდა, მაშინ ეს აქტი ეწინააღმდეგება კანონს და მისი კანონიერების ეჭვქვეშ დაყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60[1] მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით: „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.“

თუმცა, აქვე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ამოქმედდა 2000 წლის პირველი იანვრიდან და ამ კოდექსის 218–ე მუხლში იმპერატიულად არის მითითებული, რომ „არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე.“

დაინტერესებული პირისათვის ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს, რადგან დაინტერესებულ პირს ამ აქტით ენიჭება უფლება ან სარგებელი. ხოლო კანონიერი ნდობა არსებობს მაშინ, როცა ამ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე პირი კეთილსინდისიერად განახორციელებს იურიდიული მნიშვნელობის ქმედებას. მოცემულ შემთხვევაში, პირის მიერ გაწეულ იქნა იურიდიული მნიშვნელობის რიგი ქმედებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60[1] მუხლის მე–4 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი აშკარად კანონსაწინააღმდეგოა და არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე

[167] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამ სამართლებრივ ფორმას: ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის არარად აღიარებას, ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას და ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას. აქედან გადაწყვეტილებაში არცერთი არ არის დაფიქსირებული.

დაინტერესებულ მხარეს უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

ზემოაღნიშნულმა თვითმმართველობის ადგილობრივმა ორგანომ საკუთრების უფლების ჩამორთმევის არც კონსტიტუციური აკრძალვა გაითვალისწინა, არც დაადგინა არსებობდა თუ არა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და არც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები დაიცვა, რითაც უხეშად დაარღვია დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება და მას მიაყენა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი. აღნიშნულ თვითმმართველობის ორგანოში გაგზავნილი სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ დაკმაყოფილდა.

საანგარიშო პერიოდში, 2009 წლის პირველ ნახევარში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ორგანოს მიერ თავისი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებას შეეწირა კერძო მესაკუთრეთა ინტერესები.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საკუთრების უფლების დაცვის მექანიზმები განმტკიცებული და დაკონკრეტებულია საქართველოს სხვადასხვა კანონებში. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172–ე მუხლში საუბარია უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფის ან საკუთრებით სარგებლობისას განხორციელებული სხვადასხვა სახის ხელშეშლის აღკვეთაზე.

2006 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლს დაემატა მე-3 ნაწილი, რომელმაც შექმნა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაცვის დამატებითი მექანიზმი. ნორმის თანახმად, თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. ხოლო თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსგან, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.

სწორედ ამ დამატებას მოჰყვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში სათანადო ცვლილებების განხორციელება და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის N747-ე ბრძანების გამოცემა, სადაც კონკრეტულად არის გაწერილი პოლიციის მიერ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის

აღკვეთის წესები. ბრძანებით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება ევალება რაიონული (ე.წ. „კრიმინალური“) პოლიციის სამმართველოებს.

სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი განცხადებებიდან გამოირკვა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა პოლიცია მოქმედებს კანონდარღვევით, ვინაიდან არ აკეთებს სწორ სამართლებრივ შეფასებას, რა არის საკუთრების მოწმობა, მართლზომიერი მფლობელობის თუ სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სწორედ ამიტომ სამართალდამცავი ორგანოები ახდენენ სწრაფ და ხშირად უკანონო რეაგირებას ან პირიქით, დიდი ხნით აჭიანურებენ და საერთოდ არ ახორციელებენ გამოსახლებას, როცა ამას კერძო პირის/პირთა ინტერესი მოითხოვს (იხ.სახალხო დამცველის მოხსენება, 2007 წლის მეორე ნახევარი).

ამ კუთხით საყურადღებოა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2009 წლის პირველ ნახევარში შესწავლილ საქმეებში საკუთრების უფლების ხელყოფის კუთხით გამოვლენილი შემდეგი სახის ტენდენცია: სახელმწიფო (საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო) მის ერთ–ერთ ძირითად ვალდებულებას – უზრუნველყოს დევნილები დროებითი საცხოვრებელი ადგილით – ახორციელებს მოქალაქეთა მეორე ჯგუფის – კერძო მესაკუთრეების უფლებების დარღვევის ხარჯზე. კერძოდ, გასულ წლებში ხშირი იყო შემთხვევები, როცა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირები თვითნებურად იჭრებიდნენ შენობებში და იკავებდნენ საცხოვრებელ ფართებს. დევნილებმა დაიკავეს როგორც სახელმწიფო საკუთრებაში, ასევე კერძო პირთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართები, რაც იწვევს კერძო მესაკუთრეთა დიდ უკმაყოფილებას.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად მესაკუთრეები ხშირად მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს გამოასახლონ დევნილები მათი საცხოვრებელი ბინებიდან. თუმცა, მსგავს შემთხვევებში პოლიცია არ მოქმედებს და თავს იკავებს დევნილების გამოსახლებისაგან. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პოზიცია, რომელიც თავის წერილებში ხშირად ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე მიუთითებს, რომ მას მიზანშეუწონლად მიაჩნია დევნილთა გამოსახლება, რასაც შემდეგ იზიარებენ სამართალდამცავი ორგანოები.

დევნილების საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა და ამ უფლების განხორციელება არ უნდა ხელყოფდეს კერძო პირთა საკუთრების უფლებას. საკუთრების უფლების ხელყოფის შესახებ მსგავს საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქეთა დარღვეული უფლების

აღდგენის მოთხოვნით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და სამართალდამცავ ორგანოებს, თუმცა დადებითი, ან რაიმე ქმედითი შედეგი, გარდა ერთი შემთხვევისა, არცერთ საქმესთან მიმართებაში არ დამდგარა. უფრო მეტიც, საკითხის მიმართ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დამოკიდებულება რიგ შემთხვევებში განაპირობებს სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობასა და მესაკუთრის უფლებების დარღვევას.

საკუთრების უფლება იურიდიულ პირებთან მიმართებით

საკუთრების უფლება, თავისი იურიდიული მნიშვნელობით, ძალზე ფართო ტერმინია და ამ უფლების სუბიექტებს წარმოადგენენ როგორც ფიზიკური პირები, ასევე იურიდიული პირებიც.

2009 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილულმა ზოგიერთმა საქმემ აჩვენა, რომ საკუთრების უფლების დარღვევა თავს იჩენს არამარტო ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირებთან მიმართებაშიც. აღნიშნული განსაკუთრებით თვალშისაცემია საწარმოების საგადასახადო ორგანოებთან სამართლებრივი ურთიერთობისას.

საგადასახადო სამართალურთიერთობის მხარეებს უმთავრესად წარმოადგენენ საგადასახადო ორგანოები და გადასახადის გადამხდელები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმოადგენს საგადასახადო ორგანო, ხოლო გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური პირები, მეწარმე ფიზიკური პირები, საწარმოები (საქართველოსა თუ უცხო სახელმწიფოს), ორგანიზაციები და სხვა.

გადასახადის დარიცხვა და საგადასახადო ვალდებულების „იძულებითი“ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით შესრულება უშუალოდ უკავშირდება გადასახადის გადამხდელების ფინანსურ, მატერიალურ და ქონებრივ მდგომარეობას. შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელებისას ზედმიწევნით მკაცრად უნდა იქნეს დაცული კანონის მოთხოვნები. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოებმა თავად უნდა უზრუნველყონ აღნიშნულ პროცესში გადამხდელთა უფლებების დაცვა.

მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლის პირველ პუნქტში და საქართველოს კანონმდებლობაში განმტკიცებული გარანტიებისა, ხშირია საკუთრების უფლების დარღვევა საგადასახადო ორგანოსთან სამართლებრივი ურთიერთობისას. ეს

განსაკუთრებით ეხება საგადასახადო კონტროლისა და საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რომლებსაც შედეგად მოსდევს საგადასახადო ვალდებულების იძულებითი ღონისძიებებით (იძულებითი აუქციონები და სხვა) შესრულება.

საკუთრების უფლების აღიარება

2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი. მიღებული კანონის მიზანია მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფოს საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებით (შემდგომში – საკუთრების უფლების აღიარება) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.

ზემოხსენებული კანონით არ ხდება ყველა მიწის ნაკვეთის საკუთრებაში უპირობოდ გადაცემა. კანონით განისაზღვრა მიწის ნაკვეთების ისეთი კატეგორიები, რომლებიც არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას და თავისი დანიშნულებით საზოგადოებრივი სარგებლობის ან სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა (მუხლი 3 (2)ს).

2007 წლის 15 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა 525–ე ბრძანებულება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.“ ბრძანებულების თანახმად, საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილება მიენიჭა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებთან შექმნილ მუდმივმოქმედ კომისიებს.

პრეზიდენტის ბრძანებულებით განისაზღვრა ასეთი კომისიების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, საკუთრების უფლების აღიარების წესები და პირობები, განისაზღვრა დაინტერესებულ პირთა და იმ ორგანოთა უფლება მოვალეობები, რომლებიც საკუთრების უფლების აღიარების პროცესში წარმოადგენენ სახელმწიფოს და სხვა.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე განსაზღვრული ორგანოების (კომისიების) ჩამოყალიბებიდან ათი თვის განმავლობაში მარტო ქალაქ თბილისის საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში შევიდა 7 000– ზე მეტი განცხადება.[168]

როგორც ვხედავთ, საკუთრების უფლების აღიარების კომისიებს საქმიანობის დაწყების პირველივე დღეებიდან წარედგინა განცხადებების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რაც ადასტურებს, რომ ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის საკუთრებაში მიწის ნაკვეთების გადაცემა თავიდანვე მეტად პრობლემურ და ამასთანავე აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა.

2008 წლის 5 დეკემბერს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები. განხორციელებული ცვლილებით, კანონის მე–4 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და საკუთრების უფლების აღიარების კომისიის უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრა მხოლოდ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებით. მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რისთვისაც კანონს დაემატა ახალი მე–4[1] მუხლი.

2009 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით მართლზომიერ (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 7 660 განცხადება, აქედან დადებითი პასუხი მიიღო 5700–მდე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა. ხოლო უარი ეთქვა 668 განმცხადებელს. 2008 წლის 30 ივნისიდან 2009 წლის 25 სექტემბრამდე ქ. თბილისის საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ განიხილა 10938 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 3030 განცხადება.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში განხილულმა განცხადებებმა ნათელყო, რომ საკუთრების უფლების აღიარებისთვის შექმნილი მუდმივმოქმედი

[168] შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები ასახულია საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში.

კომისიების მიერ საკუთრების უფლების აღიარების შესახებ გამართული სხდომები, რიგ შემთხვევებში, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი კანონდარღვევებით. განმცხადებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ არ ატყობინებენ კომისიის სხდომის დროსა და ადგილს და საკითხის განხილვის დროს არ აძლევენ საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობას, რითაც კომისია უხეშად უგულვებელყოფს კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ანუ იგულისხმება შემთხვევა, როცა სხდომის მონაწილე არღვევს წესრიგს), კომისიის თავმჯდომარეს არ შეუძლია, შეზღუდოს **დაინტერესებული მხარის სხდომაზე დასწრების ან საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება**. მსგავსი შეზღუდვა წარმოადგენს მნიშვნელოვან კანონდარღვევას და ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 32–ე და 34–ე მუხლები)[169], რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60[1] მუხლის საფუძველზე შესაძლებელია გახდეს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

ადმინისტრაციული წარმოების მეორე მნიშვნელოვანი დარღვევა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მხრიდან გამოიკვეთა განცხადებების განხილვის ვადების განსაკუთრებით დიდი დროით უსაფუძვლოდ გაჭიანურებაში. 2008 წლის 5 დეკემბრამდე, ანუ პრეზიდენტის ბრძანებულებაში სათანადო ცვლილებების განხორციელებამდე, განცხადების განხილვისათვის ჩვეულებრივ დადგენილი იყო ერთთვიანი ვადა, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელი იყო გაგრძელებულიყო სამ თვემდე.[170]

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც გაურკვეველი მიზეზების გამო და ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ განცხადების განხილვა ერთ წელიწადზე მეტი ვადით გააჭიანურა, ხშირ შემთხვევაში კი განცხადებების განხილვის ვადა წარმოადგენდა რვა ან ცხრა თვეს.

განცხადებების განხილვის ვადის გაჭიანურებას შედეგად მოჰყვა კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილებები, რომლებიც მარტივად იქნა დასაბუთებული – მიწის ნაკვეთები უკვე წარმოადგენდა არა სახელმწიფოს, არამედ სხვის საკუთრებას. კერძოდ, თვით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას და თვითმმართველობის სახელზე აღრიცხული იყო საჯარო რეესტრში. ყველაზე საყურადღებოა, რომ კომისიის

[169] თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები.

[170] 2008 წლის 5 დეკემბრიდან განცხადებების განხილვისათვის განისაზღვრა ორ თვიანი ვადა, რომელიც კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს ექვსი თვისა.

უარყოფით გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო ისეთი გარემოება, რაც საერთოდ გამორიცხავდა კომისიისაგან ასეთი განცხადებების განხილვას კომისიაში შეტანის მომენტისათვის (შესაბამისად, გამორიცხავდა განცხადების წარმოებაში მიღებას), რადგან საკუთრების უფლების აღიარების პროცესი ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე.

საკუთრების უფლების აღიარების კომისია ყალიბდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოსთან და ანგარიშვალდებულია მის წინაშე, მაგრამ კომისიის ფუნქცია არ არის, რომ გააჭიანუროს განცხადებების განხილვა, ამით ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში ქონების გადაცემას და მის აღრიცხვას (რეგისტრაციას). კომისიამ უნდა განახორციელოს მხოლოდ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები და შესაბამისად, კომისიების ქმედება პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს არა თვითმმართველობის ორგანოების, არამედ, აღნიშნული კანონის მიზანს.

სახალხო დამცველის აპარატმა შეამოწმა, რომ ზოგიერთი დაინტერესებული პირის მიერ შესრულებული იყო კანონით დაკისრებული ვალდებულება და განცხადებების დროულად განხილვის შემთხვევაში კომისიას დაინტერესებული პირებისათვის უნდა მოეთხოვა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფასურის კანონით დადგენილ ვადაში გადახდა. მხოლოდ განმცხადებლების მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იქნებოდა კომისია უფლებამოსილი მიეღო უარყოფითი გადაწყვეტილებები.

ამდენად, საკმაოდ საფუძვლიანია მსჯელობა (და არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი), რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მხრიდან ასეთი დარღვევების არარსებობის და კანონით განსაზღვრული ვადების დაცვის შემთხვევაში შესაძლებელი იყო კომისიას დაინტერესებულ პირთა სასარგებლოდ მიეღო გადაწყვეტილებები.

სახალხო დამცველის აპარატმა ერთობლივად შეისწავლა განცხადებები, სადაც იკვეთებოდა ერთი და იმავე სახის კანონდარღვევები და სათანადო რეკომენდაცია გაუგზავნა საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს. იმ შემთხვევებში, სადაც დარღვეული არის კანონით დადგენილი პროცედურები და განცხადებების განხილვის ვადები, კომისიის გადაწყვეტილებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60[1] მუხლის საფუძველზე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის არაკანონიერ ქმედებებს შედეგად მოჰყვა ის, რომ განსახილველ მიწის ნაკვეთებს დღეისათვის ჰყავს მესაკუთრე, რამაც დაინტრესებული პირების სამართლებრივი მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა (გააუარესა). აღნიშნულის გამო, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე, ისინი ვეღარ მოიპოვებენ საკუთრების უფლებას.

2007 წლის ივლისიდან საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება. „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ და „ა[1]“ პუნქტების თანახმად:

„სახელმწიფო ქონება“ არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, გარდა იმ მოძრავი ნივთისა, რომლის განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება“ კი არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა) და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მიზანს წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე.

საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ კანონით დადგენილ ვადებში გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელობა, მეორე მხრივ, განაპირობა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში

განხორციელებულმა თანმიმდევრულმა ცვლილებებმა, რომლებიც უკავშირდება თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის განმარტებას.

2008 წლის 23 ოქტომბერს და 5 დეკემბერს განხორცილებული თანმიმდევრული საკანონმდებლო ცვლილებებით თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთის განმარტება ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთს წარმოადგენს დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე), რომლის ფართობი ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული.[171]

საკუთრების აღიარების კომისიამ დაინტერესებული პირების განცხადებების უმეტესობა, რომლებიც კანონის ამოქმედებისთანავე წარედგინა, სწორედ ცვლილებების განხორციელების შემდეგ განიხილა და დაწესებული ახალი შეზღუდვების გამო მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილებები.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის არასრულყოფილი სახით მიღებამ და მოსამზადებელი ღონისძიებების არასრულყოფილი სახით განხორციელებამ შესაძლოა გარკვეულწილად შეაფერხა კიდეც საკუთრების უფლების აღიარების პროცესი, მაგრამ ეს ვერ გაამართლებს დაინტერესებული პირების უფლებების დარღვევას და კომისიისაგან არაკანონიერი გადაწყვეტილებების მიღებას. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კომისიის მუშაობის პროცესის ხელოვნურად გაჭიანურება თუნდაც ერთი ან ორი თვით რადიკალურ გავლენას ახდენდა კომისიის გადაწყვეტილებაზე და შესაბამისად, ბევრი გადაწყვეტილება აღმოჩნდა არაკანონიერი ან დაუსაბუთებელი.

მაგალითად, საქართველოს ზღვისპირა რეგიონებში, სადაც გასულ წლებში მიწის ნაკვეთებზე არსებობდა დიდი ინტერესი, აღნიშნული პროცესი შეაჩერეს და შემდეგ მოქალაქეებს სრულიად დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი საკუთრების უფლების აღიარებაზე.

საკუთრების უფლების აღიარების პროცესის შეჩერება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონში განხორციელდებოდა სათანადო ცვლილება, შეჩერდებოდა რომელიმე ნორმის მოქმედება, ან თუ იარსებებდა სხვა სამართლებრივი საფუძველი.

[171] ტერმინის განმარტებაში დამატებით შევიდა ორი შეზღუდვა, იხ.კანონის საბოლოო რედაქცია.

დღეისათვის, სრულყოფას მოითხოვს ზემოხსენებული კანონის საფუძველზე გამოცემული პრეზიდენტის 525–ე ბრძანებულება, ვინაიდან იგი ერთ კონტექსტში განიხილავს მიწის მართლზომიერი მფლობელობის, სარგებლობის ან თვითნებურად დაკავების შემთხვევებს, მაშინ, როცა მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო კომისიის უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრა მხოლოდ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებით. შესაბამისად, საკუთრების უფლების აღიარების კომისიასა და საჯარო რეესტრის სააგენტოს უფლებამოსილებები კანონით სრულიად გამიჯნულია.

ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ზოგიერთი დებულება წინააღმდეგობაში მოდის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებთან.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლების აღიარებაზე მიღებული კანონის მიზნების განხორციელება მეტნაკლებად პრობლემატურია, შეიძლება ითქვას, რომ იგი აშკარად დადებითი მოვლენაა მიწის ნაკვეთებით მართლზომიერი მფლობელებისა და კანონიერი მოსარგებლეებისათვის, რადგან საქართველოს კონსტიტუციის და სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე მოქალაქეთა უმრავლესობა მიწის ნაკვეთებს ფლობდა და სარგებლობდა როგორც კერძო საკუთრებას, ასეთი ნაკვეთები რიგ შემთხვევაში მფლობელებზე აღრიცხულიც კი იყო შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში, მაგრამ მანამდე არსებული კანონმდებლობა არ იძლეოდა მასზე საკუთრების უფლების მოპოვების საშუალებას.[172]

მართალია საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა და წლების წინ არსებულმა სხვა ნორმატიული აქტებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესში, მაგრამ ამ აქტებით სრულად არ ამოწურულა პრივატიზაციის მრავლისმომცველი პროცესი. ახალი კანონის მიღებით საკუთრების უფლების შეძენისათვის შეიქმნა ახალი სრულიად განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლები, რაც, პირველ რიგში, სასარგებლოა კერძო სექტორისათვის – როგორც ფიზიკური

[172] საქართველოს საბჭოთა სამოქალაქო კოდექსი საკუთრების უფლებას განმარტავდა, როგორც ქონების ოპერატიულად მართვის უფლებას. აქ საუბარი შესაძლებელია ყოფილიყო მოძრავი ქონების საკუთრების უფლებაზე. რაც შეეხება მიწის ნაკვეთების (უძრავი ქონების) საკუთრების უფლებას, აღნიშნული სრულიად განსხვავდებოდა საკუთრების უფლების დღეს არსებული კონცეფციისაგან და იგი სახელმწიფოს აბსოლუტურ საკუთრებად იყო მიჩნეული.

პირებისათვის, ასევე არასახელმწიფო იურიდიული პირებისა და ორგანიზაციებისათვის.

სახელფასო დავალიანებები

შრომის უფლება და შრომის პირობების უფლებები არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განუყოფელი ნაწილია, არამედ ისინი ადამიანის ძირითად უფლებებს განეკუთვნებიან[173].

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე–6 მუხლის I პუნქტით სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს ყოველი ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, ამავე პაქტის მე-7 მუხლით აღიარებულია „თითოეული ადამიანის უფლება, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც გულისხმობს ანაზღაურებასაც.“

ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) 1-ლი მუხლის შესაბამისად, შრომის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, მხარეები იღებენ ვალდებულებას, „დაიცვან მუშაკის მიერ ნებაყოფლობით არჩეული სამუშაოს შესრულების გზით ფულადი სახსრების გამომუშავების უფლება“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ დასაქმება აღიქმება, როგორც საარსებო წყაროს მოპოვების საშუალება. ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი ცალსახად აღიარებს ადამიანის უფლებას, საკუთარი შრომით მოიპოვოს ეკონომიკური გადარჩენის საშუალება ანუ გასამრჯელო.

შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, მოცემულ შემთხვევაში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავის (რომელიც განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურეთა უფლებებსა და გარანტიებს) 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით დადგენილია, რომ „მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი)“.

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი აქტებით გარანტირებული უფლება - დასაქმებულმა მიიღოს ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ - თავისთავად წარმოშობს დამსაქმებლის მოვალეობას გასცეს გასამრჯელო. საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე ძალიან ხშირია სახელფასო დავალიანებების ფაქტები როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებებში.

საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავენ მოქალაქეები წინა წლებში წარმოქმნილი კომპენსაციებისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოდის საქართველოს შინაგან საქმეთა და

[173] იხ. კრჟიჟშტოფ დრჟევიცკი „შრომის უფლება და შრომის პირობების უფლებები“.

თავდაცვის სამინისტროებიდან და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საქვეუწყებო სამსახურებიდან დათხოვნილი მოსამსახურეების განცხადებები.

სახელფასო დავალიანების არსებობის ფაქტი დაადასტურეს საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე მიღებულ პასუხებში. პასუხებში მითითებულია, რომ: „"საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის საფუძველზე წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2009 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანებების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის ორგანიზაციას. აღნიშნული მიზნებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო ასიგნებების დამატებით გამოყოფის შემთხვევაში შს სამინისტრო დაუყოვნებლივ მოახდენს წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვას". (2009 წლის 30 იანვარი (წერილი №10/4/5–290) შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასული წლების სახელფასო დავალიანებების გაცემას. (2009 წლის 10 სექტემბერი (წერილი №7/2319) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო)

ზემოაღნიშნული წერილების თანახმად, სახელფასო დავალიანებები არ დაიფარება მანამ, სანამ დასახელებულ უწყებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ გამოეყოფათ დამატებითი სათანადო ასიგნებები.

სახელფასო დავალიანებების ანაზღაურების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საიდანაც მიმდინარე წლის 4 მარტის №04–02/2211 წერილით გვეცნობა, რომ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, თუმცა ამ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ შრომის უფლება საქართველოში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ყველაზე პრობლემატურ

სფეროს ასახავს. ნებისმიერი საჯარო სამსახურიდან დათხოვნილ პირთა სახელფასო დავალიანებების ანაზღაურებაზე ზრუნვა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სახელმწიფოს ვალდებულებაა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამსახურებს უნდა გამოეყოთ სათანადო ასიგნებები წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებების დასაფარად, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს სახელფასო დავალიანებებთან დაკავშირებული პრობლემები. სამსახურიდან განთავისუფლებული მოსამსახურე საკუთარი შრომით გამომუშავებული სახსრების მისაღებად არ უნდა მიმართავდეს სასამართლოს, რათა სამსახურმა იძულებითი აღსრულების წესით დაფაროს სახელფასო დავალიანება. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში სახელფასო დავალიანებების დასაფარად, ანუ კუთვნილი გასამრჯელოს მისაღებად ყველაზე ეფექტური საშუალება სწორედ სასამართლოსადმი მიმართვაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფომ ცალკეული სტრუქტურებისთვის სათანადო ასიგნებების გამოყოფით უნდა უზრუნველყოს სამსახურიდან დათხოვნილ პირთა სახელფასო დავალიანებების დაფარვა წინააღმდეგ შემთხვევაში უხეშად ირღვევა როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი აქტების შესაბამისი ნორმები.

რეკომენდაცია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს: წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად, უზრუნველყოფილ იქნეს ზემოდასახელებული სტრუქტურებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფა.

დანართი №1: სასჯელაღსრულების დაწესებულებები

რუსთავის #1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება

მის. ქ.რუსთავი, მშენებლობის ქ#60

1. დაწესებულების ლიმიტია 2380; აღნიშნულ დაწესებულებაში აშენდა ახალი საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც გათვლილია 640 მსჯავრდებულზე. საცხოვრებელი კორპუსი შედგება 24 საკნისგან. მონიტორინგის დროს აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსებული იყო 527 ქალი მსჯავრდებული და 11 მამაკაცი მსჯავრდებული, რომლებიც ასრულებენ სამეურნეო საქმიანობას, თუმცა აღნიშნული საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია. ,,პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსების პირობებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ცალკე უნდა განთავსდნენ ქალი მსჯავრდებულები. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის REC (2006) 2–ის ევროპული ციხის წესების 18.8 წესის მეორე პუნქტის თანახმად, კონკრეტული ციხის ან ციხის კონკრეტულ განყოფილებაში მამაკაცი პატიმრები ქალი პატიმრებისაგან განცალკევებით უნდა მოთავსდნენ. მიუხედავად ზემოაღნიშნული მოთხოვნებისა, 11 მამაკაცი მსჯავრდებული, რომლებიც სამეურნეო საქმიანობას ახორციელებენ, განთავსებულები არიან ცალკე შენობაში, თუმცა მთელი დღის განმავლობაში მათ შეხება აქვთ ქალ მსჯავრდებულებთან.

ადმინისტრაციის განმარტებით, მსჯავრდებულებს მათი <u>უფლება–მოვალეობები</u> ეცნობებათ წერილობით.

2. საკნების <u>სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა</u> არის საშუალო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დაწესებულება სულ ახლახანს აშენდა, ზოგიერთ საკანში, განსაკუთრებით პირველ სართულზე – არის სინესტე, მოშლილია ონკანები და ჩამოდის წყალი. საპატიმრო კორპუსის <u>ვენტილაცია</u> ხდება როგორც ბუნებრივი, ასევე ცენტრალური გზით. <u>განათება</u> ხდება ხელოვნური და ბუნებრივი გზით. დაწესებულებაში დამონტაჟებულია <u>ცენტრალური გათბობის სისტემა.</u> ადმინისტრაციის განმარტებით დაწესებულების დეზინფექცია ხდება თვეში ერთხელ.

3. საპატიმრო კორპუსში არის ერთი <u>საშხაპე</u> ოთახი, სადაც დამონტაჟებულია 12 შხაპი. მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა კარგია. ვენტილაცია ხდება როგორც

ხელოვნური, ისე ბუნებრივი გზით. დაწესებულებას არ გააჩნია ცენტრალური სამრეცხაო. თეთრეულს მსჯავრდებულებს ერთჯერადად დაწესებულებაში მიღებისას აწვდის ადმინისტრაცია, ხოლო შემდგომ მისი შეძენის საშუალება მსჯავრდებულებს აქვთ დაწესებულების მაღაზიაში. პირადი ჰიგიენის ნივთების შეძენა მსჯავრდებულებს შეუძლიათ მაღაზიაში. დაწესებულებას დალაქი არ ემსახურება.

ტელეფონის 6 აპარატი დამონტაჟებულია დაწესებულების ეზოში და მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ტელეფონით შეუზღუდავად.

მონიტორინგის დროს მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ ტელევიზორი, ხოლო პრესა დაშვებული იყო ამანათის სახით, ასევე მისი შეძენა შესაძლებელია მაღაზიაში.

მონიტორინგის დროს დაწესებულების ბიბლიოთეკა არ ფუნქციონირებდა სარემონტო სამუშაოების გამო და მსჯავრდებულებს ლიტერატურის მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ ამანათით.

დაწესებულებაში არის 2 საამანათო ფანჯარა. დღის განმავლობაში შესაძლებელია 20–30 ამანათის მიღება. ამანათით დაშვებულია: ხილის ზოგიერთი სახეობა, რძის ნაწარმი, ჰიგიენური ნივთები, ჟურნალ–გაზეთები და წიგნები.

მაღაზიის ფანჯარა გადის დაწესებულების ეზოში და მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, თვითონ შეიძინონ მაღაზიაში არსებული პროდუქცია.

4. სამზარეულო განთავსებულია დაწესებულების ეზოში, არის ახლად აშენებული და მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ძალიან კარგი. საკვების მომზადების ხარისხზე მსჯავრდებულებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

5. დაწესებულებაში არის ერთი პაემნის ოთახი, სადაც ერთდროულად შესაძლებელია ხუთი პაემნის განხორციელება და მსჯავრდებული და მასთან პაემანზე მისული პირი ერთმანეთს ხვდებიან პირისპირ ყოველგვარი ტიხრის გარეშე.

დაწესებულების ეზოში ცალკე შენობაა, სადაც განთავსებულია კარცერი. იგი შედგება 8 საკნისგან, აქედან 5 საკანი ფუნქციონირებს, ხოლო 1 საკანს იყენებენ საპირფარეშოდ.

კარცერებში არსებული მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი პირობები. კარცერების ადგილმდებარეობის გამო ტემპერატურა სიცხეში ძალიან მაღლა იწევს, დგება ფეკალური მასების სუნი, სიბინძურეა. არ ხდება ვენტილაცია და პატიმრებისათვის სუნთქვა თითქმის შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ამ გაუსაძლის პირობებში, კარცერის შენობაში 2 საკანი განკუთვნილია მოშიმშილე მსჯავრდებულთათვის.

დაწესებულებას არ გააჩნია საკარანტინე ოთახი.

დაწესებულებაში დამონტაჟებულია 1 საჩივრის ყუთი.

2008 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რათა ამ უკანასკნელს შეძლებისდაგვარად უზრუნველეყო:

1. საერთო და მკაცრი რეჟიმის გამიჯვნა;
2. პატიმრების ტელევიზორებით უზრუნველყოფა;
3. სამრეცხაო ოთახის მოწყობა;
4. დაწესებულებაში არსებული კარცერების დახურვა.

არცერთი რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის.

რუსთავის #2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება

მის. ქ.რუსთავი, მშენებელთა ქ.#64

1. დაწესებულების ლიმიტი არის 2744. მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 3223 მსჯავრდებული.

დაწესებულება დაყოფილია სამ ე.წ ზონად, სადაც განთავსებულია 5 საცხოვრებელი კორპუსი. დაწესებულებაში სულ არის 150 საკანი და 26 საკნის ტიპის სადგომი.

სახალხო დამცველის რწმუნებულებს გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის დროს არაერთხელ აღმოუჩენიათ ტუბერკულოზის ღია ფორმით დაავადებული, ფსიქიკური აშლილობის მქონე და შიდსით დაავადებული მსჯავრდებულები, რომელთა დიდი ნაწილი გადაყვანილი იყო სხვადასხვა დაწესებულებებიდან (ძირითადად საპყრობილეებიდან) აღნიშნულ დაწესებულებაში და ისინი განთავსებულნი იყვნენ ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად. აღნიშნულ საკითხზე დირექტორთან გასაუბრების და საქმის ვითარების გარკვევის შემდეგ ბევრჯერ მომხდარა მათი გადაყვანა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში.

დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, მსჯავრდებულებს მათი უფლებები და მოვალეობები ეცნობებათ მიღებისთანავე ზეპირი ფორმით.

2. ე.წ. ზონის I, II, III და IV საცხოვრებელ კორპუსებში არსებული საკნების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის საშუალო და საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსებში განათება ხდება ხელოვნური გზით, ვინაიდან ფანჯრების ზომა ვერ უზრუნველყოფს მის ბუნებრივ განათებას. ვენტილაცია ხდება ბუნებრივად, თუმცა არასაკმარისად. გათბობა – ცენტრალური გზით. ადმინისტრაციის განმარტებით, დეზინფექცია ხდება თვეში ორჯერ.

დაწესებულებაში არის ხუთი საერთო სარგებლობის საშხაპე ოთახი და 67 შხაპი. შხაპები განლაგებულია ერთმანეთთან მჭიდროდ, რაც უხერხულობას უქმნის მსჯავრდებულებს ბანაობისას. პირველი ზონის, მეორე საცხოვრებელ კორპუსში და მესამე ზონის საშხაპე ოთახების ვენტილაცია საერთოდ არ ხდება, ხოლო დანარჩენი საშხაპე ოთახების ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით. წყლის ტემპერატურის რეგულირება ხდება მსჯავრდებულების მიერ ინდივიდუალურად. თეთრეული მსჯავრდებულებს მიეწოდებათ ამანათით და ასევე, შეუძლიათ, შეიძინონ დაწესებულების მაღაზიაში. ჰიგიენის ნივთების შეძენა შეუძლიათ დაწესებულების მაღაზიაში.

აღნიშნულ დაწესებულებაში არ არის საპარიკმახერო, არ აქვს ცენტრალური სამრეცხაო, თითო ,,ზონაში“ დგას თითო სარეცხი მანქანა, რომელიც დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთათვის არ არის საკმარისი.

დაწესებულებაში დამონტაჟებულია 27 ტელეფონის აპარატი. მსჯავრდებულები თვითონ არეგულირებენ ტელეფონით სარგებლობის ხანგრძლივობას და ინტენსივობას.

დაწესებულებაში ხორციელდება ტელე და რადიო ტრანსლაცია. პრესა მსჯავრდებულებს მიეწოდებათ ამანათის სახით.

ბიბლიოთეკის ბაზაზე ირიცხება 3800 წიგნი. მსჯავრდებულთა გადმოცემით, ისინი სარგებლობენ ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით.

მსჯავრდებულთა განმარტებით, ამანათის სახით ჰიგიენური საშუალებების შეტანა აკრძალულია და მათთვის აღნიშნული საშუალებების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ დაწესებულების მაღაზიაში, ხოლო ის მსჯავრდებულები, რომელთა ოჯახებსაც არ აქვს შესაბამისი მატერიალური შესაძლებლობა, არიან სხვა მსჯავრდებულების ხარჯზე. ადმინისტრაციის განმარტებით, ისინი უზრუნველყოფენ მსჯავრდებულებს ჰიგიენური საშუალებებით, თუმცა მსჯავრდებულებმა, რომლებსაც სახალხო დამცველის რწმუნებულები გაესაუბრნენ, აღნიშნული არ დაადასტურეს. ამანათის სახით დაშვებულია: ხილის, ტანსაცმლის, კიტრის და პომიდვრის შეგზავნა.

<u>მაღაზია</u> განთავსებულია ადმინისტრაციის შენობაში და მსჯავრდებულებს მაღაზიაში არსებული პროდუქციის (მათ შორის ჰიგიენური საშუალებების) შეძენა შეუძლიათ სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით.

4. დაწესებულებაში არის ახლადაშენებული <u>სამზარეულო</u>, რომელიც განთავსებულია მესამე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, მასში არსებული მდგომარეობა შეესაბამება სანიტარულ–ჰიგიენურ ნორმებს. სამზარეულოს აქვს სასადილო, სადაც დგას 105 ცალი 8 ადგილიანი მაგიდა და რომლითაც სარგებლობენ მესამე საცხოვრებელი კორპუსში განთავსებული მსჯავრდებულები. დანარჩენ საცხოვრებელ კორპუსებში განთავსებულ მსჯავრდებულებს საკვები ურიგდებათ საკნებში, სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით.

სამზარეულოს მენეჯერის განმარტებით, მოთხოვნის შესაბამისად მზადდება სამარხვო და დიეტური საკვები ცალ–ცალკე ქვაბებში, რაც შემდგომ ისხმება შესაბამისი წარწერების მქონე თერმოსებში. აღნიშნული დაადასტურა სამეურნეო ნაწილის ბრიგადირმა (მსჯავრდებულმა). ყველა პროდუქტისთვის არის ცალ–ცალკე მაგიდა. სამზარეულოს აქვს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა, ცენტრალური გათბობა, მზარეულებისთვის 2 საშხაპე ოთახი, გასახდელი, პროდუქტების სათავსოები. სამზარეულოში დასაქმებულია შპს „მეგაფუდის“ 34 მზარეული, მათგან ერთი გამოყოფილია დიეტური საკვების დასამზადებლად. სამზარეულოს სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი. მუდმივად მიეწოდება ცხელი და ცივი წყალი. დაწესებულებაში დამონტაჟდა 60 ტონიანი წყლის სათადარიგო აუზი. აგრეთვე, მსჯავრდებულთა განმარტებით, საკვების ხარისხი და გემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უკანასკნელ პერიოდში. ამასთანავე, დაწესებულებაში ფუნქციონირებს საცხობი, სადაც ცხვება ხაჭაპური, ლობიანი და კარტოფილის ღვეზელი, რაც შემდგომ იყიდება დაწესებულების მაღაზიაში.

5. მონიტორინგის დროს 11 საკანი იყო გამოყენებული <u>კარცერად</u>, სადაც განთავსებული იყო 17 მსჯავრდებული. კარცერების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის საშუალო, ხოლო საპირფარეშოები საჭიროებს შეკეთებას. ვენტილაცია ხდება ბუნებრივი და ხელოვნური გზით, თუმცა არასაკმარისად და კარცერებში იყო უჰაერობა და სიცხე. **მსჯავრდებულთა უმეტესობამ არ იცოდა, თუ რამდენი ხნით იყვნენ მოთავსებული კარცერში.**

დაწესებულების ადმინისტრაციულ კორპუსის პირველ სართულზე არის ოთხი <u>საგამოძიებო ოთახი</u>. იმავე სართულზე მსჯავრდებულთა მოკლევადიანი <u>პაემნებისათვის</u> გამოყოფილია 32 კაბინა.

დაწესებულებაში არის 1 საკარანტინე ოთახი, სადაც დგას 13 ორსართულიანი რკინის ნარი, რომელზეც დაგებულია დიქტი. ვენტილაცია ცენტრალურია, განათება ხდება ბუნებრივი და ხელოვნური გზით. საპირფარეშოები იზოლირებულია. საკანში დამონტაჟებულია ონკანი და პირსაბანი. მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა ნორმალურია.

დაწესებულებაში დამონტაჟებულია 4 საჩივრის ყუთი.

2008 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რათა ამ უკანასკნელს შეძლებისდაგვარად უზრუნველეყო:

1. გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება;
2. ახალაშენებულ კორპუსში განთავსებული პატიმრების ტელევიზორებით უზრუნველყოფა;
3. საგამოძიებო ოთახების კოსმეტიკური რემონტი.

გათვალისწინებული რეკომენდაციები: ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსში განთავსებული მსჯავრდებულები უზრუნველყოფილები არიან ტელევიზორებით, საგამოძიებო ოთახები გარემონტდა.

ქუთაისის #2 საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება

მის. ქ.ქუთაისი, ხარებავას ქ#85

1. ლიმიტი 1840. მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 776 პატიმარი, აქედან 29 ქალი და 19 არასრულწლოვანი. პატიმრებისათვის მათი უფლება–მოვალეობების გაცნობა ხდება ზეპირი ფორმთ.

დაწესებულების საპყრობილე დაყოფილია ,,a" ,,b" ,,c" ,,d" ,,e" კორპუსებად. მონიტორინგის დროს ,,b" ,,c" ,,d" კორპუსებში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. საპყრობილის ,,a" კორპუსში არის 92, ხოლო ,,e" კორპუსში – 6 საკანი, აქედან სამში მოთავსებული არიან ქალი პატიმრები, ხოლო დანარჩენი მონიტორინგის დროს დალუქული იყო საგამოძიებო მოქმედებების გამო და არასრულწლოვანი პატიმრები იმყოფებოდნენ საკარანტინე საკნებში. ასევე, ერთ საკარანტინე საკანში მოთავსებული იყო 6 ქალი პატიმარი.

საპყრობილეში ერთად არიან განთავსებულები მსჯავრდებულები, განსასჯელები, საერთო და საპყრობილის რეჟიმზე მყოფი პატიმრები. არასრულწლოვან პატიმრებს, რომლებიც საკარანტინე საკნებში იყვნენ განთავსებულები, არ ჰქონდათ ლეიბები. ერთი არასრულწლოვანი მოთავსებული იყო სრულწლოვან მსჯავრდებულებთან ერთად.

2. საპყრობილეს მოქმედ საცხოვრებელ კორპუსში ცენტრალური ვენტილაცია არ აქვს, ხოლო ფანჯრებიდან ცუდად ნიავდება საკნები. საკნებში არის ნესტი და ჭერიდან ჩამოდის წყალი. ზოგიერთ საკანში არასაკმარისი განათებაა – არის მბჟუტავი ნათურები. დიდი ზომის ნათურა აქვთ მხოლოდ ყოფილ თანამშრომლებს და სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრებს. გათბობა ხდება ცენტრალური სისტემით. საკნების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ძალიან ცუდი. საკნებში არის მკბენარები. პატიმრების გადმოცემით, დეზინფექცია ხდება მხოლოდ ყოფილი თანამშრომლების საკნებში.

წყალი პატიმრებს მიეწოდებათ გრაფიკით, დღეში 2–3 საათი. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ნახეს, რომ პატიმრების მიერ მომარაგებული წყალი, რომელიც პოლიეთილენის ბოთლებში ესხა, იყო მღვრიე.

3. პატიმრების გადმოცემით, მათი გასეირნება ხდება ყოველდღე 40–50 წუთით კვირის გარდა. ,,e" კორპუსზე არის 2 პატარა სასეირნო ეზო, რომელიც გადახურულია დაახლოებით 1მ. სიგრძის რკინის სახურავით და პრაქტიკულად არ ხდება ჰაერის ვენტილაცია, დგას ნესტის სუნი.

მსჯავრდებულები შხაპს ვერ იღებენ, ვინაიდან მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ისინი პოლიეთილენის ბოთლებში აგროვებენ წყალს და ბანაობენ საკნებში განთავსებულ საპირფარეშოში. ერთი საშხაპე არის საკარანტინე საკნებთან, რომლითაც სარგებლობენ იქ განთავსებული პატიმრები, ხოლო მეორე განთავსებულია ,,e" კორპუსში. მოქმედი საშხაპეები საჭიროებს რემონტს. თეთრეული პატიმრებს მიეწოდებათ ამანათის სახით, ასევე, შეუძლიათ მისი შეძენა დაწესებულების მაღაზიაში. ჰიგიენის ნივთების შეძენა მსჯავრდებულებს შეუძლიათ დაწესებულების მაღაზიაში. სადალაქო მომსახურებას ახორციელებს 2 პატიმარი.

პატიმრები თეთრეულს და ტანსაცმელს რეცხავენ საკნებში, ხოლო სარეცხი იფინება საკნებში გაბმულ თოკებზე. ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული ხდება იმიტომ, რომ ისინი არ აწვდიან სარეცხს მრეცხავს. დაწესებულებაში არის ერთი სამრეცხაო ოთახი, რომელსაც ემსახურება ერთი პატიმარი. დგას ორი სარეცხი მანქანა, ერთი საშრობი და ერთი საწური. კვირაში დაახლოებით ირეცხება 20–30 კომპლექტი თეთრეული.

რადიო აქვთ მხოლოდ ყოფილ თანამშრომლებს და სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრებს. ტელევიზორები აქვთ მხოლოდ ქალ და არასრულწლოვნებს პატიმრებს.

დაწესებულებაში ზოგადად დაშვებულია ხილის, წვენების, თეთრეულისა და ტანსაცმლის მიწოდება. დაწესებულების დირექტორის ნებართვით, ზოგიერთ პატიმარს ამანათის სახით შეუძლია მიიღოს წიგნები და პრესა. მათ, ვისაც ადმინისტრაცია არ აძლევს ამანათით პრესის მიღების უფლებას, ჟურნალ–გაზეთები საერთოდ არ მიეწოდებათ.

ადმინისტრაციის განმარტებით, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა 500 წიგნით განახლდა, თუმცა, პატიმართა გადმოცემით ისინი ვერ სარგებლობენ ბიბლიოთეკით, ვინაიდან დაწესებულებაში მიმდინარეობს რემონტი.

4. სამზარეულოში მიმდინარეობდა რემონტი და მოქმედებდა სამზარეულოს ნახევარი, სადაც მზადდებოდა საკვები. საკვების ხარისხზე პრეტენზია პატიმრების მხრიდან არ გამოთქმულა.

5. დაწესებულებაში არის 15 პაემნებისთვის განკუთვნილი ოთახი, სადაც პაემანი ხორციელდება შუშით გადატიხრულ ოთახში ტელეფონის საშუალებით.

მოშიმშილე პატიმრებისთვის განკუთვნილია ერთი საკანი, სადაც დგას 6 ადგილიანი რკინის ნარი, რომელზეც არ არის ლეიბები, საკანში არის სამი კარადა კარის გარეშე. მონიტორინგის დროს საკანში იდგა წყალი, ვინაიდან კედლებიდან და ჭერიდან ჩამოდის წყალი, ონკანი იყო დაზიანებული, იყო სინესტე და ჩამოყრილი ბათქაში.

დაწესებულებაში არის 12 კარცერი. მონიტორინგის დროს მოქმედებდა 4. მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი. საპირფარეშო 2 მეტრამდე კედლით არის იზოლირებული. კარცერებში დაზიანებულია წყლის მილები. A05 კარცერში იდგა წყალი, სადაც განთავსებული იყო ერთი პატიმარი. ვენტილაცია – ბუნებრივი, ერთი ასაკეცი ხის ნარი და ერთადგილიანი ხის მაგიდა. იმ კარცერში, სადაც წყალი ჩამოდის, პატიმარი დღის განმავლობაში იმყოფება წყალში.

დაწესებულების ადმინისტრაცია პატიმრებს დასჯის მიზნით ხანგრძლივი დროით ათავსებს ე.წ. სასამართლოზე გამსვლელ პირთა მოსათავსებელ ოთახებში, რომელიც არის დაახლოებით 1 კვ.მ ფართის და სადაც მხოლოდ ერთი გრძელი ხის სკამი დგას.

დაწესებულებაში არის ხუთი ექვსადგილიანი საკარანტინე ოთახი, თუმცა დაწესებულებაში არსებული რემონტის გამო ისინი დანიშნულებისამებრ არ გამოიყენება.

დაწესებულებაში არის 9 საგამოძიებო ოთახი. მათი ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით, განათება – ხელოვნური და ბუნებრივი გზით. კონტროლი ხორციელდება ვიდეოთვალის მეშვეობით. ოთახები ერთმანეთისგან იზოლირებულია.

დაწესებულებაში არის 8 საჩივრის ყუთი და არცერთი მათგანი არ არის დალუქული.

2008 წლის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა #2 საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებასთან დაკავშირებით გარკვეული რეკომენდაციები მისცა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, კერძოდ:

1. გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება და თითოეული პატიმრის უზრუნველყოფა სულ მცირე „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ფართით, აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ქალ პატიმრებს, რომლებსაც ძირს დაფენილ ლეიბებზე უწევთ ძილი;
2. მისჯილი და მიუსჯელი პატიმრების განცალკევება;
3. პატიმრების წყლით მომარაგება 24 საათიან რეჟიმში;
4. პატიმრების ტელევიზორებით უზრუნველყოფა;
5. პაემნის ოთახში მაგიდისა და სკამების დამონტაჟება;
6. საშხაპე ოთახის მოწყობა;
7. საკნებში დეზინფექციის ჩატარება;
8. ცენტრალური ვენტილაციის სისტემის დამონტაჟება;
9. დალაქით უზრუნველყოფა;
10. სამრეცხაო ოთახის მოწყობა

გათვალისწინებული რეკომენდაცია: პაემნის ოთახში დამონტაჟდა მაგიდა და სკამები. ვიმედოვნებთ, რომ სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ ზემოაღნიშნული პრობლემური საკითხების გარკვეული ნაწილი მოწესრიგდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წინა მონიტორინგის შემდგომ პერიოდში გაუარესდა ადმინისტრაციის მხრიდან პატიმრებთან მოპყრობა. ხშირია პატიმართა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც პატიმრების მიერ სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის არაერთ ახსნა–განმარტებაშია დაფიქსირებული.

#3 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება

მის. ქ.თბილისი, გორგასლის ქ.#77

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 30 იანვრის #30 ბრძანების საფუძველზე „სასჯელაღსრულების დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს

იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 11 იანვრის N10 ბრძანებაში **შევიდა დამატება, კერძოდ,** ყოფილ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე, შეიქმნა #3 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება. დაწესებულება დაყოფილია შვიდ საცხოვრებელ კორპუსად, რომელიც შედგება 89 საკნისგან. ლიმიტი 700; მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 643 მსჯავრდებული. ადმინისტრაციის გადმოცემით, პატიმრებს უფლება–მოვალეობები ეცნობებათ ზეპირი და წერილობითი ფორმით.

2. ვინაიდან დაწესებულება აშენდა 1952 წელს და გარემონტდა 1975 წელს, მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი. აღნიშნული დაწესებულების შექმნის შემდგომ კოსმეტიკური რემონტი გაუკეთდა მხოლოდ პირველ სართულს, სადაც განლაგებულია ადმინისტრაციის თანამშრომლების ოთახები და სამედიცინო ნაწილი. განათება ხდება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური გზით. ვენტილაცია – ბუნებრივი გზით. დაწესებულების გათბობა ხდება ელექტროღუმელების საშუალებით. ადმინისტრაციის გადმოცემით, დაწესებულებაში დეზინფექცია ტარდება თვეში ორჯერ.

3. დაწესებულებაში არის 2 ცენტრალური საშხაპე ოთახი, სადაც დამონტაჟებულია 11 შხაპი. წყლის რეგულირება ხდება პატიმრის მიერ. მისი სანიტრულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური. ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით. თეთრეულის მიწოდება მსჯავრდებულებისათვის ხდება ადმინისტრაციის მიერ, ასევე დაშვებულია ამანათის სახით. ჰიგიენის ნივთები დაშვებულია ამანათის სახით, ასევე იყიდება დაწესებულების მაღაზიაში. დალაქი აღნიშნულ დაწესებულებას არ ჰყავს.

დაწესებულებას არ გააჩნია ცენტრალური სამრეცხაო.

ტელეფონის 5 აპარატი დამონტაჟებულია საცხოვრებელ კორპუსებში. მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, ისაუბრონ ტელეფონით ყოველდღე კვირის გარდა.

დაწესებულებაში ხდება ტელე რადიო ტრანსლაცია. პრესა მსჯავრდებულებს მიეწოდებათ ამანათით, ასევე იყიდება მაღაზიაში.

დაწესებულებაში არის ბიბლიოთეკა, რომლის ბაზაზეც ირიცხება 285 წიგნი. მათ უმეტეს ნაწილს შეადგენს რუსული ლიტერატურა.

დაწესებულების ეზოში არის ეკლესია.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს საქველმოქმედო ფონდ ,,ზარების“ მიერ ორგანიზებული პროგრამა, სადაც მსჯავრდებულები სწავლობენ კომპიუტერთან მუშაობას.

ეზოში ვარჯიშისთვის გამოყოფილია კუთხე, სადაც დგას რამდენიმე თვითნაკეთი მოძველებული ტრენაჟორი.

დაწესებულებაში არის ერთი საამანათო ოთახი. ადმინისტრაციის განმარტებით, დღის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ 50 ამანათის მიღება. საამანათო ოთახში არ არის გამოკრული ნებადართული და აკრძალული ნივთების სია. ამანათით დაშვებულია: ხილის, ტანსაცმლის, წვენების, თეთრეულის, წიგნების და ჰიგიენური საშუალებების შეგზავნა.

მაღაზიით სარგებლობა მსჯავრდებულებს შეუძიათ ყოველდღე კვირის გარდა სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით.

4. სამზარეულოს ვენტილაცია ხდება მხოლოდ ვენტილატორების მეშვეობით. სამზარეულოში კედლებიდან და ჭერიდან ჩამოქერცლილია საღებავი. ამოყრილია მეტლახი. სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი და საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. საკვების ხარისხზე მსჯავრდებულებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

5. დაწესებულებაში არის ერთი პაემნის ოთახი. იმ მხრიდან, სადაც სხედან მსჯავრდებულები, არ ხდება მისი არც ბუნებრივი და არც ხელოვნური გზით ვენტილაცია. ოთახში დამონტაჟებულია 11 ტელეფონის აპარატი, პაემანი ხორციელდება შუშით გადატიხრულ კაბინებში ტელეფონის საშუალებით.

დაწესებულებაში არ არის საკარანტინე ოთახები.

დაწესებულებაში არის 1 კარცერი, სადაც დგას ორსართულიანი ორი ცალი რკინის ნარი, საპირფარეშო ნახევრად ღია, ონკანი დამონტაჟებულია საპირფარეშოს თავზე, განათება ხდება ბუნებრივი და ხელოვნური გზით, ვენტილაცია – ბუნებრივი გზით. შეძლებისდაგვარად დაცულია სისუფთავე.

მოშიმშილე პატიმრებისთვის გამოყოფილია ერთი საკანი, სადაც დგას ორსართულიანი რკინის ნარი. საპირფარეშო ნახევრად ღიაა, ონკანი დამონტაჟებულია საპირფარეშოს თავზე. შეძლებისდაგვარად დაცულია სისუფთავე.

დაწესებულებაში არის ერთი საგამოძიებო ოთახი.

დაწესებულებაში დამონტაჟებულია 2 დაულუქავი და ღია საჩივრის ყუთი.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრს:

1. დაწესებულების კოსმეტიკური რემონტი;
2. მოშიმშილე მსჯავრდებულთათვის განკუთვნილ საკანში და კარცერში ონკანის საპირფარეშოსგან განცალკევება და საპირფარეშოების იზოლირება;
3. სამზარეულოს კოსმეტიკური რემონტი და ცენტრალური ვენტილაციის დამონტაჟება;
4. სავარჯიშო ინვენტარის განახლება;
5. ცენტრალური სამრეცხაო ოთახის მშენებლობა.

ქალთა და არასრულწლოვანთა #5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება

მის. ქ.თბილისი, აბუსერიძე–ტბელის ქ.#11

1. დაწესებულება აშენდა 1956 წელს. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 2004–05 წლებში. დაწესებულების ლიმიტი შეადგენს 970–ს; მონიტორინგის დროს დაწესებულებაში განთავსებული იყო 298 პატიმარი, აქედან 113 ქალი მსჯავრდებული (მათგან 3 უვადო თავისუფლებააღკვეთილი ქალი), 129 ქალი პატიმარი, 56 არასრულწლოვანი ბიჭი და 4 არასრულწლოვანი გოგო. მონიტორინგის დროს 2 არასრულწლოვანი გოგო მსჯავრდებული მოთავსებული იყო საპყრობილეში, ხოლო დანარჩენი 2 - საერთო რეჟიმის საცხოვრებელ სადგომში. ლიმიტთან შედარებით პატიმრების სიმცირე გამოწვეულია, 2009 წლის 19 აპრილის ღამეს მომხდარი არეულობის გამო. ქალ მსჯავრდებულთა უმეტესი ნაწილის რუსთავის #1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გადაიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი პატიმარი გოგონები ხშირად სრულწლოვან მსჯავრდებულებთან ერთად იმყოფებიან, ვინაიდან არ არსებობს მათთვის განკუთვნილი განყოფილება.

დაწესებულებაში არის 5 საპატიმრო კორპუსი, აქედან 1 არასრულწლოვან მამაკაცთა, 1 ქალთა საპყრობილე და სამი ქალთა საცხოვრებელი კორპუსი (ე.წ. ზონა).

უფლება–მოვალეობების გაცნობა პატიმრებისთვის ხდება წერილობითი ფორმით.

2. ბარაკების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური. განათება ხდება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური გზით. ვენტილაცია – ბუნებრივი. გათბობა ახალ საცხოვრებელ ბარაკში ხდება ცენტრალური გზით, ხოლო დანარჩენ ბარაკებში ელექტროქურების მეშვეობით, ადმინისტრაციის განმარტებით, დაწესებულებაში დეზინფექცია ტარდება კვირაში ერთხელ.

დაწესებულებაში არის ერთი 3 ადგილიანი საკნის ტიპის სადგომი, სადაც არსებული საპირფარეშო არის ნახევრად ღია მდგომარეობაში.

3. დაწესებულებაში არის 8 სასეირნო ეზო. აქედან 4 – არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის და 4 – ქალი პატიმრებისთვის. პატიმრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მამაკაცი არასრულწლოვანი პატიმრები სარგებლობენ ყოველდღიური 2 საათიანი გასეირნების უფლებით, ხოლო ქალი პატიმრები – 1 საათიანი გასეირნების უფლებით.

დაწესებულებაში არის სამი საშხაპე ოთახი. აქედან ერთი – არასრულწოვანთა განყოფილებაში, სადაც დამონტაჟებულია 4 შხაპი, 1 – ქალთა საპყრობილეში, სადაც ასევე 4 შხაპია და ერთი – ე.წ. ზონაში, სადაც არის 24 შხაპი, აქედან 12 – მუშა მდგომარეობაში. საშხაპეების ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით. დაწესებულებაში არსებული სააბაზანო ოთახების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ნორმალური. არასრულწლოვან პატიმრებს შხაპის მიღება შეუძლიათ კვირაში ორჯერ საკმარისი ხანგრძლივობით, ხოლო ქალ პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ შხაპი კვირაში ერთხელ 20 წუთით. მსჯავრდებულ ქალებს შხაპის მიღების შესაძლებლობა აქვთ დღის წესრიგით დადგენილ ნებისმიერ დროს. სადალაქო მომსახურებას ეწევა მსჯავრდებული ქალი, რომელსაც აღნიშნულ დაწესებულებაში აქვს გავლილი სტილისტის კურსები. ადმინისტრაციის მიერ თეთრეული ერთჯერადად ეძლევა პატიმარს დაწესებულებაში მიღებისას, ხოლო შემდგომ პატიმარს შეუძლია, თეთრეული შეიძინოს მაღაზიაში ან მიიღოს ამანათის სახით. ჰიგიენის ნივთების შეძენა პატიმრებს შეუძლიათ დაწესებულების მაღაზიაში. მათი შემოგზავნა დაშვებულია ამანათის სახითაც.

დაწესებულებას არ გააჩნია ცენტრალური სამრეცხაო.

დაწესებულებაში დამონტაჟებულია 6 ტელეფონის აპარატი. მსჯავრდებულებს ე.წ. ზონის ტერიტორიაზე შეუძლიათ, ტელეფონით ისარგებლონ შეუზღუდავად 19 საათამდე. არასრულწლოვან მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ტელეფონით კვირაში ერთხელ ნახევარი საათი, ხოლო საპყრობილეში მყოფ მსჯავრდებულებს – კვირაში ერთხელ 3–5 წუთით.

დაწესებულებაში პატიმრებს და მსჯავრდებულებს აქვთ ტელევიზორები და რადიო მიმღებები. პრესა დაშვებულია ამანათით.

დაწესებულებაში არის ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია 2000–მდე წიგნი და პატიმრების განმარტებით, ისინი სარგებლობენ ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით.

დაწესებულებას ემსახურება ერთი საამანათო ოთახი, სადაც ერთდროულად შესაძლებელია 3 ამანათის შეგზავნა.

მაღაზია განთავსებულია ე.წ. ზონის ტერიტორიაზე და საპყრობილეში მყოფ პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ მაღაზიით ყოველდღიურად სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით, ხოლო ე.წ. ზონაში მყოფი მსჯავრდებულები თვითონ ყიდულობენ მაღაზიაში არსებულ პროდუქციას.

4. სამზარეულო განთავსებულია ცალკე შენობაში, მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი.

5. პაემნის ოთახში შესაძლებელია ერთდროულად 10 პაემნის განხორციელება. პაემნის დროს მსჯავრდებული მასთან მისულ ახლობელს ხვდება პირისპირ. დაკვირვება ხდება როგორც ვიზუალურად, თანამშრომლის მიერ, ასევე ვიდეო თვალით.

დაწესებულებაში არის 5 კარცერი, აქედან 2 ერთადგილიანი – არასრულწლოვანი პატიმრებისთვის და სამი კარცერი – ქალი პატიმრებისთვის (2 ერთადგილიანი და 2 ორადგილიანი). კარცერის საკნებში არ არის საპირფარეშო და პირსაბანი. ისინი

განთავსებულია კარცერის შენობაში. არ ხდება მათი ცენტრალური გზით ვენტილაცია და გათბობა. სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა ნორმალური.

დაწესებულებაში არის 2 საკარანტინე საკანი. აქედან ერთი ოთხადგილიანი – არასრულწლოვანებისთვის, ერთი 6 ადგილიანი – ქალთა საპყრობილეში. საკარანტინე ოთახების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი.

დაწესებულებაში არის 3 საჩივრის ყუთი.

2008 წლის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა გარკვეული რეკომენდაციები მისცა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, კერძოდ:

1. არასრულწლოვანი პატიმარი გოგონებისთვის ცალკე განყოფილების შექმნა;
2. არასრულწლოვანი პატიმრებისათვის სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფა;
3. საპყრობილეში არსებული საშხაპეების გარემონტება;
4. საპყრობილის სასეირნო ეზოს გაფართოება;
5. სამზარეულოს ინვენტარის განახლება.

გათვალისწინებულია 2 რეკომენდაცია: საპყრობილეში არსებული საშხაპეები გარემონტდა; სამზარეულოში არსებული ინვენტარი განახლდა.

#6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება

მის. გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მთისძირი

1. ლიმიტი – 1300, მონიტორინგის დროს – 1308 მსჯავრდებული, მათგან 71 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, 90 მსჯავრდებულს განსაზღვრული აქვს სასჯელის მოხდის საერთო რეჟიმი, 973 – მკაცრი რეჟიმი, 159 – საპყრობილის რეჟიმი, **5 მსჯავრდებულს რეჟიმი განსაზღვრული საერთოდ არ აქვს** და 11 იმყოფება წინასწარ პატიმრობაში. ადმინისტრაციის განმარტებით, პატიმრებს უფლება–მოვალეობები ეცნობებათ ზეპირი ფორმით.

მართალია, აღნიშნული დაწესებულება განსაზღვრულია, როგორც საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება, თუმცა, სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, აღნიშნულ დაწესებულებაში მოქმედებს მხოლოდ საპყრობილის რეჟიმი – მსჯავრდებულები მოთავსებულები არიან 2, 4, 6, 12 და 18 ადგილიან საკნებში და დაწესებულების ტერიტორიაზე მათი გადაადგილება ხდება მხოლოდ სასეირნო ეზოებში, ისიც შეზღუდულად, კერძოდ, <u>გასეირნების უფლებით</u> პატიმრები სარგებლობენ ყოველდღე კვირის გარდა 30–40 წუთით, ხოლო უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები ყოველდღე დაახლოებით 1^{30} საათი. **მიუხედავად ამისა, მე–6 დაწესებულებაში სასჯელს იხდიან ის მსჯავრდებულებიც, რომლებსაც განსაზღვრული აქვს საერთო და მკაცრი რეჟიმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ირღვევა როგორც ,,პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 73–ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის და ამავე კანონის 74 მუხლის მესამე ნაწილის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 365 და 366 ბრძანებებით დამტკიცებული დებულებების მე–10 მუხლების მოთხოვნები.** კერძოდ:

I. „პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 73–ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთ დააბინავებენ საერთო საცხოვრებელში, თუ შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, თავისუფლად იაროს ამ დაწესებულების ტერიტორიაზე მისი შინაგანაწესით დადგენილი წესით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბერის # 365 ბრძანებით დამტკიცებულია **საერთო რეჟიმის დაწესებულების დებულება და შინაგანაწესი.** აღნიშნული დებულების მე–10 მუხლი განსაზღვრავს მსჯავრდებულთა გადაადგილების წესს, სადაც აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულთა ჯგუფების გადაადგილება დაწესებულების ტერიტორიაზე ხორციელდება მწყობრად მათგან უფროსის ან ადმინისტრაციის წარმომადგენლის წარმართვით, ასევე პირადი დროის განმავლობაში მსჯავრდებულებს შეუძლიათ გადაადგილდნენ იზოლირებული მონაკვეთის ფარგლებში, ხოლო დაწესებულების ტერიტორიის სხვა ნაწილებში - ადმინისტრაციის წარმომადგენლის თანხმობით. ღამის საათებში, ძილის დროს, მსჯავრდებულთა გადაადგილება საცხოვრებელი სადგომის ფარგლებს გარეთ აკრძალულია.

II. „პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 74–ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთ ათავსებენ საერთო საცხოვრებელში, თუ შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის

მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უფლება აქვს, თავისუფლად გადაადგილდეს ამ დაწესებულების ტერიტორიაზე მისი შინაგანაწესით დადგენილი წესით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის **# 366** ბრძანებით დამტკიცებულია მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დებულება და შინაგანაწესი. აღნიშნული დებულების მე–10 მუხლი განსაზღვრავს მსჯავრდებულთა გადაადგილების წესს, სადაც აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულთა ჯგუფების გადაადგილება დაწესებულების ტერიტორიაზე ხორციელდება მწყობრად მათგან უფროსის ან ადმინისტრაციის წარმომადგენლის წარმართვით. ასევე პირადი დროის განმავლობაში მსჯავრდებულებს შეუძლიათ გადაადგილდნენ იზოლირებული მონაკვეთის ფარგლებში, ხოლო დაწესებულების ტერიტორიის სხვა ნაწილებში - ადმინისტრაციის წარმომადგენლის თანხმობით. ღამის საათებში, ძილის დროს, მსჯავრდებულთა გადაადგილება საცხოვრებელი სადგომის ფარგლებს გარეთ აკრძალულია.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით 2009 წლის 4 მაისს დაწესებულების დირექტორს გაეგზავნა წერილობითი მიმართვა, მოეწოდებინა ინფორმაცია ქ.რუსთავის #6 საპყრობილის, საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იყო თუ არა სხვა რაიმე სპეციალური წესი საერთო და მკაცრ რეჟიმზე მყოფ მსჯავრდებულთა გადაადგილებასთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რაც დადგენილია „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით და იუსტიციის მინისტრის #365–ე და #366–ე ბრძანებებით. დასმულ შეკითხვასთან მიმართებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #6 დაწესებულებიდან მიღებული პასუხი სრულიად არაადეკვატურია, კერძოდ, დაწესებულების ადმინისტრაციის თქმით, **„გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება გახლავთ საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება, მსჯავრდებულთა გადაადგილება რეგულირდება საქართველოს კანონით ,,პატიმრობის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 365, 366, და 367 ბრძანებებით და დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,დღის განრიგის“ შესაბამისად.“** მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა ზემოაღნიშნული დაწესებულების დირექტორს მოსთხოვა დღის წესრიგი, აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულების ადმინისტრაციას არ მოუწოდებია.

უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, იმყოფებიან სასჯელის მოხდის საპყრობილის რეჟიმზე, თუმცა ისინი თითქმის ისეთივე პირობებში იმყოფებიან, როგორც სხვა კატეგორიის

მსჯავრდებულები. აქედან გამომდინარე, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების ყოფნის პირობები მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას.

2. ძველ სარეჟიმო კორპუსებში საკნებში არსებული სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის მძიმე, კერძოდ, ვენტილაცია არ ხდება, არის უჰაერობა, კედლები ნესტიანი, ჩამოყრილი ბათქაში, განათება ხდება მბჟუტავი ნათურებით, ხოლო ბუნებრივი განათება არ არის საკმარისი, იატაკი ბეტონისაა. დანარჩენ საცხოვრებელ კორპუსებში არსებული საკნების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური. დაწესებულებაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ადმინისტრაციის განმარტებით, დაწესებულების დეზინფექცია ხდება თვეში ორჯერ.

3. დაწესებულებაში არის 29 სასეირნო ეზო.

დაწესებულებაში არის 14 საშხაპე ოთახი და 74 შხაპი, ვენტილაცია ხდება ბუნებრივი და ხელოვნური გზით. სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი. წყლის რეგულირება ხდება ცენტრალური ონკანიდან. მსჯავრდებულები შხაპს იღებენ კვირაში ერთხელ.

თეთრეულის შეძენა შესაძლებელია მაღაზიაში, ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, აწვდის ადმინისტრაცია. ჰიგიენის ნივთების შეძენა შესაძლებელია დაწესებულების მაღაზიაში. მსჯავრდებულების მოთხოვნის შესაბამისად მათ სადალაქო მომსახურებას უწევს პატიმარი დალაქი.

დაწესებულებას აქვს ცენტრალური სამრეცხაო.

ქ.რუსთავის #6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში განთავსებულია 10 საერთო სარგებლობის ტელეფონის აპარატი. ადმინისტრაციის განმარტებით, თითო საკანი რეკავს ორ დღეში ერთხელ. 2; 4; 6; 8; 10 ადგილიან საკანს ეძლევა 30 წუთი დრო, ხოლო 12; 14; 16; 18 ადგილიან საკნებს – 45 წუთი. მსჯავრდებულებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ თითო მსჯავრდებული სარგებლობს ტელეფონით ორ კვირაში ერთხელ.

უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების გარდა, არცერთ მსჯავრდებულს არ აქვს ტელევიზორი, რაც, მსჯავრდებულთა განმარტებით, ერთ–ერთი სერიოზული პრობლემაა აღნიშნულ დაწესებულებაში. რადიო ტრანსლირება ხდება ცენტრალურად. პრესა მიეწოდებათ ამანათის სახით, თუმცა საანგარიშო პერიოდის გარკვეულ მონაკვეთებში ამანათით დაშვებული იყო მხოლოდ 3 დასახელების გაზეთი.

ბიბლიოთეკის ბაზაზე ირიცხება 2000 წიგნი. ბიბლიოთეკარი მსჯავრდებულის განმარტებით, პატიმრებისათვის ხელმისაწვდომია 1400 წიგნი და დღის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან გადის დაახლოებით 30 წიგნი.

ერთდროულად შეიძლება სამი ამანათის მიღება. საამანათო ოთახის მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს დაწესებულების ერთ–ერთ დადებით მხარედ. ამანათით დაშვებულია ხილი და ტანსაცმელი.

მაღაზია განთავსებულია დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში და პატიმრებს კვირის გარდა ყოველდღიურად აქვთ შესაძლებლობა, შეიძინონ მაღაზიაში არსებული პროდუქცია სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით.

4. დაწესებულების სამზარეულოში სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი, თუმცა სავენტილაციო სისტემა მუშაობს შეფერხებით, რაც ხელს უშლის სამზარეულოს ვენტილაციას. საკვების მომზადების ხარისხზე პატიმრებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

5. დაწესებულებაში არის 12 პაემნის ოთახი, მათი ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით.

დაწესებულებაში არის 21 კარცერი, მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის საშუალო. ზოგან არ არის დამონტაჟებული პირსაბანი, ცენტრალური ვენტილაცია არ არის და კარცერებში არის ძალიან პატარა ზომის ფანჯრები, საპირფარეშოებში დამონტაჟებულია ცენტრალური ვენტილაციის სისტემა.

დაწესებულებაში არის ოთხი საკარანტინე ოთახი, რომლებშიც განთავსებულია 28 რკინის ორსართულიანი ნარი. საკნებში საპირფარეშო არის ნახევრად ღია, არ არის ცენტრალური ვენტილაცია; ბუნებრივი ვენტილაციის შესაძლებლობა არის მცირე, ვინაიდან ფანჯრები ძალიან პატარაა. საკნები ნათდება ხელოვნურად, მათი განლაგებიდან გამომდინარე. სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა ნორმალურია.

6 საგამოძიებო ოთახი განთავსებულია ადმინისტრაციულ შენობაში.

3 საჩივრის ყუთი დამონტაჟებულია სასეირნო ეზოებთან.

2008 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რათა ამ უკანასკნელს უზრუნველეყო:

1. მსჯავრდებულთათვის გასეირნების უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფა;
2. პატიმრების რადიოებითა და ტელევიზორებით უზრუნველყოფა;

აღნიშნული რეკომენდაციებიდან გათვალისწინებულია ერთი რეკომენდაცია, ისიც ნაწილობრივ. კერძოდ, დამონტაჟდა ხაზის რადიო და სიხშირის რეგულირება ხდება ადმინისტრაციის მიერ.

ახალი რეკომენდაცია: მოხდეს კარცერის საკნებში პირსაბანების დამონტაჟება.

ქსნის #7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება

მის. დაბა–ქსანი

1. დაწესებულების ლიმიტი – 1600; მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 2475 მსჯავრდებული.

დაწესებულების **საპყრობილეში** განთავსებულია 146 მსჯავრდებული.

ადმინისტრაციის განმარტებით, პატიმრის მიღებისას <u>უფლება–მოვალეობების გაცნობა</u> ხდება ზეპირი ფორმით.

<u>**მსჯავრდებულთა განმარტებით, ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ ექცევიან უხეშად და, ზოგ შემთხვევაში, დამამცირებლადაც.**</u>

<u>**საპყრობილეში განთავსებული მსჯავრდებულების განცხადებით, შესაძლოა, ადმინისტრაციამ მათ მიმართ სხვადასხვა მიზეზით დაიწყოს წინასწარი გამოძიება, ვინაიდან მათ თავიანთი პრობლემის შესახებ განუცხადეს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფს. მსჯავრდებულთა განმარტებით, დაწესებულების ადმინისტრაცია ცდილობს, ყველა წვრილმანზე გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები (კარცერის მაქსიმუმი ვადის გამოყენებით), ასევე ადმინისტრაციული პატიმრობა, რომ სასჯელის ვადა გაუგრძელდეთ. აღნიშნული საკითხი მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას.**</u>

2.

საპყრობილეში განთავსებული მსჯავრდებულების განცხადებით, ისინი იმყოფებიან მძიმე პირობებში, კერძოდ: მათ საკნებში არ არის დაცული ელემენტარული <u>ჰიგიენის ნორმები</u>,

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი სადგომი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს და უზრუნველყოფდეს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, თუმცა #7 დაწესებულების საპყრობილის ტერიტორიაზე განთავსებულია საკნები, რომლებსაც მსჯავრდებულები უწოდებენ ,,გარაჟებს“ (საკანი #23, 24, 25, 26, 27), რადგან საკნებს არ გააჩნია გადახურული დერეფანი და საკანში შესვლა ხდება მცირე ეზოდან. აღნიშნულ საკნებში არის ნესტი, რაც აუტანელს ხდის მათ ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო პირობებს. საპყრობილის საკნების <u>განათება</u> ხდება ხელოვნური და ბუნებრივი გზით, თუმცა ფანჯრების ზომებიდან გამომდინარე, ბუნებრივი განათება

არასაკმარისია. ადმინისტრაციის განმარტებით, დეზინფექცია დაწესებულებაში ტარდება თვეში ერთხელ.

ერთ–ერთი პრობლემა სავენტილაციო სისტემის არარსებობაა. ამასთანავე საკანში არის საპირფარეშო, საიდანაც სავენტილაციო-საჰაერო სარკმელი გამოდის საკანშივე, თუმცა იგეგმება ვენტილაციის სისტემის მოწესრიგება; იატაკი არის ბეტონის, რომელიც არის ალაგ–ალაგ ამოტეხილი და მიუხედავად პატიმრების მხრიდან სისუფთავის დაცვის მცდელობისა, აღნიშნულ საკნებში არის მტვერი; სადენები არის გაშიშვლებული და ელექტროგამათბობლები (რაც ამ საკნებში გათბობის ერთადერთი საშუალებაა) აქვთ შეერთებული კუსტარულად.

საპყრობილის სხვა საკნებში საპირფარეშოები ნახევრად ღიაა, ამის გამო მსჯავრდებულები თავად გამოყოფენ საპირფარეშოს საკნისგან თვითნაკეთი ფარდების მეშვეობით.

საკნების კედლები დაფარულია ცემენტის უსწორმასწორო სქელი ფენის, ე.წ. ,,შუბით“. მსჯავრდებულთა გადმოცემით, იმ ნარებზე წოლა, რომლებიც მიდგმულია კედელთან, შეუძლებელია, რადგან ძილის დროს იღებენ დაზიანებებს.

საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში (ე.წ. „ზონა“) განთავსებული მსჯავრდებულების საცხოვრებელი ფართი და პირობები არ შეესაბამება ,,პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილს. მსჯავრდებულების ნაწილი არიან განთავსებულნი ადრე არსებული სასადილოს შენობაში, სადაც საცხოვრებელი სადგომები გამოყოფილია ერთმანეთისგან ლურჯი ბრეზენტით და მსჯავრდებულების მიერ გაკეთებული ორსართულიანი საწოლებით. ზონის ტერიტორიაზე განთავსებულ საერთო საპირფარეშოში გასარემონტებელია საკანალიზაციო სისტემა და აქედან გამომდინარე მიმდებარე ტერიტორიაზე არის სპეციფიკური სუნი.

3. საპყრობილეში არის 4 სასეირნო ეზო, სადაც შესაძლებელი ვარჯიში, ვინაიდან არის ჰანტელები. მსჯავრდებულთა განმარტებით, ისინი სარგებლობენ გასეირნების უფლებით ყოველდღე კვირის გარდა 1 საათით.

ე.წ. ზონაში არის ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, ფრენბურთის მოედნები და ტრენაჟორების დარბაზი, თუმცა სასურველია მისი განახლება.

2009 წლის თებერვალში მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ საპყრობილეში იყო მომცრო ზომის საშხაპე ოთახი, სადაც ერთმანეთთან ახლოს იყო დამონტაჟებული 6 შხაპი. აღნიშნულის გამო, ერთდროულად 6 მსჯავრდებულისათვის შეუძლებელი იყო შხაპის მიღება. საშხაპეს არ ჰქონდა ვენტილაციის სისტემა, ხოლო ბუნებრივი გზით

ვენტილაცია იყო არასაკმარისი პატარა ზომის სარკმლის გამო. ცხელი და ცივი წყლის რეგულირება ხდებოდა საშხაპე ოთახების გარეთ ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების დირექტორს მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა, რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კერძოდ, საშხაპეები ერთმანეთისგან განცალკევდა თხელი კედლის მეშვეობით, საშხაპე ოთახს გაუკეთდა კოსმეტიკური რემონტი, ხოლო წყლის რეგულირება ხდება მსჯავრდებულთა მიერ.

<u>თეთრეული</u> მსჯავრდებულებს მიეწოდებათ ამანათით, <u>ჰიგიენის ნივთების</u> შეძენა შეუძლიათ დაწესებულების მაღაზიაში. საპყრობილეს ემსახურება პატიმარი <u>დალაქი</u>.

საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში <u>საშხაპეების</u> სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი, ცხელი და ცივი წყლის რეგულირება ხდება მსჯავრდებულების მიერ. ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით – საშხაპეში არსებულ ფანჯრებში არ არის შუშები. საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში არის <u>საპარიკმახერო</u>, რომელიც საჭიროებს ინვენტარის განახლებას.

დაწესებულებაში არ არის ცენტრალური <u>სამრეცხაო</u> და მსჯავრდებულები თვითონ რეცხავენ სარეცხს.

საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ეზოში დამონტაჟებულია 10 ტელეფონის აპარატი, რომლითაც მსჯავრდებულები სარგებლობენ ყოველდღე 5–10 წთ. საპყრობილეში დამონტაჟებული 2 ტელეფონის აპარატი და მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ტელეფონით კვირაში ერთხელ 15 წუთით.

საპყრობილეში მსჯავრდებულებს არ აქვთ <u>ტელევიზორები</u>, ხოლო <u>რადიომიმღებების</u> სიხშირე რეგულირდება ცენტრალურად ადმინისტრაციის მიერ.

საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში არის <u>ტელევიზორის</u> საყურებელი ცალკე ოთახი. <u>პრესის</u> შეძენა მსჯავრდებულებს შეუძლიათ მაღაზიაში, ასევე დაშვებულია ამანათის სახით.

<u>ბიბლიოთეკა</u> არის ე.წ. ზონის ტერიტორიაზე. მის ბაზაზე ირიცხება 1134 წიგნი და მსჯავრდებულთა გადმოცემით, ისინი სარგებლობენ ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით.

დადებითად შეიძლება შეფასდეს ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ერთადერთი სასჯელაღსრულების დაწესებულებაა, სადაც არსებობს როგორც ეკლესია, ასევე მუსლიმანთა სამლოცველო.

დაწესებულებაში არის საეკლესიო ნივთების დასამზადებელი საამქრო, სადაც დასაქმებულია 7 მსჯავრდებული, თუმცა საამქროსთვის განკუთვნილი ფართი არის ძალიან მცირე.

დაწესებულებას აქვს ამანათების მიღების მხოლოდ ერთი ფანჯარა, რომელიც ემსახურება მთლიანად დაწესებულებას. ადმინისტრაციის განმარტებით, დაწესებულებაში დაშვებულია ხილის, შემწვარი და მოხარშული ხორცის, ტანსაცმლის და ჰიგიენის ნივთების შეტანა.

მაღაზია განთავსებულია ე.წ. ზონის ტერიტორიაზე. საპყრობილეში განთავსებული მსჯავრდებულები მაღაზიით სარგებლობენ სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით ყოველდღე კვირის გარდა, ხოლო ე.წ. ზონაში განთავსებული მსჯავრდებულებს თვითონ აქვთ შესაძლებლობა, შეიძინონ მათთვის სასურველი პროდუქცია.

4. სამზარეულო მსჯავრდებულების განცხადებით, საკვები, რომელიც მათ მიეწოდებათ, არის უვარგისი.

5. 2009 წლის 30 იანვარს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა რიგგარეშე ვიზიტის დროს შეამოწმეს აღნიშნულ დაწესებულებაში არსებული კარცერი – ე.წ. ,,გარაჟებში“ განთავსებული #27 საკანი. ამ დროისთვის არ ხდებოდა კარცერის ვენტილაცია, რის გამოც იდგა მძიმე, ბლანტი ჰაერი, იყო საშინელი ანტისანიტარია, გახეთქილი იყო წყლის მილი და კარცერში იდგა წყალი. მსჯავრდებულებს ეძინათ ორსართულიან რკინის ნარებზე, პირდაპირ რკინაზე. კარცერში მოთავსებულმა არცერთმა მსჯავრდებულმა არ იცოდა, რამდენი დღე–ღამით იყვნენ მოთავსებულნი კარცერში. მსჯავრდებულთა განმარტებით, ისინი მედპერსონალს არ შეუმოწმებია კარცერში მოთავსებისას ან შემდეგში. მათი განმარტებით, მათ კარცერში ყოფნის პერიოდში (10 დღიდან ერთ თვემდე) არ მიუღიათ შხაპი. აღნიშნული პრობლემების შესახებ სახალხო დამცველის რწმუნებულები ესაუბრნენ ადმინისტრაციას. 2009 წლის 5 თებერვალს, გეგმიური მონიტორინგის დროს, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა კვლავ შეამოწმეს კარცერები და #27 საკნის ნაცვლად კარცერში მოთავსებული პირები გადანაწილებული იყვნენ საპყრობილის #5, 9, 10 და 14 საკნებში, სადაც შედარებით ნორმალური პირობებია. ადმინისტრაციის განმარტებით, ამ დროიდან აღნიშნულ საკნებს გამოიყენებენ კარცერად. 2009 წლის ივლის–აგვისტოში ჩატარებული მონიტორინგის დროს კარცერად გამოიყენებოდა #6, 7 და 20 საკნები. კარცერების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა იყო ნორმალური.

დაწესებულებაში არ არის საკარანტინე ოთახები. დაწესებულებაში არის 2 საჩივრის ყუთი. ერთი განთავსებულია საპყრობილის ეზოში, ხოლო მეორე – ე.წ. ზონის ტერიტორიაზე.

2008 წლის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა ქსნის #7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების თაობაზე გარკვეული რეკომენდაციები მისცა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, კერძოდ:

1. გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება;
2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული საპყრობილის კოსმეტიკური რემონტი;
3. დაბინძურებული წყლის პრობლემის დაუყოვნებლივი მოგვარება;
4. დაწესებულების ტერიტორიაზე დეზინფექციისა და დერატიზაციის ჩატარება;
5. ე.წ „გარაჟების“ დემონტაჟი;
6. საპირფარეშოების იზოლირება;
7. საპყრობილეში განთავსებულ მსჯავრდებულთა ტელევიზორებით უზრუნველყოფა;
8. საპყრობილის საშხაპე ოთახის ფართის გაზრდა;
9. საშხაპეებისათვის ადგილობრივი ვენტილების დამონტაჟება (ცივი–ცხელი წყლის პატიმრის მიერ რეგულირების უზრუნველყოფა);
10. საშხაპე ოთახში სავენტილაციო სისტემის დამონტაჟება;
11. სამრეცხაო ოთახის მშენებლობა;
12. ბიბლიოთეკის განახლება;
13. კარცერის საკნის დადგენა.

აღნიშნული რეკომენდაციებიდან გათვალისწინებულია რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ: დადგენილია კარცერის საკნები; საშხაპე ოთახებს ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი; დაბინძურებული წყლის პრობლემა ადმინისტრაციისა გადმოცემით მოგვარებულია; სახალხო დამცველის რწმუნებულებისათვის ცნობილი გახდა, რომ საპყრობილეში მიმდინარეობს კოსმეტიკური რემონტი: საპირფარეშოების იზოლირება, წყალგაყვანილობის სისტემის შეცვლა და საპყრობილეში კეთდება სამრეცხაო ოთახი.

გეგუთის #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება

მის. ქ.წყალტუბო, სოფელი გეგუთი, ვარციხის დასახლება

1. დაწესებულება გაიხსნა 1982 წლის 4 აპრილს, ხოლო გარემონტდა და ახალი კორპუსი დაემატა 2009 წელს. დაწესებულების ლიმიტია 2500; მონიტორინგის განხორციელების დროს დაწესებულებაში მოთავსებული იყო 2304 მსჯავრდებული. მსჯავრდებულებს უფლება–მოვალეობები ეცნობათ წერილობითი ფორმით.

2. დაწესებულებაში არის 6 საცხოვრებელი კორპუსი, აქედან 5 ე.წ. ბარაკული სისტემა და ერთი 166 საკნიანი საცხოვრებელი კორპუსი.

ე.წ. საცხოვრებელი ბარაკების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური. განათება ხდება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური გზით. ცენტრალური ვენტილაცია დამონტაჟებულია მხოლოდ ახალ, N6 საცხოვრებელ კორპუსში. ადმინისტრაციის განმარტებით, დაწესებულებაში დეზინფექცია ტარდება კვირაში ერთხელ.

ადმინისტრაციის განმარტებით, მსჯავრდებულებს წყალი მიეწოდებათ შეუზღუდავად, თუმცა მონიტორინგის დროს წყალი რამდენჯერმე შეწყდა.

3. **მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ დღის განმავლობაში მსჯავრდებულებს სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა ეძლევათ დაახლოებით 3–4 საათი – ვინაიდან აღნიშნულ დაწესებულებაში მოქმედებს საერთო სარგებლობის სასადილო, მსჯავრდებულები საკვებად გადიან საცხოვრებელი კორპუსების მიხედვით და როცა ერთ კორპუსში განთავსებული მსჯავრდებულები იმყოფებიან სასადილოში, სხვა 4 საცხოვრებელი კორპუსი დაკეტილია. #6 კორპუსში კვების დროს მსჯავრდებულები შეჰყავთ საკნებში და კეტავენ. აღნიშნული შეზღუდვა არ შეესაბამება დაწესებულების საერთო რეჟიმის მოხდის წესს.** დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სასადილო არ იძლევა საშუალებას, რომ ყველა მსჯავრდებულმა ერთად მიიღოს საკვები, რის გამოც დაწესებულია აღნიშნული გრაფიკი და ამით უზრუნველყოფილია, რომ ერთი და იმავე მსჯავრდებულმა არ მიიღოს ზედმეტი ულუფა.

დაწესებულებაში არის სულ 16 საშხაპე ოთახი, სადაც დამონტაჟებულია 87 შხაპი. მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური. წყლის ტემპერატურის რეგულირება ხდება მსჯავრდებულების მიერ. მსჯავრდებულები შხაპს იღებენ კვირაში ერთხელ საკმარისი ხანგრძლივობით.

დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, მსჯავრდებულებისათვის თეთრეულის გამოცვლა ხდება კვირაში ერთხელ, თუმცა მონიტორინგის დროს ნანახი თეთრეულის მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე მსჯავრდებულთა განმარტებით, აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება. ჰიგიენის ნივთების შეძენა მსჯავრდებულებს შეუძლიათ დაწესებულების მაღაზიაში.

დაწესებულებას არ ჰყავს დალაქი და აღნიშნულ მომსახურებას ახორციელებს ერთ–ერთი მსჯავრდებული.

დაწესებულებაში არ არის ცენტრალური სამრეცხაო და მსჯავრდებულები თეთრეულს და ტანსაცმელს რეცხავენ თვითონ ან აგზავნიან ოჯახებში.

დაწესებულებაში არის 10 საერთო სარგებლობის ტელეფონი, აქედან 5 ტელეფონის აპარატი დამონტაჟებულია ე.წ. ზონის ეზოს გარეთ, ადმინისტრაციის კორპუსის წინამდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულებს უწევთ დიდი ხანი რიგში დგომა, ვინაიდან ადმინისტრაციას ერთდროულად მხოლოდ ხუთი მსჯავრდებული გაჰყავს დასარეკად.

#6 საცხოვრებელ კორპუსში არის ერთი და იმავე ფირმის ერთნაირი ტელევიზორები. მსჯავრდებულთა განმარტებით, ტელევიზორები მათ მიაწოდეს ოჯახის წევრებმა, თუმცა ჩნდება კითხვა, რატომ აირჩია 166 საკანში მყოფი მსჯავრდებულების ოჯახებმა ერთნაირი ზომისა და მხოლოდ ,,VESTEL"-ის ფირმის ტელევიზორები. პრესა იყიდება მაღაზიაში.

დაწესებულებაში მოქმედებს ბიბლიოთეკა, რომლის ბაზაზეც ირიცხება 8764 წიგნი, თუმცა, მსჯავრდებულთა გადმოცემით, ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა არ შეესაბამება მათ მოთხოვნილებებს, ვინაიდან ბიბლიოთეკაში უმეტესად არის რუსული ლიტერატურა.

3 საამანათო ოთახი განთავსებულია ადმინისტრაციული შენობის გარეთა მხარეს. დღის განმავლობაში შესაძლებელია 55–60 ამანათის მიღება.

მაღაზია განთავსებულია ადმინისტრაციული შენობის ეზოში. მსჯავრდებულებს მაღაზიით სარგებლობის უფლება აქვთ კვირაში სამჯერ სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით. აქვე აღსანიშნავია, რომ სიგარეტი მსჯავრდებულებს მიეწოდებათ კოლოფების გარეშე.

4. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სასადილოში და სამზარეულოში სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი და, მსჯავრდებულთა განმარტებით, საკვები არის ნორმალური და საკმაოდ კალორიული.

5. პაემნებისთვის განკუთვნილია 14 შუშით გადატიხრული კაბინა, სადაც პაემანი ხორციელდება ტელეფონის საშუალებით.

დაწესებულებაში არის 15 კარცერი, რომელთა სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი. საპირფარეშოები 7 კარცერში არის ნახევრად იზოლირებული, ხოლო დანარჩენ კარცერებში – იზოლირებული. მსჯავრდებულთა განმარტებით, კარცერში ყოფნის დროს ისინი სარგებლობენ ყოველდღიური გასეირნების უფლებით, თუმცა მხოლოდ 20–30 წუთით. კვირაში ერთხელ სარგებლობენ აბანოთი. ბოლო 6 თვის განმავლობაში კარცერში მოთავსებული იქნა 3 დღე–ღამით 120, 5 დღე–ღამით – 354, 10 დღე–ღამით – 94, 15 დღე–ღამით – 28, 20 დღე–ღამით – 30 მსჯავრდებული. ანუ სულ 626 მსჯავრდებული. კარცერში მოთავსებული მსჯავრდებულები სარგებლობენ მაღაზიით, თუმცა მათ მხოლოდ ჰიგიენური საშუალებების შეძენის შესაძლებლობა აქვთ. ამასთან დაკავშირებით კარცერის ოპერატიულმა მორიგემ განმარტა, რომ საკვები პროდუქტის შეძენის მოთხოვნა არ ყოფილა. მსჯავრდებულთა გადმოცემით კი, კარცერში მოთავსებისას განუმარტეს, რომ მათ უფლება აქვთ, მაღაზიაში მხოლოდ ჰიგიენური ნივთები შეიძინონ.

დაწესებულებაში არის 2 საკარანტინე ოთახი. მათი ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური. ვენტილაცია ხდება მხოლოდ ბუნებრივი გზით, რაც ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთათვის სუფთა ჰაერის სრულყოფილად მიწოდებას.

დაწესებულებაში არის 3 საგამოძიებო ოთახი.

დაწესებულებაში არის 3 საჩივრის ყუთი.

2008 წლის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებასთან დაკავშირებით გარკვეული რეკომენდაციები მისცა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, კერძოდ:

1. საერთო და მკაცრი რეჟიმის გამიჯვნა;
2. კარანტინისთვის კანონით დადგენილი ხანგრძლივობის დაცვა;
3. საცხოვრებელ კორპუსებში იატაკის დაგება.

აღნიშნული რეკომენდაციებიდან ორი გათვალისწინებულია ნაწილობრივ, კერძოდ, მსჯავრდებულთა განმარტებით, კარანტინისთვის კანონით დადგენილი ხანგრძლივობა უმრავლეს შემთხვევაში არის დაცული და 2 საცხოვრებელ ბარაკში დაგებულია ლინოლეუმი.

ახალი რეკომენდაცია: მოხდეს კარცერის საკნებში ტუალეტების იზოლაცია.

ხონის #9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება

მის. ხონის მუნიციპალიტეტი, ჩაის მეურნეობა

1. დაწესებულების ლიმიტია – 650; მონიტორინგის დროს იმყოფებოდა 584 მსჯავრდებული. მსჯავრდებულთათვის მიღებისას მათი უფლება–მოვალეობების გაცნობა ხდება ზეპირი ფორმით.

2. დაწესებულებაში არის ე.წ. ბარაკული სისტემის ერთი ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი. აღნიშნულ დაწესებულებაში არის გაუსაძლისი პირობები. სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ძალიან ცუდი. დაწესებულებაში არსებული ბარაკების სამშენებლო–ტექნიკური პირობებიდან გამომდინარე, მისი ვენტილაცია და განათება არ აკმაყოფილებს არც ეროვნული და არც საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დეზინფექცია ტარდება კვირაში ერთხელ, მოძველებული ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, მაინც ვერ ხერხდება მკბენარების და მღრღნელების განადგურება. ერთ–ერთ ბარაკს აქვს ორი საპირფარეშო, სადაც, მსჯავრდებულების თქმით, ღამით დგება რიგი, რადგან ეზოში გასასვლელი კარი, სადაც დამატებითი საპირფარეშოებია, ღამით იკეტება. ზამთარში მსჯავრდებულები თბებიან ელექტროქურებით.

3. დაწესებულებას არ გააჩნია აბანო, მის მაგივრად შენობაში, რკინის კონსტრუქციისგან გაკეთებულია, საშხაპე 5 შხაპით, რომლებიც გამოყოფილია ერთმანეთისგან ლურჯი ბრეზენტით. წყლის რეგულირება ხდება ცენტრალურად. აღნიშნულ ე.წ. საშხაპეს ფანჯრებს არ აქვს მინები, ხოლო მისი სანიტრულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ძალიან ცუდი. თეთრეულის ყიდვის შესაძლებლობა პატიმრებს აქვთ დაწესებულების მაღაზიაში ასევე დაშვებულია ამანათის სახით. ჰიგიენის ნივთების შეძენის შესაძლებლობა მსჯავრდებულებს აქვთ მხოლოდ მაღაზიაში. სადალაქო მომსახურებას ახორციელებს 1 პატიმარი.

დაწესებულებაში არ არის ცენტრალური სამრეცხაო, თუმცა მსჯავრდებულები სარეცხს რეცხავენ საპირფარეშოების გვერდით განთავსებულ ოთახში, სადაც ცენტრალურ მილზე დამონტაჟებულია რკინის ჩხირები, რომლის აწევითაც მოდის წყალი. აღნიშნულ ოთახს არ აქვს კარი და ფანჯარა, არის ტალახი და სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა ძალიან ცუდია.

ტელეფონის 4 აპარატი დამონტაჟებულია ეზოს გარეთ და მსჯავრდებულებს ტელეფონით სარგებლობის უფლება აქვთ კანონით დადგენილი ხანგრძლივობით.

დაწესებულებაში ხდება ტელევიზიის ტრანსლაცია. პრესა მსჯავრდებულებს მიეწოდებათ ამანათით.

დაწესებულებაში არ არის ბიბლიოთეკა.

დაწესებულებაში არის ერთი საამანათო ოთახი. ადმინისტრაციის განმარტებით, დღის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ 20–22 ამანათის მიღება.

მაღაზია განთავსებულია ადმინისტრაციულ ეზოში. მაღაზიით სარგებლობა მსჯავრდებულებს შეუძლიათ ყოველდღე კვირის გარდა სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით.

4. სამზარეულოში კედლებიდან და ჭერიდან ჩამოყრილია ბათქაში, სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ძალიან ცუდი. სასადილოში არ არის მინები, რის გამოც მასში აღწევენ მტრედები და ბეღურები. საკვების ხარისხზე მსჯავრდებულებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

5. პაემნის ოთახში არ დგას მაგიდა, დამონტაჟებულია 4 ტელეფონის აპარატი, შეხვედრის დროს მსჯავრდებული და მათი ოჯახის წევრები დგანან ფეხზე.

დაწესებულებაში არის 10 კარცერი, სადაც დგას რკინის ნარები, მათზე მოთავსებული თხელი გადასაფარებლით. ფანჯრებს არ აქვს მინები, ჩამოყრილია ბათქაში კედლებიდან და ჭერიდან, კარცერებში არ არის არც საპირფარეშოები და არც ხელსაბანი. განათება – ხელოვნური, არ არის მაგიდა და სკამი. სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა ძალიან ცუდია. საპირფარეშო და ონკანი განთავსებულია ოპერატიული მორიგის ოთახის წინ. ონკანის მაგივრად წყალი მოდის ცენტრალური მილიდან.

დაწესებულებაში არ არის საკარანტინე ოთახები.

დაწესებულებაში არის 2 საგამოძიებო ოთახი.

დაწესებულებაში არ არის საჩივრის ყუთები.

2008 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ #9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, აღნიშნული დაწესებულება გასაუქმებელია, თუმცა ალტერნატიული დაწესებულების აშენებამდე, გასატარებელია მთელი რიგი ღონისძიებები. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რათა ამ უკანასკნელს შეძლებისდაგვარად უზრუნველეყო #9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში:

1. გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება და თითოეული პატიმრის უზრუნველყოფა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ფართით;
2. საერთო და მკაცრი რეჟიმის გამიჯვნა;
3. სადგომების, კარცერების, სამზარეულოს, სასადილოსა და საერთო სარგებლობის საპირფარეშოების გარემონტება;
4. პაემნის ოთახში მაგიდისა და სკამების დამონტაჟება;
5. საშხაპე ოთახის მოწყობა;
6. დაწესებულების ტერიტორიაზე დეზინფექციისა და დერატიზაციის ჩატარება;
7. ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება;
8. დალაქით უზრუნველყოფა;
9. სამრეცხაო ოთახის მოწყობა;
10. საკარანტინე ოთახის გამოყოფა;
11. საჩივრის ყუთების დამონტაჟება.

მონიტორინგის დროს დაწესებულებაში არ იყო გადატვირთულობა, მაგრამ 2009 წლის 1 მაისის მდგომარეობით იყო 598 მსჯავრდებული, ხოლო 2009 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სასჯელს იხდიდა 662 მსჯავრდებული. აქედან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ დაწესებულებაში იყო გადატვირთულობის პრობლემა.

#10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება

მის. ქ.თბილისი, დაბა ზაჰესი, ავჭალის გზატკეცილი N17

1. დაწესებულების ლიმიტი – 370, მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 334 მსჯავრდებული. დაწესებულებაში არის ერთი საპატიმრო კორპუსი, ე.წ ბარაკული სისტემა. ადმინისტრაციის განმარტებით, მსჯავრდებულებს <u>უფლება–მოვალეობები</u> ეცნობებათ ზეპირი და წერილობითი ფორმით.

დანართი №1

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #10 საერთო და მკაცრის რეჟიმის დაწესებულებიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსული 993–ოფ პასუხიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში საერთო რეჟიმი განსაზღვრული აქვს 138 მსჯავრდებულს, ხოლო მკაცრი 200 მსჯავრდებულს, თუმცა თავისუფლების აღკვეთის მოხდის წესები არ არის გამიჯნული.

2. საცხოვრებელი კორპუსის სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის საშუალო და საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. არ არის ცენტრალური გათბობის სისტემა და მსჯავრდებულები სარგებლობენ ელექტროგამათბობლებით. განათება ხდება როგორც ბუნებრივი, ასევე ცენტრალური გზითაც. ვენტილაცია – ბუნებრივი. ადმინისტრაციის განმარტებით, დეზინფექცია ტარდება თვეში ორჯერ.

3. დაწესებულებაში არის ერთი საშხაპე ოთახი, სადაც დამონტაჟებულია 10 შხაპი და მსჯავრდებულებს საშუალება აქვთ, დღის ნებისმიერ მონაკვეთში ისარგებლონ აბანოთი. საშხაპე ოთახების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური. გაკეთდა სამრეცხაო ოთახი, სადაც დამონტაჟდა 8 ონკანი და მსჯავრდებულებს შეუძლიათ, თვითონ გარეცხონ სარეცხი.

მსჯავრდებულთა განმარტებით, ადმინისტრაცია მათ უზრუნველყოფს თეთრეულით მათი მოთხოვნის შესაბამისად. ჰიგიენის ნივთების შეძენა მსჯავრდებულებს შეუძლიათ დაწესებულების მაღაზიაში. დაწესებულებაში არსებობს საპარიკმახეროსთვის გამოყოფილი ოთახი.

ეზოში განთავსებულია 2 ცალი ტელეფონის აპარატი და მსჯავრდებულები მათ მიერ დადგენილი გრაფიკით სარგებლობენ ტელეფონით.

მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან ტელევიზორებით და მათ, სურვილის შესაბამისად, შეუძლიათ, იქონიონ რადიოც. ამანათით დაშვებულია პრესა.

ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა საჭიროებს განახლებას, თუმცა მსჯავრდებულები აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზიას არ გამოთქვამენ, ვინაიდან ამანათით დასაშვებია წიგნების შეგზავნა.

მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, ივარჯიშონ, ვინაიდან დაწესებულების ეზოში არის აუზი, ასევე კალათბურთის, ფრენბურთის და ფეხბურთის მოედნები.

დაწესებულების ეზოში არის მართლმადიდებლური ეკლესია და მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, განახორციელონ რელიგიური რიტუალები.

დაწესებულებაში არის ერთი საამანათო ფანჯარა.

4. სამზარეულო და სასადილო მდებარეობს საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე. მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის საშუალო და საჭიროებს ინვენტარის განახლებას და კოსმეტიკურ რემონტს. მსჯავრდებულთა გადმოცემით, საკვები, რომელიც მათ მიეწოდებათ, არის ნორმალური.

5. პაემნების ოთახი არის ორი და ერთდროულად შესაძლებელია 5 პაემნის განხორციელება, სადაც მსჯავრდებული და მასთან პაემანზე მისული პირი ერთმანეთს ხვდებიან პირისპირ ყოველგვარი ტიხრის გარეშე.

ცალკე შენობაში განთავსებულია სამი კარცერი, მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის საშუალო, არ აქვს ცენტრალური ვენტილაცია, ხოლო მცირე ზომის სარკმლის გამო არ ხდება კარცერების ბუნებრივი გზით ვენტილაცია და განათება. საპირფარეშო არის მხოლოდ ორ საკანში, ისიც ნახევრად ღია, ხოლო მესამე საკანს საპირფარეშო არ გააჩნია. საკნებში ასევე არ არის ონკანი. განათება ხდება მბჟუტავი ნათურებით.

დაწესებულებას არ გააჩნია საკარანტინე ოთახები.

დაწესებულებაში არ არის საგამოძიებო ოთახები.

დაწესებულების ეზოში დამონტაჟებულია 1 საჩივრის ყუთი.

2008 წლის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა გარკვეული რეკომენდაციები მისცა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, კერძოდ:

1. დაწესებულების გარემონტება;
2. ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება;
3. ბიბლიოთეკის განახლება;
4. საერთო და მკაცრი რეჟიმის გამიჯვნა.

აღნიშნული რეკომენდაციებიდან არცერთი არ არის გათვალისწინებული.

დანართი №1

არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება

მის. ქ.თბილისი, გრ.ხანძთელის ქ.N 3

1. დაწესებულების ლიმიტი არის 160; მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 159 მსჯავრდებული. დაწესებულებაში არის ერთი საცხოვრებელი კორპუსი ე.წ. ბარაკული სისტემა (7 საცხოვრებელი ოთახი 25–27 ადგილიანი). ადმინისტრაციის განმარტებით, მსჯავრდებულს მისი უფლება–მოვალეობები ეცნობება წერილობითი ფორმით.

2. საკნების ფართობი არ შეესაბამება ,,პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ სტანდარტებს. დაწესებულება საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. ცენტრალური სავენტილაციო სისტემა საცხოვრებელ კორპუსს არ გააჩნია. საცხოვრებელი კორპუსის ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით. გათბობა ხდება ცენტრალური სისტემით. განათება – ბუნებრივი და ხელოვნური გზით. ადმინისტრაციის განმარტებით, დეზინფექცია ხდება თვეში ერთხელ.

დაწესებულებაში არის ერთი საშხაპე ოთახი, სადაც დამონტაჟებულია 10 შხაპი, მაგრამ მათგან მხოლოდ 5 შხაპია მუშა მდგომარეობაში. წყლის რეგულირება მსჯავრდებულებს შეუძლიათ თვითონ. შხაპს მსჯავრდებულები იღებენ სურვილის მიხედვით. სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი. **კვირაში ერთხელ ,,პარიკმახერთა ასოციაციიდან" დაწესებულებაში მიდიან დალაქები და უზრუნველყოფენ მსჯავრდებულთა სადალაქო მომსახურებას.** თეთრეულის მიწოდება მსჯავრდებულთათვის ხდება როგორც ადმინისტრაციის მიერ, ასევე დაშვებულია ამანათის სახით. ჰიგიენის საშუალებებს მსჯავრდებულები იღებენ ამანათით და მათი შეძენა ასევე შესაძლებელია დაწესებულების მაღაზიაში.

დაწესებულებაში არის სამრეცხაო ოთახი, სადაც დგას ერთი სარეცხი მანქანა და მსჯავრდებულები ინდივიდუალურად რეცხავენ თავიანთ სარეცხს.

დაწესებულებაში არის 2 ტელეფონის აპარატი და მსჯავრდებულები შეუზღუდავად სარგებლობენ ტელეფონით.

დაწესებულებაში ხდება ტელე და რადიო ტრანსლაცია. პრესა მსჯავრდებულებს მიეწოდებათ ამანათით.

ბიბლიოთეკის ბაზაზე ირიცხება 3190 წიგნი და მსჯავრდებულთა გადმოცემით, ისინი სარგებლობენ ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით.

დანართი №1

მსჯავრდებულთათვის საცხოვრებელ სადგომში გამოყოფილია ერთი სამლოცველო ოთახი, სადაც მართლმადიდებელ მსჯავრდებულებს შეუძლიათ შეასრულონ შესაბამისი რელიგიური რიტუალები. დაწესებულების ეზოში მიმდინარეობს ეკლესიის მშენებლობა.

დაწესებულების ეზოში არის ფეხბურთის სტადიონი.

დაწესებულებაში არის ერთი ამანათის მიმღები ფანჯარა და დღეში შესაძლებელია 20 ამანათის მიღება.

მაღაზია განთავსებულია დაწესებულების ტერიტორიაზე და მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, ყოველდღიურად თვითონ შეიძინონ მაღაზიაში არსებული პროდუქცია.

4. სამზარეულო და სასადილო ოთახი განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე. მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი. საკვების ხარისხზე და კალორიულობაზე მსჯავრდებულებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

5. დაწესებულებაში არის ორი პაემნის ოთახი, სადაც შესაძლებელია ერთდროულად ოთხი პაემნის განხორციელება. განათება ხდება ხელოვნური და ბუნებრივი გზით. ვენტილაცია – როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი გზითაც.

დაწესებულებაში არის ერთი კარცერი, რომელსაც, ადმინისტრაციის განმარტებით, საერთოდ არ იყენებენ. საკარანტინე ოთახი არ არის.

დაწესებულებაში არ არის საგამოძიებო ოთახები.

საჩივრების 1 ყუთი დამონტაჟებულია დაწესებულებაში.

2008 წლის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა გარკვეული რეკომენდაციები მისცა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, კერძოდ:

1. პატიმრებისათვის „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფართის უზრუნველყოფა (ერთ მსჯავრდებულზე 3,5 კვ.მ.);
2. ცენტრალური ვენტილაციის სისტემის დამონტაჟება;
3. დაწესებულების კოსმეტიკური რემონტი.

აღნიშნული რეკომენდაციებიდან არცერთი არ არის გათვალისწინებული.

ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა

სამკურნალო დაწესებულება

მის. დაბა–ქსანი

1. დაწესებულების ლიმიტია 540; მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 672 ტუბერკულოზით დაავადებული პატიმარი. ადმინისტრაციის გადმოცემით, პატიმრებს მათი უფლება–მოვალეობები ეცნობებათ ზეპირი ფორმით.

2. დაწესებულებაში არის ერთმანეთისგან იზოლირებული სამი საცხოვრებელი კორპუსი, რომლებიც შედგება 78 პალატისგან. საცხოვრებელი კორპუსები საჭიროებს რემონტს და მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი. განათება ხდება ბუნებრივი გზით. ვენტილაცია – ბუნებრივი და ხელოვნური გზით. გათბობა ხდება ელექტროქურების საშუალებით.

3. ე.წ. სტაციონარულ კორპუსში სააბაზანო ოთახი განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში, სადაც დამონტაჟებულია 6 შხაპი. მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის საშუალო.

ე.წ. დისპანსერულ კორპუსში სააბაზანო ოთახი არის ყოფილ საპირფარეშოში, სადაც დამონტაჟებულია 1 შხაპი საპირფარეშოს თავზე. იქვე არის საპირფარეშოც, რის გამოც დგას სპეციფიკური სუნი.

ე.წ. ქრონიკულების კორპუსში არის ერთი სააბაზანო ოთახი, სადაც დამონტაჟებულია 2 შხაპი. საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს.

შხაპის მიღების შესაძლებლობა ე.წ. ქრონიკულების კორპუსში განთავსებულ მსჯავრდებულებს აქვთ შეუზღუდავად. დანარჩენ პატიმრებს – კვირაში ერთხელ.

მსჯავრდებულთა განმარტებით, ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთათვის სუფთა თეთრეულის მიწოდებას. ჰიგიენის ნივთების შეძენა პატიმრებს შეუძლიათ მაღაზიაში, ასევე დაშვებულია ამანათით. დაწესებულებას არ ჰყავს დალაქი.

დაწესებულებისათვის წყლის მიწოდება დამოკიდებულია დაბა–ქსნის მოსახლეობის წყლის მოხმარებაზე, ვინაიდან ისინი სარგებლობენ ერთი წყლის ავზით. ძირითადად წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები იქმნება ზაფხულის განმავლობაში.

ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული პრობლემის გადაჭრა უკვე დაწყებულია და მათი განმარტებით, დაწესებულების წყლით მომარაგება მოხდება ცალკე შემავალი მილით.

დაწესებულებაში არ არის ცენტრალური სამრეცხაო.

ე.წ. სტაციონარულ და ე.წ. დისპანსერულ კორპუსებში განთავსებული მსჯავრდებულები ტელეფონით სარგებლობენ თვეში ერთხელ, ხოლო ე.წ. ქრონიკულების კორპუსში განთავსებული მსჯავრდებულები – შეუზღუდავად.

დაწესებულებაში თითქმის ყველა პალატაში არის ტელევიზორი და რადიო, ხოლო პრესა დაშვებულია ამანათის სახით.

ბიბლიოთეკის ბაზაზე ირიცხება დაახლოებით 1200 წიგნი, თუმცა პატიმართა გადმოცემით ისინი ბიბლიოთეკით არ სარგებლობენ, ვინაიდან უმეტესად არის რუსული წიგნები.

საამანათო განთავსებულია ადმინისტრაციულ შენობაში გარეთა მხრიდან. ერთდროულად შესაძლებელია 2 ამანათის მიღება. ადმინისტრაციის განმარტებით, დღის განმავლობაში იღებენ დაახლოებით 30 ამანათს. სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებით, აღნიშნულ დაწესებულებაში დაშვებულია მომზადებული საჭმლის, თაფლის და კარაქის შეგზავნა.

მაღაზიით სარგებლობის შესაძლებლობა მსჯავრდებულებს აქვთ ყოველდღე.

4. სამზარეულო განთავსებულია ცალკე შენობაში. მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი და პატიმრებს საკვების ხარისხზე პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

5. პაემნისთვის განკუთვნილია ერთი ოთახი, სადაც დგას 10 მაგიდა, თუმცა ოთახის ფართი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ერთდროულად 10 პაემანი განხორციელდეს. პატიმარი და მისი ოჯახის წევრი ერთმანეთს ხვდებიან პირისპირ ყოველგვარი შუშის ტიხრის გარეშე.

ცალკე შენობაში განთავსებულია 8 საიზოლაციო პალატა (კარცერი), მათგან მოქმედებს 5 პალატა. საიზოლაციო პალატებს აქვს პატარა სასეირნო ეზო. თითო პალატაში დგას ორსართულიანი რკინის ნარი. **ყველა საკანში არის ონკანი, თუმცა არ აქვს ნიჟარები.** იატაკი არის ბეტონის. საპირფარეშო მხოლოდ სამ საიზოლაციო პალატაშია იზოლირებული, ხოლო ორ პალატაში ნახევრად ღიაა, მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ძალიან ცუდი. ცენტრალური სავენტილაციო სისტემა არ არის.

ვენტილაცია ხდება ფანჯრების მეშვეობით, სადაც გაკრულია პოლიეთილენის პარკები. **პალატებში არ მოდის წყალი და მომარაგება ხდება პოლიეთილენის ბოთლებით.**

დაწესებულებაში არ არის საკარანტინე ოთახი.

დაწესებულებაში არის 3 საგამოძიებო და ერთი საჩივრის ყუთი.

2008 წლის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასთან დაკავშირებით გარკვეული რეკომენდაციები მისცა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, კერძოდ:

1. დაწესებულების კოსმეტიკური რემონტი;
2. საშხაპე ოთახების კაპიტალური რემონტი;
3. დაწესებულების წყლით მომარაგების საკითხის მოგვარება. ცალკე წყლის ავზის დამონტაჟება;
4. კარცერების – „საიზოლაციო პალატების“ – კაპიტალური გარემონტება;
5. ცენტრალური სამრეცხაო ოთახის აშენება.

აღნიშნული რეკომენდაციებიდან არცერთი არ არის გათვალისწინებული. აქვე აღსანიშნავია, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ ისინი მკურნალობას გადიოდნენ ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში, თუმცა კურსის დამთავრებამდე ისინი გადაიყვანეს საპყრობილის რეჟიმზე უმიზეზოდ. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას.

ახალი რეკომენდაცია: მოხდეს კარცერებში საპირფარეშოების სრული იზოლირება.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება

მის. ქ.თბილისი, გლდანის VIIმ/რ, მე–2 კმ

1. სამკურნალო დაწესებულება აშენდა 2008 წლის ნოემბერში. ლიმიტი – 250; მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 212 პატიმარი. დაწესებულება შედგება ერთი 5 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსისგან, სადაც განთავსებულია: თერაპიული განყოფილების 19 საკანი, ფსიქიატრიული განყოფილების 11 საკანი, ინფექციური განყოფილების 11 საკანი, ქირურგიული განყოფილების 24 საკანი, ანესთეზია–რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილების 2 საკანი.

ადმინისტრაციის განმარტებით, პატიმრებს უფლება–მოვალეობები ეცნობებათ ზეპირი ფორმით.

დაწესებულებაში მოშიმშილე მსჯავრდებულისათვის გამოიყოფა ერთი საკანი იმ განყოფილებაში, სადაც იგი გადის მკურნალობას.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოქმედებს სხვადასხვა სახის სამკურნალო პროგრამები: DOTS – ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებისათვის; დიაბეტის პროგრამა; შიდსის პროგრამა და პროთეზირების პროგრამა.

2. დაწესებულებაში საკნების ვენტილაცია ხდება როგორც ბუნებრივი, ასევე ცენტრალური გზით. საკნების ბუნებრივი განათება დამაკმაყოფილებელია. გათბობა ხდება ცენტრალური გათბობის სისტემით. ადმინისტრაციის განმარტებით, დაწესებულების დეზინფექცია ხდება თვეში ერთხელ.

3. დაწესებულებაში არის 6 სასეირნო ეზო, აქედან 4 –მისჯილი პატიმრებისთვის, ხოლო დანარჩენი 2 – წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრებისთვის. პატიმართა გასეირნება ხდება კვირაში 6 დღე 1^{00}–1^{30} სთ.

დაწესებულებაში არის 7 საშხაპე ოთახი. მონიტორინგის დროს მუშაობდა 8 შხაპი, დანარჩენებში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. პატიმართა განმარტებით, ისინი შხაპს იღებენ შეუზღუდავად

დაწესებულება სარგებლობს #8 საპყრობილის სამრეცხაოთი, მაღაზიით და სამზარეულოთი.

თეთრეულით უზრუნველყოფა ხდება ადმინისტრაციის და ოჯახის მიერ, ასევე, მისი შეძენა შესაძლებელია მაღაზიაში. თეთრეულის გამოცვლა ადმინისტრაციის მიერ ხდება კვირაში არანაკლებ ერთხელ. პატიმრები ტანსაცმელს რეცხავენ თვითონ ან უგზავნიან ოჯახის წევრებს. დაწესებულებას ჰყავს პატიმარი დალაქი, რომელიც ირიცხება სამეურნეო ნაწილში.

ჰიგიენის ნივთებით მომარაგება ხდება როგორც ადმინისტრაციის მიერ, ასევე შეუძლიათ მაღაზიაში შეძენა.

დაწესებულებაში არის 5 ტელეფონის აპარატი, რომელიც დამონტაჟებულია მისჯილი პატიმრებისთვის განკუთვნილ სასეირნო ეზოში.

პრესა ხელმისაწვდომია მაღაზიაში. რადიო იყიდება დაწესებულების მაღაზიაში, ხოლო ტელევიზორები არ არის დაშვებული.

ჭადრაკი და შაში იყიდება დაწესებულების მაღაზიაში.

ბიბლიოთეკის ბაზაზე ირიცხება 314 წიგნი. საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკა განახლდა საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ჩატარებული საქველმოქმედო აქციის მეშვეობით.

ამანათის მიღება პატიმრებს შეუძლიათ შეუზღუდავად.

4. პატიმრები უზრუნველყოფილნი არიან სამჯერადი კვებით და, მათი გადმოცემით, საკვები, რომელიც მათ მიეწოდება, არის ნორმალური. პატიმრებს ეძლევათ როგორც დიეტური, ასევე დიაბეტური საკვები. ასევე, პატიმართა განმარტებით, კვების რაციონში ადმინისტრაცია ითვალისწინებს რელიგიურ თავისებურებებს.

5. პაემნებისთვის 7 ოთახია განკუთვნილი, რომელიც მდებარეობს #8 საპყრობილეში, სადაც პაემანი ხორციელდება შუშით გადატიხრულ ოთახში ტელეფონის საშუალებით.

დაწესებულებაში არ არის კარცერი; საგამოძიებო ოთახები განთავსებულია #8 საპყრობილის ტერიტორიაზე, ასევე საგამოძიებო მოქმედებათა ჩასატარებლად სამკურნალო დაწესებულებაში გამოყოფილია ერთი საგამოძიებო და ერთი პაემნის ოთახი;

საჩივრის ყუთები აღნიშნულ დაწესებულებაში არ არის დამონტაჟებული.

ქ.თბილისის N1 საპყრობილე

მის. ქ.თბილისი, გორგასლის ქ#85

ვინაიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N1 საპყრობილის დირექტორმა სერგო კეკელაშვილმა უარი განაცხადა, პასუხი გაეცა სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მომზადებულ კითხვარზე, მსჯავრდებულთა რაოდენობა მოცემულია 2009 წლის 01 ივლისის მდგომარეობით. იმავე მიზეზით არ მოხერხდა ზოგიერთი ინფორმაციის მოპოვება.

1. საპყრობილის ლიმიტია 750; მონიტორინგის დროს დაწესებულებაში განთავსებული იყო 947 მსჯავრდებული.

2. <u>საკნებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გათვალისწინებით მსჯავრდებულთა იქ ყოფნა შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური მოპყრობა.</u> საპირფარეშოები არის ღია მდგომარეობაში, რის გამოც მსჯავრდებულები ცელოფნებით ახდენენ მის იზოლირებას. არცერთ საკანში ფანჯრებს არ აქვს მინები და ისინიც პოლიეთილენის პარკებით არის დაფარული. ასევე ჭერზეც გაკრული აქვთ პოლიეთილენის პარკები, ვინაიდან ცვივა ბათქაში. მსჯავრდებულთა განმარტებით, ხშირია შემთხვევები, როცა ჯანმრთელი და ტუბერკულოზით დაავადებული მსჯავრდებულები ერთად არიან საკანში განთავსებულნი.

<u>განათება</u> ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით; <u>ვენტილაცია</u> - მხოლოდ ბუნებრივი გზით. <u>გათბობის სისტემა</u> აღნიშნულ დაწესებულებაში არ არის, რის გამოც მსჯავრდებულები თბებიან ელექტროქურებით.

3. **დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთა გარკვეულმა ნაწილმა არ იცოდა, თუ რატომ იყვნენ ისინი საპყრობილეში განთავსებულები, მაშინ, როცა მათ განსაზღვრული ჰქონდათ საერთო ან მკაცრი რეჟიმი.**

<u>გასეირნების უფლებით</u> პატიმრები სარგებლობენ ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა 40წთ–1სთ. საპყრობილეში არის 11 სასეირნო ეზო; აქედან საპყრობილის ადმინისტრაცია იყენებს 9 სასეირნო ეზოს.

საპყრობილეს არ გააჩნია <u>საშხაპე</u> ოთახი და პატიმრებს შხაპის მიღება შეუძლიათ საკნების საპირფარეშოში დამონტაჟებული ე.წ. ,,ატმორის“ მეშვეობით.

მსჯავრდებულებს <u>თეთრეულით</u> უზრუნველყოფს ოჯახი, ხოლო <u>ჰიგიენის ნივთების</u> შეძენა შესაძლებელია საპყრობილის მაღაზიაში. მსჯავრდებულებს ემსახურება პატიმარი <u>დალაქი</u>. საპყრობილეში არ არის <u>ცენტრალური სამრეცხაო</u>.

საპყრობილეში მსჯავრდებულთათვის დამონტაჟებულია 6 <u>ტელეფონის აპარატი.</u> მსჯავრდებულთა გადმოცემით, თითო საკანს შეუძლია ისარგებლოს დღეში 30 წუთი. საკნების გადატვირთულობიდან გამომდინარე, თითო პატიმარს ტელეფონით სარგებლობის უფლება ეძლევა თვეში 2–3ჯერ 3–5წთ.

თითქმის ყველა საკანში არის <u>ტელევიზორი</u>. მსჯავრდებულთა განმარტებით, ადმინისტრაცია დისციპლინური სასჯელის სახით იყენებს მათთვის ტელევიზორის ჩამორთმევას. მსჯავრდებულებს <u>პრესის</u> შეძენა შეუძლიათ მაღაზიაში, ასევე დაშვებულია პრესის ამანათის სახით შეგზავნა.

საპყრობილის ადმინისტრაციულ კორპუსში არის <u>ბიბლიოთეკა</u>, სადაც განთავსებულია 1164 წიგნი. ძირითადად არის რუსული ლიტერატურა და მსჯავრდებულთა

განმარტებით, აღნიშნულის გამო ისინი ბიბლიოთეკით არ სარგებლობენ. ბიბლიოთეკის განახლება ბოლო 3 თვის განმავლობაში არ მომხდარა.

საპყრობილეში არის ამანათისთვის განკუთვნილი 3 მაგიდა. დღეში შესაძლებელია 60–მდე ამანათის შეგზავნა.

მაღაზია განთავსებულია საპყრობილის ადმინისტრაციულ შენობაში და მსჯავრდებულებს მაღაზიით სარგებლობა შეუძლიათ ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით.

4. სამზარეულო განთავსებულია ცალკე შენობაში. მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი და საჭიროებს რემონტს. ჭერიდან ჩამოყრილია ბათქაში, სადენები არის გაშიშვლებული, სამზარეულო ინვენტარი საჭიროებს განახლებას. მსჯავრდებულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ საკვები არის უხარისხო და არაჰიგიენურად მომზადებული, ხოლო ნაწილი საკვებს დადებითად აფასებს.

5. საპყრობილეში არის პაემნებისთვის განკუთვნილი ერთი ოთახი, რომელიც დაყოფილია 8 შუშით გადატიხრულ მჭიდროდ განლაგებულ კაბინად. პაემანი ხორციელდება ტელეფონის მეშვეობით. პაემნის ოთახის ვენტილაცია საერთოდ არ ხდება.

საპყრობილეში არ არის კარცერი, საკარანტინე ოთახი.

საპყრობილეში არის 2 საგამოძიებო ოთახი. ერთ ოთახში არის მცირე ზომის ერთმანეთისგან ტიხრით გამოყოფილი სამი მაგიდა. აღნიშნულ ოთახში დაკვირვება ხდება თანამშრომლის მიერ. შესაბამისად, ოთახის სიმცირის გამო, შეუძლებელია ადვოკატსა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საუბრის კონფიდენციურობის დაცვა.

2008 წლის მე–2 ნახევრის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქ.თბილისის #1 საპყრობილეში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გამო აღნიშნული დაწესებულება გასაუქმებელია, თუმცა, ალტერნატიული საპყრობილის აშენებამდე, გასატარებელია შესაბამისი ღონისძიებები. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რათა ამ უკანასკნელს შეძლებისდაგვარად უზრუნველეყო:

1. გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება და თითოეული პატიმრის უზრუნველყოფა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ფართით;

2. საერთო სარგებლობის საშხაპე ოთახის მშენებლობა;

3. საკნებში არსებული საპირფარეშოების იზოლირება;

4. საკნების ფანჯრებში მინების ჩასმა;

5. საერთო და მკაცრი რეჟიმზე მყოფი მსჯავრდებულების შესაბამისი რეჟიმის დაწესებულებაში გადაყვანა;

6. სამზარეულოს რემონტი.

7. ბიბლიოთეკის განახლება;

8. ტელეფონის აპარატების დამატება;

9. საგამოძიებო ოთახის მეთვალყურეობის სისტემის შეცვლა;

10. დალაქით უზრუნველყოფა;

11. სამრეცხაო ოთახის მოწყობა.

2009 წლის ივლისი–აგვისტოს განმავლობაში ჩატარებული გეგმიური მონიტორის დროს გაირკვა, რომ ზემოხსენებული რეკომენდაციებიდან მხოლოდ ერთი იქნა გათვალისწინებული, ისიც ნაწილობრივ – საპყრობილეში დამონტაჟდა ერთი ტელეფონის აპარატი.

ბათუმის #3 საპყრობილე

მის. დაბა–ხელვაჩაური, ურეხის დასახლება

1. საპყრობილის ლიმიტია 557; მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 832 პატიმარი. პატიმრის მიღებისას <u>უფლება–მოვალეობების გაცნობა</u> ხდება წერილობითი და ზეპირი ფორმითაც.

2. საპყრობილეში არის გაუსაძლისი მდგომარეობა. საკნებში არის სინესტე, ანტისანიტარია, ცვივა ბათქაში, ზოგიერთ საკანში ჩადის წყალი, ფანჯრებს არ აქვს მინები და მათი მცირე ზომის გამო და სამმაგი გისოსები გამო, არ ხდება საკნების ბუნებრივი ვენტილაცია. ბუნებრივი განათება არასაკმარისია. საკნების უმრავლესობაში საპირფარეშოებს აქვს დაახლოებით 1.5 მ. სიგრძის კედელი ცალი მხრიდან გამოყოფილი, ხოლო დანარჩენი ნაწილი ღიაა. ზოგ საკანში საპირფარეშოს ღია ნაწილი პატიმრებს თვითონ აქვთ გამოყოფილი ფარდით. <u>გათბობა</u> ხდება ელექტროგამათბობლებით.

საპყრობილეში განთავსებულია არასრულწლოვანთა 2 და ქალთა 2 საკანი. მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის საშუალო.

3. **საპყრობილეში ერთად არიან მოთავსებულები წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრები და მსჯავრდებულები.**

პატიმრების განმარტებით, ისინი გასეირნების უფლებით კვირაში 3-4–ჯერ სარგებლობენ 30-40 წუთით. საპყრობილეში არის 9 სასეირნო ეზო.

საკნებში არსებულ საპირფარეშოებში არის დამონტაჟებული წყლის ე.წ. ტენები და პატიმართა განმარტებით, თუ არის წყალი, მათ შეუძლიათ მიიღონ შხაპი საკანშივე. პატიმრებს წყალი მიეწოდებათ შეზღუდულად, გრაფიკით, 2–ჯერ დღეში 30–40 წუთით. საპყრობილეში არის 2 საერთო სარგებლობის საშხაპე ოთახი, სადაც დამონტაჟებულია 17 შხაპი, ვენტილაცია ხდება ფანჯრების საშუალებით, ზოგადი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის საშუალო. წყლის რეგულირება ხდება თანამშრომლის მიერ. ადმინისტრაციის განმარტებით, პატიმრები აბანოთი სარგებლობენ თვეში 3-4–ჯერ (შაბათ-კვირას), **თუმცა გაურკვეველია, თუ საპყრობილეში წყალი გრაფიკით მოდის, რანაირად ახერხებს 832 პატიმარი შხაპის მიღებას მხოლოდ შაბათ–კვირის განმავლობაში.**

ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს პატიმრებისთვის თეთრეულის მიწოდებას. მათ თეთრეულის შეძენა შეუძლიათ საპყრობილის მაღაზიაში, ასევე შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ ამანათით. საპყრობილეს არ გააჩნია ცენტრალური სამრეცხაო. ჰიგიენის ნივთების შეძენა მსჯავრდებულებს შეუძლიათ საპყრობილის მაღაზიაში. არ ხდება პატიმართა სადალაქო მომსახურება.

საპყრობილეში არის დამონტაჟებული ერთი ტელეფონის აპარატი. მსჯავრდებულებს საშუალება აქვთ, თვეში ერთხელ ან ორჯერ ისაუბრონ ტელეფონით 5–10 წუთით. აღნიშნულთან დაკავშირებით მსჯავრდებულები ადმინისტრაციას მიმართავენ განცხადებებით, რომელიც თავსდება სასეირნო ეზოსთან დამონტაჟებულ საჩივრის ყუთში. მსჯავრდებულთა გადმოცემით, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება ჭიანურდება.

საპყრობილეში ხდება ტელევიზიის და რადიოს ტრანსლაცია. პრესა დაშვებულია ამანათის სახით.

საპყრობილის ბიბლიოთეკის ბაზაზე ირიცხება 350 წიგნი და პატიმართა გადმოცემით, ისინი ხშირად სარგებლობენ ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით.

საპყრობილის ადმინისტრაციულ შენობაში არის 1 საამანათო ოთახი, სადაც დგას ერთი მაგიდა. დღეში შესაძლებელი 40–45 ამანათის მიღება.

<u>მაღაზია</u> განთავსებულია საყრობილის ეზოში და პატიმრები მაღაზიით სარგებლობენ ყოველდღე კვირის გარდა, სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით.

4. <u>სამზარეულო</u> განთავსებულია საპყრობილის ეზოში. მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური. საკვების გემოზე და მომზადების ხარისხზე პატიმრებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

5.<u>პაემნისთვის</u> განკუთვნილია 1 ოთახი, სადაც არის 2 კაბინა, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია 1 მეტრამდე კედლით. პაემანი ხორციელდება შუშით გადატიხრულ ოთახში ტელეფონის მეშვეობით.

საპყრობილეში არის 4 <u>კარცერი</u>, სადაც დგას ერთი ნარი. ნარზე დაგებულია სქელი ღრუბელი. არ დგას მაგიდა და სკამი. ვენტილაცია ხდება ბუნებრივად, თუმცა არასაკმარისია ფანჯრის მცირე ზომის გამო. განათება ხდება ხელოვნური გზით. საპირფარეშო და პირსაბანი განლაგებულია კარცერის დერეფანში. მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი.

<u>საკარანტინე ოთახი</u> არის საპყრობილის პირველ სართულზე, სადაც მონიტორინგის დროს იმყოფებოდა 10 პატიმარი. მათ მორიგეობით ეძინათ, ვინაიდან იქ არსებული 8 რკინის ნარიდან 5 ნარზე არ იყო ლეიბი. საკანში იდგა ნესტის სუნი, ჭერიდან ცვიოდა ბათქაში, საპირფარეშო არის ღია.

საპყრობილეში არის ერთი საერთო <u>საგამოძიებო ოთახი</u>, სადაც დგას 5 მაგიდა, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებულია ერთი მეტრი სიმაღლის კედლით.

საპყრობილეში არის <u>მოშიმშილე პატიმრებისათვის</u> გამოყოფილი ერთი საკანი, რომელშიც არის ერთი ორსართულიანი რკინის ნარი და 2 ერთსართულიანი ნარი. ნარებზე დაფარებულია ჭუჭყიანი ღრუბელი და დახეული ლეიბი. განათება – ხელოვნური, ხოლო ბუნებრივი განათება – არასაკმარისი. ვენტილაცია – ბუნებრივი, მცირე ზომის სარკმლიდან. საპირფარეშო ნახევრად იზოლირებული, რომელსაც არ გააჩნია წყლის ჩასარეცხი.

2008 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ #3 საპყრობილეში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, აღნიშნული საპყრობილე გასაუქმებელია, თუმცა ალტერნატიული საპყრობილის აშენებამდე, გასატარებელია მთელი რიგი ღონისძიებები. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რათა ამ უკანასკნელს შეძლებისდაგვარად უზრუნველეყო #3 საპყრობილეში:

1. გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება და თითოეული პატიმრის უზრუნველყოფა სულ მცირე „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ფართით (თითო პატიმარზე 2.5 კვ.მ);
2. მისჯილი და მიუსჯელი პატიმრების განცალკევება;
3. პატიმრების წყლით მომარაგება 24 საათიან რეჟიმში;
4. საკნების და კარცერების გარემონტება;
5. საკნებში არსებული საპირფარეშოების იზოლირება;
6. საკნების ფანჯრებში მინების ჩასმა;
7. პატიმრების ტელეფონით სარგებლობის უფლების განხორციელების უზრუნველყოფა;
8. ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება;
9. დალაქით უზრუნველყოფა;
10. საკარანტინე ოთახის დაუყოვნებლივ გარემონტება.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციებიდან მხოლოდ ერთი რეკომენდაციაა გათვალისწინებული – პატიმრებს ეძლევათ ტელეფონით სარგებლობის საშუალება.

ახალი რეკომენდაცია: მოხდეს მოშიმშილე მსჯავრდებულთათვის საკნის კეთილმოწყობა.

ზუგდიდის #4 საპყრობილე

მის. ქ.ზუგდიდი, ც.დადიანის 1–ლი შეს. #9

1. საპყრობილის ლიმიტია 305. მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 462 პატიმარი, მათგან 5 არასრულწლოვანი და 10 ქალი პატიმარი. <u>უფლება–მოვალეობების გაცნობა</u> ხდება წერილობითი ფორმით.

საპყრობილეში ერთად არიან მოთავსებულები წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები და მსჯავრდებულები.

2. საპყრობილის პირველ და მეორე სართულზე ანტისანიტარიაა. საკნებში ფანჯრები გარედან და შიგნიდან გისოსებშია და არცერთ საკანში არ არის ჩასმული მინები; მათ მაგივრად ზოგან გაკრულია ცელოფანი ან ქსოვილი. <u>ვენტილაცია</u> ხდება ბუნებრივი გზით. საკნებში საპირფარეშოებს აქვს დაახლოებით 1.5 მ. სიგრძის კედელი ცალი მხრიდან გამოყოფილი, ხოლო დანარჩენი ნაწილი ღიაა. ზოგ საკანში საპირფარეშოს ღია

ნაწილი პატიმრებს თვითონ აქვთ გამოყოფილი ფარდით. ზოგიერთ საკანში გათბობის საშუალებაა ელექტროქურა, სხვებში საერთოდ არაა გათბობის არანაირი საშუალება. საკნებში არის ანტისანიტარია, ცვივა ბათქაში, განათება ხდება პატარა ზომის მბჟუტავი ნათურებით, ხოლო ფანჯრების ზომა ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას.

პატიმრების გადმოცემით, დეზინფექცია საპყრობილეში არ ტარდება. აღნიშნული სახალხო დამცველის რწმუნებულების დაკვირვებითაც შეინიშნება. მონიტორინგის დროს საპყრობილეში იყო ტარაკნების, მღრღნელების და ბაღლინჯოების დიდი რაოდენობა, აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოდ, რომ დეზინფექცია აღნიშნულ საპყრობილეში საერთოდ არ ტარდება ან ტარდება ცუდად.

პატიმრებს წყალი მიეწოდებათ შეზღუდულად, გრაფიკით, 3–ჯერ დღეში 30–40 წუთით.

საპყრობილეში განთავსებულია **არასრულწლოვანთა საკანი,** სადაც დგას 6 ორსართულიანი ნარი, საპირფარეშო ნახევრად ღია. სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი, საკანში ნესტია. განათების საშუალება არის მბჟუტავი ნათურა და ფანჯარა, რომელზეც არასრულწლოვნებს გაკრული ჰქონდათ მუქი ფერის ნაჭერი. იატაკი არის ხის. წყალს პატიმრები აგროვებენ პოლიეთილენის ბოთლებში.

საპყრობილეში არის ქალთა ორი საკანი. მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა სხვა საკნებთან შედარებით ნორმალურია, თუმცა მონიტორინგის დროს საკნებში იყო მღრღნელები. ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით, საპირფარეშო ნახევრად ღიაა, საკანი ნესტიანია. ონკანები გაფუჭებულია.

3. საპყრობილეს აქვს 6 სასეირნო ეზო და პატიმართა გადმოცემით ისინი სარგებლობენ გასეირნების უფლებით 30–40 წუთით კვირის გარდა.

საშხაპე ოთახში დამონტაჟებულია 10 შხაპი, ვენტილაცია ხდება ფანჯრების საშუალებით, ზოგადი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა ნორმალური. პატიმრები აბანოთი სარგებლობენ თვეში 3–4 ჯერ. წყლის რეგულირება ხდება პატიმრების მიერ. თეთრეული დაშვებულია ამანათის სახით, ასევე იყიდება მაღაზიაში. ჰიგიენის ნივთები იყიდება მაღაზიაში, თუმცა მონიტორინგის დროს აღნიშნული ნივთები მაღაზიაში არ იყო, ხოლო ქალ პატიმართა გადმოცემით, მათ პრაქტიკულად არ მიუწვდებათ ხელი ჰიგიენის ნივთებზე.

დაწესებულებას არ ჰყავს დალაქი, არ აქვს ცენტრალური სამრეცხაო.

საპყრობილეში დამონტაჟდა 4 ტელეფონის აპარატი, აქედან 2 დამონტაჟებულია ადმინისტრაციულ კორპუსში, ხოლო 2 – საპყრობილის პირველ და მეორე სართულზე. მონიტორინგის დროს აღნიშნული ტელეფონები არ იყო ჩართული.

ტელევიზორი არის თითქმის ყველა საკანში. პრესა დაშვებულია ამანათით.

ბიბლიოთეკის ბაზაზე ირიცხება დაახლებით 300 წიგნი, თუმცა, პატიმართა გადმოცემით, ისინი ამანათის სახით მიღებულ ლიტერატურას კითხულობენ, ვინაიდან ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები მათ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.

ამანათის სახით საპყრობილეში შესაძლებელია მხოლოდ ვაშლის, მინერალური წყლის, ტანსაცმლის, პრესის და სიგარეტის შეგზავნა. ქალ პატიმრებს ჰიგიენური საშუალებების შეძენა შეუძლიათ მხოლოდ მაღაზიაში, თუმცა მონიტორინგის დროს აღნიშნული ნივთები მაღაზიაში არ იყიდებოდა, ხოლო აღნიშნულის გამო, ქალ პატიმართა გადმოცემით, მათ არ ეძლევათ საშუალება, იქონიონ ჰიგიენური ნივთები.

მაღაზიით სარგებლობის უფლება პატიმრებს აქვთ ყოველდღე კვირის გარდა სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით.

4. სამზარეულო განთავსებულია ცალკე შენობაში, რომლის სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური. პატიმრებს პრეტენზია საკვებთან დაკავშირებით არ გამოუთქვამთ.

5. საპყრობილეში არის 3 კარცერი. მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა ძალიან ცუდია, კედლებიდან ჩამოყრილია ბათქაში. საპირფარეშო – ღია, დგას სპეციფიკური სუნი და ისევე, როგორც საკნებში, ფანჯარას არ აქვს მინები.

საპყრობილეს არ გააჩნია საკარანტინე ოთახები. საპყრობილეს აქვს ერთი საამანათო ფანჯარა. ერთი პაემნის ოთახი, რომელიც არ ნიავდება.

საპყრობილეში არის ერთმანეთისგან იზოლირებული 2 საგამოძიებო ოთახი.

საპყრობილეში არის 1 საჩივრის ყუთი, რომელიც დამონტაჟებულია სასეირნო ეზოების გასასვლელთან.

2008 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ #4 საპყრობილეში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, აღნიშნული საპყრობილე

გასაუქმებელია, თუმცა ალტერნატიული საპყრობილის აშენებამდე, გასატარებელია მთელი რიგი ღონისძიებები. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რათა ამ უკანასკნელს შეძლებისდაგვარად უზრუნველეყო #4 საპყრობილეში

1. გადატვირთულობის პრობლემის მოგვრება და თითოეული პატიმრის უზრუნველყოფა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ფართით;
2. მისჯილი და მიუსჯელი პატიმრების განცალკევება;
3. პატიმრების წყლით მომარაგება 24 საათიან რეჟიმში;
4. საკნების და კარცერების გარემონტება;
5. საერთო სარგებლობის საშხაპე ოთახის გარემონტება;
6. საკნებში არსებული საპირფარეშოების იზოლირება;
7. საკნების ფანჯრებში მინების ჩასმა;
8. საპყრობილის ტერიტორიაზე სადეზინფექციო სამუშაოების და დერატიზაციის ჩატარება;
9. მსჯავრდებულთათვის ტელეფონით სარგებლობის უფლების განხორციელების უზრუნველყოფა;
10. ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება;
11. დალაქით უზრუნველყოფა;
12. სამრეცხაო ოთახის მოწყობა;
13. საკარანტინე ოთახის გამოყოფა.

გათვალისწინებული რეკომენდაციები: დამონტაჟდა ტელეფონის აპარატები, თუმცა, როგორც აღინიშნა, მონიტორინგის დროს ისინი ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებდა; საპყრობილეში შეიცვალა დენის სადენები და გამოიცვალა წყალგაყვანილობა, თუმცა საკნებში ონკანების უმეტესობა გამოსაცვლელია.

ქ.თბილისის #7 საპყრობილე

მის. ქ.თბილისი, გულუას ქ#31

<u>ვინაიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #7 საპყრობილის დირექტორმა გოდერძი გუნიავამ უარი განაცხადა, პასუხი გაეცა სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მომზადებულ კითხვარზე, ქვემოთ მოცემული ინფორმაცია მოპოვებულია მხოლოდ მსჯავრდებულებისგან და სახალხო დამცველის რწმუნებულების დაკვირვების შედეგია.</u>

დანართი №1

1. დაწესებულების ლიმიტი არის 108. მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 43 მსჯავრდებული.

2. საპყრობილეში არის 25 საკანი, მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური, თუმცა საპირფარეშოებში არ არის ელექტროგაყვანილობა. დაწესებულებაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა. ფანჯრები არის მცირე ზომის, რის გამოც საკნების ბუნებრივი განიავება არ ხდება სათანადოდ, ხოლო ცენტრალური სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს საკნების ვენტილაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზაფხულის განმავლობაში საკნებში არის უჰაერობა. საკნების განათება, შეიძლება ითქვას, რომ ხდება მხოლოდ ხელოვნური გზით, ვინაიდან ფანჯრების ზომა ვერ უზრუნველყოფს საკნის ბუნებრივ განათებას. საპირფარეშოები საკნებში იზოლირებულია, თუმცა არ არის შეყვანილი ელექტროსადენები, რის გამოც მსჯავრდებულები საპირფარეშოში შედიან სანთლის მეშვეობით.

3. საპყრობილეს აქვს 4 სასეირნო ეზო, თუმცა, მსჯავრდებულების განმარტებით, სასეირნო ეზოს მდებარეობისა და სიმცირის გამო ისინი, ხშირ შემთხვევაში, უარს ამბობენ გასეირნების უფლებით სარგებლობაზე. თითო სასეირნო ეზო შეადგენს საშუალოდ 12 კვ.მ–ს, რომლითაც უნდა ისარგებლოს საშუალოდ თითო საკანმა, სადაც მოთავსებულია 2–დან 8 მსჯავრდებულამდე.

საპყრობილეში არის ერთი საშხაპე ოთახი, სადაც დამონტაჟებულია 4 შხაპი. ვენტილაცია ხდება მხოლოდ მცირე ზომის სარკმლის მეშვეობით. საშხაპე ოთახის სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი და მსჯავრდებულები წყლის ტემპერატურას თავად არეგულირებენ. მსჯავრდებულების განმარტებით, მათ შხაპის მიღება შეუძლიათ კვირაში ერთხელ საკმარისი დროით. ადმინისტრაცია მსჯავრდებულებს აწვდის თეთრეულს მათი მოთხოვნით. თეთრეულის შეძენა შესაძლებელია დაწესებულების მაღაზიაშიც. მსჯავრდებულებს ჰიგიენის ნივთების მიღების შესაძლებლობა აქვთ ამანათის სახით და საპყრობილეში არსებული მაღაზიის მეშვეობით. დალაქი აღნიშნულ საპყრობილეს არ ჰყავს. სამრეცხაო არ არის.

დაწესებულებაში არის 3 ტელეფონის აპარატი და, მსჯავრდებულების განმარტებით, მათ საშუალება ეძლევათ, თვეში ორჯერ ისარგებლონ ტელეფონით 15 წუთით, მაგრამ საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულებს გარკვეული პერიოდი შეზღუდული ჰქონდათ სატელეფონო საუბრები.

ტელევიზორი განთავსებულია ყველა საკანში. თუმცა მსჯავრდებულებს არ ეძლევათ საშუალება, უყურონ ტელეარხებს, ვინაიდან ყველა ტელევიზორი შეერთებულია ერთ DVD-ზე და ადმინისტრაცია მსჯავრდებულების ოჯახების მიერ მიწოდებული კომპაქტ–დისკების მეშვეობით აჩვენებს მათ ფილმებს და შემეცნებით–გასართობ გადაცემებს.

ასევე ყველა საკანში არის რადიო, რომელიც იჭერს მხოლოდ ოთხ სიხშირეს. სიხშირეები რეგულირდება ადმინისტრაციის მიერ და მჯსავრდებულთათვის რადიოთი არ არის ხელმისაწვდომი საინფორმაციო პროგრამების მოსმენა. პრესა მსჯავრდებულებს მიეწოდებათ ამანათის სახით.

საპყრობილის ბიბლიოთეკის ბაზაზე ირიცხება დაახლოებით 200 წიგნი და მსჯავრდებულთა განმარტებით, ისინი ბიბლიოთეკით ხშირად სარგებლობენ.

საპყრობილეს აქვს ერთი საამანათო ფანჯარა.

მსჯავრდებულები მაღაზიით სარგებლობენ ყოველდღიურად საპყრობილის თანამშრომლების მეშვეობით.

მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, შეასრულონ რელიგიური რიტუალები. საკნებში აქვთ მოწყობილი რელიგიური კუთხე. მოძღვარს მსჯავრდებულები ხვდებიან საგამოძიებო ოთახებში ვიდეო მეთვალყურეობის ქვეშ.

4. საპყრობილის პირველ სართულზე არის სამზარეულო, რომლის სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი. მსჯავრდებულთა გადმოცემით, საკვები მიეწოდებათ დღეში სამჯერ, რომლის გემოზე და ხარისხზე მათ პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

5. საპყრობილეში განთავსებულია ერთი კარცერი, რომლის სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური, თუმცა მისი ვენტილაცია არც ბუნებრივი და არც ხელოვნური გზით არ ხდება.

საპყრობილეს არ გააჩნია ცენტრალური სამრეცხაო და საკარანტინე ოთახი.

საპყრობილეში არის სამი პაემნის ოთახი, რომელთა განათებაც ხდება მხოლოდ ხელოვნური გზით და ისიც მბჟუტავი ნათურებით. იმ მხრიდან, სადაც სხედან მსჯავრდებულები, არ ხდება მათი არც ბუნებრივი და არც ხელოვნური გზით ვენტილაცია. პაემანი ხორციელდება შუშით გადატიხრულ ოთახებში ტელეფონის საშუალებით. თითოეული ოთახის ფართობი შეადგენს 1.6კვ.მ–ს.

საპყრობილეში არის 3 საგამოძიებო ოთახი, რომლის ვენტილაცია საერთოდ არ ხდება, განათება – ხელოვნური გზით, დაკვირვება – ვიდეოთვალის მეშვეობით.

2008 წლის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა #7 საპყრობილესთან დაკავშირებით გარკვეული რეკომენდაციები მისცა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, კერძოდ:

1. საკნის საპირფარეშოში განათების დამონტაჟება;

2. თითოეულ საცხოვრებელ კორპუსზე თითო ტელეფონის აპარატის დამატება და სატელეფონო საუბრის ხანგრძლივობის გაზრდა;
3. სასეირნო ეზოების გაფართოება;
4. ბიბლიოთეკის განახლება;
5. დალაქით უზრუნველყოფა;
6. ტელევიზორის ანტენების დამონტაჟება.

აღნიშნული რეკომენდაციებიდან მხოლოდ ერთი რეკომენდაციაა გათვალისწინებული – თითოეულ სართულზე დამონტაჟდა თითო ტელეფონის აპარატი.

ქ.თბილისის #8 საპყრობილე

მის. ქ.თბილისი, გლდანის VIIმ/რ, მე–2 კმ.

1. დაწესებულების ლიმიტი არის 3672; მონიტორინგის დროს განთავსებული იყო 3576 პატიმარი. საპყრობილე შედგება 4 საპატიმრო კორპუსისგან და 574 საკნისგან. საპყრობილე აშენდა 2007 წლის დეკემბრის თვეში. მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი.

ადმინისტრაციის განმარტებით, პატიმრის მიღებისას უფლებების და მოვალეობების გაცნობა ხდება ზეპირი ფორმით და ყველა საკანში გამოკრულია პატიმრის უფლებების და მოვალეობების ნუსხა, თუმცა მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ნახეს, რომ საკნებში კარებზე გამოკრული იყო მხოლოდ პატიმრის მოვალეობები.

2. **წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრები და მსჯავრდებულები ხშირ შემთხვევაში განთავსებულნი არიან ერთ საკანში.**

საკნების <u>სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა</u> არის კარგი. <u>განათება</u> და <u>ვენტილაცია</u> არის როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივიც.

3. საპყრობილეში არის 45 <u>სასეირნო ეზო</u> და პატიმრები აღნიშნავენ, რომ გასეირნების უფლებით ისინი სარგებლობენ ყოველდღე 30–40 წუთით.

დაწესებულებაში არის 39 <u>საშხაპე</u> ოთახი და 248 შხაპი. მათი ვენტილაცია ხდება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური გზითაც. ყველა სართულზე განთავსებულია 1 საშხაპე ოთახი და თითოეულს აქვს გასახდელი. პატიმრების განმარტებით, ისინი შხაპს კვირაში ერთხელ იღებენ 10 წუთით, რაც, მათი გადმოცემით, საკმარისი არ არის.

დაწესებულების ადმინისტრაცია პატიმრებს უზრუნველყოფს სუფთა თეთრეულით აბანოს შემდეგ. ჰიგიენის ნივთების შეძენა პატიმრებს შეუძლიათ საპყრობილის მაღაზიაში. პატიმართა გადმოცემით, სარეცხ საპონს და ფხვნილს აძლევს ადმინისტრაცია. საპყრობილეში არის ერთი მსჯავრდებული, რომელიც ახორციელებს სადალაქო მომსახურებას. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სეზონური ტანსაცმლით მხოლოდ სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრებს. საპყრობილის ეზოში არის ცენტრალური სამრეცხაო, რომლის სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი.

საპყრობილეში არის 24 ტელეფონის აპარატი. მსჯავრდებულების გადმოცემით, მათ ტელეფონით სარგებლობა შეუძლიათ კვირაში ერთხელ 3–5 წუთით.

ტელევიზორი აქვთ მხოლოდ სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრებს. დაწესებულების მაღაზიაში შესაძლებელია პრესის შეძენა. მაღაზიაში იყიდება 31 დასახელების ჟურნალ–გაზეთი. დაწესებულების ყველა საკანში არის რადიო.

დაწესებულებაში მოქმედებს ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს 7125 წიგნი და პატიმრებს შესაძლებლობა ეძლევათ, ისარგებლონ ბიბლიოთეკით.

საამანათო ოთახი განთავსებულია ადმინისტრაციულ შენობაში. დღის განმავლობაში შესაძლებელია 350 ამანათის მიღება. აღნიშნულ საპყრობილეში ამანათით დაშვებულია მხოლოდ ტანსაცმლის შეგზავნა.

მაღაზია განთავსებულია საპყრობილის ეზოში და მსჯავრდებულები მაღაზიით სარგებლობენ ორ დღეში ერთხელ, სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრების მეშვეობით.

4. საპყრობილის ტერიტორიაზე განთავსებულია სამზარეულო, რომელიც ემსახურება როგორც #8 საპყრობილეს, ასევე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას. მისი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი. დიეტური საკვებისთვის გამოყოფილია ერთი ქვაბი, რომელსაც ემსახურება ერთი პასუხისმგებელი მზარეული. დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს საცხობი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში არსებულ მაღაზიას ლობიანით და ღვეზელით. საკვების ხარისხი, პატიმართა გადმოცემით, არის ნორმალური.

5. საპყრობილეში არის პაემნისთვის განკუთვნილი შუშით გადატიხრული 28 კაბინა, სადაც პაემანი ხორციელდება ტელეფონის მეშვეობით, ვენტილაცია ხდება ცენტრალური გზით, განათება არის როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი გზითაც.

მეორე საპატიმრო კორპუსში განთავსებულია 36 კარცერი, რომელთა ვენტილაცია ხდება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური გზით. კარცერები არის ერთადგილიანი, ასაკეცი

ნარით, საპირფარეშო არის ნახევრად ღია. ყველა კარცერს აქვს პირსაბანი. მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი.

საპყრობილეში არის 15 საკარანტინე ოთახი, მათი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის კარგი. ვენტილაცია და განათება ხდება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური გზით. მათგან 8 საკანში, განთავსებულია 48 ორსართულიანი რკინის ნარი, რომელიც დაფარულია დიქტით. აღნიშნული საკნები გამოიყენება საკარანტინო დანიშნულებისამებრ, 7 საკანი გამოიყენება სასამართლოზე გამსვლელ პირთა მოსათავსებლად.

საპყრობილეში არის 6 ოთახი, სადაც ათავსებენ ახლად მიღებულ პატიმარს ოპერატიული მორიგის გადმოცემით, დაახლოებით ერთი–ორი საათით. პატიმარი ფეხზე მდგომი ელოდება მის საკარანტინე ოთახში გადაყვანას.

საპყრობილეში არის 23 საგამოძიებო ოთახი, რომლის ვენტილაცია და განათება ხდება ხელოვნური გზით.

საპყრობილეში არ არის საჩივრის ყუთები.

2008 წლის საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა #8 საპყრობილესთან დაკავშირებით გარკვეული რეკომენდაციები მისცა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, კერძოდ:

1. პატიმრის მიღებისას მისთვის უფლება–მოვალეობების წერილობით გაცნობა და საკნებში პატიმრის მოვალეობებთან ერთად მათი უფლებების ამსახველი დოკუმენტის გაკვრას;
2. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრების და მსჯავრდებულების განცალკევება;
3. პატიმრების ტელევიზორებით უზრუნველყოფა;
4. შხაპის მიღების ხანგრძლივობის გაზრდა;
5. სატელეფონო საუბრის ხანგრძლივობის გაზრდა;
6. გასეირნების უფლების კანონით დადგენილი დროით სარგებლობა;
7. საჩივრის ყუთების დამონტაჟება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული რეკომენდაციებიდან არცერთი არ არის გათვალისწინებული.

დანართი №2 სახალხო დამცველის დასკვნა ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, ,,პოლიციის შესახებ“ კანონებში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებებთან დაკავშირებით

მისასალმებელია აღნიშნული კანონმდებლობის დახვეწისაკენ მიმართული ძალისხმევა. ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ბუნდოვანი დისპოზიციები (მაგ. მე–9 მუხლის პირველი პუნქტი), რომლებიც მრავალგვარი გაგების საშუალებას იძლეოდა, ახალი რედაქციით ნათლად ჩამოყალიბდა. ამის პარალელურად, ცვლილებებით გათვალისწინებული ზოგიერთი ახალი რეგულაცია ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ისევე, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა 11[1] მუხლი, რომლის თანახმადაც, (1) იკრძალება ხალხის ან ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვა ხელოვნურად, თუ ამის საჭიროებას არ მოითხოვს შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობა; (2) აგრეთვე აკრძალულია ხალხის ან ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვა ავტომანქანებით, სხვაგვარი კონსტუქციებით ან/და საგნებით.

მივიჩნევთ, რომ აღნიშნული რედაქცია წინააღმდეგობაშია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 25–ე მუხლთან, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–11 მუხლთან.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე–2 პუნქტის მიხედვით, ,,კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.“ ეს ნიშნავს, რომ შეკრება–მანიფესტაცია, როგორც პირთა ჯგუფის უფლება, გამართონ აქცია და გადაკეტონ ტრანსპორტის სამოძრაო ადგილი, არ არის დამოკიდებული მათ რაოდენობაზე. ეს არის პირთა ჯგუფის უფლება, კანონით გათვალისწინებული გაფრთხილების განხორციელების შემდგომ გამართონ აქცია გზის სავალ ნაწილზე, მიუხედავად მათი რაოდენობისა. კონსტიტუციის დებულება არ იცავს მხოლოდ აქციის გამართვის უფლებას, იგი ასევე იცავს გზის სავალი ნაწილის გადაკეტვის ფორმით პროტესტის დაფიქსირების უფლებასაც.

საქართველოს კონსტიტუციის 25–ე მუხლის მე–3 პუნქტის მიხედვით: ,,ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.“ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ,,საქართველოს კონსტიტუცის 25-ე მუხლის მე–3 პუნქტი ითვალისწინებს ხელისუფლების მიერ შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. შეწყვეტა კი შესაძლებელი ხდება მხოლოდ ქმედების განხორციელების შემდგომ. ჯერ უნდა დადასტურდეს, რომ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო და ამის შემდეგ არის შესაძლებელი, გამოყენებულ იქნეს შეწყვეტის საშუალებები.“[174] ამ განმარტების მიხედვით, გარკვეული სახის შეკრებების აპრიორი აკრძალვა დაუშვებელია, არსებობს პრეზუმფცია, რომ ყველა სახის შეკრება და მანიფესტაცია დასაშვებია და იგი მხოლოდ მას შემდეგ უნდა შეიზღუდოს, თუ კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

კანონსაწინააღდეგობა კი ნიშნავს, რომ ,,[...] ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო ორგანოების მხრიდან უნდა არსებობდეს საფრთხის პროგნოზი შესამჩნევი გარემოებებით, რაც უნდა ეყრდნობოდეს ფაქტებს, საქმის გარემოებებსა და სხვა დეტალებს. თუ გავითვალისწინებთ შეკრების თავისუფლების მნიშვნელობას, ეჭვი ან ვარაუდი არ უნდა იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის დაშლის საფუძველი. სახელმწიფო ორგანომ, განსაკუთრებით, პრევენციული აკრძალვის განხორციელებისას, არ უნდა გამოიყენოს საშიშროების პროგნოზის შეფასებისადმი ძალიან მსუბუქი კრიტერიუმები, მით უმეტეს, რომ მცდარი შეფასების შემთხვევაში, კვლავ რჩება მისი დაშლის მოგვიანებით განხორციელების შესაძლებლობა.[..]“[175]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, ,,[შეკრება–მანიფესტაციის] აკრძალვის საფუძვლები ესადაგება საერთაშორისო პაქტითა და ევროპული კონვენციით გათვალისწინებული შეზღუდვების საფუძვლებს.“[176]

---

[174] ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, N 2/2/180-183, თბილისი, 2002 წლის 5 ნოემბერი; გვ. 10;

[175] ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, N 2/2/180-183, თბილისი, 2002 წლის 5 ნოემბერი; გვ. 10;

[176] ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, N 2/2/180-183, თბილისი, 2002 წლის 5 ნოემბერი; გვ. 10;

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში ,,ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ“, განაცხადა: ,,გარკვეული სახის დემონსტრაციას შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეული რიტმიდან ამოვარდნა, მათ შორის, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება. მაშინ, როდესაც დემონსტრანტები არ ჩადიან ძალადობრივ აქტებს, მაგრამ უბრალოდ აფერხებენ ტრანსპორტის მოძრაობას, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ გამოავლინოს შემწყანრებლობა ამგვარი მშვიდობიანი შეკრების მიმართ, ვინაიდან აღნიშნული უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–11 მუხლით და არ შეიძლება, ამ უფლებას მთლიანად დაეკარგოს ღირებულება.[177]

ოია ატამანის საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაკვირვება გამოხატა მთავრობის მოუთმენლობასთან დაკავშირებით, რომელიც ცდილობდა იმ მსვლელობის სწრაფად დასრულებას, რომელიც სულ რაღაც ნახევარ საათს გაგრძელდა. იმავე დროს, არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა პირთა ჯგუფის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შექმნის ფაქტს, გარდა იმისა, რომ ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა.[178]

აღნიშნულ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გზის გადაკეტვა მაშინაც კი გაამართლა, როდესაც არ არსებობდა წინასწარი გაფრთხილება და არც მოქალაქეთა რაოდენობა იყო იმდენი, რომ აუცილებელი ყოფილიყო მათ მიერ გზის გადაკეტვა.

ტრანსპორტისა და ხალხის სამოძრაო ადგილას ჩატარებულ საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით იდენტური პოზიცია დააფიქსირა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებში „ბალჩიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“[179] და „ნურეტტინ ალდემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმეში განაცხადა: ,,[...] უფლებებში ჩარევა არა მხოლოდ გარკვეული მიზნის მიღწევისათვის, არამედ დემოკრატიული საზოგადოებისათვისაც უნდა იყოს აუცილებელი. [...]“[180]

---

[177] OYA ATAMAN v. TURKEY, no. 74552/01, §§ 38-42, ECHR 2006

[178] CASE OF BALÇIK AND OTHERS v. TURKEY Application no. 25/02, იგივე პოზიცია დააფიქსირა სასამართლომ საქმეში CASE OF SERGEY KUZNETSOV v. RUSSIA, გვ.44.

[179] Case of NURETTIN ALDEMIR AND OTHERS v. TURKEY (application nos. 32124/02, 32126/02, 32129/02, 32132/02, 32133/02, 32137/02 and 32138/02) 18 December 2007.

[180] ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, N 2/2/180-183, თბილისი, 2002 წლის 5 ნოემბერი; გვ. 10.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში, მართალია ჩამოყალიბებული იყო უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საჯარო მიზნები, მაგრამ ამგვარი მანიფესტაციის აკრძალვა არ არის ამ მიზნების მისაღწევად ყველაზე მსუბუქი საშუალება, რადგან ტრანსპორტით გადაადგილების მსურველებს შეუძლიათ, გამოიყენონ ალტერნატიული გზები და ამგვარად მივიდნენ დანიშნულების ადგილას. გარდა ამისა, კონსტიტუციურ სასწორზე შეფასებისას, კონკრეტულ შემთხვევაში, აქციის მონაწილეთა მიერ გონივრული ვადით ქუჩის გადაკეტვის უფლება (დემოკრატიულ საზოგადოებაში შეკრება–მანიფესტაციების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე) პრიორიტეტულია განმარტებით ბარათში ჩამოყალიბებული მიზნის მიღწევის ინტერესებთან მიმართებით.

კანონპროექტის მიხედვით არ იყო განსაზღვრული, ზუსტად რა რაოდენობა არის საკმარისი ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას აქციის გასამართად. გაუგებარია, ვინ შეაფასებს აქციის მონაწილეთა რაოდენობის საკმარისობას სავალი გზის გადაკეტვის კანონიერებისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიხედვით: ,,[...] ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების მართლწინააღმდეგობის შეფასება სასამართლომ უნდა მოახდინოს და არა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წარმომადგენელმა ერთპიროვნულად. საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი მიდგომა არის დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებების ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე დაცვა.“[181]

ცვლილებების მიხედვით, მე–9 მუხლის ახალ რედაქციაში აღარ არის დებულება, რომელიც გაიმეორებდა ძველი რედაქციის მე–9 მუხლის მე–2 პუნქტის ჩანაწერს (,,გარანტირებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ობიექტების შენობებში ორგანიზატორის ან რწმუნებულის თავისუფლად დაშვების უფლება“), რაც უკან გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს. ასევე აღსანიშნავია, რომ იმ შენობების ჩამონათვალი, რომელთა შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრებისა და მანიფესტაციების ჩატარება იკრძალება, საკმაოდ ვრცელია და უმჯობესი იქნება, მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებამდე შემცირდეს. რაც შეეხება მანძილს, ვინაიდან შეუძლებელია ჩამონათვალში არსებული ყველა შენობის ურბანული მდებარეობის წინასწარ განჭვრეტა, შენობები უნდა დაიყოს ორ კატეგორიად – შენობები, რომლებთანაც პირდაპირ განისაზღვრება 20 მეტრის რადიუსი და შენობები, რომლებთანაც განისაზღვრება დაშორების ,,გონივრული მანძილი“, მაგრამ არაუმეტეს 20 მეტრისა.

---

[181] ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, N 2/2/180-183, თბილისი, 2002 წლის 5 ნოემბერი; გვ. 10.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტის პირველი მუხლის მერვე პუნქტის თანახმად: საქართველოს ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 150–ე მუხლს ემატება 2[1] და 3[2] პუნქტი: რომლის მიხედვითაც იკრძალება სხვადასხვა წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება ადმინისტრაციულ შენობათა ფასადებზე, მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე.

აღნიშნული კანონის მიღების შემთხვევაში მოხდება ძირითადი უფლების შეზღუდვა, კერძოდ, დაირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 24–ე და 25–ე მუხლები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–10 და მე–11 მუხლები, რადგან ამ შემთხვევაში არ არსებობს მიზანი, რომლის გამოც აღნიშნული უფლების შეზღუდვა გამართლდებოდა და იგი გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სიკეთეზე უპირატესი იქნებოდა, ანუ დააკმაყოფილებდა თანაზომიერების მოთხოვნას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების პროექტის თანახმად, 32–ე მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: ,,ადმინისტრაციული პატიმრობა დადგინდება და გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ცალკეულ სახეობათა სამხედრო სამსახურის წესის დარღვევისათვის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოთხმოცდაათ დღემდე ვადით. ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლე.“

მიზანშეუწონლად და შეუსაბამოდ მკაცრად მიგვაჩნია ადმიანისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადის 30–დან 90 დღემდე გაზრდა. მით უფრო, რომ ,,ადმინისტრაციულ სამათალდარღვევათა კოდექსით“ გათვალისწინებული არ არის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–7 დამატებითი ოქმის მე–2 მუხლთან. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეში ,,გალციანი სომხეთის წინააღდეგ“ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მცირე მნიშვნელობის მქონე, შესაბამისად იგი ექცევა კონვენციის მე–7 დამატებითი ოქმის მე–2 მუხლით დაცულ სფეროში.“[182] იმავე საქმეში სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა

[182] CASE OF GALSTYAN v. ARMENIA, *Application no. 26986/0),* JUDGMENT, STRASBOURG, 15 November 2007, გვ.125.

(რომელიც ქართული კანონმდებლობის იდენტურია) და დაადგინა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე–7 დამატებითი ოქმის მე–2 მუხლი.[183]

რაც შეეხება ,,პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტს, მისი პირველი მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუქნტის თანახმად, ცრემლსადენი გაზისა და არალეტალური იარაღის გამოყენების შესაძლებელობის ჩამონათვალში არსებობს ჩანაწერი (,,საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად"), რომელიც ძალიან ზოგადია და საჭიროებს კონკრეტიზაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებათა პაკეტით დადგენილი შეზღუდვები უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

[183] ასევე იხილეთ, CASE OF ASHUGHYAN v. ARMENIA, *Application no. 33268/03,* JUDGMENT STRASBOURG, 17 July 2008, გვ.108; CASE OF MKHITARYAN v. ARMENIA, *Application no. 22390/05,* JUDGMENT, STRASBOURG, 2 December 2008, გვ. 85; CASE OF TADEVOSYAN v. ARMENIA, *Application no. 41698/04,* JUDGMENT, STRASBOURG, 2 December 2008, გვ. 79.

დანართი №3 ეროვნული უმცერესობათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის 2009 წლის ივლისს კონფერენციის "სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში" შედეგად შემუშავებული რეკომენაციები

2009 წლის 19-21 ივნისს გუდაურში ჩატარდა კონფერენცია - "სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში", სადაც განიხილებოდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის საკითხი. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს სახალხო დამცველი, გაეროს განვითარების პროგრამა, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, გაეროს ასოციაციის საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამა და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, განათლების სამინისტროს, რეგიონებში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლებმა.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ ეს იყო პირველი სამუშაო შეხვედრა, სადაც სახელმწიფო უწყებებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა ისაუბრეს აღნიშნული დოკუმენტის იმპლემენტაციისა და ამ საკითხში თანამშრომლობის შესახებ. კონფერენციაზე სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა სამოქმედო გეგმის სრულყოფისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით შეიმუშავეს რეკომენდაციების პაკეტი.

დანართი №3

“გუდაურის კონფერენციის” რეკომენდაციები

ა. განათლების საკითხებში

1. ითარგმნოს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის 2.5 და 2.6 პუნქტით განსაზღვრული მასალები - ჟურნალი „მასწავლებლის”, „მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოს” და სხვა დამხმარე რესურსები რუსულ ენაზე;

2. საუნივერსიტეტო დონეზე მოხდეს არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა გადამზადება;

3. შეიქმნას კურსი, პირობითი სახელწოდებით - „საქართველოს ეროვნული უმცირესობები“, რომლის სწავლება სავალდებულო იქნება სკოლებში.

ბ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში

1. ეთხოვოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შექმნას ვებ-გვერდი სადაც განთავსდება ინფორმაცია საქართველოში ეროვნული უმცირესობების ისტორიული ძეგლებისა და მათი მდგომარეობის შესახებ.

2. ეროვნული უმცირესობების ისტორიული და კულტურული ძეგლები სავალალო მდგომარეობაში იმყოფება და ბევრი მათგანი უმოკლეს დროში საჭიროებს რესტავრაციას. ძეგლების გადარჩენის მიზნით, უნდა შემცირდეს, ძეგლების ინვენტარიზაციისთვის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვადები (2009-2014). აღნიშნული საქმიანობა უნდა განხორციელდეს უფრო შემჭიდროებულ ვადებში;

3. ხელი შეეწყოს ასურელებისთვის, ქურთებისთვის და სხვა მცირე ეთნიკური ჯგუფებისთვის კულტურის სახლის ან სხვა კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის შექმნას;

4. კონცეფციაში აისახოს გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული თეატრის დაფინანსების საკითხი. გასათვალისწინებელია, რომ გრიბოედოვის თეატრი სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, მაგრამ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში ეს საკითხი ასახული არ არის. (შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმით

გათვალისწინებულია საქართველოს რუსული კულტურის ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა, თუმცა შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მსგავსი ცენტრი საქართველოში არ ფუნქციონირებს);

5. ხელი შეეწყოს საქართველოს სომეხთა ისტორიულ-კულტურული მუზეუმის შექმნას;

6. მოხდეს სავალალო მდგომარეობაში მყოფი კულტურული ძეგლებისა და შენობა-ნაგებობების (მაგ: სურამის, ლესია უკრაინკისა და ბორჯომის მუზეუმი) რესტავრაციისთვის განსაზღვრული ვადების ოპტიმიზაცია;

7. ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკაში დუხობორების სალოცავის (სიროტსკი დომ) რესტავრაციის, დაცვისთვისა და მოვლა პატრონობისთვის საქართველოს მთავრობის მიერ გამოიყოს შესაბამისი რესურსები;

8. დახმარება გაეწიოს (ინვენტარითა და კოსტიუმებით) ეთნიკურ უმცირესობათა ანსამბლებსა და ფოლკლორულ ჯგუფებს;

9. ეროვნულ მუზეუმში დაცულია საქართველოს ეროვნული უმცირესობების კულტურისა და ყოფის ამსახველი მრავალი ექსპონატი, მაგრამ ისინი არ არიან ექსპოზიციებზე წარმოდგენილი და ძირითადად საცავებში ინახება. რეკომენდაციით მივმართავთ კულტურის სამინისტროს, რათა ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმებში გაიმართოს ეთნიკური უმცირესობების კულტურის, ხელოვნებისა და ყოფის ამსახველი ექსპონატების გამოფენა;

10. გატარდეს ბიბლიოთეკების რეფორმა; შემუშავდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკა და შეიქმნას ელექტრონული ბაზა;

11. ხელი შეეწყოს ეროვნული უმცირესობებისთვის ტრადიციული ხელნაკეთი ხელოვნების აღორძინებასა და განვითარებას;

12. რეაბილიტაცია ჩაუტარდეს ხელნაკეთი ნივთების მუზეუმში დაცულ ექსპონატებს, მათ შორის ეროვნული უმცირესობების მიერ შექმნილ ექსპონატებს;

13. მატერიალური დახმარება გაეწიოს ბერძნული კულტურის სახლს.

გ. მედიისა და ინფორმაციის საკითხებში

1. ხელი შეეწყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის პოპულარიზებას, რათა საზოგადოებამ იცოდეს, თუ რას უნდა მოელოდეს და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი მედია საშუალებები. ასევე მოხდეს მონიტორინგის სამსახურში გასაჩივრების მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;

2. შეიქმნას ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდების ალტერნატიული მექანიზმები; პირველ რიგში გამოყენებულ იქნეს რეგიონული ტელევიზიების რესურსები;

3. მოეწყოს სატელევიზიო ხიდები საქართველოს რეგიონებსა და სხვა ქვეყნებს შორის;

4. ეთნიკური უმცირესობის ცნობილი და წარმატებულ წარმომადგენელთა ღვაწლი აისახოს მედია საშუალებებში;

5. ეთნიკური მრავალფეროვნების თემატიკა აისახოს საბავშვო-შემეცნებით გადაცემებში;

6. აიკრძალოს პოლიტიკოსების ან სხვა პირების მიერ გაკეთებული ქსენოფობიური განცხადებების ტირაჟირება. შეიქმნას ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მედიაში ქსენოფობიურ გამოვლინებებს;

7. საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსებთან დაკავშირებული ინფორმაცია აისახოს ქართულენოვან საინფორმაციო გამოშვებებში;

8. შეიქმნას სატელევიზიო ენციკლოპედიური ცნობარი საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსის გამოჩენილ წარმომადგენლებზე და წარმოჩნდეს მათ მიერ საქართველოს განვითარების საქმეში შეტანილი წვლილი; ასევე ხელი შეეწყოს

საქართველოში დაბადებული და საზღვარგარეთ მცხოვრები წარმატებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების წარმოჩენას;

9. ქართულ ენოვან საინფორმაციო გამოშვებებში ჩაერთონ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები;

10. ქართულენოვანი გადაცემები ითარგმნოს უმცირესობების ენებზე და მოხდეს მათი ადგილობრივი ტელევიზიების ეთერში გაშვება;

11. შეიქმნას ახალი გადაცემები ეთნიკური უმცირესობებისთვის; გადახალისდეს და გაუმჯობესდეს არსებული პროგრამები (მრავალეთნიკური საქართველო, იტალიური ეზო);

12. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ, მოხდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ცენტრალური სიხშირიდან ლოკალური ახალი ამბების გაშვება კონკრეტული აუდიტორიისთვის (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო-ქართლი); პროგრამული პროდუქტების ლოკალურ დონეზე დატოვება (თარგმანის ტრანსლირება).

რეკომენდაციები

1. **სამართლიანი სასამართლო**

საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარემ უზრუნველყოს საქართველოს საერთო სასამართლოთა მოსამართლეების მიერ მათ იურისდიქციის ქვეშ არსებული სისხლის სამართლის საქმეების სრულფასოვანი და ჯეროვანი შესწავლა და დაცვის მხარისთვის მისი უფლებების ეფექტური განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

2. **სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება**

საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანა, კერძოდ:

- ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში დადგინდეს მექანიზმი, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღმასრულებელს მისცემდა საშუალებას გაატაროს იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოვალე მხარეა სახელმწიფო ორგანო ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაცია;

- კანონმდებლობაში აგრეთვე აუცილებელია ჩაიდოს კონკრეტული მექანიზმები ისეთი გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის, როგორიცაა ბავშვის ერთ–ერთი მშობლისთვის გადაცემა.

3. **საქართველოს პროკურატურა და ადამიანის უფლებები**

საქართველოს იუსტიციის სამინსიტროს მთავარ პროკურატურის მიერ დროულად და ეფექტურად მოხდეს საჯარო მოხელეების მიერ შესაძლო სისხლისსამართლის დანაშაულის ფაქტების გამოძიება.

4. მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

წინადადებები საქართველოს პარლამენტს

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა:

- გაიმიჯნოს პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევები;
- განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის ვადის ამოწურვის შემდეგ დაწესებულებაში დაუბრუნებლობა მსჯავრდებულს საპატიოდ ჩაეთვლება;
- განისაზღვროს ხანმოკლე გასვლის შემთხვევაში გირაოს შეფარდების წესები.

2. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რათა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების სასჯელის მოხდის რეჟიმი განისაზღვროს ციხის ევროპული წესების შესაბამისად;

3. შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რათა ამჟამად მოქმედი შეკრებითობის პრინციპი შეიცვალოს შთანთქმის პრინციპით;

4. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა განისაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტელე და რადიოტრანსლაცია განსაკუთრებული შეზღუდვების გარეშე;

5. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდეს დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა უფლებას გრძელვადიან პაემნებზე;

6. შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რათა მეწარმეებს, რომლებიც იზრუნებენ მსჯავრდებულთა დასაქმებაზე, განესაზღვროთ საგადასახადო შეღავათები.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს ბიუჯეტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღოს ის გაზრდილი ფინანსური მოთხოვნილებები, რომლებიც ამჟამად მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების წარმატებით გატარებისთვისაა აუცილებელი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარ პროკურორს:

სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის განსაზღვრისას საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების შემთხვევაში პრიორიტეტი მიანიჭოს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ, უფრო მსუბუქ სასჯელის სახეებს.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უმოკლეს დროში უზრუნველყოს N1 საპყრობილის ლიკვიდაცია;

- გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სოციალური მუშაკების დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნისა და მათი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით;

- უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა კვალიფიკაციის მინიმალური სტანდარტების ჩამოყალიბება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით რეგულარული სასწავლო პროგრამებისა და ტრენინგების ჩატარება და თანამშრომლების პროფესიული უნარ–ჩვევების რეგულარული კონტროლი;

- უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა სოციალური და შრომითი გარანტიების გაუმჯობესება;

- შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 16 აპრილის N147 ბრძანებაში, რათა N6 დაწესებულების დასახელებაში მითითებული რეჟიმები შეესაბამებოდეს რეალურად არსებულ მდგომარეობას;

რეკომენდაციები

- კანონის შესაბამისად განსაზღვროს ხანდაზმული პატიმრების გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები;

- დააჩქაროს მსჯავრდებულთათვის დისტანციური სწავლების პროგრამის შემუშავება და დანერგვა;

- შეიმუშავოს მსჯავრდებულთა მასიური დასაქმებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ნუსხა:

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

- შეისწავლოს ზემოაღნიშნული ფაქტები და დადასტურების შემთხვევაში, მიიღოს კანონშესაბამისი ზომები;

- უზრუნველყოს ქალი მსჯავრდებულების განთავსება კანონმდებლობით გათვალისწინებულ საერთო რეჟიმის დაწესებულებაში და გააკონტროლოს ქალი პატიმრებისთვის აუცილებელი ჰიგიენური ნივთების ხელმისაწვდომობა ყველა იმ დაწესებულების მაღაზიაში, სადაც ქალი პატიმრები არიან განთავსებულნი;

- უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეგულარული სანიტარულ–ჰიგიენური შემოწმებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;

- მიიღოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დამაკმაყოფილებელი სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის შექმნისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი ზომები, ასევე უზრუნველყოს პატიმრებისათვის საჭირო სარეცხი და საწმენდი საშუალებების რეგულარული მიწოდება; უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და შესაბამის ორგანიზაციებს შორის დადებული სასჯელაღსრულების დაწესებულებების დერატიზაციისა და დეზინსექციის ხელშეკრულებების ეფექტური შესრულების კონტროლი;

- ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოს პატიმრების ტელეფონით სარგებლობის უფლების განხორციელების კონტროლი;

რეკომენდაციები

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უზრუნველყოს ტელე და რადიოტრანსლაცია ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უზრუნველყოს ტელე და რადიოტრანსლაცია ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;

- ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოს პრესის ხელმისაწვდომობა;

- უზრუნველყოს პატიმართა კორესპენდენციის გაგზავნის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვის კონტროლი;

- ახალ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უზრუნველყოს გრძელვადიანი პაემნებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გათვალისწინება;

- მიიღოს შესაბამისი ზომები მსჯავრდებულთათვის მიწოდებული საკვების ხარისხის კონტროლის გასაუმჯობესებლად;

- უზრუნველყოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულების ეკიპირება სპორტული ინვენტარით;

- უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების წიგნების ფონდის რეგულარული განახლება პატიმრების საჭიროებების გათვალისწინებით.

5. **სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელის შეშლა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს აღნიშნულ ფაქტზე გამოძიების დაწყება, და პასუხისგებაში მიეცენ ის პირები, რომელთა ბრალეულობაც გამოიკვეთება გამოძიების პროცესში.

6. **წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა საქართველოში**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურამ: მოახდინოს სავარაუდო წამების ფაქტების ეფექტური, მიუკერძოებელი და სწრაფი გამოძიება და დადგეს შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

7. **შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს 2009 წლის 6 მაისს თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ მომხდარ ინციდენტზე სისხლის სამართლის საქმის სწრაფი და გამჭვირვალე გამოძიება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს სწრაფი და გამჭვირვალე გამოძიება ყველა იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც 2009 წლის 9 აპრილისა და შემდგომ მიმდინარე აქციებს უკავშირდება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს 2009 წლის 15 ივნისს თბილისის შს სამმართველოს წინ მომხდარ ინციდენტზე სისხლის სამართლის საქმის სწრაფი და ეფექტური გამოძიება.

8. **სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურას:

- შესწავლილ იქნეს 2004 წლიდან დღემდე ჟურნალისტებზე თავდასხმის გამოუძებელი ფაქტები და დადგეს შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. მათ შორის:

- შესწავლილ იქნეს ჟურნალისტებთან (ნატო გოგელია და გიორგი გირკელიძე, ზაურ ხუჯაძე) დაკავშირებული ინციდენტები და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დადგეს შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

რეკომენდაციები

- შესწავლილ იქნეს ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“–ისა და „პრაიმ–ნიუსის“ ჟურნალისტებთა დაკავშირებული ინციდენტები და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დადგეს შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

- შესწავლილ იქნეს 15 ივნისს მომხდარი ინციდენტი და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დაიწყოს დისციპლინური დევნა შესაბამისი პირების მიმართ.

- შესწავლილ იქნეს 6 აპრილს მომხდარი ინციდენტი და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დაიწყოს დისციპლინური დევნა შესაბამისი პირების მიმართ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- შესწავლილ იქნეს ნათია როყვასა და ნანა ფაჟავას საქმეები. ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დაიწყოს დისციპლინური დევნა შესაბამისი პირების მიმართ.

9. დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეიმუშაოს სარემონტო სამუშაოების დროს დასაცავი მინიმალური სტანდარტები, რომლებიც ყველა კოლექტიურ ცენტრში იქნება სავალდებულო, იმის მიუხედავად, რომელი სამშენებლო კომპანია ასრულებს მას;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ და იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშაონ სარეაბილიტაციო და საპრივატიზაციო ობიექტთა შერჩევისა და რიგითობის ნათელი კრიტერიუმები;

გაიზარდოს დევნილთა ინფორმირებულობის ხარისხი სარეაბილიტაციო პროცესის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

აუცილებელია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ბრძანებით განისაზღვროს, თუ როგორ უნდა მოხდეს ნაწილობრივ პრივატიზებული კომპაქტური ჩასახლებების მართვა;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ განსაზღვროს რა პერიოდის განმავლობაში გაუწევს სახელმწიფო დახმარებას ნაწილობრივ პრივატიზებულ ობიექტებს;

აუცილებელია, სწრაფად შემუშავდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისს დამტკიცებულ ,,დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასახული“ ალტერნატიული გრძევადიანი განსახლების საშუალებები, შესაძლებლობები და კრიტერიუმები, რათა დევნილებს ჰქონდეთ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების საშუალება;

უახლოეს მომავალში, აუცილებელია, რომ ჩატარდეს დევნილთა ახალ ჩასახლებებში შენობების სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები;

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების დახმარებით აღმოფხვრას წყლის მიწოდებასთან და ნაგვის გატანასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები;

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციული საქმისწარმოების დაწყება ყველა იმ განცხადებაზე, რომელიც ეხება საომარი მოქმედებების შედეგად საცხოვრებელი სახლების დაზიანებას და შესაბამისი კომპენსაციის გაცემას. კომისიური წესით დადგინდეს საცხოვრებელი სახლების დაზიანების მიზეზები, რომლებიც აისახება წერილობით დასკვნებში.

10. ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა და მისი გაეროს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმოკლეს ვადაში მოხდეს ჯოყოლოს სკოლის რუსული სექტორის სამინისტროს ბალანსზე აყვანა;

რეკომენდაციები

ადგილობრივმი მუნიციპალიტეტის მიერ გატარდეს ღონისძიებები, რომელიც მოაგვარებს ადგილობრივი და ლტოლვილი ბავშვების ტრანსპორტირების პრობლემას სკოლებში;

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გადაიხედოს სახელმწიფო პოლიტიკა ლტოლვილ პირთათვის სამედიცინო დახმარების სფეროში გარანტიებისა და შეღავათების შესაძლებლობის დაწესების მიზნით.

11. ბავშვთა უფლებები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მათი იურისდიქციის ქვეშ შემავალი მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინსტიტუციები უზრუნველყონ სათანადო პირობებით (საცხოვრებლად/სასწავლებლად ვარგისი ფართი, სანიტარულ– ჰიგიენური მდგომარეობა, პირადი მოხმარების აუცილებელი ნივთები)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სისტემატურად ჩაატარონ ძიძებისა და მომვლელებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ბავშვთა უფლებების დაცვა და უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს სწრაფი და ეფექტური მოკვლევა.

12. შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს და დაინერგოს სადაზღვევო კომპანიების საფინანსო სტიმულირების მექანიზმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შესაბამისად, კორპორატიული დაზღვევის ჩათვლით;

რეკომენდაციები

- შემუშავდეს და ეტაპობრივად დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანმრთელობის დაზღვევის მინიმალური პაკეტი.

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოფილ იქნეს სადაზღვევო კომპანიების ეფექტური მონიტორინგი საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 აპრილის N92 დადგენილების ფარგლებში, რითაც მაქსიმალურად შემცირდება სადაზღვევო სფეროში არსებული პრობლემები და უზრუნველყოფილი იქნება დაზღვეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლება;

- შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა პოლისის არმქონე შშმ პირების საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით;

- განისაზღვროს შშმ პირთა წინააღმდეგ სამართალდამრღვევთა დამჯარიმებელი სახელმწიფო ორგანო;

- დაინერგოს „შინ მოვლის სოციალური მომსახურეობის“ კომპონენტი;

- დაიხვეწოს დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 178 პრიმა, 178 სეკუნდა მუხლებით განსაზღვრული პროცედურები და უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ამ მუხლების სწორ და ეფექტურ აღსრულებას.

რეკომენდაცია ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს:

- შემუშავდეს სამოქმედო გეგმა შშმ პირების სათანადო საცხოვრებლით ეტაპობრივად უზრუნველყოფისათვის.

13. ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციიის სამინისტროს მთავარ პროკურატურას შენარჩუნდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების გამოძიებისა და პირების პასუხისგებაში მიცემის დადებითი ტენდენცია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეინარჩუნოს და შესაძლებლობის ფარგლებში გაზარდოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების პროგრამების დაფინანსება.

14. გენდერული თანასწორობის საკითხები

საქართველოს მთავრობამ, გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ეფექტურად განხორციელების მიზნით, შექმნას მუდმივმოქმედი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ გენდერული თანასწორობის საკითხებზე და კოორდინაციაზე;

საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნული ინსტიტუციური მექანიზმის მდგრადობისათვის საჭირო ფინანსური რესურსები;

დღეს მოქმედი გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების მიერ, (გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი სამთავრობო კომისია, პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო) 2007–2009 წლების სამოქმედო გეგმის დასრულებამდე, ჩატარდეს ამავე გეგმით გათვალისწინებული საქართველოს კანომდებლობის სიღრმისეული გენდერული ანალიზი.

დღეს მოქმედი გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების მიერ, შემუშავდეს გენდერული თანასწორობის 2010–2012 წლების სამოქმედო გეგმა.

15. ძალადობა ოჯახში

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და იუსტიციის სამინისტროებმა, საუწყებათაშორისო საბჭოსთან და სახელმწიფო ფონდთან თანამშრობლობით, ჩაატარონ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის ფორმირებისთვის აუცილებელი

სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებები. კერძოდ, განისაზღვროს სოციალური მუშაკებისათვის დროებითი სტატუსი და მოხდეს მათი ლეგიტიმაცია;

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მოამზადოს სოციალური მუშაკის გადამზადების პროგრამები.

სტატისტიკი დეპარტამენტმა სახელმწიფო ფონდთან თანამშრომლობით შეიმუშავოს ოჯახში ძალადობის შემთხვევის სტატისტიკის წარმოებისა და შესაბამისი ანალიზის ერთიანი წესი და კრიტერიუმები.

16. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილ იქნეს მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის მეთოდოლოგიისა და ადმინისტრირების სქემების დახვეწა და შესაბამისად ცვლილებების განხორციელება სოციალური დახმარების მარეგულირებელ აქტებში.

17. სახელფასო დავალიანებები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად, უზრუნველყოს ზემოთდასახელებული სტრუქტურებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფა.